

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

IV

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

„განათლება, კვლევა პრაქტიკა“

შრომები

**Iakob Gogebashvili Telavi State University**

**Faculty of Educational Sciences**

**IV**

**International Scientific Conference**

**EDUCATION, RESEARCH, PRACTICE**

**Conference Proceedings**

თელავი - 2022 - Telavi

## წინასიტყვაობა

კრებულში გაერთიანებულია საქართველოს და უცხოური უმაღლესი სასწავლებლების აკადემიური პერსონალის, მეცნიერების, დოქტორანტების, აგრეთვე საბავშვო ბაღების და საჯარო სკოლების მასწავლებლების სტატიები, რომლებმაც ონლაინ ფორმატში მიიღეს მონაწილეობა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში თემაზე: „განათლება, კვლევა, პრაქტიკა“.

წელს კონფერენციის თემატიკას შეემატა ბავშვის უფლებები, რაც განპირობებული იყო თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბავშვის უფლებათა ცოდნის ცენტრის დაფუძნებით, რომლის ინიციატორი და მხარდამჭერია გაეროს ბავშვთა ფონდი.

კრებულში შემავალი ნაშრომები განათლების მეცნიერებების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს: ბავშვებისა და მოზარდების აღზრდისა და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები, ინოვაციები უმაღლეს განათლებაში, სტრატეგიები და ტექნოლოგიები პროფესიულ სფეროში, ინოვაციური პროცესების განვითარების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები, საინფორმაციო ტექნოლოგიები თანამედროვე განათლებაში, საგნის სწავლების მეთოდიკა, განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგია, განათლების ფილოსოფია, განათლების მენეჯმენტი და ფიზიკური აღზრდა და სპორტი.

კრებული გათვალისწინებულია განათლების მეცნიერებების საკითხებით დაინტერესებული სპეციალისტების, სტუდენტებისა და ფართო საზოგადოებისათვის. ნაშრომში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

**რედაქტორი:** პროფესორი დავით მახაშვილი

**რეცენზენტები:** პროფესორი ნინო მოდებაძე, პროფესორი ნინო ნახუცრიშვილი, ასოცირებული პროფესორი თამარ მიქელაძე, ასოცირებული პროფესორი ნინო ბასილაშვილი, ასოცირებული პროფესორი ჰამლეტ რაზმაძე, ასოცირებული პროფესორი ნათია გაბაშვილი, ასოცირებული პროფესორი მარიამ ზაქარიაშვილი, პროფესორი ნუნუ გელდიაშვილი

ISSN 2449-2337

UDK(უაკ) 378.4 (479.221.2) (063)

9772449233004

თ-44

## **Preface**

The conference proceedings include scientific papers by academic staff, researchers, doctoral students of Georgian and foreign higher education institutions, as well as preschool and public school teachers, who took part in the IV International Scientific Virtual Conference "Education, Research, Practice" organized by the Faculty of Education Sciences at Iakob Gogebashvili Telavi State University.

This year, the Child's Rights Knowledge Center was established at the Faculty of Education Sciences of Telavi State University with the support of the United Nations Children's Fund. As a result, the topic of child rights was added to the conference topics.

The papers included in the proceedings of the conference cover almost all areas of educational sciences: modern technologies in education, education and teaching of children and adolescents; innovations in higher education; strategies and technologies in the professional field; theoretical and practical foundations of the development of innovative processes; subject teaching methods; education and development psychology; philosophy of education, educational management; and physical education and sports.

The book is intended for specialists, students, and those interested in educational sciences. The authors are responsible for the materials published in the paper.

**Editor:** Professor Davit Makhashvili

**Reviewers:** Professor Nino Modebadze, Professor Nino Nakhutsrishvili, Associate Professor Tamar Mikeladze, Associate Professor Nino Basilashvili, Associate Professor Hamlet Razmadze, Associate Professor Natia Gabashvili, Associate Professor Mariam Zakariashvili, Professor Nunu Geldiashvili

## კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი

### თავმჯდომარე

**ირმა შიოშვილი** - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

### თანათავმჯდომარეები

**დავით მახაშვილი** - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

**თამარ მიქელაძე** - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი

### წევრები

**მზია მაისურაძე** - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

**ალექსანდრე მოსიაშვილი** - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

**ნუნუ გელდიაშვილი** - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში

**ნინო მოდებაძე** - პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

**ნინო კახაშვილი** - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

**გოჩა კობიაშვილი** - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების სამსახურის ხელმძღვანელი

**ჰამლეტ რაზმაძე** - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

**თამარ ასლანიშვილი** - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი

**ნათია გაბაშვილი** - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

### **კონფერენციის სარედაქციო კოლეგია**

**თამარ მიქელაძე** - განათლების დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, თელავი, საქართველო

**დავით მახაშვილი** - პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, თელავი, საქართველო

**ნინო მოდებაძე** - პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, თელავი, საქართველო

**ნათია გაბაშვილი** - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, თელავი, საქართველო

**ჰამლეთ რაზმაძე** - პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თელავი, საქართველო

**ნინო ბასილაშვილი** - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თელავი, საქართველო

**ნინო ნახუცრიშვილი** - პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, თელავი, საქართველო

**შორენა ძამუკაშვილი** - პედაგოგიკის დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, თელავი, საქართველო

**მაგდა დავითაშვილი** - ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, თელავი, საქართველო

**მამული ბუჭუხიშვილი** - ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანი, ქუთაისი, საქართველო

**ლელა თურმანიძე** - პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტმეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი, ბათუმი, საქართველო

**ლელა ალექსიძე** - პროფესორი, გორის სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, გორი, საქართველო

**თამარ შინჯიაშვილი** - ასოცირებული პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, თბილისი, საქართველო

**გულიკო ბექაური** - ასოცირებული პროფესორი, ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ახალციხე, საქართველო

**ქეთი ჭკუასელი** - პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისი, საქართველო

**მანანა ღარიბაშვილი** - პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, თელავი, საქართველო

**იმერი ბასილაძე** - პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის პროფესორი, ქუთაისი, საქართველო

**ვარდევან გრიგორიანი** - პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ნალბანდიანის სახელობის გიუმრის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, სომხეთი

**შახინ თაგი ოლი თაგიევი** - პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, განჯის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი პედაგოგიკის კათედრის გამგე, აზერბაიჯანი

**მარჰარიტა სოვა** - ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის და სოციოლოგიის კათედრის პროფესორი, სახელმწიფო ფისკალური სამსახურის უნივერსიტეტი, ირპინი, უკრაინა

**სვიტლანა დიენიუნა** - ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის და სოციოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორი, სახელმწიფო ფისკალური სამსახურის უნივერსიტეტი, ირპინი, უკრაინა

**ირინა პეტუხოვა** - ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის და სოციოლოგიის კათედრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, სახელმწიფო ფისკალური სამსახურის უნივერსიტეტი, ირპინი, უკრაინა

**კატერინა იურიევა** - პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მუსიკის ხელოვნების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ჰ. სკოვოროდა სახელობის ხარკოვის ეროვნული პედაგოგიური უნივერსიტეტი, ხარკოვი, უკრაინა

## **Organizing Committee**

### **Chairman**

**Irma Shioshvili** – Rector of Iakob Gogebashvili Telavi State University

### **Co-chairpersons**

**Davit Makhashvili** - Professor, Faculty of Education Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University

**Tamar Mikeladze** - Associate Professor, Head of the Department of Education Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University

### **Members**

**Mzia Maisuradze** - Head of the Administration, Iakob Gogebashvili Telavi State University

**Alexandre Mosiashvili** - Deputy Rector for Academic Affairs, Iakob Gogebashvili Telavi State University

**Nunu Geldiashvili** - Deputy Rector in Scientific Field, Iakob Gogebashvili Telavi State University

**Nino Modebadze** - Candidate of Pedagogical Sciences, Dean of the Faculty of Educational Sciences, Professor, Iakob Gogebashvili Telavi State University

**Nino Kakhashvili** - Head of PR Department, Iakob Gogebashvili Telavi State University

**Gocha Kobiashvili** - Head of Material Resources, Iakob Gogebashvili Telavi State University

**Hamlet Razmadze** – Associate Professor at the Faculty of Education Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University

**Tamar Aslanishvili** - Head of the International Relations Office, Iakob Gogebashvili Telavi State University

**Natia Gabashvili** - Associate Professor of the Faculty of Educational Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University

## Editorial Board

**Tamar Mikeladze** - Associate Professor, Head of the Faculty of Education Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia.

**Davit Makhashvili** - Professor, Faculty of Education Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia.

**Hamlet Razmadze** - Candidate of Pedagogical Sciences, Associated Professor, Faculty of Educational Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia.

**Nino Basilashvili** - Candidate of Psychological Sciences, Associated Professor, Faculty of Education Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

**Nino Modebadze** - Candidate of Pedagogical Sciences, Professor, Faculty of Education Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia.

**Nino Nakhutsrishvili** - Candidate of Pedagogical Sciences, Professor, Faculty of Education Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

**Shorena Dzamukashvili** - Doctor of Pedagogy, Associated Professor, Faculty of Education Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

**Magda Davitashvili** - Candidate of Biological Sciences, Professor, Dean of Faculty of Natural and Exact Sciences, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

**Mamuli Buchukhishvili** - Associated Professor, Dean of the Faculty of Pedagogy, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.

**Lela Turmanidze** - Professor, Dean of the Faculty of Natural Sciences and Education, Batumi Shota Rustaveli State University.

**Lela Aleksidze** - Professor, Dean of the Faculty of Education, Exact and Natural Sciences, Gori Teaching University, Gori, Georgia

**Tamar Shinjiashvili** - Associate Professor, Dean of the Faculty of Education, Sukhumi State University, Tbilisi, Georgia

**Guliko Bekauri** - Associate Professor, Dean of the Faculty of Education, Humanities and Social Sciences, Akhaltsikhe, Georgia

**Ketevan Chkuaseli** - Professor, Faculty of Psychology and Educational Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia

**Manana Garibashvili** – Professor, Faculty of Humanities, Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi, Georgia

**Imeri Basiladze** - Doctor of Pedagogical Sciences, Professor, Faculty of Pedagogy, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia.



**Vardevan Grigorian** - Professor, Doctor of Pedagogical Sciences, Rector of Gyumri State Pedagogical Institute Named after Nalbandian, Armenia

**Shahin Tagi Oglu Tagiev** - Professor, Doctor of Pedagogical Sciences, Head of the Department of General Pedagogy, Ganja State University, Azerbaijan

**Marharyta Sova** - Professor of the Department of Psychology, Pedagogics and Sociology, University of the State Fiscal Service, Irpin, Ukraine

**Svitlana Dienizhna** - Associate Professor of the Department of Psychology, Pedagogics and Sociology, University of the State Fiscal Service, Irpin, Ukraine

**Iryna Petukhova** - Associate Professor, Acting Head of the Department of Psychology, Pedagogics and Sociology, University of the State Fiscal Service, Irpin, Ukraine

**Kateryna Yuryeva** - Doctor of Pedagogical Sciences, Associated Professor of the Music Art Department, H.S. Skovoroda Kharkiv National Pedagogical University, Kharkiv, Ukraine

## ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

<b>ბავშვებისა და მოზარდების აღზრდისა და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები: საქართველოს და მსოფლიო გამოცდილება</b>	<b>13</b>
<b>ნანა ნიბლაძე, ნინო ნონეშვილი</b>	
მშობელთა ჩართულობის დონის ამაღლება მოსწავლის სწავლის პროცესში	13
<b>ანა ქისტაური, იზოლდა ბუხუღიანი</b>	
დიმიტრი უზნაძის „აღზრდის ტრაგედია“ და თანამედროვე სასკოლო კონფლიქტები	17
<b>ნინო ფირცხალაიშვილი</b>	
საგანმანათლებლო სფეროში ბუღინგის (ჩაგვრის) შემცირების სტრატეგიები	21
<b>განათლების მენეჯმენტი</b>	<b>25</b>
<b>ნათია გაბაშვილი</b>	
ბაღის მენეჯერთა აუცილებელი უნარ-ჩვევები	25
<b>მაკა კორძაძე</b>	
სსსმ მოსწავლეთა სწავლება - საკლასო ოთახიდან ონლაინ ფორმატში	28
<b>თეიმურაზ ქარელი</b>	
განათლების აქსიოლოგია თანამედროვე პოლიტიკის დისკურსში	33
<b>თეიმურაზ ქარელი</b>	
ფულის, როგორც სოციალური ფასეულობის კვლევა თაობით ჭრილში	37
<b>ქეთევან ჭკუასელი, ხატია არაბიძე</b>	
საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე მასწავლებლის და მშობლის კომუნიკაციის პრაქტიკის კვლევა	42
<b>ინკლუზიური განათლება</b>	<b>47</b>
<b>ნინო მოდებაძე, დავით მახაშვილი</b>	
ბაგა-ბაღების „აღზრდელ-პედაგოგთა რეფლექსიის“ კვლევის ერთი მიმართულების ანალიზი	47
<b>მაკა სიდამონიძე</b>	
დაწყებითი სკოლის ზედა საფეხურის (5-6 კლასები) დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეების წერითი უნარების კვლევა	50
<b>ლეილა ქარაზანაშვილი</b>	
ინკლუზიური განათლება	54
<b>საგნის სწავლების მეთოდთა</b>	<b>57</b>

<b>თამარ მიქელაძე</b>	
ნარატიული კვლევა და მისი თავისებურებები უცხო/მეორე ენის სწავლებისას _____	57
<b>ნინო ნახუცრიშვილი</b>	
განმავითარებელი შეფასების განხორციელების აქტუალური საკითხები _____	61
<b>ანა გიგაური</b>	
დარგობრივი ინგლისური ენის შემსწავლელი სტუდენტების დამოკიდებულება მასწავლებლის მიერ მშობლიური ენის გამოყენებასთან დაკავშირებით _____	65
<b>დარეჯან მარგალიტაშვილი, მაგდა დავითაშვილი</b>	
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და, ზოგადად, საგანმანათლებლო სფეროში სწავლის შედეგების ამაღლების კიდევ ერთი ფაქტორი _____	69
<b>გურამ ბახტაძე</b>	
როგორ ვასწავლოთ „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ _____	73
<b>ნინო გელოვანი</b>	
მათემატიკის სწავლება- მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი _____	76
<b>ნინო გაბეჩავა</b>	
რთული წინადადების სწავლების მეთოდური ტენდენციები გრიფირებული სახელმძღვანელოების მაგალითზე _____	80
<b>Nino Tsulaia</b>	
Data-Driven Learning – an Innovative and Revolutionary Trend in Foreign Language Teaching ____	83
<b>თეიმურაზ ორმოცაძე</b>	
საჯარო სკოლებში ელემენტალური მათემატიკის ზოგიერთი საკითხების სწავლების შესახებ _____	87
<b>დავით წამალაშვილი</b>	
ფუნქციათა შესახებ ამოცანების ანალიზი აბიტურიენტებისა და მასწავლებლების მათემატიკის საგნობრივი საგამოცდო ტესტების მაგალითზე _____	91
<b>საინფორმაციო ტექნოლოგიები თანამედროვე განათლებაში _____</b>	<b>96</b>
<b>მარიამ ზაქარიაშვილი</b>	
ARDUINO- STEM ტიპისკვლევითი პროექტების მოდელირებისა და კონსტრუირების ინსტრუმენტი _____	96
<b>თამაზ ლაჩაშვილი, ნინო ჟონჟოლაძე</b>	
სამარშრუტო გზის განსაზღვრა დამორებული აბონენტამდე უტილიტა Tracert-ის გამოყენებით _____	100

<b>განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგია</b>	<b>105</b>
ია ჩაქიაშვილი - კალმახელიძე, ნინო ბასილაშვილი, შორენა ძამუკაშვილი	
ვალდებულება, გადაწყვეტილების მიღება	105
<b>Nino Zaalishvili</b>	
Relationship between university students' insufficient memory enhancement experience and motivation to study	109
<b>თამარი ჯავახიშვილი</b>	
ახალი პოზიტიური ფსიქოლოგია ბედნიერი ადამიანის აღზრდის შესახებ	113
<b>რუსუდან ბოლქვაძე, თამარი ლაჭავაძე, ია აფთარაშვილი</b>	
STEM განათლება და მოსწავლის აკადემიური პროფილი	117
<b>განათლების ისტორია</b>	<b>121</b>
<b>დალი ბეთხოშვილი</b>	
განათლების საკითხი აკაკი წერეთლის ნააზრევში	121
<b>ელენე მაღლაკელიძე</b>	
დედაენა და ქრისტიანული პედაგოგია	125
<b>განათლების ფილოსოფია</b>	<b>129</b>
<b>ლალი ანთიძე, იმედა იაკოვენკო</b>	
რატომ ვერ/არ იცვლება განათლების სისტემები	129
<b>ფიზიკური აღზრდა და სპორტი</b>	<b>134</b>
<b>ჰამლეტ რაზმაძე</b>	
გულის ცემის დინამიკა ვარჯიშის ინტენსივობის მკვეთრი ცვლილების პირობებში	134

# ბავშვებისა და მოზარდების აღზრდისა და სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები: საქართველოს და მსოფლიო გამოცდილება

ნანა ნიბლაძე

გურამ ჭილაშვილის სახელობის ქალაქ გურჯაანის №4 საჯარო სკოლა

ნინო ნონეშვილი

გურამ ჭილაშვილის სახელობის ქალაქ გურჯაანის №4 საჯარო სკოლა

## მშობელთა ჩართულობის დონის ამაღლება მოსწავლის სწავლის პროცესში

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ წარმატებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი მშობელთა და სკოლას შორის დამყარებული კეთილგანწყობაა. კვლევების თანახმად, მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, უკეთეს შედეგებს აღწევენ აკადემიური კუთხით, გამოირჩევიან პოზიტიური ქცევით, კეთილგანწყობილი არიან სკოლის მიმართ და აქვთ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა.

საკითხის აქტუალობიდან და სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარეგანდა იდეა, გამოგვეკვლია მშობელთა ჩართულობის დონე ჩვენი სკოლის მოსწავლეთა სწავლის პროცესში. ჩვენ მიერ განხორციელებული სკოლის საჭიროებების კვლევა მიზნად ისახავდა მშობელთა ჩართულობის დონის დადგენას მოსწავლეთა სწავლის პროცესში, მშობელთა ჩართულობის დონის ამაღლების გზების განსაზღვრას და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტები<sup>3</sup> - მშობელთა გამოკითხვა და ინტერვიუ კლასის დამრიგებლებთან.

**მშობელთა გამოკითხვა კითხვარის საშუალებით.** აღნიშნული კვლევის რაოდენობრივი ინსტრუმენტის მიზანი იყო მშობელთა ჩართულობის ხარისხის დადგენა საშინაო დავალების მომზადებასა და სასკოლო პროცესებში დამშობლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის ფორმების დახვეწა. კვლევის კითხვარი შემუშავდა G-pride -ის სახელმძღვანელოში „მშობელთა ჩართულობა“ არსებული კითხვარის გამოყენებით. მოვახდინეთ კითხვარის მოდიფიცირება და მორგება ჩვენი კვლევის საჭიროებებზე.

**ინტერვიუ კლასის დამრიგებლებთან.** გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტი - სტრუქტურირებული ინტერვიუ<sup>3</sup>, რომლის მიზანი იყო დაგვედგინა მშობელთა ჩართულობის დონე, გაგვერკვია მშობლებსა და დამრიგებლებს შორის კომუნიკაციის ხარისხი და გავცნობოდით დამრიგებელთა მოსაზრებებს მშობელთა ჩართულობის გაუმჯობესების გზების შესახებ. დავადგინეთ, თუ მშობლებთან კომუნიკაციის რომელ ფორმებს იყენებდნენ ისინი და მიმართავდნენ თუ არა მშობელთა პედაგოგიზაციას. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ინტერვიუსთვის შევარჩიეთ ექვსი დამრიგებელი (დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე 2-2 დამრიგებელი).

**კვლევის ძირითადი დასკვნები:**

1. დაწყებით საფეხურთან შედარებით საბაზო და საშუალო საფეხურებზე იკვეთება უფრო მეტი პრობლემები მშობელთა მოუცლელობის, მშობელთა კრებებზე არდასწრების, შვილის საჭიროებების შესახებ მასწავლებლის ინფორმირების კუთხით, რაც მიუთითებს მასწავლებელსა და მშობელს შორის კომუნიკაციის ნაკლებობაზე და საჭიროებს ურთიერთობის ფორმების დახვეწას.

2. მშობლებსა და სკოლას შორის კომუნიკაციის კუთხით სკოლის ვებ-გვერდსა და სკოლის გვერდს სოციალურ ქსელში აძლევს უპირატესობას მშობლების მხოლოდ განახევრებული რაოდენობა დაწყებით საფეხურზე, ხოლო უფრო მცირე რიცხვი საბაზო და საშუალო საფეხურებზე. აღნიშნულის აღმოფხვრის მიზნით სასურველია კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების ხელმისაწვდომობის პოპულარიზაცია მშობლებში.

3. დამრიგებელთა ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ მათი ნაწილი ნაკლებად იყენებს მშობლებთან კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს. ისინი ნაკლებად რთავენ მშობლებს სასკოლო აქტივობებში და ნაკლებად მიმართავენ მშობელთა პედაგოგიზაციას.

### **კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დაიგეგმა და განხორციელდა ინტერვენციები:**

1. მშობლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების კუთხით სკოლის ვებ-გვერდის შექმნა, სადაც გამოქვეყნდება ინფორმაცია მოსწავლეთა მიღწევების შესახებ და სოციალურ ქსელში გვერდის შექმნა, რომელზეც გამოქვეყნდება მშობლებისათვის ხელმისაწვდომი მასალები მათი პედაგოგიზაციის მიზნით.

2. მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ დამრიგებლების ცნობიერების ამაღლების კუთხით დამრიგებლებთან სამუშაო შეხვედრის გამართვა, რომლის მიზანი იქნებოდა დამრიგებელთათვის რეკომენდაციების მიცემა მშობლებთან კომუნიკაციის ფორმების (სოციალური ქსელი, ელექტრონული ფოსტა და სხვა) დახვეწის კუთხით და დამრიგებლებს შორის მშობელთან ურთიერთობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

**სკოლის ვებ-გვერდისა და სოციალურ ქსელში მშობელთა პედაგოგიზაციის მიზნით გვერდის შექმნა.** ლიტერატურიდან ცნობილია, რომ სიახლეების შესახებ მშობლის ინფორმირებულობა მნიშვნელოვანი წინაპირობაა მშობელსა და მასწავლებელს შორის კონსტრუქციული ურთიერთობის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით ინტერვენციის პირველ ეტაპზე შეიქმნა სკოლის ვებ-გვერდი, სადაც ქვეყნდებოდა ინფორმაცია მოსწავლეთა მიღწევების შესახებ. ვებ-გვერდის ადმინები - როგორც მასწავლებლები, ისე მოსწავლეები ზრუნავდნენ, მასზე ატვირთულიყო ცნობები სკოლაში განხორციელებული ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიების, პროექტის, ექსკურსიის და სხვა მოვლენების შესახებ. აგრეთვე მშობელთა პედაგოგიზაციის მიზნით შეიქმნა სოციალურ ქსელში გვერდი, რომელიც ავრცელებდა ინფორმაციას მოზარდთა ასაკობრივი თავისებურებებისა და სხვა საჭიროებების შესახებ, რაც კვლევების თანახმად მშობელთა ჩართულობის ხარისხის ამაღლებას უწყობს ხელს. ვებ-გვერდის ვიზიტორთა რაოდენობა ერთი სემესტრის განმავლობაში სწრაფად გაიზარდა, ასევე მოიმატა პოზიტიური ემოციის გამომხატველი კომენტარების რიცხვმა მშობელთა მხრიდან.

**სამუშაო შეხვედრა დამრიგებლებთან.** კვლევების თანახმად მასწავლებელი ის შუალედური რგოლია, რომელიც სკოლას და ოჯახს ერთმანეთთან აკავშირებს. მას

შეუძლია კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხის გამოყენებით მშობელი სასწავლო პროცესში ჩართოს და თავის მოკავშირედ აქციოს. აღნიშნულის გათვალისწინებით ინტერვენციის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა დამრიგებლები. შეხვედრის მიზანი იყო დამრიგებლების ინფორმირება ჩატარებული კვლევის შედეგებთან დაკავშირებით და მათთვის რეკომენდაციების მიცემა მშობლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების კუთხით. შეხვედრაზე დამრიგებლებმა მოისმინეს ანგარიში კვლევის შედეგების შესახებ და გაუზიარეს კოლეგებს საკუთარი მიგნებები და დამოკიდებულებები მშობელთა ჩართულობის ამაღლების კუთხით.

შეხვედრის ბოლო 10 წუთი დაეთმო წინასწარ შემუშავებული შეფასების კითხვარის შევსებას. გამოკითხვის მიზანი იყო შეხვედრაზე განხილული საკითხების შეჯამება. დადგენა, თუ რა ახალი ინფორმაცია მიიღეს დამრიგებლებმა შეხვედრის განმავლობაში და როგორ გამოიყენებდნენ მას როგორც მშობლებთან ურთიერთობისას, ისე მათი სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის კუთხით. პედაგოგთა უმრავლესობამ (70%) აღნიშნა, რომ გამოიყენებდნენ ახლებურ მიდგომებს მშობლებთან ურთიერთობაში და გაითვალისწინებენ კოლეგების მოსაზრებებს მშობლებთან კომუნიკაციის გზების დახვეწის მიზნით, როგორცაა, მაგალითად სოციალურ ქსელში ჯგუფების შექმნა. ასევე მოქნილად გამოიყენებდნენ ტექნიკურ საშუალებებს. კერძოდ, სოციალურ ქსელს (62,5%) და ელექტრონულ ფოსტას (56,4%). მშობელთა კრებების დაგეგმვის დროს გაითვალისწინებენ მშობელთა მოუცლელობას და მოახდენდნენ დროის მენეჯმენტს. პედაგოგთა 75% -მა აღნიშნა, რომ მეტ ყურადღებას მიაქცევს მშობელთა პედაგოგიზაციის მიზნით მათთვის მეთოდური ლიტერატურის მიწოდებას და დისკუსიების გამართვას მოსწავლეთა სხვადასხვა პრობლემის ირგვლივ. აღნიშნულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ წარმატებით განხორციელდა ინტერვენცია -დამრიგებლებთან სამუშაო შეხვედრა. შეხვედრამ ნამდვილად გამოიწვია მშობელთა ჩართულობის შესახებ დამრიგებელთა ცნობიერების ამაღლება.

სამუშაო შეხვედრიდან ორი თვის შემდეგ ჩავატარეთ დამრიგებელთა გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო, დაგვედგინა, განახორციელეს თუ არა დამრიგებლებმა რეკომენდაციების ფარგლებში სხვადასხვა აქტივობები და, აქედან გამომდინარე, გაიზარდა თუ არა მშობელთა ჩართულობა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხული 23 დამრიგებლიდან უმრავლესობამ (78%) განახორციელა ახალი აქტივობები -კერძოდ, 20-მა მოიწვია მშობლები ოფიციალურად გაფორმებული დოკუმენტაციით, 19 - მა შეძლო კრების ჩატარების ოპტიმალური დროის შერჩევა, ასევე 19-მა კრებაზე დაუთმო დრო მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობას სასკოლო ცხოვრებაში, თუმცა მხოლოდ 10-მა დამრიგებელმა მოიძია ინფორმაცია სატელევიზიო შემეცნებითი პროგრამების შესახებ და მიაწოდა მშობლებს. უნდა აღინიშნოს, რომ 23 დამრიგებლიდან ყველამ დაიწყო კომუნიკაციის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება. 20-მა აღნიშნა, რომ გაიზარდა მშობელთა ჩართულობის დონე მშობელთა კრებაზე დასწრების კუთხით. 10 -მა დამრიგებელმა აღნიშნა, რომ მშობლებმა გამოხატეს მზაობა დამრიგებლის მიერ შეთავაზებულ სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის მიღებაზე და დამრიგებელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მიუთითა, რომ კომუნიკაციის მრავალფეროვანი საშუალებების გამოყენებამ საგრძნობლად გაზარდა მშობლებთან კომუნიკაციის სიხშირე, რაც დადებითად აისახა მოსწავლეთა შედეგებზე.

**დასკვნა:** მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინტერვენციების შედეგად მივაღწიეთ საგრძნობლივ ცვლილებებს მშობლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების კუთხით. ასევე ამაღლდა დამრიგებლებისა და მშობლების ცნობიერება მათი სასწავლო პროცესში ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. აბაშიძე ნანა; 08.09.2014; მშობლების ჩართულობა სკოლაში; პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის; (<https://phrgeorgia.wordpress.com/2> (11.06.2018).
2. ელბაქიძე ნინო, 06.03.2012; მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგიები; ინტერნეტ გაზეთი „მასწავლებელი“; (<http://mastsavlebeli.ge/?p=492>) (11.06.2018).
3. ლიპარტელიანი დავით, მოსიაშვილი თამარ, ჯანაშია სვიმონ. 2018. სამოქმედო კვლევის სახელმძღვანელო, თბილისი.
4. მშობელთა ჩართულობა; რეკომენდაციები დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის; 2015; G-PRIDE; თბილისი; ([http://kargiskola.ge/parent/pdf/PE\\_GUIDE\\_2015.pdf](http://kargiskola.ge/parent/pdf/PE_GUIDE_2015.pdf)) (11.06.2018)
5. ოსიაშვილი ქეთევან; 06.04.2017; მშობლებისა და მშვილების ურთიერთობის განმსაზღვრელი ფაქტორები; ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“; (<http://mastsavlebeli.ge/?p=13798>) (19.03.2017)

**Nibladze Nana**

Guram Chilashvili Gurjaani Public School 4

**Noneshvili Nino**

Guram Chilashvili Gurjaani Public School 4

### **Raising the level of parents' involvement in student learning**

#### **Abstract**

The purpose of the school needs study was to determine the level of parents' involvement in the learning process of students and to determine the ways for increasing the level of parents' involvement. In the research we used both qualitative and quantitative research tools – a parent survey and an interview with class teachers. Analyzing the results of the research, the following problems were identified: lack of communication between parents and teachers, which required the refinement of the forms of relations. Based on results of the research, interventions were planned and implemented: creating a school website in order to inform parents about their children's achievements and a page on social network for pedagogy of parents, a working meeting with class tutors in terms of raising the awareness about the importance of parents' involvement. A study of the results of the interventions showed that we achieved significant changes in terms of improving communication between parents and teachers. The awareness of tutors and parents about the importance of their involvement in the educational process has been raised.

**საკვანძო სიტყვები:** მშობელთა ჩართულობა, განათლება, სკოლა, კვლევა, მშობელთა პედაგოგიზაცია.

**Key words:** parents' involvement, education, school, research, parent pedagogy.



### **დიმიტრი უზნაძის „აღზრდის ტრაგედია“ და თანამედროვე სასკოლო კონფლიქტები**

კონფლიქტები ადამიანთა ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. იგი არის ურთიერთმიმართება ორ ან ორზე მეტ ისეთ მხარეს შორის, რომლებსაც გააჩნიათ ურთიერთშეუსაბამო მიზნები. კონფლიქტებს გააჩნიათ სხვადასხვა წყარო და ასევე არიან სხვადასხვა ტიპის. კონფლიქტი შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა მიზეზმა, მაგრამ მათ აქვთ განვითარების საერთო გზა, რომელსაც გადიან აღმოცენებიდან გამძაფრებამდე, კონფლიქტები მოზარდთა შორის ყველა დროისა და ყველა ხალხისთვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენდა და წარმოადგენს [ფარცხალაია, 2011. გვ. 120].

როგორც ყველა სოციალურ ინსტიტუტში, სკოლებისათვისაც დამახასიათებელია სხვადასხვა სახის კონფლიქტი. სასკოლო კონფლიქტი ჩვეულებრივი, ნორმალური სოციალური მოვლენაა, რომელიც ბუნებრივია ისეთი გარემოსთვის, როგორც სკოლა [ფარცხალაია, 2011. გვ. 120].

თითქმის ერთი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც დიმიტრი უზნაძემ გამოაქვეყნა თავისი ცნობილი და ერთგვარად შემაშფოთებელი სტატია „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“ [უზნაძე, 1912 N6, უზნაძე, 1980 N1]. აღნიშნულ სტატიაში მან განავითარა მეტად საინტერესო თვალსაზრისი აღმზრდელობით მუშაობაში, აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის კონფლიქტების გარდაუვალობის თაობაზე. ეს იდეა განავითარა თავის სტატიაში „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“ [ბერიძე, 2005: გვ. 40]. აღნიშნული კონფლიქტები პრობლემაა დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემისთვის, როგორც საქართველოში ასავე ევროპის სხვა ქვეყნებშიც, სწორედ ამიტომ სტატიაში ჩვენ აღვწერთ სასკოლო კონფლიქტებს უცხოურ ლიტერატურასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. ასევე გაგაცნობთ ჩვენს სკოლებში ჩატარებული ჩვენივე კვლევის შედეგებს, რომლის მიზანიც იყო გამოეკვლია, თუ რა არის აღმზრდელსა და აღსაზრდელს, მასწავლებელსა და მოსწავლეს, მშობელსა და შვილს შორის აღმოცენებული კონფლიქტის მიზეზი? კონფლიქტის წყარო ზოგმა შეიძლება აღზრდის პროცესის გარეგნულ ნიშნებს დაუკავშიროს: „ჯურჩევთ, მაგრამ არ გვისმენს“, „ვარიგებთ, მაგრამ არ გვიჯერებს“. მაშასადამე, გამოსავალი მხოლოდ აკრძალვები და სასჯელია?

მოსწავლეთა კონფლიქტურ ქცევაზე გავლენას ახდენს მასწავლებლის პიროვნება, მისი მოქმედება, რომელიც შეიძლება გამოჩნდეს სხვადასხვა ქცევის სხვადასხვა ასპექტში. მასწავლებელმა არამართო უნდა ასწავლოს, არამედ უნდა აღზარდოს კიდეც. ამიტომ მასწავლებელი სასურველია, იყოს მოსწავლეებისათვის არა უსამართლოდ მკაცრი, არამედ, როგორც უფროსი მეგობარმა ისე წარმართოს მასთან ურთიერთობა, გაიგოს მისი ტკივილი, პრობლემა და ასე თავიდან აიცილებს კონფლიქტს და მის სავალალო შედეგს. მასწავლებლის ურთიერთობის დემოკრატიული სტილი და

პედაგოგიური ტაქტი „თანამშრომლობა“ ხელს უწყობს ბავშვებს შორის ერთმანეთთან უკონფლიქტო დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

დიმიტრი უზნაძის აზრით, აღზრდა რთული შინაგანი წინააღმდეგობით აღსავსე პროცესია. ეს პედაგოგიური აქტივობა კარგად იცის აღმზრდელმა, მასწავლებელმა, იციან მშობლებმაც. განსაკუთრებულ სიძნელებებს იწვევს ის კონფლიქტები, რომლებიც აღმზრდელისა და აღსაზრდელის ურთიერთობაში აღმოცენდება. უნდა ითქვას, რომ კონფლიქტის გამოვლენის მრავალფეროვნებას საზღვარი არ აქვს და სასკოლო კონფლიქტები არ შემოისაზღვრება მხოლოდ მასწავლებელ-მოსწავლეს შორის დამაბუღი სიტუაციებით. ხშირად ვხვდებით სასკოლო კონფლიქტების ისეთ სახეებს, როგორცაა კონფლიქტი მოსწავლეებს შორის, რომელიც ზოგ შემთხვევაში ბულინგსა და ერთმანეთის დამცირებაში გადაიზრდება და ზიანს აყენებს, არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტულ მოსწავლეს, არამედ მთლიანად სკოლის უსაფრთხო გარემოს [ბუხუღეიშვილი, 2013. N5].

მარტინესი მიუთითებს, რომ კონფლიქტები მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის, უმეტეს შემთხვევაში მასწავლებლის მითითებების გაუგებრობის, შეუსაბამო ქულების ან შეფასების, დიდაქტიკური მასალის ნაკლებობის, დისკრიმინაციის და სასწავლო მასალის მიმართ უინტერესობის გამო წარმოიშობა, რომლებსაც მასწავლებლები ხშირად აღიქვამენ, როგორც უდისციპლინობას, ძალადობას, უპატივისცემულობას და სიტუაციას, რომელიც საფრთხეს უქმნის მათ ავტორიტეტს. მასწავლებლები ხაზს უსვამენ მასწავლებელ-მოსწავლის კონფლიქტს, როგორც ხშირ სიტუაციას რთულ კლასებში. ამ კონტექსტში სილვა და ფლორესი მიუთითებენ იმ უარყოფით მახასიათებლებზე, რომლებიც ვლინდება მოსწავლეების მოტივაციის დაქვეითებისა და წარუმატებლობის სახით. სწორედ ამიტომ არასასურველი შედეგების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია გამოსავლის პოვნა [S.Valente, A.Afonso, Z.Nemeth].

სასკოლო კონფლიქტების კიდევ ერთ მიზეზად მიიჩნევა, სკოლის მიერ სწავლების პროცესის ერთიანი პროგრამების საფუძველზე აგება, იგი ანგარიშს არ უწევს იმას, შესაძლებელია თუ არა ერთნაირი წარმატებით ჩამოვუყალიბოთ ცოდნა მოსწავლეებს, როდესაც თითოეულ მათგანს აქვს ინდივიდუალური თავისებურებანი. სკოლა კი მოითხოვს, რომ ყველა მოსწავლეს ერთდროულად მიეწოდოს სასწავლო მასალა. ხშირად გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც პროგრამაში შეტანილი თემების მიმართ მოსწავლეები არაერთგვაროვან ინტერესს იჩენენ.

ინტელექტუალურ თავისებურებათა მიხედვით აუცილებელია, რომ სასწავლო მასალა, მოსწავლეებს სხვადასხვა ხერხით გადაეცეს. და აი, აღმოცენდება წინააღმდეგობა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, რომლის ლოგიკა ასეთია, მასწავლებელი ესწრაფვის მოსწავლეთა გონებრივ განვითარებას, ამასთან, მას ერთდროულად საქმე აქვს მრავალ მოსწავლესთან. ამიტომ, იგი იძულებულია აირჩიოს ერთი გზა, მიჰყვეს ყველასათვის ერთიან მეთოდოლოგიას. ეს გარემოება გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ყველა მოსწავლე ერთნაირად კმაყოფილი იყოს სწავლების ხერხით. ამის გამო, წარმოიშობა მოსწავლის იძულების აუცილებლობა, რათა იგი დაემორჩილოს საერთო წესს. იძულებას კი თავისი შედეგი მოჰყვება. იგი კლავს თავისუფალ სურვილს, ინტერესს, მისწრაფებას, ამიტომაც ყველასთან ერთი მიდგომით მუშაობა ნაყოფიერი ვერ იქნება. ამგვარ სწავლებას მოსწავლე მტკივნეულად განიცდის, გაურბის მას და აი, აღმოცენდება ტრაგედია: ყველა მოსწავლის მიმართ მასწავლებლის

მიერ გამოხატულ სიკეთეს ზოგჯერ მოსწავლეები ღებულობენ, როგორც მათ წინააღმდეგ მიმართულ ბოროტებას [უზნაძე, 1980: გვ. 58].

სწავლების პროცესის ინტერაქტიული ბუნება აგებულია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის სოციალურ ურთიერთობებზე, ისინი განლაგებულია კონტინუუმზე, რომელიც ვრცელდება თანხმობიდან დომინირებამდე (ბურბულესი, 1986). თანხმობა იდეალური ურთიერთობაა, რადგან ის ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ მიზანს, რომელზეც ყველა წევრი თანხმდება, რაც იწვევს ინტერესთა მცირე კონფლიქტს ჯგუფის ურთიერთქმედებისას. კონტინუუმის მეორე ბოლოში, დომინირებას აქვს კონფლიქტის ძალიან მაღალი ხარისხი, მცირედი შემფოთებით ჯგუფურ ურთიერთობებზე. თანხმობა და დომინირება იშვიათად ხდება სკოლის დონეზე. თუმცა სკოლებში ვლინდება კონკურენტული ქცევების მთელი რიგი შემთხვევები [C.othran, Dj & Ennis].

რაც შეეხება ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგს, მოსწავლეების მიერ შემოთავაზებული პასუხებით გარკვეულწილად გამოიკვეთა ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც იწვევს სასკოლო კონფლიქტებს. ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დაძაბული ურთიერთობები. კონფლიქტები, რომლებსაც საფუძველი უდევს მასწავლებლის მიერ მოსწავლის სიტყვიერ შეურაცხყოფაში. გამოიკვეთა ასევე ისიც, რომ მოსწავლეებში ხშირია ფიზიკური ძალადობა და კიბერბულინგი.

საყურადღებოა მოსწავლეების დამოკიდებულება კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით. მოსწავლეთა თქმით, კონფლიქტებს თავად აგვარებენ და ეს ხდება იმიტომ, რომ უბრალოდ არ აქვთ უფროსების დახმარების იმედი, მშობლები ძირითად შემთხვევაში ყურადღებას არ აქცევენ მსგავს ფაქტებს.

საკითხის დამუშავების პროცესში ჩვენ ასევე დავინტერესდით თუ როგორია მოსწავლეთა თვალთ დახახული „უსაფრთხო სკოლა“, კვლევის შედეგებმა გვაჩვენა, რომ მოსწავლეთა 86,3%-ის აზრით „უსაფრთხო სკოლა“ თავისუფალია ძალადობისგან, არ ეშინიათ თანატოლების, არ განიცდიან ბულინგს, დაცინვას, არაფერს აფუჭებს მათ ნივთებს, მასწავლებელი მუდმივად ეხმარება მოსწავლეებს პრობლემების გადაწყვეტაში, სულ უსმენს და ასწავლის მათ ერთმანეთის სიყვარულს, აქ პოზიტიური და მშვიდი გარემოა. 11,9% მიიჩნევს რომ „უსაფრთხო სკოლაში“ ყველაფერი კონტროლდება მანდატურის მიერ, ყველგან ვიდეო-კამერებია, მასწავლებლები არიან მკაცრები და მოსწავლეები მუდამ მათი კონტროლის ქვეშ არიან. რამდენიმე მოსწავლის მიერ შემოთავაზებული პასუხი კი ასეთია: *„მასწავლებლები ძალიან კრიტიკულ მდგომარეობაში ერევან, მანდატურები სკოლის მოსიარულე დეკორაციები არიან, არსებობენ ბავშვები ვინც ბულინგს განიცდის, თუმცა მათ შესახებ ინფორმაციას არც მასწავლებლები ფლობენ და არც მანდატურები“*. მოსწავლეების მცირე ნაწილის თქმით: *„უსაფრთხო სკოლა არ არსებობს. პირველი შემთხვევა უფრო ზღაპრის სცენარს ჰგავს, მეორე შემთხვევა უფრო რეალურია და შედეგადად, მაგრამ გავიმეორებ და ვიტყვი რომ უსაფრთხო სკოლა არ არსებობს“*.

შემდეგ კითხვაზე „რამდენად ხშირად გესაუბრებათ მასწავლებელი ძალადობის სახეებსა და მათი მოგვარების მეთოდებთან დაკავშირებით?“ გამოკითხულთა უმრავლესობა ამბობს, რომ მასწავლებლები ამ საკითხზე ან არ საუბრობენ ან იშვიათად განიხილავენ. მოსწავლეები ამბობენ, რომ: *„მასწავლებლები არ გველაპარაკებიან ამ*

თემაზე, ერთ-ერთმა ბოლო 2 სასკოლო წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი საათი დაუთმო ამ საკითხს, ისიც ძალიან ზოგადად გვესაუბრა ბულინგზე.“

ბოლო რამდენიმე წელია სკოლის პერსონალს დაემატა ახალი რგოლი - სკოლის ფსიქოლოგი, მნიშვნელოვანია მისი როლი სკოლაში მიმდინარე კონფლიქტური სიტუაციების გადაწყვეტაში. კითხვაზე „კონფლიქტის ან ძალადობის შემთხვევაში რამდენად ხშირად მიმართავთ თქვენ ან სხვა მოსწავლეები სკოლის ფსიქოლოგს?“ გამოიკვეთა, რომ მხოლოდ 6,8% მიმართავს მას დახმარების თხოვნით. 17,9% იშვიათად, ხოლო 67,5% არასდროს. 9,6%-ის შემთხვევაში კი სკოლას ფსიქოლოგი საერთოდ არ ჰყავს.

რისი გაკეთებაა სკოლის ფსიქოლოგის მხრიდან საჭირო, რათა სასკოლო კონფლიქტების პრობლემა აღმოიფხვრას და შეძლოს მოსწავლეებთან დაახლოება, მათი ნდობის მოპოვება? მათთან ინდივიდუალურად, ერთი ერთზე გასაუბრებით თუ ჯგუფური საუბრებით? აღნიშნულ კითხვაზე 46,2%-ს სურს, რომ მას განმარტოებით ესაუბროს, რადგან ასე უფრო თავისუფლად იგრძნობს თავს და არ დაიძაბება, შესაბამისად, პრობლემაზე გულწრფელად საუბარს უკეთ შეძლებს. 17,1% უპირატესობას ჯგუფურ საუბრებს ანიჭებს, სადაც არ მოუწევთ პირად პრობლემებზე საუბარი, უბრალოდ მოისმენენ ფსიქოლოგისგან რჩევებს.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის არ არსებობს ჰარმონიული ურთიერთობა, ეს ხელს უშლის მოსწავლის, როგორც აღმზრდელით პროცესს, ასევე სასკოლო დისციპლინის-ათვისებას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოსწავლე კარგად ეუფლება იმ საგანს, რომლის პედაგოგიც ძალიან უყვარს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. A.Afonso S.Valente, , Z.Nemeth- "School Conflicts: Causes and Management Strategies in Classroom Relationships"<https://www.intechopen.com/online-first/74550>;
2. ბუხუელიშვილი ი. 2013. „აღზრდის ტრაგედია“ და ურთიერთობის პრობლემა დიმიტრი უზნაძის მიხედვით“, „განათლება“- N5. გვ-122-125.
3. Othran, C. Dj & Ennis, CD(1997)- "Students 'and teachers' perceptions of conflict and power".
4. ფარცხალაია ნ. 2011. „პედაგოგიური კონფლიქტების თავისებურებები“, „მერმისი“ – N5. გვ-120-122;

**Ana Kistauri**  
Sokhumi State University  
**Izolda Bukhuleishvili**  
Sokhumi State University

### “Tragedy of up-bringing” of Dimitri Uznadze and Modern School Conflicts

#### Abstract

Sokhumi State University Assoc. in the article by Professor IsoldaBukhuleishvili and Master of Educational Psychology Ana Kistauri, "Dimitri Uznadze's "Tragedy of Education" and Modern

School Conflicts", Conflicts in the modern educational space and their connection with Dimitri Uznadze's "Tragedy of Education" are presented.

The authors consider, despite, that Dimitri Uznadze about 100 years ago spoke with pain about the conflicts in schools and their tragic consequences, he also gave us very good advice on how to avoid them, although these conflicts remain a painful problem even today.

The same article talks about the causes and consequences of the tense relationship between the student and the teacher, not taking into account the opinion of students regarding the material to be studied, on the activities of the school psychologist seen through the eyes of students. Empirical experience discussed in foreign literature is given as proof of the opinion in the article, also the results of the latest research conducted by the authors in our reality.

**საკვანძო სიტყვები:** სასკოლო კონფლიქტები, კონფლიქტის მიზეზები, კონფლიქტის შედეგები, სკოლის ფსიქოლოგი, უსაფრთხო სკოლა.

**Key Words:** School conflicts, the causes of the conflict, consequences of conflict, school psychologist, a safe school.

**ნინო ფირცხალაიშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## **საგანმანათლებლო სფეროში ბულინგის (ჩაგვრის) შემცირების სტრატეგიები**

ბოლო წლების განმავლობაში უცხოეთში გამოქვეყნდა 1000-ზე მეტი სამეცნიერო შრომა სკოლაში ბულინგის (ჩაგვრის) პრობლემასთან დაკავშირებით. სიტყვა „ბულინგი“ ინგლისური წარმოშობის არის და მისი ქართული შესატყვისი არ არსებობს. ბულინგი (bullying) ნიშნავს ჩაგვრას, დაცინვას, აბუჩად აგდებას, დამცირებას, დაშინებას და ა.შ.

ჩაგვრა შესაძლოა განხორციელდეს ნებისმიერ კონტექსტში, სადაც ადამიანები ურთიერთობენ ერთმანეთთან.

ძალადობა, კერძოდ კი ჩაგვრა (bullying) ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, საქართველოს სკოლებშიც არის გავრცელებული.

ბულინგის მკვლევარების (Priest, 1989, Besag, 1989, Pikas, 1989, Walker, 1989) მიერ, მოზარდთა შორის ბულინგის (ჩაგვრის) შემცირების მიზნით რეკომენდებულია, შემდეგი სტრატეგიები: უშუალო მუშაობა მსხვერპლთან და მჩაგვრელთან; სასწავლო პროგრამის როლი; მხარდამჭერი სამსახურის როლი; სკოლის სისტემის როლი; ტრენინგების ჩატარება.

პოზიტიური ფსიქოლოგია, რომელსაც ჩაეყარა საფუძველი 1999 წელს და რომლის ფუძემდებელია ამერიკელი ფსიქოლოგი მარტინ სელიგმანი, მთლიანად ცვლის პიროვნების, მისი ფუნქციონირებისა და ხედვის პერსპექტივას. ეს არის დარგი, რომელიც ემყარება მეცნიერულად დადასტურებული, კვლევებზე დაფუძნებული სისტემურ მიმოხილვას, პათოლოგიაზე აქცენტის ნაცვლად, ყურადღებას ამახვილებს პიროვნების ძლიერ მხარეებზე, პიროვნულ ზრდაზე, ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და ეფექტურ ფუნქციონირებაზე.

ვფიქრობ, პოზიტიური ფსიქოლოგია არის ღირებული საფუძველი იმისა, რომ ადამიანებს ჰქონდეთ პოზიტიური დამოკიდებულებები, იპოვონ საკუთარი ძლიერი მხარეები, იყვნენ ოპტიმისტები და ჰქონდეთ ცხოვრებით კმაყოფილების განცდა.

სადოქტორო ნაშრომის, „პოზიტიური ფსიქოლოგიის როლი მოზარდთა შორის ჩაგვრის პრევენციისთვის“ ფარგლებში, თბილისის სამ საჯარო სკოლაში ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა, მოზართა ძლიერი მხარეების განსაზღვრა, რაც მნიშვნელოვანია მოზარდთა შორის ბულინგის პრევენციისას.

პიროვნული მახასიათებლებისა და ქცევის სტილის, განსაზღვრის მიზნით გამოვიყენეთ საკვლევი მეთოდიკები:

– როზენბერგის თვითშეფასების სკალა (Self-Esteem Scale (RSES) - სკალა იძლევა ადამიანების დაბალი და მაღალი თვითშეფასების მქონე პირებად კლასიფიკაციის შესაძლებლობას;

– სნაიდერის თვითფლობის სკალა (Self-Monitoring Scale)- ადამიანები განხილულნი არიან დაბალი და მაღალი თვითფლობის მქონე პირებად;

– მარტოობის სკალა (Loneliness Scale) - გამოხატავს მარტოობის დაბალ და მაღალ დონეს;

– პიროვნებათშორისი ურთიერთობა (რენე ჟილი) - სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში ქცევის თავისებურებების გამოვლენა.

კვლევის შედეგების მიხედვით, თვითშეფასების მაჩვენებელი ნორმის ფარგლებში აღენიშნა, გამოკითხულ მოსწავლეთა საერთო რაოდენობის უმრავლესობას - 89.3% საშუალოდ დაქვეითებული თვითშეფასება გამოვლინდა მხოლოდ რამდენიმე მოსწავლესთან, მაღალი თვითშეფასების შემთხვევა დაფიქსირდა 1.3%. მკვეთრად დაბალი თვითშეფასება - არ აღინიშნა. სკოლებისა და სქესის მიხედვით თვითშეფასების მაჩვენებელი თითქმის თანაბრად გადანაწილდა.

ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, თვითფლობის მაჩვენებელი ნორმის ფარგლებშია მოსწავლეთა უმეტესობასთან 82%. დაბალი (9.3%) და მაღალი (8%) თვითფლობის მაჩვენებელი, მოსწავლეთა უმნიშვნელო რაოდენობასთან დაფიქსირდა. სკოლებისა და სქესის მიხედვით დიდი განსხვავება არ არის.

კვლევის შედეგების მიხედვით მოსწავლეთა უმრავლესობას მარტოობის მაჩვენებელი აღენიშნება მაღალი (7.9%), ნორმის ფარგლებში (43.58%) და დაბალი (25.31%).

რთულ სიტუაციაში მოსწავლეთა 20 % მიმართავს დედას, ხოლო მოსწავლეთა 45.3% - მეგობარს. გამოკითხულ მოსწავლეთა ნახევარზე მეტი ორიენტირებულია სამაგიეროს გადხდაზე, დაცინვის ან ძალისმიერი მეთოდის გამოყენებით. არის შემთხვევა, როცა ვლინდება ერთდროულად როგორც ცნობისმოყვარეობა, ასევე კომუნიკაბელურობა და დომინირებისკენ სწრაფვის ტენდენცია. საერთო რაოდენობის მიხედვით სხვადასხვა სიტუაციაში (სათამაშო მოედანი, უცნობი მიზეზის გამო ჩხუბი, თამაშის წესების გამო თანატოლებთან კამათი) უფრო მეტად გამოხატულია ცნობისმოყვარეობა და კომუნიკაბელურობა. დომინანტურობა - ნაკლებად, ჩაკეტილობა - უფრო ნაკლებად. აღნიშნულ კომპონენტში სკოლებისა და სქესს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ შეინიშნება.

ამრიგად, კვლევის შედეგების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კვლევაში მონაწილე სკოლის მოსწავლეების თვითშეფასებისა და თვითფლობის დონე ნორმის ფარგლებშია, მარტოობის მაჩვენებელი დაბალია. აღნიშნული სამი კომპონენტის

მიხედვით, მოზარდები თავდაჯერებულად იქცევიან რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში და აკმაყოფილებთ სოციალური კონტაქტების ხარისხი. მოზარდები საკუთარ თავზე თამამად იღებენ პრობლემის მოგვარების პასუხისმგებლობას, რაც უდაოდ შეიძლება ჩაითვალოს მათ ძლიერ მხარედ. თუმცა, პრობლემური სიტუაციის მოგვარების სტრატეგიები ორიენტირებულია სამაგიეროს გადახდაზე, აგრესიაზე აგრესიით პასუხზე, რაც შეიძლება ჩაითვალოს მათ სუსტ მხარედ. სავარაუდოდ, აღნიშნული მოზარდები არ ფლობენ მნიშვნელოვან უნარ-ჩვევებს, რაც დაეხმარება რთული სიტუაციის, მაგალითად ბულინგის ეპიზოდის, მოგვარებაში. მოზარდებში ვლინდება ჩაგვრის პრობლემის მოგვარების საკითხებში თავის არიდების ტენდენცია, რაც შესაძლოა იყოს კავშირში, პრობლემის მოგვარებისთვის შესაბამისი კომპეტენციის არარსებობასთან.

მნიშვნელოვანია, სკოლებში შესწავლილ იქნეს კონკრეტული სკოლის მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეები, როგორც პიროვნული, ასევე ქცევითი მახასიათებლებისა და ჯგუფში მოზარდთა ურთიერთდამოკიდებულების კუთხით. ამის შემდეგ, კი შემუშავდეს კონკრეტულ ჯგუფზე მორგებული პრევენციული ღონისძიებების პროგრამა, რომელიც პოზიტიური ფსიქოლოგიის პრინციპების გათვალისწინებით, ორიენტირებული იქნება ჯგუფის წევრების ძლიერი მხარეების გააქტიურებასა და განვითარებაზე, რაც უდაოდ არის გარანტი ცხოვრებით აკმაყოფილებისა და კეთილდღეობის.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. გოგიჩაშვილი, თ. (2005). „განვითარების ფსიქოლოგია“. თბილისი
2. მეტრეველი ლ, ხურცია-ანდრიაძე ი. (2021). გავლენის ფსიქოლოგია. „ჩემი გამომცემლობა“
3. სუმბაძე ნ., ქიტიაშვილი ა., ფირცხალავა ე., მაისურაძე მ. (2012). სოციალური კვლევის მეთოდები. თვითაღწერითი საზომები ფსიქოლოგიაში I. ენპეკი
4. Селигман, М. (1994). Новая позитивная психология: Научный взгляд на счастье и смысл жизни“Перев. с англ. Издательство «София»
5. Лейт Дэвид А. Школьная травля (Буллинг)
6. Психологические тесты „Лист“. 1996
7. Seligman, M.E.P (1994). What you can change and you can't. New York: knof. p. 135

**Nino Pirtskhalaishvili**  
Georgian Technical University

### **Strategies of Decreasing Bullying in Educational Sphere**

#### **Abstract**

The article presents the features of bullying. Also, the recommendations provided by foreign researchers to reduce bullying among adolescents. The principle of positive psychology is briefly described, which, instead of focusing on pathology, focuses on the strengths of a person. Within the framework of the report, the results of the research on the characteristics of adolescents' personal characteristics and behavioral style are presented, which is interesting in the context of positive psychology when developing strategies to reduce bullying.

**საკვანძო სიტყვები:** ბულინგი, სტრატეგია, თვითშეფასება, თვითფლობა, კეთილდღეობა.

**Key words:** bullying, strategy, self-esteem, Self-Monitoring, well-being.



# განათლების მენეჯმენტი

## ნათია გაბაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ბალის მენეჯერთა აუცილებელი უნარ-ჩვევები

დღეს დღეობით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სექტორში მნიშვნელოვანი ცვლილებები იგეგმება, რაც მოიაზრებს ყველა იმ აუცილებელი მექანიზმის დანერგვას, რაც მორგებულია ყველა ბავშვის ინტერესზე და აუცილებელია მათი სრულფასოვანი განათლების უზრუნველსაყოფად.

ამ მიზნის ეფექტური განხორციელებისათვის კი აუცილებელია ბალის მთავარ რგოლს -მენეჯერებს ჰქონდეთ ის აუცილებელი კომპეტენციები და უნარ-ჩვევები, რომელიც უზრუნველყოფს სკოლამდელი განათლების მაღალ ხარისხს.

ზოგადად რომ ვთქვათ, მენეჯერები ის ადამიანები არიან, რომლებიც პასუხისმგებელი უნდა იყვნენ რომ ის მიზანი, რაც მათ დაისახეს საბავშვო ბაღების ირგვლივ აუცილებლად მიიღწევა. მენეჯერები უნდა გაუძღვნენ და სათავეში ჩაუდგინენ თავიანთ გუნდს მიზნის მისაღწევად. ამისათვის უნდა ხშირად გაამხნევიონ და მხარი დაუჭირონ გუნდის წევრებს. გარდა ამისა, მათ უნდა უზრუნველყონ ბაღში არსებული სტანდარტის მუდმივად განახლება და შესაბამისობა თანამედროვე მოთხოვნებთან.

სიტყვა მენეჯერის, ანუ ლიდერის ქვეშ მოიაზრება ის ადამიანი, რომელიც პასუხისმგებელია მთლიანი დაწესებულების მუშაობაზე. არსებობს ათი უმნიშვნელოვანესი უნარ-ჩვევა, რომელთა ფლობაც აუცილებელია მენეჯერებისათვის, რათა უზრუნველყონ სრულყოფილი მომსახურება ბავშვებისათვის და მათი ოჯახებისათვის. ამ უნარ-ჩვევების არსებობა საჭიროა მენეჯერთათვის, რათა მიაღწიონ თავიანთ მიზანს და შეასრულონ თავიანთი როლი, როგორც მენეჯერის. ეს უნარ-ჩვევებია:

1. თავდაჯერებულობა
2. გადაწყვეტილების მიღების უნარი
3. ინკლუზიური პრაქტიკა
4. დროის მენეჯმენტი

### თავდაჯერებულობა

თავდაჯერებულობა ყველაზე მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევაა, რომელიც აუცილებელია მენეჯერისათვის. ამ უნარ-ჩვევის გარეშე სხვა თანამშრომლებისა და დაწესებულების გაძლოლა შეუძლებელია. მათი მოვალეობაა გავლენა მოახდინონ სხვის ქცევაზე.

მენეჯერებს თავდაჯერებულობის 2 სახე უნდა ჰქონდეთ როდესაც საბავშვო ბაღში მუშაობენ:

ა) თავდაჯერებულობა იმისა, რომ ეს მათი როლის ნაწილია გავლენა მოახდინონ სხვათა ქცევაზე და რომ დაწესებულობა მუშაობს ორგანიზაციული მიზნებისკენ და აღწევს ბავშვებისათვის მომსახურების უმაღლეს ხარისხს.

ბ) საკუთარ შესაძლებლობებში თავდაჯერებულობა რომ მართონ და გაუძღვნენ სხვებს, რაც მათ დაეხმარება თავიანთი ორგანიზაციული მიზნის მიღწევაში.

მენეჯერებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია იყვნენ პასუხისმგებელი თავიანთ გრძნობებსა და სურვილებზე და ისინი დაუკავშირონ სხვების სურვილებს. მენეჯერი არ უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც აქვს ყველაზე მაღალი ხმა და გარშემო ხალხს ბრძანებებს აძლევს, არამედ ის უნდა იყოს ისეთი ადამიანი, რომელიც ჩანერგავს თვითდაჯერებულებას გარშემომყოფ ადამიანებშიც კი. “შეუპოვრობა კი ეს არის ქცევა, რომელიც გვხმარება გასაგებად გავანდოთ ჩვენი საჭიროებები, სურვილები და გრძნობები სხვა ადამიანებს ისე, რომ არ შეილახოს მათი უფლებები“ (Lindenfield, 1986).

ლინდენფილდი (Lindenfield, 1986) გვთავაზობს რამოდენიმე მნიშვნელოვან პუნქტს, რაც მენეჯერებს შეუპოვრობის უნარის გაუმჯობესებაში დაეხმარება: გადაწყვეტოთ რა გვინდა; არის თუ არა ეს სამართლიანი; გასაგებად მოითხოვეთ ის რაც გინდათ; არ შეგეშინდეთ რისკის; იყავით მშვიდი; ღიათ გამოხატეთ გრძნობები; მიიღეთ და გაეცით კომპლიმენტები ადვილად; მიიღეთ და გაეცით ჯანსაღი კრიტიკა.

### **გადაწყვეტილების მიღების უნარი**

გადაწყვეტილების მიღება თვისთავად გულისხმობს, რომ მოქმედების კურსი უნდა შეირჩეს ორ ან მეტ ალტერნატივას შორის. ბალის მენეჯერებს ხან დროს ძალიან მცირე დრო აქვთ გადაწყვეტილების მიღებისათვის, არადა ისინი პასუხისმგებელი არიან მთლიანი რიგი გადაწყვეტილების მიღებაზე.

არსებობს სამი სახის გადაწყვეტილება, რასაც საბავშვო ბალის მენეჯერები იღებენ. ესენია: ყოველდღიური, ოპერაციული და განმავითარებელი გადაწყვეტილებები. თითოეული მათგანი განსხვავებულ მიდგომას და უნარ-ჩვევას მოითხოვს. საბავშვო ბალის მენეჯერებმა მთავარი ფოკუსირება უნდა მოახდინონ ოპერაციული და განმავითარებელ გადაწყვეტილებებზე.

გარდა ამისა, უნდა ვიცოდეთ, რომ მენეჯერის მიერ შექმნილი გუნდი მუდამ განვითარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. მენეჯერის უპირველესი დაიშნულებაა გააანალიზოს ის, რომ გუნდის წევრების შეთანხმებული მუშაობა პირდაპირ კავშირშია ბალის ატმოსფეროზე. გუნდი უნდა იყოს ერთი მთლიანობა (Tuckman, 1965).

### **ინკლუზიური პრაქტიკა**

მაღალი ხარისხის საბავშვო ბალის კონტექსტში ინკლუზიური პრაქტიკა უაღრესად მნიშვნელოვანია. მენეჯერის მოვალეობაა, რომ ის და მისი გუნდი ქმნიდნენ ისეთ გარემოს, სადაც ყველას პატივს სცემენ, აფასებენ და სიხარულით ხვდებიან. ინკლუზიური პრაქტიკა ბალის ხედვის ფუნდამენტური ნაწილია.

ინკლუზია ყოველთვის იცვლება და ვითარდება, ასე, რომ სრულყოფილი ინკლუზიური ბალი არასოდეს იქნება. მენეჯერებმა ყოველთვის უნდა აუწყონ ფეხი თანამედროვე მოთხოვნებს და შესაფერისი გარემო შესთავაზონ ბავშვებს.

ინკლუზიური პრაქტიკის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ პირველ რიგში მენეჯერმა უნდა გაიაზროს თუ რას ნიშნავს „თანასწორობა“. მხოლოდ იმ სიტყვების თქმა არაა საკმარისი, რომ დისკრიმინაცია პიროვნების რასის, კულტურის თუ უნარშეზღუდულობის გამო არ მოხდება, არამედ, ყველა ბავშვი უნდა დააკონკრეტოს თუ როგორ არ გააკეთებს ბალი დისკრიმინაციას და რა მეთოდებით. უნდა ხშირად მოეწყოს შეხვედრები გუნდში და ყველამ გაიღრმავოს ცოდნა თუ რას

ნიშნავს ინკლუზია. გარდა ამისა, მენეჯერები მუდმივად უნდა ეცნობოდნენ ლიტერატურას, კითხულობდნენ კვლევებს, ესწრებოდნენ ტრენინგ კურსებს და იღრმავებდნენ ცოდნას ამ მიმართულებით.

მნიშვნელოვანია მენეჯერმა აუმაღლოს თავის კოლეგებს ცნობიერება და მეტად ინფორმირებული გახადოს ისინი ინკლუზიის თემის ირგვლივ, რამეთუ ყველას არ აქვს გამოცდილება სხვადასხვა უნარების ბავშვებთან მუშაობის.

### **დროის მენეჯმენტი**

დროის დაგეგმვა, მისი სწორად გამოყენება მენეჯერის ერთ-ერთი მოვალეობაა. რობერტ ჰელერი და ტიმ ჰინდლი (Heller & Hindle, 1998) გვთავაზობენ დროის იდეალურ განაწილებას მენეჯერებისათვის: დროის 60% დაგეგმვისა და განვითარებისათვის; 25% პროექტებისათვის; 15% რუტინული საქმიანობისათვის.

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ მხოლოდ რამოდენიმე აუცილებელი კომპეტენცია, რას საწიროა ბაღის მენეჯერთა სრულფასოვანი საქმიანობისათვის, მაგრამ არსებობს კიდევ მრავალი უნარ-ჩვევა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია: გადაწყვეტილების მიღების უნარი, ხედვა, უკუკავშირი, მენეჯმენტის ცვლილება და სხვა.

ბაღის მენეჯერებს აუცილებელია ჰქონდეთ ზემოთ ჩამოთვლილი პერსონალური და პროფესიული უნარ-ჩვევების ფართო სპექტრი, რამეთუ საუკეთესო მომსახურება უზრუნველყონ საბავშვო ბაღებისათვის.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Heller, R. Hindle. T. 1998. Essential Managers Manual: Vol 1. London
2. Lindenfield, G. 1986. Assert yourself. London. Thorsons.
3. Tuckman, B.W. 1965. Development sequence in small groups. Psychological Bulletin.

**Natia Gabashvili**

Iakob Gogebashvili Telavi State University

## **Essential Skills for Nursery School Managers**

### **Abstract**

The article deals with the several essential skills and competencies that a successful manager of kindergarten should have. Managers are the people who are responsible to attain the goals they have aimed around their nursery schools. They should lead their team and organize the work in such a way to have effective outcomes for children's successful education. That's why they should use the skills and be equipped with the competencies we have given in this paper to insure constant renovation of standards and compliance to current requirements.

**საკვანძო სიტყვები:** ინკლუზიური პრაქტიკა, თავდაჯერებულობა, დროის მენეჯმენტი, ხედვა, უკუკავშირი.

**Key words:** inclusive practice, self-confidence, time management, vision, feedback.

## სსსმ მოსწავლეთა სწავლება - საკლასო ოთახიდან ონლაინ ფორმატში

### შესავალი

კოვიდ - 19 პანდემიის საწყის ეტაპზე, ფაქტიურად ყველა ქვეყნის განათლების სისტემების წინაშე მწვავედ დადგა საკითხი სასკოლო განათლება გადაეწყობა დისტანციური სწავლების ფორმატზე. მიუხედავად იმისა, რომ ონლაინ სწავლება არახალი იყო საგანმანათლებლო სივრცეში და უკვე 8-10 წლის წინ „დაწყებითი და საშუალო (K-12) ონლაინ განათლების სფეროში უპრეცედენტო ზრდა განიცადა“ ევროპის ბევრ ქვეყანაში სკოლების წავლების ონლაინ ფორმატს პრაქტიკულად არ იყენებდნენ რეგულარულ რეჟიმში (Watson & Others, 2014). ასე მაგალითად, Nusser (2021) თანახმად, პანდემიამდე გერმანიის სასკოლო სისტემაში ჯერ არ იყო შემუშავებული საშინაო სწავლების ან დისტანციური სწავლების პროცედურები, ამდენად „არა მხოლოდ სკოლებს, არამედ მშობლებსაც და მოსწავლეებსაც საკმაოდ უჩვეულო სიტუაციასთან მოუწიათ ადაპტირება, რომელიც ახალ მოთხოვნებს უყენებდა ოჯახებს.“ (Nusser, 2021). მკვეთრი სიახლე იყო სკოლების ონლაინ სწავლაზე გადასვლა იტალიაშიც, „Covid-19-ის პანდემიით გამოწვეულმა სკოლების დახურვამ მასწავლებლები იძულებული გახადა შეექმნათ და გამოეყენებინათ ონლაინ სასწავლო გარემო. ეს შესაბამისად აისახა მოსწავლეებსა და მათ ოჯახებზე, რადგან ონლაინ აქტივობები მოითხოვდა როგორც ადეკვატურ ტექნოლოგიურ უნარებს, ასევე სწავლების/სწავლის სტრატეგიების ახალ ხედვას.“ (Parmigiani & Others, 2021). ნორვეგიაშიც, „მასწავლებლები არ იყვნენ მომზადებული ასეთი უჩვეულო სიტუაციისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ნორვეგია ლიდერია, როდესაც საქმე ეხება სკოლების საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვას.“ (Maelan & Others, 2021). „2020 წლის აპრილში ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მასწავლებლების დიდ უმრავლესობას ნორვეგიაში, ისევე როგორც შეერთებულ შტატებში, ამ კრიზისამდე არ ჰქონდა გამოცდილება ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით და არ იცოდნენ როგორ ემუშავათ მოსწავლეებთან ამ სიტუაციაში.“ (Gudmundsdottir and Hathaway, 2020). თუკი განვითარებული, მოწინავე ტექნოლოგიების მქონე ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემებს მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ წარმოქნილ ექსტრაორდინალურ სიტუაციასთან ადაპტირება შედარებით სწრაფად და რბილად განეხორციელებინათ, საქართველოში, სადაც უწყვეტი ინტერნეტი და გაჯეტები ყველა ოჯახში, ჯერ კიდევ პრობლემაა, ასეთი ადაპტირება ვერ მოხდადროულად და სათანადოდ. 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან, როცა საქართველოს სკოლები სასწრაფოდ, წინასწარი მომზადების გარეშე სრულად გადავიდნენ ონლაინ სწავლების ფორმატზე, სხვადასხვა სოციალური სტატუსის, შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები არათანაბარ სასწავლო პირობებში აღმოჩნდნენ. კვლევის- „პანდემიით გამოწვეული სასწავლო დანაკარგების შეფასება“ თანახმად, ონლაინ სწავლებაზე გადასვლის პროცესმა მნიშვნელოვანი სასწავლო დანაკარგები გამოიწვია ჩვენთან, „პირისპირ სწავლების შეწყვეტისა და დისტანციური სწავლების პერიოდში მოსწავლეებს ჰქონდათ მნიშვნელოვანი სასწავლო ჩამორჩენა ყველა საფეხურზე და საგნობრივ ჯგუფში.“ (ქადაგიძე, 2021).

ბუნებრივია, კიდევ უფრო რთული პრობლემების წინაშე დადგნენ სსსმ მოსწავლეები და მათი მასწავლებლები, სკოლები. ერთია, უპასუხო მოსწავლის სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს სკოლის პირობებში და სხვაა უპასუხო ამ საჭიროებებს დისტანციური სწავლების რეჟიმში. სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში, მასწავლებლისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და რთულია სწავლის 7 სტილიდან - სმენითი, ვერბალური, ფიზიკური, ვიზუალური, ლოგიკური ინდივიდუალური და სოციალური, სწორი კომბინაცია შეარჩიოს. სასკოლო სწავლების ფორმატისთვის ასე თუ ისე წარმატებით შერჩეული ეს კომბინაცია, შესაძლოა სავსებით არარელევანტური იყოს სწავლების სრულიად განსხვავებული, ონლაინფორმატის შემთხვევაში. სასკოლო საზოგადოების წინაშე დადგა ამოცანამორგებოდნენ ახალ სიტუაციას, სასწრაფოდ მოეძებნათ ახალი ვარიაციები, დაენერგათ სწავლების ახალი მეთოდები და სტრატეგიები. ამას დაერთო ახალი ტექნიკური უნარების ათვისებისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების გადაუდებელი აუცილებლობა.

თუმცა, როგორც ხდება ხოლმე, მედალს მეორე მხარეც აღმოაჩნდა. ექსტრარდინალურმა სიტუაციამ და უპრეცედენტო გამოწვევამ, უპრეცედენტო გამოცდილება გააჩინა. ამ გამოცდილების შესწავლა და ანალიზი სამომავლო სწორი გადაწყვეტილებებისთვის უნდა იქნას გამოყენებული. სტატიის ავტორის ხელმძღვანელობით, ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ დაფინანსებით, 2021 წელს, ანუ პანდემიის დაწყებიდან ერთი წლის თავზე ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანსაქართველოს სკოლების ონლაინსწავლებაზე გადასვლისას, სსსმ მოსწავლეთა სწავლებაში არსებული გამოწვევებისა და მიღებული გამოცდილების შესწავლა იყო.



### **კვლევის დიზაინი და აღწერა**

კვლევის დაწყებამდე განისაზღვრა, რომ სსსმ მოსწავლეთა ონლაინ სწავლების გამოწვევების შესწავლისთვის არ გამოდგებოდა ე.წ. „საერთო საზომით მიდგომა“ და აუცილებელი იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მრავალფეროვნებისა და ინდივიდუალურობის გათვალისწინება მოსწავლეთა როგორც მინიმუმ 4 ჯგუფის მიხედვით: 1) ქცევითი და მენტალური პრობლემების მქონე; 2) სმენადაქვეითებული; 3) მხედველობის მკვეთრად გამოხატული პრობლემების მქონე; 4) მოტორული პრობლემების მქონე მოსწავლეები. ამ ჯგუფებში შევიდნენ ის მოსწავლეებიც, რომლებსაც აქვთ ერთზე მეტი ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემა. უფრო სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად კვლევა ჩატარდა 6 მიზნობრივ ჯგუფში: სკოლების ადმინისტრაციები, მასწავლებლები, ზემოაღნიშნული 4 სხვადასხვა სპეციფიკის სსსმ მოსწავლეთა მშობლები. გამოკითხვა იყო ანონიმური, წინასწარ შემუშავებული 6 კითხვარის მეშვეობით - ცალ-ცალკე თითოეული მიზნობრივი ჯგუფისთვის. თითოეული კითხვარი მოიცავდა 41 კითხვას, რომელთა ნაწილი მსგავსი იყო სხვადასხვა ჯგუფისთვის. კითხვები იყო როგორც არჩევითი პასუხიანი, ისე-ღია. ეს აძლევდა საშუალებას რესპოდენტს, უფრო კონკრეტულად აღწერა თავისი ინდივიდუალური დამოკიდებულება და გამოცდილება, რათა კვლევის შედეგად შესაძლებელი ყოფილიყო ნებისმიერი ცალკეული შემთხვევის მეტად სიღრმისეული გაცნობა. კითხვარები იტვირთა SurveyMonkey-ს პლატფორმაზე, ხოლო შესაბამისი ბმული ელექტრონული ფოსტით დაეგზავნა კვლევაში მონაწილეობისთვის შერჩეული სკოლების ადმინისტრაციებს. უნდა აღინიშნოს, რომ 2020-2021 წლის მონაცემების საქართველოს სკოლებში ოფიციალურად 10 545 სსსმ სტატუსის მოსწავლე

იყო აღრიცხული, მათგან მხოლოდ 549 მოსწავლე სწავლობდა სპეციალურ სკოლებში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო როგორც ქალაქების, ისე - სოფლების ჯამში 46-მა საჯარო სკოლამთბილისიდან და საქართველოს 9 რეგიონიდან, მათ შორის სპეციალურმა სკოლებმა. კითხვარები შეავსო 46 სკოლის ადმინისტრაციამ, ზემოაღნიშნული 4 ჯგუფის სსსმ მოსწავლეთა 171 მასწავლებელმა და 83 მშობელმა. მოსწავლეთა ასაკი 6-დან 22 წლამდეა. ჯამში მიღებული იქნა 300-ზე მეტი სრულად შევსებული კითხვარი.

**კვლევის ერთ-ერთი საინტერესო მიგნება**

კითხვარებიდან მიღებული დიდი მოცულობის ინფორმაციული მასალა დეტალურად დამუშავდა და გაანალიზდა SurveyMonkey’s-ს პლატფორმის მეშვეობით. ანალიზმასსმ მოსწავლეთა ონლაინსწავლების არაერთი პრობლემის იდენტიფიცირების პარალელურად საინტერესო მიგნება გამოკვეთა: რესპოდენტების ანგარიშგასაწევი ნაწილის -15-25% შეფასებით, ონლაინსწავლებაზე გადასვლამსსმ მოსწავლეთა სწავლის ხარისხი გააუმჯობესა, ხოლო მშობლების 15-25 % მიესალმებოდა პანდემიის დასრულების შემდეგაც ონლაინსწავლებაზე ან შერეულ სწავლებაზე დარჩენას. კვლევის ამ მიგნებას თვალსაჩინოდ წარმოაჩენს კვლევის შედეგების მიხედვით აგებული დიაგრამები: **დიაგრამა 1., დიაგრამა 2**



მშობლების ნაწილი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ მათი შვილებისთვის სახლის პირობებში, ჩვეულ გარემოში სწავლა უფრო ეფექტიანი აღმოჩნდა ვიდრე საკლასო ოთახში.

კითხვარების ანალიზის საფუძველზე სხვა მნიშვნელოვანი შედეგებიც იქნა მიღებული. მათგან ქვევითმოყვანილია ისინი, რომლებიც შინაარსობრივად იკვეთება ზემოაღნიშნულ მიგნებასთან. ასე მაგალითად, გამოვლინდა, რომ ონლაინსწავლაზე გადასვლისას სკოლაში შექმნილი სიტუაცია თავად სკოლის ადმინისტრაციაზე, მის მიერ სიტუაციის სწორად მართვაზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული. ზოგი სკოლა უკეთ ახერხებდა ამ მენეჯმენტს ზოგი-ნაკლებად. იგივე შეიძლება ითქვას მასწავლებლებზეც. არიან განსაკუთრებით მონდომებული, გულისხმიერი და პროფესიონალი მასწავლებლები, მშობლების ნაწილი კითხვარებში მაღლიერებას გამოთქვამს მათ მიმართ. თუმცა ხშირი იყო მოსაზრებებიც, რომ მასწავლებლებს არ ჰყოფნით მოტივაცია და პროფესიონალიზმი გაუმკლავდნენ ონლაინ სწავლების გამოწვევებს. გამოვლინდა შესაბამისი პროფესიული განვითარების სწავლებისსაჭიროება ყველა სამიზნე ჯგუფისთვის, ონლაინსწავლებისათვის აუცილებელი სპეციალური დამხმარე ტექნოლოგიური საშუალებებით მოსწავლეთა უზრუნველყოფის აუცილებლობა. კვლევამ აჩვენა ისიც, რომ ონლაინსწავლებისას მოსწავლეთათვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იყო სოციალიზაციის ნაკლებობა, ხოლო მეორე მხრივ, საცხოვრებელი ბინების სასწავლო ოთახებად გადაქცევამ გაზარდა მშობლების ჩართულობა სსსმ მოსწავლეთა სასწავლო პროცესში და მშობლების მხრიდან დიდი დრო და ემოციური დატვირთვა მოითხოვა. ამის გამო მშობლები სასწავლო პროცესში ფსიქოლოგის მეტად ჩართულობის მიზანშეწონილობას უსვამენ ხაზს. ზემოთ მოცემული დიაგრამებიდან ჩანს კიდევ ერთი შედეგი - ონლაინ სწავლების ხარისხის შეფასებისას მნიშვნელოვანი განსხვავებები დაფიქსირდა სსსმ მოსწავლეთა 4 სპეციფიკური ჯგუფის მიხედვით, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ სსსმ მოსწავლეთა ონლაინ სწავლების შედეგებისა და სამომავლო პერსპექტივის შეფასებისას მხოლოდ ინდივიდუალური მიდგომა უნდა იქნას გამოყენებული.

### **დასკვნები**

კვლევის შედეგები იძლევა შემდეგი დასკვნების გაკეთების საფუძველს: ზოგიერთის სსსმ მოსწავლისთვის შესაძლოა უკეთესი შედეგის მომტანი იყოს შერეული ფორმატის სწავლა, შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით. ამასთან, შერეული ფორმატით სწავლების წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელია რამდენიმე პირობის გათვალისწინება: 1) ონლაინ სწავლების პლატფორმების განვითარება; 2) სსსმ მოსწავლეების აღჭურვა სპეციალური სასწავლო ტექნოლოგიური საშუალებებით. 3) სპეციალური ტრენინგების ჩატარება მასწავლებლების, სკოლების ადმინისტრაციებისა და მშობლებისთვის. 4) სწავლის პროცესში ფსიქოლოგის ინტენსიური მხარდაჭერის უზრუნველყოფა როგორც სსსმ მოსწავლეთათვის, ასევე მათი მშობლებისთვის.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიზანშეწონილია სსსმ მოსწავლეთა შერეული ფორმატით სწავლების შესაძლებლობის შემდგომი, უფრო ჩადრმავებული კვლევა, სწავლების კონკრეტული სტრატეგიებისა და მეთოდოლოგიის შემუშავება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Gudmundsdottir, G. B., Hathaway, D. M. (2020). “We Always Make It Work“: Teachers’ Agency in the Time of Crisis.” *Journal of Technology and Teacher Education* 28 (2): 239–250. Retrieved from: [file:///Users/makakordzadze/Downloads/paper\\_216242.pdf](file:///Users/makakordzadze/Downloads/paper_216242.pdf)
2. Mælan, E.N., Gustavsen, A.M., Stranger-Johannessen, E., & Nordahl, T. (2021). Norwegian students’ experiences of home-schooling during the COVID-19 pandemic. *European Journal of Special Needs Education*, 36:1, 5-19, DOI:10.1080/08856257.2021.1872843. Retrieved from: <https://doi.org/10.1080/08856257.2021.1872843>
3. Nusser, I. (2021). Learning at home during COVID-19 school closures – How do German students with and without special educational needs manage? *European Journal of Special Needs Education*. 36:1, 51-64, DOI: 10.1080/08856257.2021.1872845. Retrieved from: <https://doi.org/10.1080/08856257.2021.1872845>
4. Parmigiani, D., Benigno, V., Giusto, M., Silvaggio, C., & Sperandio, S. (2021). E-inclusion: online special education in Italy during the Covid-19 pandemic. *Technology, Pedagogy and Education*, 30:1, 111-124, DOI: 10.1080/1475939X.2020.1856714. Retrieved from: <https://doi.org/10.1080/1475939X.2020.1856714>
5. Watson, J., Pape, L., Murin, A., Gemin, B., Vashaw, L. (2014). *Keeping Pace with K-12 Digital Learning: An Annual Review of Policy and Practice*. Eleventh Edition. Retrieved from: <https://files.eric.ed.gov/fulltext/ED558147.pdf>
6. ქადაგიძე, მ. (2021). „პანდემიით გამოწვეული სასწავლო დანაკარგების შეფასება.“ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ACCESS.

**Maka Kordzadze**  
Iliia State University

### **Teaching SEN learners - from traditional teaching to online format**

#### **Abstract**

Millions of students worldwide have been kept out of the classroom for more than a year by the Covid-19 pandemic. Almost all countries' educational systems saw the solution to maintaining the continuity of the educational process in the transition to online learning. The spontaneous transition from classroom to online has become an unprecedented challenge for schools. Special educational needs (SEN) students, their parents, and teachers found themselves in a most difficult situation; however, the learning experience gained in responding to these challenges also presented new opportunities.

**საკვანძო სიტყვები:** ონლაინ სწავლება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ბავშვები, სკოლა.

**Key words:** Online teaching, special needs education, schools.



## **განათლების აქსიოლოგია თანამედროვე პოლიტიკის დისკურსში**

### **შესავალი**

განათლების და პოლიტიკის ურთიერთქმედება ბოლო დროის აქტუალური სადისკუსიო თემაა, რომელიც თანდათანობით ახალ ფორმებს იძენს. XXI საუკუნეში განათლების განვითარებას სამართლიანად განიხილავენ სახელმწიფო პოლიტიკის სფეროდ და რბილი ძალის ინსტრუმენტად. რბილი ძალის განმარტებათა მრავალგვარობამ ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში სოციუმის ცხოვრებაში განათლების როლის ახლებურად შეფასებაგანაპირობა, გლობალიზაციის ეპოქაში მას უკვე პოლიტიკის წარმომქმნელი ფუნქცია გაუჩნდა. პოსტმოდერნის საზოგადოებისთვის დამახასიათებელი გლობალიზაცია და ფუნქციონალიზმიხელს უწყობს ტრადიციული ეროვნული ფასეულობების მოშლას და დეფორმაციას. გლობალიზაციის იდეოლოგიები, ჩვეულებრივ „გლობალურ ფასეულობებზე“, „ადამიანის ახალ გაგებაზე“ ლაპარაკობენ, თუმცა ნაკლებად მსჯელობენ იმაზე, რომ ფასეულობათა ასეთი შენაცვლება სხვა არაფერია თუარა პოლიტიკური პროცესის კონკრეტული მონაწილეების სასარგებლოდ მიზანდასახულობათა შეცვლა. ამიტომ, აუცილებელი ხდება თანამედროვე პოლიტიკის დისკურსში განათლების განვითარების აქსიოლოგიური კონტექსტის კვლევა.

### **პოლიტიკა და განათლების აქსიოლოგიური კვლევის მნიშვნელობა**

აქსიოლოგია არის მოძღვრება ადამიანთა ყოფის ფასეულობით მდგენელზე, ის განუყოფლად უკავშირდება განათლებას, როგორც ფასეულობების და სულიერ-ზნეობრივი განწყობების გენერაციის და ტრანსლიაციის უმძლავრეს მექანიზმს. სკოლის და უმაღლესი სასწავლებლის განათლების გარემო ხელს უწყობს ადამიანის ფასეულობათა სისტემის და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. ისტორიულად განათლება მაკონსოლიდირებელ როლს ასრულებს საზოგადოების ცხოვრებაში, საფუძველს უყრის პოლიტიკურ სოციალიზაციას და აყალიბებს სამოქალაქო ცნობიერებას - ამაში მდგომარეობს მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია.

განათლების პოლიტიკაწარმომქმნელ კონტექსტში ვლინდება მისი, როგორც პოლიტიკური ამოცანების გადაჭრის სფეროს სიდრმისეული არსი. „რბილი ძალის“ ინსტრუმენტად განათლების გამოყენება შეიძლება ორიენტირებული იყოს საერთაშორისო თანამშრომლობის მიზნების მიღწევისა და აკადემიური მობილობის განვითარებისთვის. სახელმწიფო უცხოელი სტუდენტებისთვის ანხორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს და აცნობიერებს, რომ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული ჯერ სპეციალისტად უნდა შედგეს, გარკვეული ადგილი დაიკავოს პოლიტიკურ-სოციალურ სტრუქტურებში და მხოლოდ ამის შემდგომ შესძლებს ის იმ ფასეულობების ტრანსლირებას, რომლებიც უნივერსიტეტში სწავლების პერიოდში აითვისა. აღსანიშნავია, რომ განათლების ზოგიერთ სახეობას (უწინარეს ყოვლისა რელიგიურს), პრაქტიკულად, სტუდენტის უნივერსიტეტიდან გამშვებისთანავე შეუძლია საგრძნობი შედეგის მოცემა, მისი პრაქტიკული საქმიანობა

ხომ აუდიტორიაში (მაგალითად, მრევლში) ზნეობრივი ფასეულობების სისტემის ჩამოყალიბებას უკავშირდება. ასეთი მაგალითები ბევრია ე.წ. „ახლო საზღვარგარეთის“ ქვეყნებში. არასახელმწიფო აქტორები სახელმწიფოს „რბილი ძალის“ გამოყენების გამტარებად გვევლინებიან და დამოუკიდებლადაც შეუძლიათ მისი ჩამოყალიბება. მაგალითად, სახელმწიფოს მოქალაქეებიდან საზღვარგარეთის ისლამურ უნივერსიტეტებში ღვთისმეტყველთა მომზადება შესაძლოა ექსტრემისტული, სოციალურად საშიში იდეებით განიმსჭვალოს, რასაც პოლიტიკური კონფლიქტები მოსდევს.

„განათლების“, როგორც ფილოსოფიურ-პედაგოგიური კატეგორიის მნიშვნელობათა სემანტიკურ მრავალფეროვნებაში, ჩანს ორი აქსიოლოგიური აზრის დიალექტიკური ერთიანობა. ერთის მხრივ, განათლება ასახავს ცოდნის გადაცემის, პიროვნების კომპეტენციის დაუნარჩვევების ჩამოყალიბების მიზანმიმართულ და გარედან ორგანიზებულ პროცესს (დიდაქტიკური კონტექსტი). მეორე მხრივ, განათლება სოციოკულტურულ კონტექსტში ადამიანური რესურსის აღწარმოების პროცესია, რომელიც აუცილებელია კულტურისა და ცივილიზაციის თანდათანობითი განვითარებისთვის. ჩვენს საგანმანათლებლო ტრადიციაში მიღებულია ლაპარაკი სწავლებისა და აღზრდის ერთიანობაზე, ე.ი. არა მხოლოდ ცოდნის გადაცემაზე, არამედ მოცემული სოციუმისთვის ჩვეული მსოფლმხედველობრივი და ზნეობრივი ორიენტირების ჩამოყალიბებაზე. (შემთხვევით კი არ უწოდებდნენ სტუდენტებს რუსეთის იმპერიის უნივერსიტეტებსა და ლიცეუმებში *აღსაზრდელებს*). ამ დიალექტიკურ პროცესში ჩანს განათლების, როგორც სოციოკულტურული ფენომენის ღრმა აქსიოლოგიური საფუძველი, საძირკველი ეყრება წარმოდგენას განათლების პოლიტიკის სტრატეგიასა და პრიორიტეტებზე.

განათლების პოლიტიკაწარმომქნელი კონტექსტით განისაზღვრება განათლების და ცივილიზაციური განვითარების ტრენდების კორელაციური დამოკიდებულება. სწორედ განათლებამ მაქსიმალურად სრულადუნდაუზრუნველყოს სახელმწიფოს მოთხოვნები პროფესიულ კადრებზე, რომლებიც მზად იქნებიან და შესძლებენ სოციალური ცხოვრების ყველა სფეროს თანდათანობითი განვითარების უზრუნველყოფას. სწორედ განათლებაა ახალგაზრდა, დინამიური და კრეატიული ადამიანების საუნივერსიტეტო, მათ შორის იმ საზღვარგარეთის საუნივერსიტეტო ცენტრებში მიზიდვის ინსტრუმენტი, რომლებსაც მაღალი საერთაშორისო რეიტინგი აქვთ, რითაც ხდება მათი ამა თუ იმ სახელმწიფოს გავლენის სფეროში მოქცევა. ასეთი სტუდენტები იძენენ ფასეულ სოციალურ კაპიტალს და სამშობლოში დაგროვილი ცოდნის, კავშირების, სიმპათიების და ახალი მეგობრების ახალი „ბაგაჟით“ დაბრუნებისას, როგორც წესი, იმ ქვეყნის ენისა და კულტურის ეფექტიანი გამტარებლები ხდებიან, სადაც სწავლობდნენ. ფასიანი სწავლების შესაძლებლობასთან ერთად, ევროპული ქვეყნების აშშ-ის და კანადის, ავსტრალიის, ახლო აღმოსავლეთის და აზიის უნივერსიტეტები უცხოელ სტუდენტებს სთავაზობენ უფასო სწავლებას ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში: „რბილ ძალას ესაჭიროება მყარი ვალუტა“ [Schneider C.P. 2005;163]. ა.მ. ბობილოს კვლევის თანახმად, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის განათლების პროგრამის მონაწილეთა შორის, რომლებმაც სწავლება კონფრონტაციის პერიოდში გაიარეს, დაახლოებით 200 სახელმწიფოს მეთაური და სხვადასხვა ქვეყნის მთავრობების და პარლამენტების დაახლოებით 600 წარმომადგენელი იყო; 2000-იანი წლების დასაწყისში ასეან-ის ქვეყნებიდან 30 ათასი

სტუდენტი, რომლებიც ჩინეთში სწავლობდნენ, რეგიონის პოლიტიკური და ბიზნეს-ელიტის ოჯახების წარმომადგენლები იყვნენ [Бонько А.М. 2013;130, 132]. სადღეისოდ 55 პოლიტიკური ლიდერი 51 ქვეყნიდან - ბრიტანული უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები არიან. რუსეთში 2017 წელს მიიღეს პროექტი „რუსეთის განათლების საექსპორტო პოტენციალის განვითარება“, რომელიც ითვალისწინებს რუსეთის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ დაწესებულებებში თითქმის 3,2-ჯერ უცხოელ სტუდენტთა რიცხვის გაზრდას 220 ათასიდან (2017 წ.) 710 ათასამდე (2025 წ.), დამტკიცებულია ამ პრიორიტეტული პროექტის პასპორტი [Правительство России. 2018.] სახელმწიფოს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პირობებში მიმდინარეობს ბრძოლა სტუდენტებისთვის და პოლიტიკოსები მზად არიან საგანმანათლებლო პროექტებში უზარმაზარი სახსრების ჩასადებად, ამასთან, არა მხოლოდ ფინანსური სარგებლისთვის: ყველას ესმის, რომ ფასეულობები და მსოფლმხედველობა თანდათანობით კვირცელდება, მაგრამ ღრმად და მყარად იდგამს ფესვებს. განათლების პოლიტიკის პრინციპების დროის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა მოითხოვს განათლების, როგორც კულტურისა და ცივილიზაციის სფეროს აქსიოლოგიური საფუძვლების შემუშავებას. განათლების განვითარების კულტურული და ცივილიზაციური სტრატეგიების დიალექტიკაში ყალიბდება განათლების აქსიომატიკა, როგორც სამეცნიერო დისციპლინათშორისი კვლევების სფერო. განათლება მნიშვნელოვანი პოლიტიკური რესურსია, აქსიოლოგიური მიდგომით მის კვლევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც თანამედროვეობაში მიმდინარე პროცესების ღრმა გაგებისთვის, ასევე, უწინარეს ყოვლისა, სამომავლოდ სოციოეკონომიკური განვითარების პროცესების მოდელირებისთვის, ქმედითი პოლიტიკური სტრატეგიების ასაგებად. საქართველოს განათლების ფასეულობით ორიენტირებული მოდელის შემუშავება საზოგადოების გლობალიზაციის პირობებში მთავარი კვლევითი მიზანია. შესაბამისად მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხების დამუშავება: განათლების აქსიოლოგიური ასპექტი გლობალიზაციური პროცესების გავლენის პირობებში; განათლების განვითარების და თანამედროვე უნივერსიტეტის განვითარების თანამედროვე ტენდენციები; აქსიოლოგიური კომპონენტის როლი თანამედროვე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში და ქართული განათლების განვითარების პერსპექტივები. განათლება არის ფასეულობა სახელმწიფო ინტერესების, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებითაც. ამრიგად, განათლება პოლიტიკური დისკურსის ელემენტია. ყურადსაღებია, რომ ბოლონის პროცესი ითვალისწინებს ზოგადევროპული საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბებას, „ევროპული კულტურული ფასეულობების“ ჩამოყალიბებას და განვითარებას, აუცილებელია დამუშავდეს თავისი სპეციფიკით ეროვნული ქართული აქსიოლოგიური კომპონენტის შენარჩუნების მექანიზმები, მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში ქვეყნის შესვლის თავისებურებების გათვალისწინებით.

## **დასკვნა**

ამრიგად, არსებობს პოლიტიკური დისკურსის კონტექსტში თანამედროვე განათლების კვლევის აქტუალური საკითხები. შემდგომ კვლევებში მათი გააზრება აუცილებელია საგანმანათლებლო მოდელის შესამუშავებლად, რომლებიც ჰუმანიტარულ მიმართულებას და სოციოეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების აქტუალურ ტენდენციებს შეათავსებდა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველო 2050. საქართველოს განვითარების სტრატეგია. საქართველოს მდგრადი განვითარების ინსტიტუტი, თბილისი. 2015. გვ.14-17; 217-218; 268-273.
2. Schneider C.P. 2005. Culture Communicates: US Diplomacy That Works. – *TheNew Public Diplomacy Soft Power in International Relations*. Ed. byJ. Melissen. Palgrave.P. 147-168
3. Бобыло А.М. 2013. “Мягкая сила” в международной политике: особенности национальных стратегий. – *Вестник Бурятского государственного университета. Педагогика. Филология. Философия*. № 14. С. 129-135.
4. Правительство России. [http://government.ru/news/28013/\(04.09.2018\)](http://government.ru/news/28013/(04.09.2018)).

**Teimuraz Kareli**  
Iliia State University

### **Axiology of Education in the Discourse of Contemporary Policy**

#### **Abstract**

The article addresses the axiological aspect of education in the context of globalization processes. The author study the main paradigmatic axiological characteristics of contemporary education and their reflection in the discourse of the XXI century political processes. The author discusses the problem from the perspective of the 21st century higher education paradigm, focusing on its policy-making function. The analysis of axiological dimension of contemporary education leads the author to the conclusion that contemporary knowledge-based society is vitally concerned in profound structural changes in the education system with the vector for the requirements of the state and society. The necessity to reconcile the principles of education policy and socio-cultural demands dictates the need to work out axiological foundations of promoting education as a sphere of developing culture and civilization. In its turn, the dialectics of cultural and civilization strategies generates and constructs the axiomatics of education as a sphere of interdisciplinary research.

**საკვანძო სიტყვები:** პოლიტიკური დისკურსი; განათლების პოლიტიკა; აქსიოლოგია; განათლება; კულტურა; რბილი ძალა; ფასეულობები.

**Keywords:** political discourse; education policy; axiology; education; culture; soft power; values

## **ფულის, როგორც სოციალური ფასეულობის კვლევა თაობით ჭრილში**

### **შესავალი**

სადღეისოდ ფულის თემა რეალურ ცხოვრებაშიც და მეცნიერებაშიც განსაკუთრებით აქტუალურია. მსოფლიოში აქტიურად ვითარდება ეკონომიკური სოციოლოგია, რომლის საგნობრივი სფეროც ტრადიციულად არის მოთხოვნილება, ფული, მომხმარებელი და ა.შ. ჩვენს ქვეყანაში ამ პრობლემებს დიდი ხნის განმავლობაში არ იკვლევდნენ, ფული საერთოდ სოციოლოგიის შესწავლის საგანს არ წარმოადგენდა. ბოლო დროს ინტერესი მოცემული პრობლემატიკის მიმართ მნიშვნელოვნად გაიზარდა. მიუხედავად ამისა, დღესაც ეკონომიკური სოციოლოგიის ძირითადი სფეროები ფულის ინსტიტუტს ნაკლებად იკვლევენ.

ფულადი ურთიერთობების, როგორც ნებისმიერი საზოგადოებისთვის სისტემაწარმომქმნელის განხილვა ადამიანთა ცნობიერებასა და ქცევაში მათი როლის გაგების საშუალებას იძლევა. თანამედროვე საზოგადოებაში ფული ასრულებს არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ, ასევე, სოციალურ, კულტურულ ფუნქციასაც. ჩვეულებისამებრ ის სხვა ფასეულობების შესაძენად გამოიყენება, მაგრამ, თანამედროვე კულტურული ეპოქა მას კვლავ თვითმიზნად აქცევს, ის აბსოლუტურ ფასეულობას იძენს. ფულის ცირკულაცია რეგულირდება ეკონომიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური კანონებით. ეკონომიკური თეორიების უმეტესობა კი მოცემულ მომენტს არ ითვალისწინებს. ეკონომიკური სოციოლოგიის ახალი კონტექსტით განხილვის საფუძველზე მართლზომიერია ფულის, როგორც სოციალური ფასეულობის კვლევა.

### **ფულის განვითარება - კულტურის ახალი ფორმა**

ოდნავ გადავუხვიოთ თემას და საზოგადოებაში ფულის ინსტიტუტის ისტორიას გადავხედოთ. ფულის გამოგონება - ადამიანის აზროვნების უდიდესი მიღწევაა. ფული ეკონომიკური ობიექტების ურთიერთგაცვლის დამოუკიდებელი ურთიერთობაა და საზოგადოებაში მისი მნიშვნელობა თანდათან იზრდებოდა. ევროპაში XIV საუკუნეში ფულს ყოველგვარი ბოროტების საწყისად აღიქვამდნენ. ბეატო დომინიჩის მხილებით „ის აბრმავებს გონებას, ახშობს სინდისს, აბნელებს მეხსიერებას, მცდარ გზაზე აყენებს ნებას, არ ცნობს მეგობრებს, არ უყვარს ახლო ნათესავები, არ ეშინია ღმერთის და არ გააჩნია მეტი სირცხვილი ადამიანთა წინაშე“ [Зомнарт В. 1968], XV საუკუნეში იწყებამამონისტური ტენდენციების ბატონობა. ყველგან აქებ-ადიდებენ სიმდიდრეს, როგორც აუცილებელ კულტურულ კეთილდღეობას, მოხვეჭის ვნება კი მოსახლეობის თავისთავად ცხად განწყობილებად არის აღიარებული.

ა. სმითის მიხედვით ეკონომიკურ აზროვნებაში დამკვიდრდა დებულება, რომლის შესაბამისადაც ზნეობრივი მოსაზრებებით მოქმედი ადამიანი თითქოსდა ღმერთის თანამშრომელია მსოფლიო ჰარმონიის შექმნაში და, აქ, როგორც ალტრუისტული, ასევე ეგოისტური მოტივები თანაბრად მნიშვნელოვანია. ადამიანის ალტრუისტულ გულის წადილს ა. სმითი განიხილავს ნაშრომში „ზნეობრივ გრძნობათა თეორია“ (1759), რომელიც სხვა ცნობილ ნაშრომთან - „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ - (1776) შედარებით შეუმჩნეველი დარჩა, სადაც ადამიანი ეგოისტია დასულ უფრო მეტ გამორჩენას ესწრაფვის.

ქართულ კულტურაში სამართლიანად ცხოვრება - მთავარი ფასეულობა და სიმდიდრეა. სამართლიანი ცხოვრებით ყველა აუცილებელი მატერიალური კეთილდღეობა უზრუნველყოფილი იქნება. ასეთი აზრი, რომელიც აშკარად სახარებისეული მცნებებიდან მომდინარეობს, ბრიტანელ პოლიტიკონომს აზრად არ მოუვიდოდა. თუ დასავლეთში ფუფუნება, საერთო აზრით, თითქმის სიქველეს წარმოადგენდა, მას არ თვლიდნენ რაღაც სისუსტედ, პირიქით, ამით ამაყოფნენ კიდევ როგორც საშურო უპირატესობად. სრულიად საპირისპიროდ რუსეთში ადამიანი სასახლის კარის ოქროს ფარჩაზე უფრო მეტ პატივს კონკიძველებიან სულელს მიაგებდა. რუსეთში ფუფუნება თანდათანობით ფესვს იდგამდა, თუმცა მეზობლებიდან გადმოსულ გადამდებ სენად მიიჩნეოდა [Антонов М.Ф.1991].

ადამიანი მატერიალური დოვლათის არა მხოლოდ მწარმოებელი და მომხმარებელია, მსოფლიო ევოლუციის პროცესის თანამონაწილეცაა, სოციალური და ზნეობრივი არსებაა. სამეურნეო საქმიანობის აი ეს უმაღლესი საკითხები საბჭოთა ადამიანების თვალთახედვიდან სრულიად ამოვარდნილი იყო, რამაც საბჭოთა ეკონომიკას უაღრესად ემპირიული ხასიათი მისცა. სადღეისოდ ფულის სოციალური ხასიათი იზრდება. ის სოციალური ინსტიტუტი ხდება. ამდენად ფულის განვითარება - ღრმა კულტურული ცვლილებების ელემენტია, კულტურის ახალი - ფულადი - ფორმაა.

### **ფულის სოციალური ფასეულობა და ქართული რეალობა თაობით ჭრილში**

თანამედროვე საქართველოში ფულისადმი დამოკიდებულებაში ოთხი სხვადასხვა მიმართულების ტენდენცია ყალიბდება: 1) ტრადიციული ეკონომიკური ცნობიერება, უკავშირდება რელიგიურობას, თემურობას, გამთანაბრებლობას, ფულის, როგორც აბსტრაქტული ფასეულობის აღქმას, რომელზე საუბარიც კი უხერხულია; 2) საბჭოთა მენტალიტეტი, რომელიც ფულს ექსპლუატაციის და უთანასწორობის საშუალებად განიხილავს, რომელიც უნდა აღმოიფხვრას; 3) დასავლური ეკონომიზმის გავლენა, რომელიც ფულად ურთიერთობებს სოციალური ურთიერთობების, სოციალური კავშირების და პრიორიტეტების ცენტრში აყენებდა; 4) ეკონომიკის კრიზისული ხასიათი, ფულის მიმოქცევის მექანიზმების გაუგებლობა, ბაზრის კანონების ცოდნის დაბალი დონე და, როგორც შედეგი, ფულზე დამოკიდებულების შიში. ამ ტენდენციების ურთიერთქმედება განსაზღვრავს პოსტსაბჭოთა

საზოგადოებაში ფულის კულტურის ტიპს. ფულის სოციალური ფასეულობის გამოვლენის თავისებურებები დამოკიდებულია არა მხოლოდ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ნაციონალურ მენტალიტეტზე (რაც დასავლური და აღმოსავლური ეკონომიკური კულტურების განსხვავების განმსაზღვრელია), არამედ მისი კონკრეტული მატარებლების - ინდივიდების, მათ შორის ადამიანის ასაკის, გარკვეული თაობისადმი მისი კუთვნილების - სოციალურ მახასიათებლებზეც. სოციუმში მიმდინარე ცვლილებები ხშირად სხვადასხვა თაობების შედარებისას ვლინდება. იმ ადამიანთა ეკონომიკური საქმიანობის სპეციფიკის შესწავლა, რომლებიც სხვადასხვა თაობით ჯგუფებს მიეკუთვნებიან, ვისი ეკონომიკური ქცევაც და ცნობიერებაც სხვადასხვა სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში ყალიბდებოდა, მოგვცემს ისეთი მოდელის შექმნის საშუალებას, რომელიც ეკონომიკური და სოციოლოგიური თეორიების პროგნოსტიკურ პოტენციალს გაამძლიერებდა.

ახალგაზრდების, სახელდობრ მოზარდების, მათი მშობლების სოციოლოგიური კვლევების (ანკეტური გამოკითხვების) საფუძველზე შესწავლილია ფულის როლის ზრდა საზოგადოებაში და მის მიმართ დამოკიდებულების ცვლილება. კვლევის ობიექტი იყო თაობითი ჯგუფები. მეუღლეთა წყვილები ითვლებოდნენ ნულოვან თაობად, მათი შვილები - პირველ, შვილიშვილები კი - მეორე თაობად.

კვლევის ამოცანა იყო ფულის მიმართ დამოკიდებულების შესწავლა სხვადასხვა თაობით ჯგუფებში. ანკეტა მოიცავდა კითხვების რამდენიმე ბლოკს, რომლებსაც უნდა გამოვევლინა რეალური მონეტარული ქცევის სტერეოტიპები და ეკონომიკური ქცევის პროექტული განწყობები, ფულის ადგილი სასიცოცხლო ფასეულობების სისტემაში და, ბოლოს, ოჯახური (მათ შორის ეკონომიკური სოციალიზაციის) ეკონომიკური ტრადიციები. კვლევის საფუძველზე გამოტანილი დასკვნების შესაბამისად გამოიკვეთა მოცემულ დროში ჩამოყალიბებული ეკონომიკური ქცევის და ცნობიერების მოდელები. დადასტურდა კვლევის ძირითადი ჰიპოთეზა, რომელიც ითვალისწინებდა ერთი თაობის ჯგუფის ფარგლებში ფასეულობათა სისტემის მსგავსებას. სხვადასხვა თაობებში ვლინდება ეკონომიკური ქცევის სხვადასხვა ტიპები. აღვნიშნოთ თითოეული შესასწავლი თაობის ძირითადი მახასიათებლები.

**ბავშვები** მიუთითებენ შიშზე, რომელიც ფულს თან სდევს. ბავშვები ყოველთვის იყენებენ შეფასების ზნეობრივ საფუძვლებს; მაგალითად, ერთმა ბიჭმა დოლარი განსაზღვრა, როგორც „სასტიკი რამე, რომელიც ხშირად აჩაღებს დანაშაულებს.“ ბავშვებში ფულის მიმართ დამოკიდებულება პირველადი სოციალიზაციის პროცესში ყალიბდება, ამიტომ მათი აზრი ყველაზე საყურადღებოა, მიახლოებულია თანამედროვე სიტუაციის მოთხოვნებთან. **მოზარდები** - დამოუკიდებელი, თეორიულად მშობლებისგან დამოუკიდებელი ადამიანები არიან, აფიქრებთ მხოლოდ საკუთარი ბედი, მათთვის პირველ ადგილზეა გამდიდრების, ცხოვრებაში კარგად მოწყობის, საკუთარი საქმის ქონების სურვილი. ისინი ბედნიერებას უშუალოდ უკავშირებენ ფულის რაოდენობას. ამასთან ბევრი მათგანი ფინანსური წარმატებისკენ

გზას საკუთარი განათლების და კულტურის სტატუსის ზრდის მეშვეობით ხედავენ. ეს ის თაობაა, რომელშიც რომანტიზმი (ოცნება „ლამაზ ცხოვრებაზე“, პატივი, ძალაუფლება, სიმდიდრე) გადაჯაჭვულია პრაგმატიზმზე. მოზარდთა ეკონომიკურ ცნობიერებაში და ქცევაში საზოგადოების კრიზისი ყველაზე მძაფრად აისახა, ვინაიდან ის მათი აქტიური სოციალიზაციის პერიოდში მიმდინარეობს. ფულისადმი მათი დამოკიდებულება - ასაკობრივი თავისებურებების, ფასეულობით-ნორმატული კრიზისის გავლენის შედეგია. პირველი თაობა (*მშობლების თაობა*) არ არის წინააღმდეგი შეიცვალოს საქმიანობა და ამით შეცვალოს თავისი ცხოვრებაც; ისინი ფულში ხედავენ უამრავი ყოველდღიური პრობლემებისგან თავის დაღწევის საშუალებას, ის იძლევა თავდაჯერებას და დამოუკიდებლობას. ფულის ხარჯვის გადაწყვეტილების მიღებისას, ზრდასრულები ამჯობინებენ მხოლოდ მეულესთან მოთათბირებას. საყურადღებოა ამ თაობის ადამიანების ეკონომიკური სტერეოტიპების მაღალი მედეგობა და თავის ჩვევებში რაიმეს შეცვლის უსურველობა. მიუხედავად ფინანსური სირთულეებისა, მხოლოდ 36% აწარმოებს ოჯახის შემოსავლების და გასავლების აღრიცხვას; უმეტესობას არასდროს წაუკითხია ლიტერატურა ოჯახის ბიუჯეტის სწორად გაძღოლის წესებზე. მშობლები რესოციალიზაციის, საბჭოურის დაძლევის და დასავლური ტენდენციების აქტიური გავლენის აქტიურ ეტაპს გადიან; ამიტომაც არის მათი დამოკიდებულება ფულის მიმართ ასე წინააღმდეგობრივი. ამ თაობისთვის ფული დამოუკიდებლობის საზომი გახდა, ამაში ვლინდება „დასავლური განწყობილებები“. ბოლოს, *ნულოვანი (უფროსი)* თაობის წარმომადგენლებთან ფული ასოცირდება თავისი ცხოვრების წყნარად და მშვიდად ბოლომდე მისვლის შესაძლებლობასთან, სხვების დახმარებასთან. ეს ერთადერთი ჯგუფია, რომელშიც ჩანდა ფულის შესახებ ნეგატიური გამონათქვამები. ისინი შფოთავენ უფრო არა მატერიალური მდგომარეობის გამო, არამედ ახლობლების დახმარების შეუძლებლობით და იმით, რომ ფული ადამიანებს შორის ურთიერთობას ამარცხებს. ეს არის თაობა, რომლის წარმომადგენლებს არ ძალუძთ ან არ სურთ რესოციალიზაციის გავლა და მეტწილად საბჭოთა მენტალიტეტის მატარებლები არიან.

ადამიანებში გამოკვეთილად გაცნობიერებულია ფულის როგორც საშუალების, სხვა მიღწევათა საფუძვლის მნიშვნელობა და აუცილებლობა. მნიშვნელოვან ფასეულობად ითვლება ოჯახი, საინტერესო სამუშაო. ფული, როგორც სასიცოცხლო ფასეულობა ყველა ჯგუფში (გარდა მოზარდებისა) ფასდება არა თვითმიზნად, არამედ ნორმალური სასიცოცხლო მოქმედების აუცილებელ ელემენტად, ასაკის შესაბამისი აქტუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებად.

## დასკვნა

რესპონდენტების სასიცოცხლო ფასეულობების სისტემის, ფულის მიღების და შენახვის მოსაწონებელი და რეალური ხერხების, საკუთარ თავზე, მათი როგორც



მდიდარ ადამიანზე წარმოდგენების, სხვადასხვა ცხოვრებისეული ბედის შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია რამოდენიმე ძირითადი დასკვნის გამოტანა. ეკონომიკური ქცევის რეალიები ძალზე ხშირად სცილდება მის ოპტიმალურად რაციონალურ მოდელს. ჩვენი აზრით, შეიძლება ამის ორი ძირითადი მიზეზი გამოიყოს. პირველი, ეკონომიკური ცოდნის დაბალი დონე, უფრო კი გაუნათლებლობა ეკონომიკურ საკითხებში. მეორე, ადამიანებში უფრო სტაბილურობაზე და არა დინამიზმზე ორიენტაციის აღზრდილობა, ცვლილებებისადმი დაბალი ადაპტურობა.

რეალური სამუშაოს არჩევებისას ყველაზე პრაგმატული აღმოჩნდა პირველი თაობა: ანაზღაურებასთან შედარებით სამუშაოს შინაარსი მათთვის მეორე პლანზე გადადის; მაშინ როდესაც მოზრდილებს ჰიპოთეტურ სიტუაციებში, სამომავლო გეგმებში პრაგმატული მოტივი გაცილებით ძლიერი აქვთ. საყურადღებოა, რომ ყველა თაობაში უბრალოდ გამდიდრებისსურვილი უფრო დიდია, ვიდრე თავისი სამუშაოსთვის მეტის მიღება. აღმოჩნდა, რომ თანამედროვე ბავშვები ადრე შედიან აქტიურ ეკონომიკურ ცხოვრებაში, ისე რომ აუცილებელი ჩვევები და ცოდნა არ გააჩნიათ, რამაც შესაძლოა სერიოზული პრობლემები წარმოშვას. ბიჭები იჩენენ ამ სფეროში დიდ ინტერესს და მეტ გათვითცნობიერებას, ვიდრე გოგონები. ერთი თაობითი ჯგუფის ფარგლებში შესამჩნევია ეკონომიკური ქცევის სხვადასხვა მოდელის ელემენტები. საბაზრო მოდელის ნიშნები (კარგი ორიენტაცია და ეკონომიკის ცოდნა, ინიციატივიანობა, ღიაობა), ძალზე სუსტია; მაგრამ ყველა თაობით ჯგუფში ჩანს ახალი ეკონომიკური პირობებისადმი ადაპტაციის ტენდენცია, უმთავრესად ინსტრუმენტული ფასეულობების ცვლილების და საბაზო ფასეულობების შენარჩუნების ხარჯზე. ფულის სოციალური ფასეულობის ხასიათი ბევრწილად სწორედ გარკვეული თაობითი ჯგუფისადმი კუთვნილებით განისაზღვრება. ერთი ოჯახის წევრებს სასიცოცხლო ფასეულობებზე, ოპტიმალური ცხოვრების წესზე სხვადასხვა ხედვები აქვთ. მიმდინარეობს ოჯახის ერთიანი ფასეულობითი სივრცის ნგრევა, თაობისადმი კუთვნილება განმსაზღვრელია, ოჯახური ტრადიციები კი მეორე პლანზე გადადის.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ადამ სმითი. (2007). გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. ტომი პირველი. თარგმნილი ინგლისურიდან ფ. გოგიჩაიშვილის მიერ. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 504 გვ.
2. მეზვრიშვილი ლია. (2003). ეკონომიკური სოციოლოგია. ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“. თბილისი, 308 გვ.
3. Антонов М.Ф.(1991). Ложные маяки и вечные истины. М.: Современник. С. 43.
4. Зомбарт Б.(1968). Буржуа. Этюды по истории развития современного экономического человека. М.

## A study of money, as a social value in a generational perspective

### Abstract

The paper discusses some aspects of money as a social value. Based on the analysis of the results of empirical studies, the author concludes, that the realities of economic behavior very often go beyond its optimally rational model. There are two main reasons for this: Firstly, the low level of economic knowledge, rather illiteracy in economic matters. Second, education of orientation in people towards stability, rather than dynamism, low adaptability to changes. As a result of considering the problem in terms of generations, it becomes obvious that in all generational groups there is a tendency to adapt to new economic conditions, mainly at the expense of changing instrumental values and maintaining basic values. The nature of the social value of money is largely determined by belonging to a certain generational group. Members of the same family have different views on vital values and optimal lifestyle. The unified value space of the family is being destroyed, belonging to the generation is the determining factor and family traditions are moving into the background.

**საკვანძო სიტყვები:** ფული; სოციალური ფასეულობა; თაობები; ოჯახი; ეკონომიკური ქცევა.

**Key words:** money; social value; generations; family; economic behavior.

### ქეთევან ჭკუასელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ხატია არაბიძე

ბრიტანულ-ქართული აკადემია

## საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე მასწავლებლის და მშობლის კომუნიკაციის პრაქტიკის კვლევა

მშობლისა და მასწავლებლის კომუნიკაციის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა ზოგადი განათლების სფეროში. პედაგოგიკური მეცნიერების კლასიკოსები უპირობოდ აღიარებენ სკოლის, ოჯახის და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევის აუცილებლობას მოზარდის აღზრდის პროცესში. თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეც აქტიურად შეისწავლის საკითხს მშობელთა ჩართულობის შესახებ სასკოლო ცხოვრებაში და, განსაკუთრებით, მისი ერთ-ერთი ფორმის, მშობლისა და მასწავლებლის კომუნიკაციის საკითხს მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის ურთულეს პროცესში. საკითხის კვლევა საქართველოში **აქტუალურია** და გარკვეული თვალსაზრისით **სიახლეს** წარმოადგენს, ვინაიდან სტატიაში დასმული საკითხი ეხება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურს და, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებულია კვლევები სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობასთან დაკავშირებით, მოცემულ სტატიაში

წარმოდგენილი კონკრეტული მიმართულებით კვლევები თითქმის არ გვხვდება. წარმოდგენილი კვლევის მიზანია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე მასწავლებლის და მშობლის კომუნიკაციის პრაქტიკის კვლევა. კვლევის მეთოდებად გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევა: დოკუმენტაციის ანალიზი და რაოდენობრივი კვლევა: კითხვარი. სამიზნე ჯგუფი – დაწყებითი კლასის მასწავლებლები და მშობლები. რესპოდენტთა შერჩევა – მიზნობრივი, კერძოდ, გამოიკითხა დაწყებითი კლასის მასწავლებლები საქართველოს მასშტაბით და ის მშობლები, რომელთა შვილებიც დაწყებით საფეხურზე სწავლობენ. გამოკითხვა ელექტრონული ფორმით ჩატარდა. კვლევის შეზღუდვა – გამოსაკითხ რესპოდენტთა დიდი რაოდენობის მოძიება.

სულ გამოიკითხა საქართველოს კერძო და საჯარო სკოლის 119 დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი და 87 მშობელი. კვლევა ჩატარდა კონფიდენციალურობის სრული დაცვით.

სწავლების ყველა საფეხურის, და მათ შორის დაწყებით საფეხურის განათლების, უმთავრესი მიზანია მოსწავლის ფსიქო-ფიზიოლოგიური უნარების განვითარება, რომელიც საფეხურის დონეზე თავის მხრივ მოიცავს:

| გონებრივი უნარების განვითარებას – ზეპირი და წერიტი მეტყველების უნარის განვითარება, სწავლისადმი მზაობის განვითარება, სწავლის უნარის განვითარება, კონკრეტულ -საგნობრივი აზროვნების განვითარება, სწავლის სწავლის უნარის განვითარება;

| ზნეობრივი უნარების განვითარებას /სოციალური უნარები– სოციუმში ქცევის ნორმები, შრომის უნარი, სოციალური ურთიერთობები, მორალურ-ეთიკური ნორმები;

| ესთეტიკურ განვითარებას – შეგრძნების უნარის განვითარება, ემოციის მართვის უნარის განვითარება, სინამდვილის მშვენიერი მხარეების აღქმის უნარის განვითარება;

| ფიზიკურ-მოტორულ განვითარებას – მოსწავლის სხეულის ნორმალური ზრდა - განვითარება, ძვლოვანი სისტემის ჩამოყალიბება.

ცხადია, ეს მიმართულებები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ერთმანეთს განაპირობებს, ამდენად მასწავლებელს მუშაობა უხდება არა რომელიმე ერთი, არამედ კომპლექსურად, ყველა უნარის ფორმირებაზე. ამ პროცესისათვის აუცილებელია მშობლის ჩართულობა და მათთან კომუნიკაცია, რათა უფრო ეფექტურად, ერთიანი ძალისხმევით მოხდეს მუშაობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე. კითხვარების შედგენის პროცესში, მაქსიმალურად გავითვალისწინეთ ეს საკითხები.

გამოკითხულ მასწავლებელთა 40.2% ქალაქ თბილისში ასწავლის, 15.7% ლაგოდეხის რაიონში, 24.6% რუსთავში, 13.4% აბაშასა და ცაგერში, დანარჩენ რაიონებში 6.1% დაფიქსირდა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 88.2%-მა საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელმა, 10.3% კერძო სკოლის, ხოლო 1.5% ასწავლის ორივე ტიპის სკოლაში. გამოკითხულ მასწავლებელთა 60%-ზე მეტს მასწავლებლად მუშაობის 10 წელზე მეტი სტაჟი აქვთ.

კვლევის შედეგებმა კიდევ ერთხელ გამოკვეთა დაწყებით საფეხურზე მშობელსა და მასწავლებელს შორის კომუნიკაციის საკითხის პრობლემატურობა. ძირითადი დასკვნები შეგვიძლია ამგვარად ჩამოვაყალიბოთ:

- აკადემიური ლიტერატურის სიმცირე–აღნიშნული თემის გარშემო არსებობს მცირე რაოდენობით ქართულენოვანი მასალა, ლიტერატურის უმეტესობა არა კონკრეტულად კომუნიკაციას, არამედ მშობელთა ჩართულობის საკითხებს ეთმობა და მათში მხოლოდ მცირე პარაგრაფებად მოიძებნება კონკრეტულად მშობელსა და მასწავლებელს შორის კომუნიკაციის ფორმატისა და შინაარსის შესახებ ჩანაწერები, მით უფრო რომელიმე კონკრეტულ საფეხურზე;

- საქართველოს განათლების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტების–კანონი ზოგადი განათლების შესახებ, ეროვნული სასწავლო გეგმა, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი–გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ არ არის გაწერილი თავად ჩართულობის მიზანმიმართულობა, მნიშვნელობა და აუცილებლობა მოზარდის სწავლა-აღზრდისათვის. ასევე, აღნიშნულ დოკუმენტებში აქცენტირებულია მხოლოდ დამრიგებლის ვალდებულებები და არსად არის ნახსენები კომუნიკაციის საჭიროება საგნობრივ მასწავლებელთან. თავად ტერმინები „ჩართულობა“/ „კომუნიკაცია“ დოკუმენტებში საერთოდ არ გვხვდება.

- ორივე მხარის გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლების უმრავლესობას არ აქვს გაცნობიერებული მშობელთან **კომუნიკაციის მიზნობრიობა, შინაარსი და გეგმიურობა, კომუნიკაციის მნიშვნელობა მოსწავლის ფსიქო-ფიზიოლოგიური უნარების განვითარებისა და აღზრდის პროცესისათვის**, მშობლებთან კომუნიკაცია, უმეტესწილად სტიქიურ ხასიათს ატარებს, არ აქვს სისტემური სახე.

- მასწავლებელთა და მშობელთა პასუხების ანალიზმა აჩვენა, რომ სკოლის დირექციას, უმეტეს შემთხვევაში, არ აქვს გაწერილი სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის კონკრეტული გეგმა და აქტივობები; თუმცა კერძო სკოლებში, როგორც წესი, მეტად არის შემუშავებული გარკვეული ტიპის პოლიტიკა ამ მიმართულებით და იყენებენ შედარებით მრავალფეროვან საკომუნიკაციოსაშუალებებს.

- გამოკითხულ მასწავლებლებელთა 90% აღიარებს, რომ „სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობა მნიშვნელოვანია მოსწავლის წარმატებისთვის“.

- მასწავლებელთა პასუხებით დგინდება, რომ მშობელთა მხოლოდ 27% ეკონტაქტება მათ კვირაში რამდენჯერმე, 29.2% - თვეში ერთხელ. დანარჩენი, თითქმის 40% მშობლებისა - იშვიათად.

- მასწავლებელთა უმეტესობა კომუნიკაციისას წარმოქმნილ მთავარ პრობლემად შვილის სასკოლო ცხოვრების მიმართ მშობლების ნაკლებ დაინტერესებას, ცნობიერების დაბალ დონეს და მზაობის დეფიციტს ასახელებს. მშობლები ძირითად პასუხისმგებლობას სკოლას და მასწავლებელს აკისრებენ.

- კვლევის შედეგად გამოიკვეთა განსხვავება თბილისსა და რეგიონებს შორის. კერძოდ, თბილისში გამოკითხულთა ორივე მხარემ, თითქმის თანაბარი პროცენტული მაჩვენებლით, მეტად დაასახელა კომუნიკაცია გამოწვევად, ვიდრე რეგიონის მაცხოვრებლებმა. შეგვიძლია ვივარაუდოდ, რომ ამის მიზეზი ქალაქის მაცხოვრებელთა პოპულაციის დიდი რაოდენობა, მშობელთა დროის სიმცირე და ყოველდღიურ ცხოვრებაში ერთმანეთთან ნაკლები თანაკვეთაა.

- კვლევამ აჩვენა, რომ სასკოლო ცხოვრებაში მშობლის ჩართულობის საკითხის მიმართ სახელმწიფო ნაკლებ ყურადღებას იჩენს. აღარაფერს ვიტყვით მშობელთა განათლების საკითხზე, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ არც ხორციელდება.

- კვლევის შედეგად გამოიკვეთა სკოლებისთვის სპეციალური პლატფორმის არსებობის საჭიროება მშობელთან კომუნიკაციის დამყარებისთვის, რათა

მასწავლებელმა შეძლოს პირადი და სამსახუროებრივი სივრცის გამიჯვნა. ასევე კომუნიკაციის მიზნით, ელექტრონული ჟურნალის გამოყენების გააქტიურების საჭიროება.

### **რეკომენდაციები:**

- სასურველია სახელმწიფომ და სკოლამ უფრო კონკრეტულად გაწეროს სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის საკითხები სწავლების საფეხურების თავისებურებების გათვალისწინებით, გარკვეულწილად ვალდებულების დონეზე აიყვანოს მასწავლებლის და მშობლის ურთიერთობების საკითხები.

- აუცილებელია მასწავლებელთა პროფესიული განვითარება მშობელთან კომუნიკაციის თვალსაზრისით, როგორც ორგანიზაციული, ისე შინაარსობრივი და ეთიკურ-ნორმატიული ნიშნით.

- სასურველია სახელმწიფომ და სკოლამ შეიმუშაოს მშობელთა პედაგოგიზაციის მრავალვარიანტული ფორმატი, როგორც საკუთრივ საქართველოს, ისე უცხოური გამოცდილების გათვალისწინებით.

თეორიული მასალების დამუშავების, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვის ჩატარების შედეგების გაანალიზების, ასევე, ჩვენი პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებითა და შეჯერებით, შევიმუშავეთ მოკრძალებული ხედვა დაწყებით კლასებში მშობელთა კომუნიკაციის საკითხების ორგანიზებისა და თეორიული მიმართულებების შესახებ. **გზამკვლევი** დაეხმარება დაწყებითი საფეხურის პედაგოგს ეფექტურად წარმართოს მშობელთან კომუნიკაციის პროცესი პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით. გათვალისწინებულია გზამკვლევის ჩვენეულ ვარიანტს:

**კომუნიკაციის ფორმატი**–მასწავლებელს და მშობელს შორის შეთანხმების მიხედვით, შესაძლოა შეირჩეს კომუნიკაციის დამყარებისთვის შემდეგი ტიპის ფორმატები: პირისპირშეხვედრა, სატელეფონო კომუნიკაცია, მშობელთა კრება, ელექტრონული მეილი, ელექტრონული ჟურნალი, ელექტრონული პლატფორმები;

**კომუნიკაციის შინაარსი**– მოსწავლის ფიზიკური და სულიერი/გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, შრომითი/ განვითარება, კერძოდ, **აკადემიური საკითხები, სოციალური ორიენტაციის საკითხები, ორგანიზაციული საკითხები;**

#### **კომუნიკაციის სიხშირე**

##### **პირველი კლასისთვის:**

- სწავლის დაწყებისას - ყოველდღიურადორი კვირის განმავლობაში
- ორი კვირის შემდეგ - კვირაში რამდენჯერმე მთელი I სემესტრის განმავლობაში
- მეორე სემესტრიდან - კვირაში ერთხელ, მთელი სემესტრის განმავლობაში
- დამატებითკომუნიკაცია ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე

##### **კომუნიკაციის სიხშირე მე-2 – მე-6 კლასებისთვის:**

- სავალდებულოდ - თვეში ერთხელ
- სისტემატიურად - ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. *ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024*, თბილისი <http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/datskebiti-safekhuri-i-vi-klasebi-damtkitsda-2016-tsel>
2. „*საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ*“, 2005, თბილისი

<https://mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf>

3. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, 2020, თბილისი

[https://matsne.gov.ge > document > view](https://matsne.gov.ge/document/view)

4. საქართველოს დაწესებულებების განათლების პროექტი-G-PRIED. მშობელთა ჩართულობა - რეკომენდაციები დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის. თბილისი.(2015)

[http://kargiskola.ge/parent/pdf/PE\\_GUIDE\\_2015.pdf](http://kargiskola.ge/parent/pdf/PE_GUIDE_2015.pdf)

5. განათლება ყველასთვის - საქართველო. მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში- თვისებრივი კვლევის ანგარიში,2017 თბილისი

<https://files.eric.ed.gov/fulltext/ED496558.pdf>

6. მშობლები განათლებისთვის - სკოლებში მშობელთა ჩართულობის პრაქტიკის კვლევა,2020

7. Meador, Derrick. (2020, August 26). School Communication Policy.

<https://www.thoughtco.com/school-communication-policy-3194670>

8. Meador, Derrick. (2020, August 26). Cultivating Highly Successful Parent Teacher Communication.

<https://www.thoughtco.com/tips-for-highly-successful-parent-teacher-communication-3194676>

**Ketevan Chkuaseli,**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Khatia Arabidze**

British-Georgian Academy

## **The Study of Teacher-Parent Communication Practice at the Primary Level of General Education in Georgia**

### **Abstract**

The issue of teacher-parent communication is an important topic in general education. Research has proven that correct communication between teachers and parents determines mainly adolescents' success in the process of education and upbringing. It is topical to know what is the situation in this respect in primary school sector of Georgia. The **aim of the research** was to study communication practice between teachers and parents at the primary level of general education in Georgia. As a result of the study, it was stated that teachers admit the importance of the communication in pupils' successful learning; however, their majority is not aware of **the purpose, content and planning of communication with parents, the importance of communication to the development of learners' psycho-physiological skills and the process of upbringing**, hence communication mostly is of spontaneous character. According to the teachers' responses, it has been stated that only 27% of parents of the primary school pupils are in contact with the teachers several times a week, 29% - once a month, and 40% - very rarely. The study has revealed the difference between urban and regional, state and private school data.

**საკვანძო სიტყვები:** დაწესებულები, სკოლა, მშობელი, კომუნიკაცია.

**Key word:** primary, school, teacher, parent, communication.

## ინკლუზიური განათლება

### ნინო მოდებაძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### დავით მახაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ბაგა-ბაღების „აღმზრდელ-პედაგოგთა რეფლექსიის“ კვლევის ერთი მიმართულების ანალიზი (თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მაგალითზე)

აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ბაღში ფიზიკური და სოციალური გარემოს შექმნას უკავია და ეს გასაკვირი არცაა, რადგან სწორად შერჩეული გარემო ქმნის პირობებს იმისას, რომ ბავშვი ჰოლისტურად განვითარდეს და სასკოლო პერიოდს მომზადებული შეხვდეს. ამ სტანდარტის შესრულების კვლევისას, საყურადღებოა შეიჩქარეს ინსტრუმენტი, რომელიც მკვლევარს დაანახებს პროცესს რეალურად, ხოლო რესპოდენტს დააფიქრებს და თავიდან წარმოადგენინებს და შეაფასებინებს საკუთარ პროფესიულ პრაქტიკას, განსაკუთრებით ინკლუზიური განათლების განხორციელებისას.

„რეფლექსია არის ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნების, შესაძლებლობებისა და უნარების გაცნობიერება. იგი ჩვენს ხელთ არსებულ ცოდნასა და წარსულში მიღებულ გამოცდილებაზე დამოკიდებულია. რეფლექსია ნიშნავს ფიქრს საკუთარ „მე-ზე“, მდგომარეობაზე, საქციელზე, წარსულ მოვლენებზე. ამრიგად, ეს არის „საუბარი საკუთარ თავთან“, რაც დამოკიდებულია თავად ადამიანის განათლებაზე, მორალურ მდგომარეობაზე, თვითკონტროლსა და მიზანმიმართულებაზე“ (ფირჩხაძე, 2013). ადრეული ინკლუზიური განათლების გარემოს თვით რეფლექსიის ინსტრუმენტი შემუშავდა ადრეული ასაკის ბავშვთა ინკლუზიური განათლების (IECE) პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ევროპის სპეციალური საჭიროებებისა და ინკლუზიური განათლების სააგენტო 2015 წლიდან 2017 წლამდე ([www.european-agency.org/agency-projects/inclusive-ადრეული-ბავშვობა-განათლება](http://www.european-agency.org/agency-projects/inclusive-ადრეული-ბავშვობა-განათლება)). პროექტის მიზანი იყო ადრეული ინკლუზიური განათლების ძირითადი მახასიათებლების იდენტიფიცირება, ანალიზი და შემდგომ პოპულარიზაცია. ამ მიზნით გამოვლინდა ინსტრუმენტის საჭიროება, რომელსაც გამოიყენებდნენ პროფესიონალები და პერსონალი გარემოს ინკლუზიაზე, სოციალურ, სასწავლო და ფიზიკურ გარემოზე რეფლექსიისასთვის. ეს ინსტრუმენტი მიზნად ისახავს ინკლუზი ურობის ხარისხის გაუმჯობესებას და ის ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში აღმზრდელ პედაგოგთა რეფლექსიის კვლევისას. სამი შეკითხვა კვლევის მონაწილეებს აფიქრებდა საბავშვო ბაღებში არსებულ პრაქტიკაზე (აწმყოზე), ხოლო ერთი შეკითხვა კი - რის შეცვლას ისურვებდნენ (მომავალზე). კვლევის მიზანი იყო აგველწერა რესპოდენტების ხედვა, როგორ აღიქვამენ ხარისხიანი ინკლუზიური განათლების პროცესებს და გაუმჯობესების რაგზებს ხედავენ. აღნიშნული რეფლექსიის პროცესი

მოიაზრებდა მათი გამოცდილების და ცოდნის გამოყენებას კონკრეტული მიმართულებით. კვლევაში მიიღო ნაწილობა 10-მა აღმზრდელ-პედაგოგმა. საბავშვო ბაღების აღმზრდელ პედაგოგთა ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა უკუკავშირმა საერთო გულითადი ატმოსფეროს შესახებ, შესაძლებლობა მოგვცაამ თემის ფარგლებში გაგვეკეთებინა დასკვნები, რამდენად აცნობიერებენ კვლევის მონაწილეები საკუთარ შესაძლებლობებს და უნარებს მოცემული თემის ფარგლებში კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. რეფლექსიის საერთო ანალიზისას გამოიკვეთა საკითხები, სადაც რესპოდენტების დიდი ნაწილი სწორად მიმართავს თავის პროფესიულ საქმიანობას გულითადი და ინკლუზიური გარემოს შექმნის თვალსაზრისით. უმეტესობას ღრმად აქვს გაცნობიერებული, როგორია ბავშვი, როგორც მზრუნველი, კომფორტული და მიმზიდველი ადგილი. და აქ უმთავრესი, მათი აზრით, ბავშვებისადმი სიყვარული და პოზიტიური დამოკიდებულებაა: „საბავშვო ბაღები ის დაწესებულებებია, სადაც ყოველთვის იგრძნობა მზრუნველობა, ერთმანეთის მიმართ. ბავშვი ადამიანი ვერ იმუშავებს, თუ მას არ უყვარს პატარებთან ურთიერთობა.“ „ბავშვებისთვის და პერსონალისთვის არის განათლების, სიტბოს სწორი აღზრდის ერთერთი ადგილი, სადაც გავცემთ სიყვარულს და თანადგომას თითოეულისათვის“. „აუცილებელია ერთმანეთის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება, რაც ხელს შეუწყობს იმას, რომ ბავშვებმაც და პერსონალმაც უფრო დაცულად და კომფორტულად იგრძნოს თავი.“ „ბავშვი ბავშვისა და პერსონალისთვის, მზრუნველი, კომფორტული და მიმზიდველი ადგილია, როდესაც დაფუძნებულია პოზიტიური დისციპლინა. ხდება ერთმანეთის აზრების გაცვლა და რჩევების გათვალისწინება. გასცემ და მიიღებ სიყვარულს. სადაც გარემო ისეა შექმნილი, რომ ბავშვს და უფროსს შესაძლებლობა აქვთ, დამოუკიდებლად გააკეთონ არჩევანი.“ რესპოდენტთა აზრით: „ბავშვი ის ადგილია, სადაც როგორც ბავშვი, ასევე პერსონალი დღის ძირითად ნაწილს ატარებს, ამიტომ მნიშვნელოვანია იქ იყოს ისეთი გარემო, სადაც აღსაზრდელი და აღმზრდელი (დანარჩენი პერსონალი) კომფორტულად იგრძნობენ თავს, სადაც შეძლებენ თავიანთი შესაძლებლობების, პოტენციალის გამოვლენას, საზოგადოებისთვის საჭირო წევრად იგრძნობენ თავს.“ აქვე: „პერსონალისთვის მიმზიდველი და კომფორტულია ბავშვი იმიტომ, რომ ახდენენ თვითრეალიზაციას და პროფესიულ ზრდას ერთმანეთში ინფორმაციის გაზიარებით.“ ჩვენთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა რესპოდენტების მხრიდან ამ პასუხების დაფიქსირება, რომ საბავშვო ბავშვის საერთო, გულითად ატმოსფეროში არა მხოლოდ ბავშვები, არამედ ბავშვის ყველა ტიპის პერსონალიც მოიაზრება, რაც „უმცროსებსა“ და „უფროსებს“ შორის ურთიერთობებისადმი ჰოლისტიური დამოკიდებულების გამოხატულებაა. რესპოდენტების დიდი ნაწილი მრავალფეროვან პასუხებს აფიქსირებს თავიანთი გამოცდილებიდან გამომდინარე, თუ როგორ ეხმარებიან ბავშვებს, რომ მათ იგრძნონ თავი თანატოლთა ჯგუფის სრულფასოვან წევრად. როგორც პასუხებიდან იკვეთება, ისინი სხვადასხვა აქტივობებით ცდილობენ, რომ ბავშვები დაამეგობრონ და ერთობლივი აქტივობები ჩაატარებინონ: „ვცდილობთ, რომ ბავშვები, გაცნობისთანავე, მეგობრულად განვაწყობთ ერთმანეთთან. ხშირად ვსაუბრობთ მეგობრობაზე, რომ მეგობრებს ერთმანეთი ძალიან უყვართ და გვინდა, რომ ჩვენი ჯგუფი, სხვა ჯგუფებისთვის მისაბამი იყოს“. „ყველა ბავშვი უნდა იყოს თანაბრად დაკავებული. აღმზრდელმა უნდა დააბალანსოს ბავშვებს შორის ურთიერთობა და მათი კონფლიქტები მოაგვაროს მყისიერად.“ „ვფიქრობ, ხელს შეუწყობს ისეთი აქტივობები სადაც ბავშვები ერთად ითამაშებენ, ერთმანეთზე იზრუნებენ, სადაც ექნებათ საშუალება ერთად იკვლიონ, მოსინჯონ სიახლეები. მიეცეთ



აზრის გამოთქმის საშუალება.“ „ბავშვებს ვესაუბრები პატივისცემით და სიყვარულით, ვცდილობ მოვიპოვო მათი ნდობა და ვახალისებთ გამოთქვან თავიანთი გრძნობები და აზრები.“ „არსებობენ ისეთი ბავშვებიც, რომელთაც თავიანთი თავის გამოხატვა უჭირთ. სწორედ აღმზრდელის მოვალეობაა, რომ ყველა ბავშვს აგრძნობინოს თავი თანატოლების ჯგუფის წევრად. ვაძლიერებთ მათ გვერდში დგომით, რითიც ვცდილობთ ავამაღლოთ მათი თვითშეფასება. “რესპოდენტებმა ფაქტიურად განავრცეს მეორე შეკითხვის პასუხები მესამე კითხვაში: როგორ ფიქრობთ, შეიძლება რომელიმე ბავშვმა თავი გარიყულად იგრძნოს? რესპოდენტებმა ისიც კი დააფიქსირეს, რომ შესაძლოა, ბავშვი სრულიადაც არ იყოს გსმ ბავშვი: „არიან ბავშვები, რომლებსაც უბრალოდ მარტო, განცალკევებით თამაში სურთ“. თუმცა, აღმზრდელისათვის ეს ქეისიც გამოწვევაა: „მქონია შემთხვევა, როცა ბავშვს უთქვამს, რომ სხვები „არ ათამაშებენ“ და გარიყულად უგრძნობია თავი.“ ჩვენი რესპოდენტები აფიქსირებენ, რომ ამ შემთხვევაშიც საპრევენციო ღონისძიებებზეც ხშირად ფიქრობენ: „ამ დროს ყოველთვის ვახსენებ, ჩვენი ჯგუფის წესებს, რომ ჯგუფში აუცილებელია, მეგობრებთან ერთად თამაში, ნივთების თხოვება, გაზიარება. ის ბავშვი მიმყავს თანატოლებთან, რომლებიც (ვითომ) „არ ათამაშებენ“ და სიტუაცია იცვლება, ამ ბავშვის სასარგებლოდ. „ბავშვებმა იციან მაგ, ერთი კონკრეტული სათამაშოს გამო გაბუტვა, მიდიან დაჯდებიან განცალკევებით, ჩვენ ამას ვამჩნევთ, ვთხოვ ბავშვებს ამ ერთი სათამაშოთი ყველამ ვითამაშოთ, მოვიფიქრებ ისეთ თამაშს სადაც ყველა ბავშვი იღებს მონაწილეობას და რომელიმე ბავშვი აღარ გრძნობს თავს გარიყულად. ვასწავლით ქცევის წესებს, თხოვებას, დალოდებას, მეგობრობას“. რაც შეეხება კითხვას, რისი შეცვლა სურთ ან რას გააუმჯობესებდნენ ამ მიმართულებით, რესპოდენტთა ნაწილმა თქვა: „ვისურვებდი, რომ ბალის გარემო იყოს უფრო მეტად აღჭურვილი საჭირო ინვენტარით, სამუშაო და თვალსაჩინო მასალებით“. და მხოლოდ ერთმა რესპოდენტმა წარმოგვიდგინა შედარებით გლობალური ხედვა: „მე გავაუმჯობესებდი გარემოს, რომელიც იქნებოდა მეტად თანასწორუფლებიანი, იქნებოდა მეტი გულისხმიერება, გახსნილობა, აზრებისა და გრძნობების დაფასება. ურთიერთობის პროცესში ბავშვი უნდა იყოს აღქმული, როგორც სრულფასოვანი მხარე. ვაგრძნობინოთ ბავშვებს, რომ ვუსმენთ, დაინტერესებულები ვართ მათით, ვეკითხებით და ა.შ“.

კვლევის შედეგები მოწმობს, რომ რესპოდენტებს ნათლად აქვთ წარმოდგენილი, რომ ბალი ბავშვებისა და პერსონალისათვის მზრუნველი, კომფორტული და მიმზიდველი ადგილია, როდესაც მისი ფიზიკური გარემო კეთილმოწყობილი, გულითადი და უსაფრთხოა; ისინი ასევე აფიქსირებენსაკუთარი როლს და აქტივობებს ასეთი გარემოს შექმნისათვის; თუმცა ეს აქტივობები ძალიან ზოგადია, ნაკლები კონკრეტიკაა გადმოცემული და კიდევ უფრო უინტერესო ხდება, როდესაც ამგვარი გარემოს განვითარებაზე და სამომავლო ხედვებზეა საუბარი. ვფიქრობთ, მათთვისაც საინტერესო და დასაფიქრებელი იქნება საკუთარი რეფლექსიის ანალიზი, რომელიც სამომავლოდ ხელს შეუწყობს მათი მუშაობის ეფექტურობის გაზრდას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. მიქელაძე, თ., მახაშვილი, დ., მოდებაძე, ნ., ძამუკაშვილი, შ., ნახუცრიშვილი, ნ., ბასილაშვილი, ნ., გაბაშვილი, ნ., სიღამონიძე, მ., ეჭიშვილი, გ., რაზმაძე, ჰ. (2022). „აღმზრდელ-პედაგოგთა რეფლექსია ხარისხიანი ადრეული ინკლუზიური განათლებისათვის“, თბილისი

2. „ადრეული ინკლუზიური განათლება“. სახელმძღვანელო პრაქტიკოსებისათვის, თბილისი, 2020;
3. დოლიძე, ხ., ცინცაძე, ნ., კუხალეიშვილი, თ., ჯიჯავაძე, ნ., ბალანჩივაძე, ი., გრიგოლია, ი., აბაკელია, ნ. (2015). ბაგა ბადის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო. თბილისი
4. აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი, თბილისი, 2017 წ;
5. ფირჩხაძე, მ. (2013). რეფლექსია და სასწავლო პროცესი. თბილისი
6. <http://mastsavlebeli.ge/?p=2223>
7. Schön, D.A. (1991). The Reflective Practitioner: how professionals think in action. London: Temple

**Nino Modebadze**  
Iakob Gogebashvili Telavi State University  
**Davit Makhashvili**  
Iakob Gogebashvili Telavi State University

### **Analysis of one of the directions of “Research of Nursery School Teachers’ Reflection” (on the example of Telavi Municipality Nursery Schools)**

#### **Abstract**

The instrument which was chosen for the research of preschool teachers’ reflection in Telavi Municipality aimed to improve the quality of inclusive education. Three questions of the instrument made research participants to think about the existing (present) practice in nursery schools and one question referred to the future-what would they like to change. The aim of the research was to describe the vision of respondents, mainly-how they perceive the process of high quality inclusive education and what ways of improvement they see. Research results show that respondents have clearly realized that nursery school is caring, comfortable and attractive place for children and the staff and its physical environment is well furnished and safe. They realize their role and activities for creation such environment, though these activities are very general, there is little concretization and they still see concrete ways ambiguous for developing such environment.

**საკვანძო სიტყვები:** ბაგა-ბაღი, გულითადი ატმოსფერო, გსმ ბავშვი, რეფლექსია, კვლევა.  
**Key words:** Pre-school education, kindergarten teachers, SEN children, reflection, research.

#### **მაკა სიღამონიძე**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **დაწყებითი სკოლის ზედა საფეხურის (5-6 კლასები) დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეების წერიტი უნარების კვლევა (ერთი შემთხვევის ანალიზი)**

ბავშვის გარკვეული კატეგორია, რომელთაც სკოლაში შესვლამდე თითქოს განვითარების პრობლემები არ ჰქონდათ, სკოლაში შესვლისას სიძნელეებს აწყდებიან. მასწავლებლებზე ისინი ხშირად უყურადღებო, ზარმაცი მოსწავლეების შთაბეჭდილებას ტოვებენ, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. დასწავლის უნარის დაქვეითების დახასიათება საკმაოდ რთულია, რადგან იგი ყოველ შემთხვევაში

განსხვავებულ ხასიათს ატარებს. „სწავლის უნარის დაქვეითება ზოგადი სახელწოდებაა დარღვევის ჯგუფისათვის, რომელიც ვლინდება კითხვის, წერის, მათემატიკური უნარების განვითარების დეფიციტში და სავარაუდოდ დაკავშირებულია ცენტრალური ნერვული სისტემის დისფუნქციასთან“ (ქურციკიძე, ლ., ტყემელაშვილი., შ. 2018). საქართველოში, გამომდინარე ბავშვთა უფლებების დაცვის კანონმდებლობიდან, ინკლუზიური განათლების სწორად წარმართვა ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია, ამდენადმისი ცალკეული საკითხების კვლევა და დამუშავება მეტად მნიშვნელოვანი და საშური თემაა. მოსწავლეთა კურიკულუმში ჩართულობის მიზნით, არაერთი მეთოდი შემუშავებული. ჩართვა გულისხმობს განათლების პროცესში ატიპური განვითარების მქონე მოსწავლეების ყოფნას ტიპური განვითარების მქონე თანატოლებთან. „ასეთი მოსწავლეები იმყოფებიან აუცილებელი აკომოდაციებით, მოდიფიკაციებითა და დამატებითი დახმარებებით აღჭურვილ კლასებში (კEDUCATION, DISABILITY AND SOCIAL POLICY., (2011). იქვე: „წერის ინსტრუქცია არის კომპლექსური კითხვის პროგრამის მნიშვნელოვანი, მაგრამ ხშირად უგულებელყოფილი ნაწილი. ეს ფაქტი „სამწუხაროა, რადგან კითხვა და წერა ორმხრივი პროცესია“ (EDUCATION, DISABILITY AND SOCIAL POLICY“ (2011). ეროვნული სასწავლო გეგმის ეფექტიანად დანერგვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა სსსმ მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნა და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვა. ცხადია, ამ პროცესს რეალურ პედაგოგიკურ პრაქტიკაში ხშირად პრობლემებიც ახლავს, რაც, ძირითადად, გამოწვეულია მასწავლებლის არასათანადო მზაობით, სსსმ ბავშვებთან მუშაობის არასაკმარისი კომპეტენციების ფლობით. ეს განსაკუთრებით ხშირია იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლეს აქვს დარღვევები, რომლებიც ვიზუალურად ცხადად არ აღიქმება, (როგორებიცაა, მაგ., დასწავლის უნარის დაღვევის შემთხვევები). ამ დროს ხშირად საქმე გვაქვს გვიან იდენტიფიცირებასთან და/ან შესაბამისი ინტერვენციების არასათანადოდ განხორციელებასთან. შესაბამისად, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა დაწყებითი სკოლის ზედა საფეხურის (მე-5 -მე-6 კლასები) დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეების წერითი უნარების განვითარების შესწავლადა მომავალში შესაბამისი ინტერვენციების შემუშავება. ამის შესაბამისად, კვლევა თვისობრივ ხასიათს ატარებდა და კვლევის სამიზნე ჯგუფში გავაერთიანეთ საჯარო სკოლების (ართანა, იყალთო, ფშაველი, რუისპირი და შალაური) 5-6 კლასების ქართული ენისადალიტერატურის საგნის პედაგოგები, რომელთა კლასებშიც არიან დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეები, სულ 6 პედაგოგი. კვლევის ინსტრუმენტად შეირჩა სტრუქტურირებული კითხვარი, რომლებიც დაეგზავნათ პედაგოგებს შესავსებად. ამ ეტაპზე ერთი ქეისის ანალიზს მოვახდენთ.

პედაგოგს, რომელსაც მეხუთე კლასში დასწავლის უნარის მქონე მოსწავლე ყავს, წერისა და წერითი მეტყველების განვითარების ერთ-ერთ სირთულედ მიაჩნია ქართული ენისა და ლიტერატურის ერთობლივად სწავლება. ის თვლის, რომ ცალკე საათები დაეთმოს ენის, ცალკე კი ლიტერატურის სწავლებას. ნინოს (პირობითი სახელია) ძირითადი პრობლემა, როგორც პედაგოგი აფიქსირებს, არის “სიჩუმე“, კომპლექსდებამოსწავლეების თანდასწრებით კითხვის დროს, ამიტომ ხმამაღალი კითხვისგან თავს იკავებს, მორცხვობს. ნინო წერას არასდროს არ არიდებს თავს, თუმცა ეს აისახება წერით მეტყველებისა ხარისხზე; გაკვეთილზე ჩართულობის

მოტივაციასაშუალოა. პედაგოგთან პირისპირ უფრო თამამდება და „სიამოვნებით, ნელი ტემპით კითხულობს“. კვლევაში ჩანს, რომ ნინოს აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და გრძელვადიანი მიზანი, რომლის მიხედვითაც მან მომავალში უნდა შეძლოს გაწაფული კითხვა, სიუჟეტური ბარათების დალაგებით 5-6 მარტივი წინადადებისგან შემდგარი ტექსტის წაკითხვა, გაგება და წერილობით გადმოცემა, სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, მოკლევადიანი მიზნები-ილუსტრაციის დახატვა, ეპიზოდის დაწერა, ილუსტრაციის აღწერა, პერსონაჟის დახასიათების წერილობით გადმოცემა. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში გაწერილი მიზნების შესასრულებლად პედაგოგი ფიქრობს მოსწავლისათვის საპრევენციო ღონისძიებებზე დაამისათვის ეფექტურ სტრატეგიებად მიაჩნია: გრაფიკული სქემების, ნახატების შეთავაზება, მისთვის შესაბამისი კითხვების დასმა ტექსტიდან, ან მოდიფიცირებული მცირე წერითი დავალებასმოფიქრება, კლასისათვის წერითი დავალების მორგება და მოდიფიცირება ნინოს საჭიროებაზე. შესაძლებელია დასახატითემის შერჩევა(რადგან მას მოსწონს ხატვა და კლასის აქტივობის პარალელურად ის ხატავს მისთვის სასურველ ნახატს). პედაგოგი კითხვარის შევსებისას აფიქსირებს, რომ მუდმივად თანამშრომლობს სპეცმასწავლებელთან, რაც ვფიქრობთ, ძალიან სასარგებლოა მოსწავლისთვისაც და პედაგოგისთვისაც. ასევე, პედაგოგი დროდადრო მსჯელობს სხვა საგნის პედაგოგებთან ამ მოსწავლეზე, თანამშრომლობს მათთან და უზიარებს საკუთარ გამოცდილებას, ყურადღებით ისმენს მათ მოსაზრებებსაც. მოსწავლის სასარგებლოდ პედაგოგის პროფესიონალიზმზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ის მუდმივად აწარმოებს ისგ მონიტორინგს და შედეგების ანალიზს, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ამოწმებს მოსწავლის ცოდნის დონეს, თუ არ დააკმაყოფილა შედეგმა, უბრუნდება იგივე თემას, რადგან როგორც ცნობილია, ასეთი მოსწავლეები საჭიროებენ გამეორებას, ან იგივე თემაზე ხანგრძლივ გაჩერებას. მეტად საყურადღებო აღმოჩნდა ჩვენთვის პედაგოგის მშობელთან თანამშრომლობა, რომელიც მართლაც ფასდაუდებელია ინკლუზიური განათლების განხორციელებისას. კითხვარის შევსებისას მკაფიოდ არ ჩანს, როგორ ცდილობს პედაგოგი მოსწავლის „მთავარი პრობლემის“, სიმორცხვის დაძლევას და ამ ფაქტორის დაძლევით მოსწავლის უფრო სრულფასოვან ჩართვას საკლასო აქტივობებში, თუმცა ჩვენს ყურადღებას იპყრობს პედაგოგის მიერ ნინოს განმავითარებელი შეფასებები, რომლებიც, როგორც თავად პედაგოგი მიუთითებს, მოტივირებულს ხდის და მოსწავლის თვითშეფასებასაც უმაღლებს. პედაგოგის აზრით, ასეთ მოსწავლესთან ინდივიდუალური მიდგომა საუკეთესო საშუალებაა მიზნის მისაღწევად, თუმცა, როგორც პედაგოგი წერს, თანაკლასელები გულისხმიერებას გამოხატავენ ნინოს მიმართ და ეს ფაქტი არ უნდა დარჩეს პედაგოგს ყურადღების მიღმა, რომ კლასში მეტი ჩართულობით ნინოს მუდმივად ჰქონდეს კლასისადმი მიკუთვნებისა და სრულფასოვანი წევრობის განცდა. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე აქტიურად უნდა იყოს ჩართული საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულ ყველა აქტივობაში, მის შესაძლებლობებს მორგებულია დაპტირებულია მოდიფიცირებული სასწავლო რესურსის, პედაგოგის პროფესიონალიზმისა და სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის მხარდაჭერით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაგოშიძე, თ; „ინკლუზიური განათლება“. თბილისი, 2006წ;
2. ქურციკიძე, ლ., ტყემელაშვილი, შ. 2018; „დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობა“., გზამკვლევი მშობლებისთვის., გზამკვლევი შექმნილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის საინფორმაციო და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში;
3. ჩატარებული თვისებრივი კვლევის (სტრუქტურირებული კითხვარები) მასალები;
4. EDUCATION, DISABILITY AND SOCIAL POLICY.,(2011)., Edited by Steve Haines and David Ruebain., First published in Great Britain in 2011 by The Policy Press University of Bristol;  
<https://www.unicef.org/georgia/ka/%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90>; ბავშვთა უფლებების კონვენცია.

**Maka Sidamonidze**

Iakob Gogebashvili Telavi State University

### **Studying writing skills among the 5th-6th grade students with learning disabilities at the primary school (A case study)**

#### **Abstract**

One of the important sides of implementing National Learning Plan is to direct teaching and learning process which suits to CLD (children with disabilities) students. It's true that in real pedagogical practice this process is accompanied with problems too. The aim of our research was to investigate the development of writing skills in the students of learning disorders of 5-6 classes in primary school and to collaborate appropriate interventions in the future.

The research was qualitative in nature and in the target group we united teachers of Georgian language and literature of 5-6 grades from Kakheti public schools (Artana, Ikalto, Pshaveli, Ruispiri and Shalauri) where there are students of learning disorders, though we deal with one of the analysis in the article. Teachers explain general problem of the student and tries to indicate prevention activities to solve the problem.

**საკვანძო სიტყვები:** ეროვნული სასწავლო გეგმა, თვისობრივი კვლევა, პედაგოგიური პრაქტიკა, საპრევენციო აქტივობები, სამიზნე ჯგუფი.

**key words:** National Learning Plan, qualitative research, pedagogical practice, prevention activities, target group.

## ლეილა ქარაზანაშვილი

სსიპ ლაგოდების მუნიციპალიტეტის მიხეილ გაფრინდაშვილის სახელობის  
აფენის N1 საჯარო სკოლა

### ინკლუზიური განათლება

განათლება ადამიანის ფუნდამენტური და კონსტიტუციით მინიჭებული უფლებაა. (საქართველოს კონსტიტუცია მუხლი. 35.)

ზოგადი განათლების შესახებ კანონის 33-მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, სკოლა ვალდებულია შექმნას ინკლუზიური განათლების განხორციელების შესაბამისი პირობები. სიტყვა ინკლუზია (Inclusion-ინკ.) ჩართვას ნიშნავს, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვა შესაძლებლობის ინდივიდთა თანაბარ ჩართვას საგანმანათლებლო პროცესში, რათა დაკმაყოფილდეს ადამიანის ერთ - ერთი ფუნდამენტური -განათლების უფლება. ის პასუხისმგებლობას იღებს უზრუნველყოს მრავალფეროვანი მხარდაჭერაფიზიკური, სოციალური, ემოციური, შემეცნებითი, სენსორული, კომუნიკაციის, ენობრივი და სხვა საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის.

არსებობს ინკლუზიის 7 ძირითადი პრინციპი, რომლის დაცვა ამცირებს ინდივიდის საგანმანათლებლო პროცესის მიღმა დარჩენის რისკებს და უზრუნველყოფს თანასწორობას. ესენია:

სწავლება ყველა ბავშვისთვის; იდენტობათა დანახვა და შესწავლა; ცრურწმენებისგან განთავისუფლება; სოციალური სამართლიანობის ხელშეწყობა; სათანადო მასალების შერჩევა; განსხვავებულის შესახებ სწავლა და სწავლება; საგანმანათლებლო პროცესის მორგება და ინტეგრაცია.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე(შემდგომში-სსსმ მოსწავლე), რომელსაც აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, ვერ სძლევს შესაბამისი კლასისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს და საჭიროებს გეგმის ადაპტაციას, გარემოს ადაპტაციას, ინდივიდუალური ან ალტერნატიული სასწავლო გეგმით.

იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სადაც სწავლობს სსსმ მოსწავლე, მნიშვნელოვანია ფუნქციონირებდეს შესაბამისად მოწყობილი რესურს ოთახი, რომელიც საგაკვეთილო პროცესის განუყოფელი ნაწილი იქნება, ისევე როგორც საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი და ა.შ.

ბავშვის სწავლის პროცესში, სხვა სპეციალისტებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი აკისრია მშობელს. ჩართული მშობელი, ერთის მხრივ, ავლენს პოზიტიური მშობლობის უნარს, ახდენს მისი შვილის განვითარების შესაბამის სტიმულაციას, მეორეს მხრივ კი, შესაძლებლობას ქმნის, საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვისათვის, შესაბამისად წარიმართოს ადრეული მომსახურება.

არსებობს მტკიცებულებაზე დაფუძნებული რამდენიმე სტრატეგია, ინკლუზიური სწავლების დროს, ესენია:

მულტიმოდალური სწავლება; სწავლა კეთებით; მოდელირება; სკაფოლდინგი; უკუკავშირი; კოოპერატიული ჯგუფის სტრატეგია; მიმანიშნებლები; შენარჩუნება და გენერალიზება; გრაფიკული სისტემები; საკლასო გარემოს ორგანიზება.

**მულტიმოდალური სწავლება** - ძალიან ეფექტურია, რადგან გამიზნულია სწავლების ნებისმიერი სტილის მოსწავლეზე, ამ დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა სწავლების განსხვავებული შესაძლებლობები, ის მოიცავს და ერგება ყველა მოსწავლეს. შესაბამისად, ითვალისწინებს უნივერსალური დიზაინის პრინციპებს.

**სწავლა კეთებით-** ამ სტრატეგიის დროს მოსწავლე უშუალოდაა ჩართული პროცესში, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებითა და აქტიური თანამონაწილეობით. ამ მეთოდის მთავარი იდეაა ისაა, რომ ბავშვი უკეთ შევიმეცნებს და უფრო მეტს ვსწავლობს კეთებით, გამოცდილებითა და პრაქტიკული აქტივობებით.

**სკაფოლდინგი-** წარმოადგენს სწავლების სტრატეგიას და გულისხმობს მასწავლებლის მიერ გაწეულ დახმარებას, რომელიც მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, შესაბამისი ცოდნის ათვისებითა და უნარ-ჩვევების გამომუშავებით წარმატებით გაუმკლავდეს დასახულ ამოცანებს. ეს მეთოდი საშუალებას იძვება, მოსწავლემ ნელ-ნელა მიაღწიოს დამოუკიდებლობის იმ ხარისხს, რომლის დროსაც მსგავსი დავალებების შესრულებისას აღარ დასჭირდება სხვისი მხარდაჭერა. მასწავლებელი ამ პროცესში ითვალისწინებს მოსწავლის არსებულ ცოდნას და გამოცდილებას.

**კოოპერატიული (cooperative) ჯგუფის სტრატეგია-** ეს ურთიერთთანამშრომლობის სტრატეგია გულისხმობს, მოსწავლეების ერთობლივ მუშაობას მცირე სასწავლო ჯგუფებში, რომლის დროსაც ისინი ეხმარებიან ერთმანეთს, როგორც ინდივიდუალური სამუშაოს, ისე საერთო სამუშაოს შესრულებაში .

**მიმანიშნებლები** - ამ სტრატეგიაში იგულისხმება ჟესტები, სიტყვები, სურათები და მკაფიო ინსტრუქციები . ეს მეთოდი მოსწავლეებს ეხმარება სწავლის პროცესში, ზრდის შემეცნების ხარისხსა და მოსწავლეებისგან სწორი პასუხების მიღების ალბათობას.

### **ინკლუზიური განათლების სარგებლიანობა მომავალში**

ინკლუზიური განათლება ბავშვებს საშუალებას აძლევს განუვითარდეთ თვითშეფასების შეგრძნება. ჰქონდეთ დამოუკიდებლობის, წარმატების და გართობის შესაძლებლობა. სრულად მიღებული იყოს მისი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გრძნობები. განივითაროს შემოქმედებითობა, მისი შესაძლებლობის ფარგლებში. ჰქონდეს წესრიგის, რუტინის და თანმიმდევრულობის შეგრძნება. მნიშვნელოვანია გააჩნდეთ ინდივიდუალური, ეთნიკური და კულტურული განსხვავებულობის პატივისცემის შეგრძნება, მშობლებისადმი თავაზიანობა და მხარდაჭერა.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. თამარ ისაკაძე, ნინო ლომიძე, განმავითარებელი აქტივობების კრებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, გზამკვლევი მასწავლებლებისთვის; 2020წ;
2. თამარ ისაკაძე, ინკლუზიური განათლების გზამკვლევი მშობლებისთვის, კარიტასი, 2019წ;
3. თამარ მუმლაძე, ნინო მიქაია, თამთა საამიშვილი, ქცევის მართვის პოზიტიური მხარდაჭერა, 2018წ;
4. კლასის ეფექტური მართვის სტრატეგიები: [კლასისეფექტურიმართვა](http://www.caritas.ge) » [საქართველოსკარიტასი \(caritas.ge\)](http://www.caritas.ge)

5. მათა ბაგრატიონ-გრუზინსკი, ჟანა კვაჭაძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, ნათია გაჩეჩილაძე, სასწავლო აქტივობები ყველასათვის. სწავლების მეთოდები ინკლუზიურ განათლებაში. 2017წ;
6. შორენა ტყემელაშვილი, სწავლისა და სწავლების სტრატეგიების გამოყენება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან. 2021 წ;

**Leila Karazanashvili**

LEPL Lagodekhi Municipality Apeni Mikheil Gaprindashvili N1 Public School

### **Inclusive Education**

#### **Abstract**

In Georgia, inclusive education became especially important since 2006. And it remains relevant nowadays. According to its main idea, every student is equal and each of them should have the equal opportunities to get education, to reveal their potential.

It is extremely essential to create an environment, where both teacher and parent will be involved in this process. The learning process should be suitable for students with various abilities. The school should have different methodologies and strategies, if we want to get the best results.

In conclusion, inclusive education teaches to students that they all have the same rights and opportunities, they accept each other with their positive and negative sides.

**საკვანძო სიტყვები:** ინკლუზიური განათლება; დიფერენცირებული კურიკულუმი; სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვები ; სპეციალური საჭიროებები ; სკაფოლდინგი

**Key words:** Inclusive education; differentiated curriculum; exceptional children; special needs scaffolding.



# საგნის სწავლების მეთოდთა

## თამარ მიქელაძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ნარატიული კვლევა და მისი თავისებურებები უცხო/მეორე ენის სწავლებისას

ნარატიული კვლევა თავისებრივ კვლევებს მიეკუთვნება და კონსტრუქტივისტულ პარადიგმაზეა დაფუძნებული. მასში მკვლევარი საკვლევ რეალობას ობიექტურ მოცემულობად კი არ აღიქვამს, არამედ როგორც სოციალურად კონსტრუირებულს. მოცემული ნაშრომის მიზანია განიხილოს უცხო/მეორე ენის სწავლებისას ნარატიული კვლევის თავისებურებები.

ნარატიულ კვლევას, როგორც კვლევის მეთოდოლოგიას, ჯონ დიუიმ, ფილოსოფოსმა და განათლების თეორეტიკოსმა, ჩაუყარა საფუძველი. დიუიმ გამოიყენა სამგანზომილებიანი ნარატიული სტრუქტურის მიდგომა (ურთიერთქმედება, უწყვეტობა და სიტუაცია) მნიშვნელობის ასახსნელად და ეს მიდგომა გამოცდილების მისეულ ფილოსოფიაში ცენტრალურ ადგილს იკავებს პირად და სოციალურ კონტექსტში. ეს მიდგომა გვთავაზობს ადამიანის შესაცნობად გამოვიკვლიოთ არა მხოლოდ მისი პირადი გამოცდილება, არამედ მისი ურთიერთქმედება სხვა ადამიანებთან. დიუის სამგანზომილებიანმა ნარატიული სტრუქტურის მიდგომამ დიდი გავლენა მოახდინა ნარატიული კვლევის შესწავლასა და გამოყენებაზე განათლებაში.

უწყვეტობა ან დროში თხრობა ცენტრალურია ნარატიული კვლევისთვის. სიუჟეტის გაანალიზებისას მკვლევარი განიხილავს მთხრობელის წარსულ და აწმყო ქმედებებს, რადგან ეს ქმედებები, სავარაუდოდ, მომავალშიც მოხდება.

### უცხო/მეორე ენის სწავლებისას ნარატიული კვლევა

დაახლოებით 1980-იან წლებში პოზიტივისტური კვლევის პარადიგმას დაუპირისპირდა „პროცესზე ორიენტირებული“ (Nunan and Choi, 2001, გვ. 1) ან „პროცესი-პროდუქტი“-ს კვლევა, რომელიც ცნობილია როგორც თავისებრივი კვლევა. პოზიტივისტური კვლევის პარადიგმის პროდუქტზე ორიენტაციისგან განსხვავებით, თავისებრივი კვლევის პარადიგმა უფრო მეტად ეხება მეორე/უცხო ენის შესწავლის პროცესებს. Nunan-ი (1989) აღნიშნავს, რომ თავისებრივი მიდგომა მეორე ენის შესწავლის მიმართ ფოკუსირებულია „დოკუმენტირებასა და ანალიზზე, თუ რა ხდება რეალურად კლასში და არა უბრალოდ სწავლის საბოლოო შედეგის გაზომვაზე“. ასეთი ტიპის კვლევა უპირველეს ყოვლისა ცდილობს შეისწავლოს „სწავლა-სწავლების სირთულეები ზოგადად“ ვიდრე მოიძიოს მტკიცებულება მოცემული მეთოდის, სასწავლო წიგნის, პრაქტიკის და/ან მოსწავლეების გარკვეული მახასიათებლების უპირატესობის შესახებ.

უცხო ენის სწავლების სფეროში თავისებრივი კვლევების დაწყების შემდეგ ყურადღება გამახვილებულია „ადამიანებზე, რომლებიც რეალურად ასწავლიან და სწავლობენ ენებს და როგორ ჯდება ენების სწავლა-სწავლების საქმიანობა მათ

ცხოვრებაში“ (Barkhuizen, Benson, and Chik, 2014, გვ. 11). შესაბამისად, ნარატიული კვლევის როლი დიდია ამ სფეროში. კვლევის ნარატიული მიდგომები ენის შემსწავლელებს განიხილავენ არა როგორც კვლევის ობიექტს, არამედ როგორც ადამიანებს, რომლებიც „აქტიურად მონაწილეობენ საკუთარი სწავლის პირობებისა ფორმირებაში“.

მიუხედავად უნიკალური შეხედულებებისა, რომელსაც ნარატიული კვლევა წარმოაჩენს უცხო ენის სწავლებაში, ნარატიულ კვლევას ხშირად არ მიმართავენ. 1997-2006 წლებში 10 საერთაშორისო უცხო/მეორე ენის სწავლა-სწავლების ჟურნალის კვლევაში, Nelson-ის (2011) მიხედვით 500-მდე სტატიიდან მხოლოდ 10 პროცენტი იყო ნარატიულ კვლევაზე ორიენტირებული, თუმცა მათ ღიად არ უწოდებდნენ ნარატიულს.

მეორე ენის სწავლებაში ჩატარებული ნარატიული კვლევების შესწავლისას, Zacharias-ი (2016) გამოყოფს ოთხ ინსტრუმენტს, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება ნარატიული მონაცემების შესაგროვებლად: ინტერვიუ, ჟურნალი/დღიური, ენის შესწავლის ისტორიები/ავტობიოგრაფია და დაკვირვება.

უცხო ენის შემსწავლელთა და მასწავლებელთა ნარატიული მონაცემების მოპოვებისას, მკვლევარმა უნდა იცოდეს ორი მნიშვნელოვანი საკითხი. პირველი საკითხია ნარატიული კვლევის ენა. ამასთან დაკავშირებით აქტუალურია Tomlinson-ის (2000) მიერ შემუშავებული შინაგანი ხმის კონცეფცია უცხო/მეორე ენის შესწავლისას. შინაგანი ხმა არის - მეტყველების ხმა გონებაში. „[ენას] ჩვენ ვიყენებთ ... როცა საკუთარ თავს ვესაუბრებით, როცა გვსურს განვავითაროთ ჩვენი პასუხები და აზრები და როცა გვჭირდება გადაწყვეტილებების მიღება ან გეგმების ჩამოყალიბება“. როდესაც მკვლევარი სთხოვს მოსწავლეებს რაიმე სიტუაციის გახსენებას ან ეპიზოდის თხრობას, მაშინ მოსწავლეს სჭირდება წვდომა მის შინაგან ხმაზე. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ მშობლიურ ენაზე მიმდინარე თხრობა გაცილებით მდიდარი და ინფორმაციული იქნება. ნარატიულ კვლევის უცხო ენაზე წარმართვის შემთხვევაში გასათვალისწინებელია უცხო ენის ცოდნა. McCafferty-ის (1994) კვლევამ აჩვენა, რომ რაც უფრო მაღალია ენის ცოდნის დონე, მით უფრო ადვილად შეძლებენ მოსწავლეები საკუთარი აზრების გადმოცემას. კიდევ ერთი საინტერესო ასპექტი, როდესაც კვლევა მიზნად ისახავს მოვლენის მონაწილეთა ენობრივი წარმოდგენის შესწავლას, მაშინ ნარატიული მონაცემების შეგროვება ორივე ენაზე - მშობლიურ და უცხო/მეორე ენაზე შეიძლება მიზანშეწონილი იყოს, რადგან „მოვლენების პრეზენტაცია შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სხვადასხვა მეტყველების ენაზე (Pavlenko, 2007, გვ. 172). Nekvapil (2003) გვთავაზობს რამდენიმე ნარატივის შეგროვებას ერთი და იმავე მონაწილისგან იმ ენებზე, რასაც კვლევის მონაწილე ფლობს. ნარატივები უნდა შეგროვდეს სხვადასხვა ინტერვიუერების მიერ, რათა შესაძლებელი იყოს განსხვავებული იდენტობების კონსტრუქცია სხვადასხვა ინტერვიუერთან. კიდევ ერთი პრაქტიკული მიდგომაა მონაწილეების აზრის გათვალისწინება, თუ რომელ ენაზე სურთ ნარატივების გაზიარება.

ენა რეალობის ღრმა სურათს გადმოსცემს და იგი არაა მარტივი ტექნიკური სამუალება მნიშვნელობის გადმოსაცემად. რისმანის (Riessman, 2008) მიხედვით მონაწილეები უბრალოდ არ მოგვითხრობენ განყენებული სამყაროს შესახებ. ეს 'მოთხრობები' კონსტრუირებულია შემოქმედებითად, სავსეა ვარაუდებით და ინტერპრეტაციებით. ნარატიული კვლევა უბრალოდ არ განიხილავს „რა“ არამედ

იკვლევს „როგორ“ რომ სრულად ჩასწვდეს საკითხს - „უნარი კარგად გადმოსცე ამბავი, წარმოაჩინო საკუთარი თავი კარგი მხრიდან და შენი ნათქვამი იყოს გაგებული მსმენელის მიერ, წარმოადგენს „მთხრობელის პრობლემას“ რისმანის მიხედვით (Riessman, 2008). კვლევის მონაწილეს უწევს სათანადო გამოცდილების გამოხმობა მეხსიერებიდან, იმისათვის რომ შეიქმნას მნიშვნელობა კვლევის კითხვებთან მიმართებაში. კვლევის მონაწილემ შეიძლება გამოიყენოს ცრუ დაწყებები, ბგერები, ყოყმანი, პაუზა და გამეორებები იმისათვის, რომ გადმოსცეს „როგორ.“ ასეთი დეტალები ტრანსკრიპტში, შემდგომ მკითხველში ქმნის დამაჯერებლობის განცდას და აფიქრებს იმ შინაგან ბრძოლაზე, რასაც მთხრობელი განიცდის თხრობისას. მნიშვნელობების კონსტრუირება ორმხრივად ხდება მკვლევრის და კვლევის მონაწილის აზრების გაცვლა-გამოცვლითა და დაზუსტებით.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია „დისკურსული თანამშრომლობის“ ხარისხი მკვლევარსა და კვლევის მონაწილეს შორის (Barkhuizen, Benson, and Chik 2014), თუ რამდენად ეძლევა საშუალება მკვლევარს ჩაერთოს მონაცემთა ფორმირებასა და გაფორმებაში. მონაცემთა შეგროვების თითოეული ზემოთ ნახსენები ინსტრუმენტი მოითხოვს მკვლევარსა და მონაწილეებს შორის თანამშრომლობის განსხვავებულ ხარისხს. ზოგადად, ვერბალური ინსტრუმენტი, როგორცაა ინტერვიუ, მოითხოვს მკვლევარსა და მონაწილეს შორის თანამშრომლობის შედარებით მაღალ ხარისხს. ხშირად ასეთი თხრობა დიალოგის ფორმას იძენს (Menard-Warwick, 2011).

ნარატიულ კვლევაში მონაწილეებს საშუალება აქვთ ღია კითხვების საშუალებით მოუთხრონ ამბავი გამოცდილების შესახებ და დაფიქრდნენ იმ ასპექტებზე, რომელიც მათ სურთ, რომ გადასცენ თავიანთ მსმენელებს. ყველაზე მარტივი შეკითხვებიც კი შეიძლება იყოს სხვანაირად გაგებული. Holstein & Gubrium-ის (1995) მიხედვით აქტიური ინტერვიუერი ააქტიურებს ნარატივის გადმოცემას და კვლევის მონაწილე მიმოიხილავს საკვლევ საკითხს სხვადასხვა ჭრილში.

მკვლევრის მიერ კვლევის მონაწილე ჯეროვნადაა დაფასებული, როგორც ექსპერტი საკუთარ ცხოვრებაში. ეს არის მისი ცოდნა და გამოცდილება კვლევის საკითხთან მიმართებაში, რაც მნიშვნელოვანია ამბის მოყოლაში და კვლევის პროცესში, რადგან ურთიერთობის კონტექსტი გავლენას ახდენს იმაზე თუ რა ითქვა, როგორ ითქვა, მკვლევრის და მონაწილის მახასიათებლები, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და კულტურულ/ისტორიული კონტექსტი.

წერილობითი კვლევის ინსტრუმენტები (მაგ. ჟურნალი/დღიურები და ენის შესწავლის ისტორია) გულისხმობს მკვლევართა მცირე ან სრულიად პასიურ როლს ნარატივის ჩამოყალიბების პროცესში. წერილობითი ნარატივები დროში ეფექტურია შესაგროვებლად.

## **დასკვნა**

ნაშრომში საუბარია ნარატიული კვლევის მნიშვნელობასა და უცხო/მეორე ენის სწავლების პროცესში ნარატიული კვლევის მონაცემების შეგროვების თავისებურებებზე, როგორცაა ენა და მკვლევრისა და კვლევის მონაწილის თანამშრომლობა კვლევის პროცესში. ნაშრომის მიზანია წახალისოს საქართველოში მასწავლებლები და მკვლევრები, რომ მიმართონ ნარატიულ კვლევას, როგორც თვისებრივი კვლევის მონაცემთა შეგროვების ეფექტურ საშუალებას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Barkhuizen, G., Benson, P., Chik, A. (2014). Narrative Inquiry in Language Teaching and Learning Research. New York: Routledge.
2. Holstein, J.A. & Gubrium, J.F. (1995). The Active Interview. London: Sage.
3. McCafferty, S. G. (1994). The use of private speech by adult ESL learners at different levels of proficiency. In J.P. Lantolf and G. Appel (Eds.), Vygotskian approaches to second language research (pp. 117-134). Norwood, NJ: Ablex.
4. Menard-Warwick, J. (2011). A methodological reflection on the process of narrative analysis: Alienation and identity in the life histories of English language teachers. TESOL Quarterly, 45(3), 564-574.
5. Nekvapil, J. (2003). Language biographies and the analysis of language situations: On the life of the German community in the Czech Republic. International Journal of the Sociology of Language, 162, 63-83.
6. Nelson, C. D. (2011). Narratives of classroom life: Changing conceptions of knowledge. TESOL Quarterly, 45(2), 463-485.
7. Nunan, D. (1989). Understanding Language Classrooms. Cambridge: Prentice Hall.
8. Nunan, D. and Choi, J. (2001). Language and Culture: Reflective narratives and emergence of identity. New York: Routledge.
9. Riessman, C.K. (2008). Narrative Methods for the Human Sciences. London: Sage.
10. Tomlinson, B. (2000). Talking to yourself: The role of the inner voice in language learning. Applied Language Learning, 11(2), 123-154.
11. Zacharias, N.T. (2016). Narrative data and analysis in Second Language teaching and learning. Indonesian Journal of English Language Teaching, 11(2), October 2016, pp. 101-116

**Tamar Mikeladze**

Iakob Gogebashvili Telavi State University

### **Narrative research and its peculiarities in Foreign/Second language teaching**

#### **Abstract**

The paper discusses the importance of narrative research and its peculiarities in the process of foreign/second language teaching, such as the language and the role of the researcher in the process of narrative research. The purpose of the paper is to encourage teachers and researchers in Georgia to apply narrative research as an effective means of qualitative data collection.

**საკვანძო სიტყვები:** ნარატიული კვლევა, უცხო/მეორე ენის სწავლება, თვისებრივი კვლევა, ინტერვიუ.

**Keywords:** narrative research, foreign/second language teaching, qualitative research, interviews.

**განმავითარებელი შეფასების განხორციელების აქტუალური საკითხები**

ზოგადი განათლების სფეროში სწავლა-სწავლების აქტუალური თემების განხილვისას ხშირად აქცენტები კეთდება საკითხებზე, თუ როგორ ავამაღლოთ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები და როგორ შევუწყოთ ხელი მოსწავლეთა განვითარებას, აზროვნებითი პროცესების გააქტიურებას შეფასების დახმარებით, კონკრეტულად კი, განმავითარებელი შეფასებით.

მიუხედავად საკითხების არაერთგზის გაშუქებისა სტატიების, პუბლიკაციების, მასწავლებელთა ტრენინგების დახმარებით, განმავითარებელი შეფასების განხორციელებისას გამოიკვეთება რიგი ხარვეზები და სირთულეები: მასწავლებლებს კვლავ უჭირთ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენება, ხშირად არ ხდება განმავითარებელი შეფასების კონცენტრირება კონკრეტულ საკითხზე, მოსწავლე ვერ იღებს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რადგან მიღებული შეფასება არ არის მიმართული მოსწავლის საჭიროებებზე. აღნიშნული დასკვნების გაკეთების უფლებას გვაძლევს USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საგაკვეთილო ქოუჩინგები კახეთის რეგიონის რვავე მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის ქართულისა და მათემატიკის 387 მასწავლებლებთან, სადაც უმრავლეს შემთხვევაში გამოიკვეთა გარკვეული სიმწირე, ნაკლოვანებები და ხარვეზები განმავითარებელი შეფასების განხორციელებისას. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ თავად პედაგოგები აღნიშნავენ განმავითარებელი შეფასების საკითხების მეტი სიცხადით გარკვევის, შეფასების ტექნიკების და მისი განხორციელებისთვის საჭირო კომპეტენციების დაუფლების, ამაღლების საჭიროებას. ამაზე მეტყველებს კახეთის რეგიონში დაწყებითი საფეხურის ქართულისა და მათემატიკის პედაგოგებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგები. გამოკითხვა ჩატარდა USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სემინარების წინმსწრებად, რათა დაგვედინასაჭიროებებიდან გამომდინარე, რა თემების შესახებ სურდათ მათ სესიების, ტრენინგების ჩატარება. გამოკითხვაში მონაწილერეგიონის 153 პედაგოგიდან უმრავლესობამ, 71,24%-მა, შეთავაზებული თემებიდან უპირატესობა მიანიჭა განმავითარებელ შეფასებას. რა იწვევს ამ შედეგებს? რატომ უჭირთ პედაგოგებს განმავითარებელი შეფასების სათანადოდ განხორციელება და რატომ განიცდიან ამ სფეროში ცოდნისა თუ კომპეტენციების დეფიციტს? არსებული რეალობის და მიღებული კვლევის შედეგების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შემოგთავაზებთ გარკვეულ დასკვნებს.

უპირველესად, განვიხილავთ თავად განმავითარებელი შეფასების გამოყენების მთავარ მიზანს: მესამე თაობის ესგ-ს მიხედვით განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე, რომლის მიზანიცა არის მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობა. ხოლო, ერთ-ერთი ამოცანაა მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის, საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად გააზრებული ნაბიჯების გადადგმის უნარების შეფასება; [1]

აქ უკვე ჩნდება კითხვა: რამდენად აქვს პედაგოგს რეალურად გააზრებულ-გათავისებულები, რომ განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა მოსწავლეთა განვითარება-ფორმირება, რიგი კომპეტენციების დაუფლების ხელშეწყობა, რაც უპირველესად განპირობებული უნდა იყოს მათი თანამონაწილეობითა და აქტიური ჩართვით შეფასებისა თუმაკორექტირებელი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელების პროცესში და უზრუნველყოს სწავლის სწავლა? ფაქტია, რომ ყველა პედაგოგი აღიარებს განმავითარებელი შეფასების სარგებლიანობას სწავლა-სწავლებაში, მაგრამ რეალურად, მისი როგორც „მაფორმირებელი“ პროცესის როლი არ აქვთ გათავისებულები. თავად განმარტებაც ესგ-დან, არ აკეთებს აქცენტს განმავითარებელი შეფასების მაფორმირებელ ფუნქციაზე. „განმავითარებელი შეფასების“ ინგლისური შესატყვისი ტერმინი კი, „formative assessment“, ქართულად ითარგმნება როგორც „მაფორმირებელი შეფასება“. [2] რისი ფორმირება უნდა ხდებოდეს განმავითარებელი შეფასებისას და რისი განვითარება? ცხადია, აქ იგულისხმება მოსწავლის, როგორც კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნების ფორმირება, რომელსაც შეწევს უნარი გაანალიზოს, კრიტიკულად შეაფასოს საკუთარი მიღწევები და შესაძლებლობები, ნათლად დაინახოს საკუთარი განვითარების დინამიკა, პროგრესი, მოიაზროს, დაგეგმოს და განახორციელოს წარმატების მიღწევის გზები ძლიერ მხარეზე დაყრდნობით სუსტი მხარეების გამოსასწორებლად და დასახული მიზნის მისაღწევად.

ვფიქრობთ ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ამ საკითხზე მნიშვნელოვანი აქცენტები გაკეთდა USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ ტრენინგებსა თუ სატრენინგო მასალებში, სადაც საკითხის ფოკუსირება მოხდა განმავითარებელ შეფასებაზე, როგორც მაფორმირებელ შეფასებაზე. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ საკითხის მეტი განვრცობა და სიღმისეულად წარმოდგენა, რათა მეტ პედაგოგს ქონდეს წვდომა ამ საკითხებზე, რომ ნათლად გაიაზროს განმავითარებელი შეფასების მიზნები კონკრეტულ სიტუაციაში, რა ინსტრუმენტების გამოყენება იქნება ეფექტიანი ამ სიტუაციაში მოსწავლეთა განვითარებისა და „ფორმირების“ თვალსაზრისით, როგორ განახორციელოს შეფასება და შეუწყოს ხელი მოსწავლეთა თვითშეფასების ამაღლებას, რაც გარკვეულ ფუნდამენტს შექმნის განმავითარებელი შეფასების საჭირო შედეგების მიღწევის თვალსაზრისით.

თუ მოვიშველიებთ ესგ-ს, სადაც ჩამოყალიბებულია სწავლა-სწავლების მიზნები, ვნახავთ, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არის მოსწავლისათვის გამჭოლი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბება-განვითარება, რაც მოიცავს: კრიტიკულ და შემოქმედებითაზროვნებას: ფაქტების, წარმოდგენების, მოსაზრებების კრიტიკულად განხილვას და გაანალიზებას; გამოწვევების მიღებას, გაბედული ნაბიჯების გადადგმას, შეკითხვების ჩამოყალიბებას და მათზე პასუხის ძიებას; პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, მათგან ყველაზე ეფექტურის შერჩევას, გონივრული არჩევანის გაკეთებას და მის დასაბუთებას შესაფერისი არგუმენტების მოყვანით, ასევე, საკუთარ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრებას, სწავლის სწავლას და დამოუკიდებლად საქმიანობას: აქტივობის/დავალების დაგეგმვას, იმისგან ჭკრეტას, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევას სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის; თვითშეფასებას ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვას.[1]

რამდენად ხდება ამ მიმართულებით განმავითარებელი შეფასების განხორციელება რეალურად? უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლეს შემთხვევაში განმავითარებელი შეფასების დროს მთავარი შემფასებელი და შესაბამისი ქმედითი აქტივობების დამგეგმავი არის პედაგოგი. მოსწავლე კი, მოლოდინის რეჟიმში მყოფი პირი, რომელიც ელოდება მასწავლებლის შეფასებას და უკუკავშირს. თავად ნაკლებად ერთვება ამ პროცესში, სადაც ფაქტიურად თითქმის გამორიცხულია თვითშეფასება, საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა და ხარვეზების, ნაკლოვებებების დასადგენად, გამოსასწორებლად ქმედითი, გააზრებული ნაბიჯების დაგეგმვა-განხორციელება. ცხადია, თუ არ ჩავთვლით იმ მცირე აქტივობებს, როდესაც მასწავლებელი იყენებს რიგ ინსტრუმენტებს, (როგორცაა მაგალითად შეფასების „ფერადი ბარათები“ და სხვა მსგავსი) მოსწავლეთა მიერ საკუთარი ცოდნის ან მიღებული შედეგების შესაფასებლად, რაც ცხადია სრულად ვერ უზრუნველყოფს სასურველ შედეგს. როდესაც შეფასების პროცესში ჩართულია თავად მოსწავლე, ცხადია ეს ზრდის შეფასების ეფექტიანობას. მოსწავლე თავად ადარებს თავის წინა და ახლანდელ მდგომარეობას, ხედავს პროგრესს ან რეგრესს მიღწევების დინამიკაში. თავად დაადგენს და განსაზღვრავს ამის გამომწვევ მიზეზებს, დასახავს წარმატების გაძლიერებისა თუ წარუმატებლობის დაძლევის გზებს. ცხადია ამას უცილობლად ექნება მოსწავლის განმავითარებელი და პიროვნული ფორმირების ბევრად ეფექტური შედეგი, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა ამის შეფასება-დადგენა და სამოქმედო გზების დასახვა ხდება მასწავლებლის მიერ.

როდესაც ვსაუბრობთ მოსწავლის პიროვნულ ფორმირებაზე, არ შეიძლება არ განვიხილოთ ისევ ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები, კონკრეტულად, რომელიც ეხება სწავლის სწავლას.[1] რადგან განმავითარებელი შეფასება წარმოადგენს სწავლების პროცესის განუყოფელ ნაწილს, ცხადია ეს მოთხოვნები ეხება ამ პროცესსაც. საგაკვეთილო პროცესებზე დაკვირვებამ გამოკვეთა განმავითარებელი შეფასების განხორციელების ორი მნიშვნელოვანი ნაკლოვანება, რაც არცთუ იშვიათად გამოვლინდება სწავლა-სწავლების პროცესში: მასწავლებელი ან სრულად არ აძლევს კონსტრუქციულ უკუკავშირს მოსწავლეს და შემოიფარგლება მხოლოდ სიტყვიერი შეფასებით (კარგი ბიჭი/გოგო ხარ, ყოჩაღ, ან, არ მომწონს, ეს არ გაქვს კარგად გაკეთებული და ა. შ.), ან თუ აძლევს კონსტრუქციულ უკუკავშირს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქაც მთავარი შემფასებელი არის თავად და თავადვე განსაზღვრავს მოსწავლის შემდგომ ქმედით ნაბიჯებს შედეგების ასამაღლებლად და სასწავლო მიზნების მისაღწევად. ცხადია, ამ შემთხვევაში მასწავლებელი ვერ მიაღწევს სასურველ შედეგს, რადგან მოსწავლე არის პასიური და არ არის აქტიურად ჩართული სწავლა-სწავლების პროცესში. როგორ შეიძლება, რა მიდგომებით, რა ინსტრუმენტების გამოყენებით მოსწავლეთა აქტიური ჩართვა შეფასების პროცესში და ესგ-ს მოთხოვნების განხორციელების ხელშეწყობა? ერთ-ერთ ღირებულ ინსტრუმენტად მივიჩნევთ მოსწავლეთა თვითშეფასების უცილობელ ჩართვას ამ პროცესში. ამ მიზნით მოსწავლეთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენებას, სადაც მითითებული იქნება კრიტერიუმების ერთგვარი ერთობლიობა მიღწევების დონეებით. ნათლად, მოსწავლისათვის გასაგები ენით ჩამოყალიბებული რუბრიკები საშუალებას მისცემს მას კრიტიკული ანალიზით მოახდინოს თვითშეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, გარკვეული მიღწევის დონესთან საკუთარი მდგომარეობის მისადაგება, განსაზღვრა. მასწავლებელს კი ეძლევა საშუალებამოსწავლის საჭიროებებზე მორგებით მეტი სიზუსტით

განახორციელოს უკუკავშირი. რადგან მოსწავლის მიერ შევსებული რუბრიკა დაეხმარება მას კარგად განსაზღვროს თუ რა იყო კარგად შესრულებული მოსწავლის მიერ, რაშია მისი ძლიერი მხარე, და ასევე, რა გაუჭირდა, რა ხარვეზები გამოვლინდა, რა სიმწელებებს წააწყდა მოსწავლე დავალების შესრულებისას, რაშია მისი სუსტი მხარე, რამდენად რეალურად აფასებს მოსწავლე საკუთარ შესაძლებლობებს. ცხადია, ეფექტური უკუკავშირის მისაცემად ეს ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლის მოსაზრებებთან შეჯერებით ერთობლივად დაისახოს სამოქმედო აქტივობების შემდეგი ეტაპები. როდესაც ახდენს თითოეულს, მოსწავლე გაიაზრებს ხომ არ დაეხმარება ძლიერი მხარე ხარვეზების, ნაკლოვანებების დაძლევაში, ან ვისი დახმარება, მხარდაჭერა, სკაფოლდინგი ჭირდება მას ამისთვის. შესაძლოა ეს იყოს არა მასწავლებლის, არამედ თანაკლასელთა მხარდაჭერა, საკითხების წყვილში ან ჯგუფურად გადაწყვეტა და არჩევანს აკეთებს თავად მოსწავლე. ასეთი მიდგომა ეხმარება მას თავად გაიაზროს და განსაზღვროს პრობლემების გადაჭრის გზები. ეს ცხადია ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება-განვითარებას. რაც მთავარია, მოსწავლე თავად იღებს პასუხისმგებლობას თავის მიღწევებსა და განვითარებაზე, მას უყალიბდებარეფლექსიური უნარ-ჩვევები, მეტაკოგნიტიური უნარები. სამომავლო ქმედებების აქტივობების განსაზღვრისას სასურველია მოსწავლეწავახალისოთ თავად მოახდინოს რანჟირება საკუთარი ძლიერი დასუსტი მხარეების, თავადვე განსაზღვროს რა აქტივობების საშუალებით არის შესაძლებელი წარუმატებლობის დაძლევა, მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს მასწავლებლის უკუკავშირი.

არსებითად მნიშვნელოვანია მოსწავლეებს გავუზიაროთ შეფასების მიზნები, რათა გაიაზრონ და შეაფასონ მათი მიღწევის შესაძლებლობები. მეტი პასუხისმგებლობა აიღონ საკუთარ საგანმანათლებლო ზრდაზე, ისწავლონ საკუთარი პროგრესის თვითშეფასება და ქცევის თვითრეგულირება და ა. შ. ამ პროცესში მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მხარდაჭერა და დახმარება, რომ ნათლად გაიაზრონ თავიანთი სასწავლო საჭიროებები. ამ მიზნით ეფექტურია ე. წ. მოსწავლის „პორტფოლიოს“ გამოყენებაც, რაც იძლევა მოსწავლის ძალისხმევის, პროგრესის ან მიღწევების გაზომვისა და ნათელყოფის კარგ შესაძლებლობას. თავისთავად, მოსწავლეთა ჩართვა მტკიცებულებების შეგროვებაში, უკუკავშირის მიცემასა და მათი სწავლის შესახებ კომუნიკაციაში წახალისებს მათ, რომ აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ სწავლაზე, აქტიურად ჩაერთონ ამ პროცესში და აკონტროლონ საკუთარი პროგრესი. ამგვარი მიდგომა უცილობლად ხდება ეფექტური გზა მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ინტეგრირებულია სწავლებისა და სწავლის პროცესში, „მაფორმირებლად“ და განმავითარებლად აქცევს არა ინსტრუმენტების, ტექნიკის ან თვითშეფასების დიზაინი, არამედ ის, თუ როგორ და რა მიზნით გამოვიყენებთ მას სწავლების პროცესში.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. 2018-24 ესგ
2. USAID საბაზისო განათლების პროგრამის სატრენინგო მასალები
3. Black, Wiliam and Assessment for Learning  
<https://www.teachingexpertise.com/articles/black-wiliam-and-assessment-for-learning/>



4. Formative assessment strategies for remote teaching and learning; The material from the State of New South Wales Department of Education, 2020. <https://www.scribd.com/document/561600505/Formative-Assessment-Strategies>
5. <https://www.slideshare.net/crlmgn/formative-assessment-45421442>

**Nino Nakhutsrishvili**

Iakob Gogebashvili Telavi State University

## **Actual Issues of Implementing Formative Assessment**

### **Abstract**

Formative assessment, as an important part of teaching and learning plays crucial role in students' "formation" and development. Despite of this role, in the process of its implementation there appear certain gaps and difficulties. Teachers still have difficulties in effective and purposeful usage of formative assessment instruments. The concentration of formative assessment towards specific issues doesn't often take place, students don't receive constructive feedback, as the received assessment isn't oriented on students' needs or it is formulated incompletely. On the background of analysing these disadvantages, the article deals with the "formation" function of formative assessment, its strong side which comprises students development and formation, acquisition of certain competencies with the students participation and active involvement in the process of planning and implementing of evaluation and correction activities which should ensure learning to learn. The article offers concrete approaches and instruments for solving the issue, such as students self-assessment and its necessary involvement in this process, using self – assessment rubrics and portfolio as effective instruments.

**საკვანძო სიტყვები:** განმავითარებელი შეფასება. კონსტრუქციული უკუკავშირი, მოსწავლეთა თვითშეფასება, სწავლის სწავლა, შეფასების ინსტრუმენტები.

**Key words:** Formative assessment, Constructive feedback, Students' self-assessment, Learning to learn, Assessment tools.

**ანა გიგაური**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## **დარგობრივი ინგლისური ენის შემსწავლელი სტუდენტების დამოკიდებულება მასწავლებლის მიერ მშობლიური ენის გამოყენებასთან დაკავშირებით**

### **შესავალი**

წინათ უხვო ენის ცოდნა მიგვანიშნებდა ადამიანის განათლებაზე. იგი ძირითადად გამოიყენებოდა სათარგმნად და ნაკლები ყურადღება ექცეოდა უცხო ენას როგორც საკომუნიკაციო საშუალებას (Brown, 2007, გვ.18; Tsitsishvili, Nizharadze, Darchia, Tevzaia, Tkavashvili, 2006, გვ. 47- 48). დროთა განმავლობაში მსოფლიოში არსებული ერები ერთმანეთს დაუახლოვდნენ. ამას ხელი შეუწყო გლობალიზაციის პროცესებმა. სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირებამ მოიტანა საჭიროება დარგობრივი ინგლისური ენის სწავლა-სწავლების.

## რას გულისხმობს დარგობრივი ინგლისური?

მეოცე საუკუნის შუაწლებში დაიწყო დარგობრივი ინგლისური ენის ჩამოყალიბება და გავრცელება. ამ ყველაფერს საფუძვლად რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: ეს იყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომი სამყაროს მოთხოვნები და ენათმეცნიერებაში წამოჭრილი ახალი საკითხები თუ იდეები. ამ ყველაფერმა განაპირობა, რომ „ინგლისური [...] გახდა ადამიანების სურვილების, საჭიროებებისა და მოთხოვნების ენა [...]“ (Hutchinson & Waters, 1998, გვ. 6-8). არსებულმა მდგომარეობამ ერთიორად გაზარდა ინგლისური ენის მცოდნეთა რაოდენობა და დღეისათვის ინგლისური ითვლება ყველაზე გავრცელებულ ენად მსოფლიოში (Crystal, Potter, 2021).

ტერმინი „დარგობრივი ინგლისური“ მრავალ ავტორს აქვს განმარტებული. ჰათჩინსონისა და ვათერსის (Hutchinson, Waters, 1998) მიხედვით: დარგობრივი ინგლისური არის „ენის სწავლების მიდგომა, სადაც ყველა გადაწყვეტილება შინაარსისა და მეთოდების შესახებ ემყარება ენის შემსწავლელის სწავლის მიზეზს“ (გვ. 19). სტრევენსი (Stevens, 1988) მეტი სიცხადისთვის წარმოგვიდგენს დარგობრივი ინგლისურის *აბსოლუტურ* (Absolute) და *ცვლად* (variable) მახასიათებლებს. *აბსოლუტური* მახასიათებლებია:

- დარგობრივი ინგლისური შექმნილია ენის შემსწავლელის სპეციფიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად;
- დაკავშირებულია შინაარსთან, კონკრეტულ დისციპლინებთან, პროფესიებთან და საქმიანობასთან;
- ორიენტირებულია ამ აქტივობების შესაბამის ენაზე, სინტაქსში, ლექსიკაში, დისკურსში, სემანტიკაში და ა.შ.
- განსხვავდება ზოგადი ინგლისურისგან.

ცვლადი მახასიათებლებია: დარგობრივი ინგლისური შესაძლებელია:

- შემოიფარგლოს შესასწავლი ენობრივი უნარებით (მაგალითად, კითხვით);
- არ ისწავლებოდეს რომელიმე წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიით.

ფიტრიას (Fitria, 2019) განმარტებით დარგობრივი ინგლისური ეხება ინგლისურის, როგორც მეორე ან უცხო ენის სწავლებასა და სწავლას, სადაც შემსწავლელთა მიზანია გამოიყენონ ინგლისური ენა კონკრეტულ დარგში, სფეროში.

ჰათჩინსონისა და ვათერსის (Hutchinson, Waters, 1998) მიხედვით დარგობრივი ინგლისური არის ინგლისური როგორც მეორე ან უცხო ენის ერთ-ერთი დაარგი და იყოფა სამ დიდ დარგობრივ კურსად:

- ინგლისური მეცნიერებისა და ტექნოლოგიისთვის;
- ინგლისური ბიზნესისა და ეკონომიკისთვის;
- ინგლისური სოციალური მეცნიერებებისთვის (გვ. 16).

ენის შემსწავლელების საჭიროებებიდან გამომდინარე, ავტორებს ზემოთ აღნიშნული კურსები კიდევ აქვთ დაყოფილი ორ ნაწილად: ინგლისური აკადემიური მიზნებისთვის (English for Academic Purposes - EAP) და ინგლისური პროფესიული მიზნებისთვის (English for Occupational Purposes – EOP). აღნიშნული განშტოებები იყოფა უკვე ინდივიდუალურ დარგობრივ კურსებად (Hutchinson, Waters, 1998, გვ. 16-17).

დარგობრივი ინგლისური ენის მასწავლებლები არ არიან „ერთადერთი მცოდნეები“ (Dudley-Evans & St John, 2007) საკლასო ოთახში. დარგის შესახებ სტუდენტებს შესაძლოა მათზე მეტი ცოდნა ჰქონდეთ. ჰათჩინსონი და ვათერსი

(Hutchinson & Waters, 1998, გვ. 158) დარგობრივი ენის მასწავლებლებს აღწერენ როგორც „უცნაური და ამოუცნობი მიწის ბინადრებს“, რომლებმაც უნდა აღმოაჩინონ მათი სტუდენტების საჭიროებები და დაგეგმონ კურსი. აქედან გამომდინარე საჭირო და საინტერესოა მრავალ კითხვაზე პასუხის პოვნა და კურსის სათანადოდ დაგეგმვა-განხორციელება.

### **კვლევის მეთოდები და გამოკითხვის სუბიექტები**

იმისათვის, რომ შეგვესწავლა დარგობრივი ინგლისური ენის შემსწავლელი სტუდენტების დამოკიდებულება მასწავლებლის მიერ გამოყენებული მშობლიური ენის მიმართ, ჩვენ გამოვიყენეთ კითხვარი. ის შედგებოდა ცხრა დახურული კითხვისგან.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ორმოცდაათმა სტუდენტმა. გამოკითხულთა 50 % იყო მდებარეობითი სქესის წარმომადგენელი, შესაბამისად მამრობითი სქესის სტუდენტებიც იყვნენ 50%. გამოკითხულთა 75% იყო მესამე კურსის სტუდენტი, ხოლო 25 % - მეოთხე კურსის. მათი უმრავლესობა (58 %) იყო 21-დან 25 წლამდე, 25 % - 18-დან 20 წლამდე, ხოლო დაახლოებით 17% - 26-დან 30 წლამდე. გამოკითხული სტუდენტები სწავლობდნენ სხვადასხვა დარგობრივ ინგლისურს. მათ შორის იყვნენ სამართლის, ბიზნესის და ტურიზმის ინგლისური ენის შემსწავლელი.

### **მონაცემების ანალიზი და შედეგები**

გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტების უმრავლესობას (დაახლოებით 58%-ს) ძალიან მოსწონს როცა მასწავლებელი დარგობრივი ინგლისური ენის ლექსიაზე მხოლოდ ინგლისურად საუბრობს; 33%-ს მოსწონს, ხოლო დაახლოებით 8 %-ს - არ მოსწონს. არცერთ სტუდენტს არ გამოუხატია მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება.

კითხვაზე - თუ ვის უსვამს კითხვას თუ რომელიმე სიტყვა ვერ გაიგო - სტუდენტების დიდი ნაწილი (დაახლოებით 83%) აღნიშნავს მასწავლებელს. აღსანიშნავია ტექნიკის როლი ამ პროცესში, რადგან სტუდენტების დაახლოებით 17 % იყენებს ტელეფონს უცხო სიტყვების განმარტების მოსაძებნად. უცხო სიტყვების შემთხვევაში სტუდენტების 33% აუცილებლად სვამს კითხვებს, ხოლო 50% - სვამს. მხოლოდ გამოკითხულთა 17 % სვამს კითხვებს ხანდახან. გამოკითხულთა დიდი ნაწილი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ მასწავლებლის მიერ გარკვეული სიტყვების ინგლისურიდან ქართულად თარგმნა საჭიროა და ძალიან საჭიროა. მხოლოდ 8% აღნიშნავს პასუხს „გარკვეულწილად საჭიროა“. ამ პროცესს მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სტუდენტები და აღნიშნავენ, რომ მასწავლებლის ნათარგმნ უცხო სიტყვებს ყოველთვის (58%) ან ზოგჯერ (42%) ინიშნავენ წიგნში/რვეულში.

მიუხედავად იმისა, რომ დარგობრივი ინგლისური ენის სტუდენტებს მოსწონთ, როცა მასწავლებელი ლექსიაზე მხოლოდ ინგლისურად საუბრობს აღნიშნავენ, რომ გარკვეულ შემთხვევებში სიტყვათა თარგმნა მაინც აუცილებელია. ისინი თვლიან, რომ ინგლისურიდან ქართულად თარგმნა საჭიროა:

- ყველა სიტყვის - 33%
- მხოლოდ იმ სიტყვების, რომელსაც სტუდენტები იკითხავენ - 25%
- მხოლოდ ტერმინების - 17%
- მხოლოდ საკითხავი ტექსტის - 8%
- იმ სიტყვების რომლებიც უცხოა და ჯერ არ აქვთ ნასწავლი - 8%

- იმ სიტყვების და ტერმინების, რომელთა მნიშვნელობაც არ იციან სტუდენტებმა - 8%
- არცერთი სიტყვის - 0%

### დასკვნა

ამრიგად, გამოკითხულთა პასუხებიდან ჩანს გარკვეული სიტყვების ინგლისურიდან ქართულად თარგმნისაუცილებლობა დარგობრივი ინგლისური ენის სწავლების პროცესში. აღმოჩნდა, რომ უცხო სიტყვებს უყურადღებოდ არ ტოვებენ ენის შემსწავლელები და ამათუიმ ფორმით და საშუალებით ცდილობენ განამარტების მიღებას. გამოკითხულთა დიდი ნაწილი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ მასწავლებლის მიერ გარკვეული სიტყვების ინგლისურიდან ქართულად თარგმნა ძალიან საჭიროა. როგორც ჩანს მასწავლებელს დიდი როლი აკისრია უცხო სიტყვების განმარტების კუთხით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Brown, H.D.(2007). *Teaching by principles, an interactive approach to language pedagogy*, (3<sup>rd</sup> ed.). Longman.USA;
2. Crystal, D. & Potter, S. (2021, December 15). English language. Encyclopedia Britannica. Retrieved from: <https://www.britannica.com/topic/English-language>
3. Dudley-Evans, T. & St John, M.(2007). *Developments in English for specific purposes: a multi-disciplinary approach* (9<sup>th</sup>ed.). Cambridge University Press. Cambridge;
4. Fitria, T. N. (2019). Business English as a Part of Teaching English for Specific Purposes (Esp) To Economic Students. *Journal Education and Economics*, 2, 10;
5. Hutchinson, T.&Waters, A. (1998). *English for Specific Purposes: A learning-centered approach* (12<sup>th</sup>ed.) Cambridge, Cambridge University Press. UK;
6. Strevens, P.(1988). ESP after twenty years: A re-appraisal (M. Tickoo (Ed.). *ESP: State of the Art*. Singapore: SEAMEO Regional Center. p. 1-13;
7. Tsitsishvili, M., Nizharadze, N., Darchia, M., Tevzaia, M., Tkavashvili, E. (2006). *Becoming and English teacher: theory and practice of teaching English in Georgia* (B. Watson, R. Tkemaladze, E. Tkavashvili, (Eds.). Tbilisi.

**Ana Gigauri**

Iakob Gogebashvili Telavi State University

## ESP learners' attitudes towards teacher's code switching

### Abstract

The article deals with ESP learners' attitudes towards teachers' code switching. It analyses different authors' definitions and characteristics of ESP. The author has carried out research which revealed ESP learners' needs and wants. The article emphasizes that students like the English-speaking lecturer, although they note the need to translate certain words into their native language.

**საკვანძო სიტყვები:** დარგობრივი ინგლისური ენა, მასწავლებლები, ენის შემსწავლელები, მშობლიური ენის გამოყენება, სწავლება.

**Key words:** ESP, teachers, learners, code switching, teaching.

## დარეჯან მარგალიტაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## მაგდა დავითაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და, ზოგადად, საგანმანათლებლო სფეროში სწავლის შედეგების ამალღების კიდევ ერთი ფაქტორი

განათლების სისტემაში, სასკოლო სივრცეში პედაგოგთა შორის თანამშრომლობა და კოლეგიალობა სწავლა-სწავლების ხარისხის ამალღების წინაპირობაა. პედაგოგთა შორის კომუნიკაცია, კოლეგიალობა და თანამშრომლობა არ გულისხმობს მარტო ინფორმაციის მიწოდებას, ერთ სკოლაში მუშაობას ერთსა და იმავე პოზიციაზე - მასწავლებლად, არამედ კომუნიკაცია გულისხმობს მიღებასაც (თერნბული, 2009). კოლეგებს შორის ყველაზე დიდი პრობლემა გაცემა და მიღებაა. ხშირად პედაგოგებს არ შეუძლიათ: უსმინონ ერთმანეთს საუბრის შეწყვეტის გარეშე, მოუსმინონ და მიიღონ სხვისი იდეები, აღიარონ სხვისი უნარები და სიძლიერე, არ მეტოქეობდნენ ერთმანეთში და ზრუნავდნენ ერთმანეთის წარმატებაზე, მშვიდად განიხილავდნენ პრობლემებს, მუშაობდნენ გუნდის წარმატებისათვის და არა მხოლოდ საკუთარი წარმატებისათვის. მასწავლებლებს შორის უარყოფითმა დამოკიდებულებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მოსწავლის მიღწევებს და ხელი შეუშალოს ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვას (მარზინო, 2003).

კვლევის მიზანი იყო საგანმანათლებლო სფეროში პედაგოგთა შორის კოლეგიალობასა და თანამშრომლობაში არსებული ხარვეზების ძიება, ამ ხარვეზის მინიმუმამდე დაყვანის ოპტიმალური გზების გამოინახვა, რაც გააუმჯობესებს სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვას, აამალღებს სწავლის შედეგებს.

**კვლევის ობიექტი და მეთოდები.** კვლევა განხორციელდა სსიპ თელავის №5 საჯარო სკოლაში. კვლევისათვის გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები: გამოკითხვა, მეორადი მონაცემების ანალიზი.

**გამოკითხვა** – გულისხმობდა გაგვერკვია, თუ რამდენად არიან დაინტერესებული სკოლის პედაგოგები აღნიშნული საკითხის მოგვარებაში და რას ფიქრობენ სკოლაში კოლეგიალობის და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.


**მეორადი მონაცემების ანალიზი** – გულისხმობდა ბოლო 2 წლის მანძილზე სკოლაში მომუშავე საგნობრივი კათედრების სამუშაო ჟურნალების გაცნობას და ინფორმაციის მოძიებას იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობენ კათედრის პედაგოგები ერთმანეთთან ან/და სხვა კათედრების პედაგოგებთან, რამდენად იზიარებენ ისინი კოლეგების ან კრიტიკული მეგობრის რჩევებს.

**კვლევის შედეგები.** გამოკითხვის შედეგები: გამოკითხვის მიზანი იყო გაგვერკვია, თუ რამდენად არიან დაინტერესებული სკოლის პედაგოგები აღნიშნული საკითხის მოგვარებაში, რას ფიქრობენ ისინი სკოლაში კოლეგიალობის და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, როგორი მდგომარეობაა სკოლაში პედაგოგთა ურთიერთთანამშრომლობის კუთხით.

პედაგოგთა გამოკითხვა ჩატარდა წინასწარ შედგენილი კითხვარის საშუალებით, სადაც გამოკითხულ პედაგოგთა 87,2% აღნიშნა, რომ თავადაც დასწრებია კოლეგას გაკვეთილზე გამოცდილების გაზიარების მიზნით და მასაც დასწრებია გაკვეთილზე

კოლეგა. პედაგოგთა 70,6% თვლის, რომ სკოლაში არსებობს ჯანსაღი კონკურენტული გარემო და პედაგოგები ერთობლივად და მშვიდად განიხილავენ პრობლემებს. სკოლაში პედაგოგების 52,4%-ს ჰყავს კრიტიკული მეგობარი, რომლისგანაც ღებულობს რჩევებს, დარიგებას და იზიარებს მის კრიტიკულ აზრს. რაც შეეხება, კოლეგასთან ერთად ჩატარებულ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, პედაგოგების მხოლოდ 11,1%-ს აქვს ამ ტიპის გაკვეთილი ჩატარებული თავისივე კათედრის კოლეგასთან ერთად. გუნდური მუშაობისათვის მზად არის გამოკითხულ პედაგოგთა 100%. ამდენივე პროცენტი თვლის, რომ შეუძლია სხვისი იდეების მიღება და სხვისი სიძლიერის აღიარება, რაც ასევე, გამოკითხული ჯგუფის წევრებთან დაზუსტებისას, აღმოჩნდა რომ სინამდვილეს ნაკლებად შეეფერება. გამოკითხვის მონაცემები მოცემულია დიაგრამა 1-ზე.

დიაგრამა 1. მასწავლებელთა გამოკითხვის მონაცემები



**მეორადი მონაცემების ანალიზის შედეგები:** ანალიზის მიზანი იყო, გაგვერკვია, სკოლაში მოქმედ საგნობრივ კათედრებს ბოლო 2 წლის მანძილზე, სამუშაო გეგმის მიხედვით, რამდენი შეხვედრა აქვთ ჩატარებული, ამას გარდა, ჩატარებული შეხვედრების თემატიკა მოიცავდა თუ არა კონკრეტული კათედრის ან/და სხვა კათედრის პედაგოგებთან ურთიერთთანამშრომლობას.

ანალიზის შედეგებმა აჩვენა, რომ სკოლაში მოქმედ საგნობრივ კათედრებს ჩატარებული აქვს, სამუშაო გეგმით გათვალისწინებული, შეხვედრები. ამ სხდომებზე განხილული საკითხებიდან გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩატარებული აქვს:

1. დაწყებითი განათლების კათედრას: 15 გაკვეთილი – (6 ქართულ ენაში და 9 მათემატიკაში).
2. ესთეტიკის და სპორტის კათედრას: 7 გაკვეთილი (3 ქართულ ენაში, 3 ხელოვნებაში და 1 მუსიკაში).
3. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრას: 8 გაკვეთილი (3 ისტორიაში, 3 სამოქალაქო განათლებაში და 2 გეოგრაფიაში).
4. უცხოური ენების კათედრას: 5 გაკვეთილი (3 ინგლისურ ენაში და 2 რუსულ ენაში).


5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრას: 13 გაკვეთილი (3 ფიზიკაში, 3 ქიმიაში, 4 ბიოლოგიაში და 3 სხვა კათედრის პედაგოგთან გეოგრაფიასა და მათემატიკაში).

6. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას: 9 გაკვეთილი.

7. მათემატიკის კათედრას: 7 გაკვეთილი.

როგორც სხვადასხვა კათედრების სამუშაო ჟურნალების კვლევამ აჩვენა, სკოლაში მომუშავე კათედრებიდან, მხოლოდ, საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებს აქვთ სხვა კათედრის კოლეგებთან (კერძოდ, საზოგადოებრივი მეცნიერებების და დაწყებითი განათლების კათედრებთან) გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების პრეცედენტი გამოცდილების გაზიარების მიზნით, რაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრისთვის კარგია, მაგრამ, ზოგადად, სკოლისთვის არც თუ ისე სახარბიელო მონაცემია.

მეორადი მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ სხვა კათედრებთან თანამშრომლობენ მხოლოდ ერთი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის, პედაგოგები, რაც 14,3%-ს შეადგენს. პედაგოგებს შორის ჩატარებული სამუშაო შეხვედრების რაოდენობა არის 5,8%, ხოლო სკოლაში, ბოლო 2 წლის მანძილზე, ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილების რაოდენობა, ასევე, 5,8%-ია. მეორადი მონაცემების ანალიზის შედეგები მოცემულია დიაგრამა 2-ზე.



დიაგრამა 2. მეორადი მონაცემების ანალიზი

აღმოჩნდა, რომ სკოლაში პედაგოგებს შორის გამოცდილების გაზიარება პრობლემატური საკითხია, რადგან არ არსებობს მზაობა კრიტიკის მიმღებლობისთვის. პედაგოგების უმეტესი ნაწილი კრიტიკას მტკივნეულად იღებს და რჩევას „ჭკუის სწავლებად“ აღიქვამს. შეხვედრებზე საუბრისას დადასტურდა, რომ სკოლაში პედაგოგების უმრავლესობას ინდივიდუალური მუშაობა ურჩევნია. გამოცდილების გაზიარებას კი, არა კოლეგიალური, არამედ „დამრიგებლობითი“ ელფერი აქვს. აღნიშნული პრობლემა, უფრო ორგანიზაციულ კულტურას უკავშირდება.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საჭიროა სკოლებში გარკვეული ცვლილებების დანერგვა, რათა გაიზარდოს პედაგოგების ურთიერთთანამშრომლობა, სწავლა-სწავლების ხარისხი და ამალდეს მოსწავლეთა სწავლის შედეგები. ასევე, სრულიად ვეთანხმებით და ვიზიარებთ იმ აზრს, რომ

სასწავლო დაწესებულებაში „მასწავლებლების ურთიერთდახმარების უნარ-ჩვევების განვითარება, კოლეგიალური ურთიერთობების დახვეწა, არის სკოლის წარმატებული საქმიანობის წინაპირობა, სკოლის პრესტიჟისა და სიძლიერის საფუძველი, ძლიერი სკოლა კი საწინდარია განათლებული და ზნეობრივად სრულყოფილი თაობის აღზრდისა, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის ძლიერების საწინდარს წარმოადგენს“ (ლობჯანიძე, 2012).

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. თერნბული, ჯ., (2009). *პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი*. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
2. ლობჯანიძე, ს. *კოლეგებთან თანამშრომლობა – წარმატების ერთ-ერთი პირობა*. 2012.08.06. ინტერნეტგაზეთი - <http://mastsavlebeli.ge/?p=2517>
3. მარზანო ჯ., რობერტ., და სხვ. (2003). *რა განაპირობებს სკოლის ეფექტურობას*. სასწავლო გეგმების შემუშავებისა და ზედამხედველობის ასოციაცია(ASCD). ალექსანდრია, ვირჯინია, აშშ.

**Darejan Margalitashvili**  
Iakob Gogebashvili Telavi State University  
**Magda Davitashvili**  
Iakob Gogebashvili Telavi State University

### **Another factor in the improvement of academic results in natural sciences and in the general educational field**

#### **Abstract**

The article presents the results and conclusions of the practical research conducted in Telavi's №5 public school. The research concerns the cooperation between teachers, a very important factor in the increasing of student's motivation during the teaching-learning process. We think, based on the example of our school, that it is necessary to introduce some changes in schools in order to increase the mutual cooperation between teachers, which leads to the improvement of the quality of teaching and learning and the academic results of students. The development of mutual support skills in teachers and improvement of collegial relations are the prerequisites for the successful operation of the school, the basis of the school's prestige and strength.

**საკვანძო სიტყვები:** კოლეგიალობა, ურთიერთთანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება, მოტივაცია, სკოლის წარმატება.

**Keywords:** collegiality, mutual cooperation, experience sharing, motivation, academic success.



**როგორ ვასწავლოთ „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“**

მხატვრული ტექსტი, მით უფრო ლირიკული, სუბიექტურად აღიქმება. თუმცა თხზულება, რომელიც სკოლაშიც ისწავლება, სჭირია განსაკუთრებული ყურადღებით იქნეს გაანალიზებული; რათა მომავალ თაობას მივაწოდოთ ტექსტის აკადემიური ინტერპრეტაცია. ჩვენი აზრით უპრიანია უპირატესობამივანიჭოთ კვლევის ჰერმენევტიკულ მეთოდოლოგიას. ამოსავალი, რაღა თქმა უნდა, ისევ და ისევ ტექსტია; განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს, როცა საანალიზო ტექსტიპირდაპირ თუ ირიბად ეროვნული და მოქალაქეობრივი მრწამსის საკითხებს უკავშირდება. ერთი შეხედვით, ეს უწყინარი ფაქტი მოზარდი თაობის მსოფლხედველობის ფორმირების თვალსაზრისით, შეიძლება უარყოფითი შედეგის მომტანი აღმოჩნდეს. საწავლო პროგრამაში, არ უნდა შევიტანოთ თხზულებები, რომლებიც ერთგვარად წახალისებს, ხელს შეუწყობს მოსწავლე ახალგაზრდობაში უიმედობას, პესიმიზმსა და ნიჰილიზმს. რამეთუ ყოველგვარი უბედურება სწორედ აქედან იწყება. გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის „აჩრდილი“, კერძოდ, მეშვიდე თავი, სადაც ავტორი საგანგებოდ ჩერდება რა, აღნიშნულ საკითხზე, აღნიშნავს: „და იგი ცრემლი ურწმენობის, ეჭვის და ტანჯვის ჰღაღადებს მხოლოდ მისა შენის უძღურებასა“. (ჭავჭავაძე, 1988:69) ი.ჭ. „ლექსები, პოემები“. უიმედობა, საკუთარი შესაძლებლობებში დაეჭვება ნიადაგს აცლის პიროვნებისა და საზოგადოების განვითარების პერსპექტივას. უნდა გვახსოვდეს, რომ ლიტერატურის ერთ–ერთი მთავარი ფუნქცია აღმზრდელობითი მნიშვნელობაა, რადგან მხატვრული ნაწარმოები თანაბრად ზემოქმედებს მკითხველის აზროვნებასა და ემოციებზე.

მხატვრული ნაწარმოების შემეცნებით მიღებულითეორიული ცოდნა გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ადამიანის, მით უფრო, მოზარდის ქმედების მოტივაციის განსაზღვრაში. ამავე პრინციპით ყალიბდება მოქალაქეობრივი თუ მორალურ–ზნეობრივი მრწამსი. კლასიკური მწერლობის ნიმუშთა უმრავლესობას გააჩნია თვისება: ეპოქის შესაბამისად იქნეს გააზრებული. ლიტერატურის ისტორიკოსი თუ კრიტიკოსი ვალდებულია თანამედროვეობის ფონზე განიხილოს ტექსტის იდეა და ხელი შეუწყოს მისი აღმზრდელობითი მნიშვნელობის წინა პლანზე წამოწევას. რა თქმა უნდა, კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით ტენდენციას, რომელიც სტანდარტულობის, ტრაფარეტულობისკენაა მიმართული და აბსოლუტურად ვიზიარებთ შეხედულებას, რომ უპირატესობა მივანიჭოთ დამოუკიდებელი მსჯელობისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, მაგრამ მოსწავლეს შეიძლება არ ეყოს გამოცდილება ტრადიციული ლიტერატურათმცოდნეობისა და თანამედროვე ესთეტიკის სინთეზის საფუძველზე გააკეთოს გარკვეული დასკვნები. გამომდინარე აქედან, აუცილებელიცაა შევიმუშაოთ გარკვეული კონცეფცია, რომელიც უზრუნველყოფს ლიტერატურის დანშნულების რეალიზებას ემპირიულ ცხოვრებაში, პიროვნულ თუ საზოგადოებრივ დონეებზე; მხატვრული ნაწარმოების შემეცნებითი, ესთეტიკური თუ აღმზრდელობითი მნიშვნელობის მართებულ გაგება–გააზრებას.

ამჯერად ჩვენი მსჯელობის საგანია გრიგოლ ორბელიანის ცნობილი ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“. დღემდე ბევრი ითქვა და დაიწერა ამ ლირიკული შედევრის შესახებ, თუმცა როგორც ყველა კლასიკური ქმნილება, „თამარ მეფის სახე...“ კვლავაც იძლევა შესალებლობას, გარკვეული თვალსაზრისი

განვავითაროთ ლექსის განსხვავებული ინტერპრეტაციისათვის. კერძოდ, არ დავეთანხმობთ მოსაზრებებს, რომელთა საფუძველზე ლექსი უიმედობისა და პესიმიზმის გამოვლინებააა მიჩნეული.

კიტა აბაშიძე ერთ–ერთი პირველი იყო, ვინც აღნიშნული ლექსი ავტორის გოდებად მიიჩნიადა არა ლოცვად: „თამარისსახისწინაშე, გულამოსკვნილიდათვალზეცრემლით, დამცირებული, ხმა-მიღებული, ბედ-დაკარგული ივერიის ძე, სადაც გულშემუსვრილი, ეჭვითაღვსილი, უსასოდქმნილი, გულ-უიმედო, გაუხარებელი პოეტი გოდებს:(აბაშიძე<http://kartvelologybooks.tsu.ge/.pdf>). ვახტანგ კოტეტიშვილი ლექსში ხედავს ავტორის „სულიერ გატეხილობას“ და ამას შეთქმულების დამარცხების შედეგად მიიჩნევს. (კოტეტიშვილი, 1959:96–97).

აკაკი გაჩეჩელია კი აღნიშნავს: „ეს ტაეპები მოწმობს, რომ „ეჭვით აღვსილ გრ. ორბელიანისათვის დახშულიყო საქართველოს მომავლის რწმენა...“ (ხუციშვილი, 2001:155;)

ლიტერატურის ისტორიაში გვხვდება აღნიშნული ლექსის განხილვებიც, სადაც პესიმიზმი არაა ნახსენები, თუმცა არც ტრადიციული შეხედულებები არარის უარყოფილი. ამ მხრივ საყურადღებოა მიხ. ზანდუკელისა (ზანდუკელი, 1972:232;) და „აპ. მახარაძისეული (მახარაძე, 1982:191) ინტერპრეტაციები.

„თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ რომანტიზმის კლასიკური ნიმუშია. ისტორიულად ცნობილია ბეთანიის ტაძარი ისრაელში, სადაც ოთხი დღის გარდაცვლილი, უფლის მიერ აღდგენილი ლაზარეს საფლავია. ბეთანიის სახელს ატარებს ერთ–ერთი ეკლესია თბილისის მახლობლად ვერეს ხეობაში. ამ უკანასკნელის მიმდებარედ იყო ორბელთა საგვარეულოს სასაფლაო. გრიგოლ ორბელიანის ეს ლექსი რომ იწერებოდა, ბეთანია სრულიად მივიწყებული და გავერანებული ყოფილა. ტაძრის „გაცოცხლებასა“ და პოპულარიზაციას გრ.ორბელიანს უნდა ვუმაღლოდეთ.

სიმბოლურია გრიგოლ ორბელიანის მიერ ბეთანიის ეკლესიაში, ოდესღაც დიდებულ ქართველ გვარიშვილთა სამკვალესთან ახლოს, თამარ მეფის ფრესკის წინაშე მოწიწებით მუხლმოყრა. ერთი შეხედვით, ლექსი ავტორის უკიდურესი პესიმისტურ განწყობას გადმოგვცემს, თუმცა ის გარემოება, რომ იერუსალიმის ბეთანიის ტაძარში მკვდრეთით აღდგენილი ლაზარე განისვენებს და ქართული ენაც „ლაზარედ“ მოიხსენება, ლექსის იდეას მისტიკურ სამოსელში ახვევს და, შესაძლებელს ხდის ვიფიქროთ, რომ ავტორი მოელის ქართველი ერის აღდგინებას. წმინდა თამარის **ზეცადაპყრობილი თვალები** პოეტისადმი ყვედრების, შთამომავალთა მიმართ მდურვის გამომხატველია, მაგრამ წმინდანი მეფის მხურვალე ლოცვის გამოვლინებაცაა. ლოცვა კი არასდროს არ არის უიმედო.

გრიგოლ ორბელიანის აზრით, ის რაც საქართველოს თავზე ხდება უფლისაგან მოვლენილი სასჯელია. „ფსალმუნის“ ავტორი ჯერ კიდევ 1832 წლამდე წერდა: „ვინცა განაგდებს საღმრთოს ვალსა და გზას პატივის, დასასრულ მაინც საშინელად ესრეთ წარხდების.“ მოხუცებული პოეტი ლექსში - „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას ქართველთა რწმენის სისუსტეზე და იგონებს წმინდა თამარის დროს, რომ იქნება მით მაინც გაუღვიძოს თავის ხალხს ღირსების განცდა: „ვიგონებთ შენს დროს, გული გვიმაგროს, სრულად არ წავჰსწყდეთ ცის შემრისხავნი“. „ცის შემრისხავი ერი“ რწმენამ, ლოცვამ უნდა აღადგინოს. ამ რწმენით მოსულა „ხნითდამაშვრალი“ პოეტი ბეთანიის ეკლესიაში, რათა შესთხოვოს თამარს –

მოხედოს ბედკრულს, მის სატრფოს მამულს, და ჯვართ აკურთხოს ივერია, რომ იგი აღდგეს და დადგეს „ერადსხვაერთაშორის“.

მტკიცე რწმენა, მდიდარი ენა, ზნეობრივი სრულფასოვნება, პატრიოტიზმი, განათლება... თამარის ეპოქის ქართველი ერის მახასიათებელი ნიშნებია. გრიგოლ ორბელიანი შესთხოვს თამარს, დაცემულ ერს დაუბრუნოს დაკარგული ღირსებანი. მაგრამ ლირიკული გმირს აწუხებს მწარე ეჭვი, რომ სამწუხაროდ, წმინდანმა მეფემ შეიძლება ვეღარ იცნოს სასომიხდილი ივერიის შვილები; ზეცად აღუპყრია თვალები, რაც საკუთარ ხალხზე გულმოსულობის ნიშნად მიაჩნია. (ფრესკა პოეტის რწმენის ნიადაგზე გაპიროვნებულია.) ავტორს მიაჩნია, რომ ეს არ არის კარგის მომასწავლებელი და სულისშემძვრელი, შემადრწუნებელი ფიქრი უბუგავს გონებას: ვაითუ, რაც დაეცა, მისი აღდგენა შეუძლებელია?! – „ვაჰ, თუ რაც წახდეს ვეღარა აღჰსდგეს, ვეღარ აღყვავდეს ახლის შვენებით“?

ეს ეპიზოდი ლექსის ემოციური ლაიტმოტივის კულმინაციაა, სადაც ჩვენი აზრით, უიმედობის განცდა და სასოწარკვეთილი პოეტის გოდება კი არ გამოსჭვივის. არამედ ეს გახლავთ მკითხველის გონების პროვოცირება. ნუთუ ეს ყოფა, შეუცვლელი და საბოლოოა?! ნუთუ ესღა გვაქვს, ვჰხედავთ რასაცა? ავტორი მკითხველის გამოსაფხიზებლად განგამის ზარებს რეკავს, რათა უკანასკნელი ძალები მოვიკრიბოთ და შევძლოთ უკიდურესი ეროვნულ-პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლა.

თუმცა დღემდე ეს ლექსი ცალსახადაა აღიარებული უკიდურესი პესიმიზმის გამოვლინებად, ამგვარი ინტერპრეტაცია არ მიგვაჩნია მართებულად, რადგან ღრმადმორწმუნე პოეტმა კარგად იცის – რაოდენ დამღუპველია უიმედობა, ურწმუნობა და უსასობა. „დაყრუებულ, გზაშეუვალ, უდაბურ ტყეში დარღვეული ტაძრის“ კედელზე შემორჩენილი თამარის ხატი იმედის ნიშანია და გვაუწყებს, რომ ღმერთს ჯერ კიდევ არ მოუძულებია ღვთისმშობლის წილხვდომილი ივერია. ამ მოსაზრებას საფუძველს ამყარებს თამარის დროის საქართველოს მოგონების მოტივაცია - „ვიგონებთ შენს დროს, გული გვიმაგროს, სრულად არ წარვჰსწყდეთ ცის შემრისხავნი“. მამასადამე, არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ - „სრულად არ წავჰსწყდეთ“. სტრიქონებს შორის იკითხება მთავარი დებულება: მომავლის იმედის ნაპერწკალი, ჩვენსავე ისტორიაში უნდა ვეძიოთ. საქართველოს აქვს ამის პოტენციალი. რის უტყუარი დასტურიც თამარის ეპოქაა. ისტორიისადმი გრიგოლ ორბელიანის დამოკიდებულება საყოველთაოდ ცნობილია. აქვე გვინდა გავიხსენოთ აპოლონ მახარაძის თვალსაზრისი, რომელიც საფუძველს გვიქმნის გაბედულად ვიმსჯლოთ ლექსში გატარებული ოპტიმისტურ ტენდენციებთან დაკავშირებით: „აქ („თამარ მეფის სახე...“) გრ.ორბელიანი ლაპარაკობს ქართველი ხალხის, როგორც ერის, განახლებაზე. მისი სიტყვით, ქართველი ერი, როგორც მსოფლიოს სრულუფლებიანი წევრი, სხვაერთა შორის უნდა ჩადგეს... რომანტიკოსი ავტორის თვალსაზრისი სავსებით ეთანხმება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ეროვნულ იდეებს“. (მახარაძე, 1982:192) პოგრესულად მაზროვნე ქართველი ინტელიგენციის, იმავე თერგდალეულთათვის კი უცხო იყო უიმედობა. ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს გრ.ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედები მკვლევარის – ელ.მალრაძის შეხედულებაც. მართალია, აღნიშნულ ლირიკულ შედეგს ავტორი „უიმედობის დეკლარაციად“ მოიხსენიებს, მაგრამ ასევე საგულისხმოა მისი დუალისტური დასკვნა: „თვით უიმედობის **ნამდვილ დეკლარაციაში** – „თამარ მეფის სახე“ – პოეტი წინასწარმეტყველურად ქადაგებს ერის განახლებაზე, იმედი აქვს, რომ „შენი ივერი

აღდგეს ძლიერი... რომ კვლავ მოგვესმეს სიტყვა ქართული რუსთაველისა“. (მაღრაძე, 1973:375;) ასევე საინტერესოა საანალიზო ლექსის თამარ შარაბიძისეული ანალიზიც, სადაც ნათქვამია: „ივერიის აღდგენას გრიგოლ ორბელიანი შესაძლებლად მიიჩნევს.“ ამრიგად, ტექსტის ჰერმენევტიკული მეთოდოლოგიით განხილვა, მყარ ნიადაგს ქმნის იმისათვის, რომ რომანტიკული პოეზიის კლასიკურ ნიმუშში – „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ ოპტიმისტური ტენდენციები გამოიკვეთოს. ამგვარი ინერპრეტაციის სასარგებლოდ შეიძლება მოვიმარჯვოთ ტრადიციულ ლქართულ ლიტმოდნობაში გაჟღერებული კომენტარებიც, რომლებსაც, შეიძლება დამაჯერებლობა აკლდეთ, მაგრამ მათი სამეცნიერო ღირებულება ანგარიშგასწევია.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ზანდუკელი მიხეილ, 1972, თბზ., ტ., 1, თსუ გამომცემლობა თბილისი;
2. მახარაძე აპოლონ, 1982, ქართული რომანტიზმი, თსუ გამომცემლობა, თბილისი;
3. კოტეტიშვილი ვახტანგ, 1959. ქართ. ლიტ. ისტორია, საბჭოთა საქართველო, თბილისი;
4. ჭავჭავაძე ილია, 1988, „ლექსები, პოემები“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“;
5. ხუციშვილი მარინე, 2012, ქართ. მწერლები სკოლაში, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, „საქართველო მაცნე“, თბილისი; 6. აბაშიძე კიტა, <http://kartvelologybooks.tsu.ge/>; pdf);

**Guram Bakhtadze**

Batumi Shota Rustaveli State University

### **How to Teach "The Face of King Tamar at Bethany Church"**

#### **Abstract**

The article talks about the importance of the correct analysis of the literary text in the formation of the worldview of the student youth. Grigol Obelian's lyrical masterpiece - "The Face of King Tamar in the Church of Bethany" is discussed, which is still considered a pessimistic work. Based on the relevant arguments, the opinion is expressed that the hermeneutic analysis of the poem allows us to understand the text in a new way and show the optimistic pathos of its author.

**საკვანძო სიტყვები:** ორბელიანი, თამარ მეფე, ბეთანია, პესიმიზმი, ოპტიმისტური.

**Key words:** Orbeliani, Tamar King Bethania, pessimism, optimistic.

#### **ნინო გელოვანი**

სსიპ მეფე ერეკლე II-ის სახელობის ქალაქ თელავის #1 საჯარო სკოლა

### **მათემატიკის სწავლება- მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი**

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მათემატიკის სწავლების ერთ-ერთ ძირითად მიზანს სხვა მიზნებთან ერთად წარმოადგენს „მოსწავლეებისათვის აზროვნების უნარის განვითარება და მოსწავლეებისათვის ცხოვრებისეული ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო ცოდნის გადაცემა და ამ ცოდნის გამოყენების უნარის განვითარება“. მათემატიკური

აზროვნება, ეს არის აზროვნება, როგორც პროცესი, რომელიც ახასიათებს პიროვნების აქტიურობას და თავის განვითარებას დებულობს საქმიანობა-მოქმედებაში. მასწავლებლის მიერ მოსწავლის მათემატიკური აზროვნების გააქტიურების დროს, მოსწავლე ნასწავლ მასალას კი არ იხეპირებს, არამედ იაზრებს. სხვაშემთხვევაში, მოსწავლე პასიურია და შესაბამისად, მასუჭირსრაიმესწავლა. გააზრებული სწავლება კი მოსწავლეს საშუალებას აძლევს, რომ სასწავლო პროცესში მისი აქტიურობა გაიზარდოს. მოსწავლე ხდება ინტერაქტიური. შესაბამისად, მეტად მნიშვნელოვანია მოსწავლეებში მათემატიკური აზროვნების განვითარება. მათემატიკური აზროვნება ზოგადად აზროვნების შემადგენელი ნაწილია. მათემატიკური აზროვნება კი მაშინაა სრულყოფილი, როდესაც მასში ადგილი აქვს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას. „შემოქმედებითი და კრიტიკულიაზროვნება არის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანს, დაინახოს საგანი, მოვლენა ახალი კუთხით, არ შემოიფარგლოს ფაქტების კონსტატაციით, ეძებოს მოვლენის მიზეზები და შესაძლო პასუხებიც განსაზღვროს. ამგვარი აზროვნების მქონე ადამიანს შეუძლია ორიენტირება ახალი ინფორმაციის ნაკადში; არსებითის, საინტერესოს, თვითმყოფადის გამორჩევა, სიახლის ძიება და შექმნა. აქვს განვითარებული წარმოსახვა და განსხვავებული მრავალფეროვანი ინტერპრეტირების უნარი“. (ეროვნული სასწავლო გეგმა)

შემოქმედებითი აზროვნებისადმი ინტერესი მე-20 საუკუნის 60-იან წლებში გაჩნდა ანგლო-ამერიკულ ფსიქოლოგიაში. ფსიქოლეგებს შორის არ არსებობს შემოქმედებითი აზროვნების ერთნაირი განმარტება. დებულება შემოქმედებითი აზროვნების შესახებ, რომელსაც ყველა მათგანი იზიარებს ასეთია: კრეატიულობა შაბლონური აზროვნების საწინააღმდეგო მიმართულებად ითვლება. შემოქმედებითი ანუ კრეატიული აზროვნება ეს არის მოვლენათა ახლებურად ხედვის და პრობლემათა გადაჭრის ორიგინალური, მანამდე არ არსებული გზის პოვნის უნარი. შემოქმედებითი აზროვნება არის რთული სააზროვნო უნარ-ჩვევა, რომელიც პრობლემის გადაჭრისას არასტანდარტული პასუხების მიგნების შესაძლებლობას იძლევა. შემოქმედებითი აზროვნება ეს არის რაიმეს ახალი გზით კეთება ან დანახვა. ეს არის აზროვნება, რომლის წყალობითაც პიროვნებას შეუძლია თითქოს ჩვეულებრივსა და გასაგებ სამყაროს მოვლენებში რაღაც უჩვეულო დაინახოს. შემოქმედებითი ადამიანებს აქვთ უნარი, მოერგონ თითქმის ყველა სიტუაციას და მათ ხელთ არსებული რესურსებით სასურველ მიზანს მიაღწიონ.

შემოქმედებით აზროვნებას აქვს თავისი მახასიათებელი ნიშნები:

- **პალასტიკურობა** - შემოქმედებითი ადამიანები სთავაზობენ მრავალ ამოხსნას მაშინ, როცა ჩვეულებრივი ადამიანი ერთს ან ორს
- **მოდრაობადობა** - შემოქმედებითი აზროვნებისათვის არ წარმოადგენს სიძნელეს, გადავიდეს ერთი თვალსაზრისიდან მეორეზე, ერთი იდეიდან მეორეზე.
- **ორიგინალურობა** - შემოქმედებითი აზროვნებისათვის ჩვეულებრივია მოულოდნელი, უჩვეულო ამოხსნების წარმოშობა( ჯემალ ჯინჯიხაძე- პიროვნების სასკოლო მათემატიკური განვითარების ძირითადი პრობლემები, გვ. 166)

ჩვენთვის, მასწავლებლისთვის, მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, რომ ჩვენი მოსწავლე ჩამოყალიბდეს არა მხოლოდ საზოგადოების გაცნობიერებული წევრი, არამედ მოაზროვნე პიროვნება, რომელსაც შეუძლია შემოქმედებითი მიდგომა ნებისმიერი საქმიანობის მიმართ. შესაძლებელია თუ არა, რომ ყველა ჩვენი მოსწავლე

გახდეს შემოქმედი? რა თქმა უნდა, დიახ. ზოგი უფრო მცირე დოზით, ზოგი უფრო დიდად, მაგრამ ყველა. ე.ი. შეიძლება ვთქვათ, რომ შემოქმედებითი უნარი მეტ-ნაკლები დოზით ყველა ადამიანს ახასიათებს და სწავლების პროცესში შემოქმედებითი გარემოს შექმნა ხელს უწყობს მოსწავლეებში ამ უნარის განვითარებას. მის მოსწავლიდან „გარეთ“ გამოსვლას კი ხელს უწყობს ისეთი სწავლება, რომელიც დაფუძნებულია მაგ. „პრობლემურ მეთოდებზე“ და „სწავლა თამაშით“.

მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბების ერთ-ერთი პირობაა მოსწავლეთათვის პრობლემური სიტუაციების შექმნა. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება მოიცავს მოსწავლის შემეცნებითი დამოუკიდებლობის ფორმირებას და მისი შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებას. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება ეფუძნება მოსწავლეთა აქტიურ შემეცნებით საქმიანობას, რომელიც მოითხოვს ცოდნის აქტუალიზაციას, ანალიზს, ინდივიდუალური ფაქტების მიღმა ახლის დანახვის უნარს. ვფიქრობთ, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზეა შესაძლებელი: ახსნის, განმტკიცების, გამოკითხვის...

შემოქმედებითი აზროვნების განსავითარებლად საჭიროა ბავშვის შემოქმედებითი ქცევის განმტკიცება და მისთვის მისაბამი ნიმუშების ჩვენება, ასევე მასთან ურთიერთობისას დემოკრატიული პრინციპებით ხელმძღვანელობა. ბავშვებს არ უნდა ეშინოდეთ საკუთარი, თუნდაც მცდარი აზრის გამოთქმის. მათი შეხედულებები დიდი სიფრთხილით, ტაქტიანად უნდა შევაფასოთ, რათა მათ თავმოყვარეობა არ შევუღალხოთ და ტრამვა არ მივაყენოთ. გარემო დიდ როლს ასრულებს შემოქმედებითობის განვითარებაში. თუ ბავშვის მიერ გამოთქმულ არასტანდარტულ აზრს უფროსების უარყოფითი რეაქცია მოჰყვა, მას თვითგამოხატვის სურვილი ეკარგება. ამ შემთხვევაში, მისი შემოქმედებითი უნარი მხოლოდ პოტენციის სახით რჩება. იშვიათად შევხვდებით ისეთ ბავშვს, რომელიც შემოქმედებითობას არასასურველი გარემოს ზეგავლენის მიუხედავად ინარჩუნებს. ამიტომაც სასკოლო გარემოს სწორი ორგანიზება შემოქმედებითობის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. იმისათვის, რომ მასწავლებელმა მოსწავლეს განუვითაროს შემოქმედებითობის უნარი, მან უნდა გამოიყენოს მრავალფეროვანი სწავლების სტრატეგიები, მოახდინოს იდეების დაკავშირება, მოსწავლეების ცხოვრებასთან დაკავშირება, ისტ-ის გამოყენება, მოსწავლეთა დამოუკიდებლობის წახალისება.

მათემატიკის სწავლების დროს როგორ შეიძლება ხელი შევუწყოთ მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარების განვითარებას? სწავლებისას მნიშვნელოვანია, რომ შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით ვიპოვნოთ ემოციური მონაწილეობის გამომწვევი კომპონენტი. უნდა ვიპოვნოთ „კაუჭი“ , რომელზეც მოსწავლის „ინტერესს“ წამოვაგებთ, რაც მოსწავლის წარმოსახვის გააქტიურებაში დაგვეხმარება. ე.ი თავდაპირველად უნდა განვსაზღვროთ რა არის მნიშვნელოვანი მოსწავლეებისათვის? რა იწვევს მასში ემოციურ ჩართულობას? საკითხის სწავლებისას თუ ვერაფერს ვიპოვით, რაც ჩვენს საკუთარ ემოციურ ჩართულობას გამოიწვევს, ვერც მოსწავლეთა ემოციური ჩართულობის უზრუნველყოფას შევძლებთ. სწავლებისას, ჯერ ჩვენ უნდა მივაგნოთ რაიმე გამორჩეულს, შემდგომ საკითხი მოსწავლეებს ისე მივაწოდოთ სხვადასხვა მაგალითების საშუალებით, რომ მოხდეს მოსწავლეთა გაცნობის შეგრძნებების გამოწვევა და შედეგად სწავლის პროცესში მოსწავლეთა ემოციური ჩართულობის გააქტიურება. ეს კი გამოიწვევს მოსწავლეთა წარმოსახვითი უნარის გააქტიურებას. „წარმოსახვის გააქტიურება სწავლის პროცესის ლამაზად შეფუთული

დანამატი არ არის. ის სწავლების არსია. სწორედ ის აძლევს აძლევს აზრს იმ შინაარსს, რომლის გადაცემაც გვსურს. „ (კირან იგანი) (კრიტიკული და შემოქმედებითი განათლება, წარმოსახვითი განათლება, კირან იგანი, გვ. 236 )

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეროვნული სასწავლო გეგმა სხვა მოთხოვნებთან ერთად მასწავლებლისგან მოითხოვს შემოქმედი მოსწავლეების აღზრდას. როდესაც მოსწავლეს ვასწავლით შემოქმედებით აზროვნებას, აუცილებლად უნდა ვიყენებდეთ აქტიური სწავლების მეთოდებს. აქტიური სწავლება ტრადიციული სწავლებისაგან იმით განსხვავდება, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას და მათ აქტიურობას გულისხმობს. აქტიური სწავლების დროს მასწავლებელი ფასილიტატორია. იგი აძლევს მოსწავლეებს მასალას, რაზეც უნდა იფიქრონ. მასწავლებლის ჩართულობა არის მინიმალური, მაგრამ კარგად დაგეგმილი, რათა სწორად წარმართოს მოსწავლეთა საქმიანობა. აქტიური სწავლების კონკრეტულ სტრატეგიებს მიეკუთვნება: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, პროექტი, სოკრატული სწავლება, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება და ა.შ.

შემოქმედითობის უნარი, ეს არის მიზანდასახული სვლა ახლის აღმოსაჩენად და საკუთარი გამოცდილების სიღრმისეული გაცნობიერება. აქედან გამომდინარე ამ უნარის განვითარებას მოსწავლეებში დიდი მნიშვნელობა აქვს. და ბოლოს, რატომ არის აუცილებელი მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარის განვითარება? პასუხი ცალსახაა, ამ უნარის გარეშე ჩვენი მოსწავლე ცხოვრებისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდება. შემოქმედებითი აზროვნების განვითარება მოსწავლეებში ხელს უწყობს დამოუკიდებლად რეალური ცხოვრებისეული გზის გაკვლევას, საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ეროვნული სასწავლო გეგმა ( 2011 – 2016 წ.წ. 2018-2024 წ)
2. სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანის ტრატეგიები- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი  
[http://old.tpsc.ge/uploads/pdf\\_documents/saazrovn%20unarebi.pdf](http://old.tpsc.ge/uploads/pdf_documents/saazrovn%20unarebi.pdf)
3. ჯემალ ჯინჯინაძე- პიროვნების სასკოლო მათემატიკური განვითარების ძირითადი პრობლემები- თბილისი-2013 წ

**Nino Gelovani**

LEPL Telavi #1 public school

### **Mathematics teaching is a contributing factor to the development of students' creative abilities**

#### **Abstract**

The tasks of teaching do not end with the transfer of knowledge to students. In the process of teaching, it is necessary to take care of the development of students' thinking. It is very important to develop mathematical thinking in students. Mathematical thinking is thinking as a process that characterizes the activity of a person and takes its development in activity. Mathematical thinking is perfect when it includes critical and creative thinking. The ability to be creative is a deliberate move to discover new things and a deep understanding of one's own experience. Therefore, the development of this ability in students is of great importance. Why is it necessary to develop

creativity in students? The answer is unequivocal, without this skill, our student will be unprepared for life. The development of creative thinking in students helps to independently explore the real life path, to become a full-fledged member of society.

**საკვანძო სიტყვები:** მათემატიკა, აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, შემოქმედებითი უნარი.  
**Key words:** mathematics, thinking, problem solving, creative ability.

## ნინო გაბეჩავა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### რთული წინადადების სწავლების მეთოდური ტენდენციები გრიფირებული სახელმძღვანელოების მაგალითზე

საქართველოს განათლების სამინისტროს მოთხოვნით, ქართული ენის გრამატიკა, ისევე როგორც ადრე, ცალკე საგნად მოიაზრებოდა, თუმცა მასში რიგი ცვლილებები უნდა შესულიყო. სტანდარტზე მომუშავე ჯგუფმა, სისტემატურობა, რომელიც ქართული ენის გრამატიკის სწავლების მთავარი პრინციპია, უცვლელად დატოვა, თუმცა გარკვეული საკითხები შინაარსობრივად შეიცვალა. ვფიქრობთ, აუცილებელია შემუშავდეს ერთიანი სისტემა ქართული გრამატიკის სწავლებისა. საჭიროა: 1) განისაზღვროს საკითხთა წრე, რომელიც აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს სკოლაში; 2) შესასწავლი მასალა გადანაწილდეს კლასების მიხედვით; მიწოდებული მასალა იყოს ასაკის რელევანტური; 3) განისაზღვროს ის საკითხები, თუ რომელი უნდა ისწავლებოდეს სისტემური კურსით, რომელი-ფუნქციურით; 4) კონკრეტული საკითხის შესასწავლად შეირჩეს მეთოდიკური არსენალი.

2021 წელს ცალ-ცალკე გამოვიდა ქართული ლიტერატურისა და ქართული ენის სახელმძღვანელოები. კერძოდ, ჩვენთვის საყურადღებოა 2021 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფინიჭებული ქართული ენა 9 (მოსწავლის წიგნი), რომლის თანაავტორები არიან: ნანა სახეჩიძე, მაია მენაბდე და ნათია ფურცელაძე. წიგნი გამოცემულია ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ.

მე-9 კლასის ქართული ენის სახელმძღვანელო (მოსწავლის წიგნი) აგებულია შემდგომი პრინციპების საფუძველზე: 1. თეორიული მასალა გადმოცემულია მოსწავლისათვის ადვილად აღსაქმელ ენაზე; 2. სახელმძღვანელო შეიცავს მრავალფეროვან დავალებებს, აქტივობებსა და კოგნიტურ სქემებს; 3. ასახავს მოსწავლისათვის საინტერესო კომიქსური სტილის ილუსტრაციებს; 4. წიგნში გვხვდება წინარე ცოდნის გამააქტიურებელი კითხვები; 5. ფუნქციური და დასამახსოვრებელი რუბრიკებიდან აღსანიშნავია „დაიმახსოვრე“, „დააკვირდი“ და „ჭეშმარიტია თუ მცდარია“. 6. სახელმძღვანელოში სასწავლო მასალების ორგანიზებისას გამოყენებულია ინდუქციური მეთოდი (შემეცნება ზოგადიდან კერძოსკენ, კონკრეტულისკენ). აღნიშნული მეთოდი მიმართულია იმისაკენ, რომ მოსწავლემ პირადი დაკვირვებისა და ლოგიკური აზროვნების საფუძველზე შეძლოს თეორიულ ნაწილამდე მისვლა.

აღნიშნული პრინციპები დაცულია მე-4 თავშიც, რომელიც ეძღვნება რთული წინადადების სწავლებას. რთული წინადადების შესახებ თეორიული მასალა მოცემულია მოსწავლისათვის გასაგებ ენაზე, ასაკის გათვალისწინებით; რთული წინადადების ახსნა იწყება დავალებით „დააკვირდი, როგორია აგებულიების მიხედვით



ეს წინადადებები? დააკავშირე და შეაერთე ისინი?“. დავალების პირობა მარტივია, მოსწავლეებს უბრალოდ რთული წინადადების ორი ნაწილის პოვნა და ერთ წინადადებად შეერთება ევალებათ.

რთული წინადადების თეორიულ განმარტებას ერთვის პრაქტიკული მაგალითები, ახსნილია მასალა რთული წინადადების შემადგენელი ნაწილების შესახებ, თუ რამდენი მარტივი ან/და შერწყმული წინადადებისგანაა მიღებული კონკრეტული რთული წინადადებები.

რთული წინადადების სწავლებისას მე-9 კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოში გვხვდება საინტერესო კომიქსური სტილის ილუსტრაციები. დავალების პირობა მოსწავლისაგან მოითხოვს, რომ, ნახატის მიხედვით, დაწეროს პატარა ამბავი რთული და შერწყმული წინადადებების გამოყენებით და შეურჩიოს სათაური.

სახელმძღვანელოში მომდევნო ქვეთავები ეხება რთულ თანწყობილ და რთულ ქვეწყობილ წინადადებებს. რთული წინადადების სწავლება იწყება ფუნქციური და დასამახსოვრებელი რუბრიკით „დააკვირდი რთულ წინადადებებს“.

სახელმძღვანელოში ახსნილია მაგალითებს შორის განსხვავება, რომ პირველი ტიპის (რთულ თანწყობილ) წინადადებაში პირველ წინადადებას მეორე დამოუკიდებლად აგრძელებს, ხოლო მეორე ტიპის (რთულ ქვეწყობილ წინადადებაში) პირველი წინადადების ქვემდებარეს ხსნის მეორე წინადადება. არც ისაა გამორიცხული, რომ რთული თანწყობილი წინადადების მაგალითის პარალელურად რთული ქვეწყობილი წინადადების მოყვანა, ორი აქამდე უცხო საკითხის ერთბაშად შეპირისპირება შეიძლება, დამაბნეველი იყოს მოსწავლისათვის და მომავალში უფრო გაუძნელოს რთული წინადადების ტიპების ერთმანეთისაგან გარჩევა. ამ არგუმენტით, ალბათ, აქ უფრო ეფექტური იქნებოდა, თუ ავტორები შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ რთული თანწყობილი წინადადების თეორიულად ახსნითა და სქემატურად გამოსახვით.

რთული თანწყობილი წინადადების ახსნით ნაწილში სახელმძღვანელოში მოცემულია კოგნიტური სქემა, რომელიც მოსწავლეს ეხმარება რთული თანწყობილი წინადადების უკეთ გაგებაში. ასევე, მოცემულია სასწავლო მასალა და პრაქტიკული მაგალითები თანწყობილში შემავალ წინადადებებთან კავშირებისა და სასვენი ნიშნების გამოყენების შესახებ; ამ კუთხით სასწავლო მასალის განმტკიცებას ემსახურება რუბრიკა „დაიმახსოვრე“. წიგნში მოცემულია ორი ილუსტრირებული დავალება და სავარჯიშოები. აღნიშნული სავარჯიშოები ხელს უწყობს მოსწავლის მიერ რთული თანწყობილი წინადადების შესახებ მიღებული ცოდნის გაერთიანებასა და პრაქტიკაში გამოყენებას.

მოცემული კოგნიტური სქემა, მოსწავლეებს დამატებით წარმოდგენას უქმნის რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შემავალ კომპონენტებზე (წინადადებებზე). კოგნიტური სქემის ფარგლებში მოცემულია წინადადება **„გლებებმა გადაწყვიტეს, რომ ამ დიდი დღესასწაულისათვის გაესაღებინათ დარჩენილი ღვინო“** (სახეჩიძე, 2021:53).

სქემაში ნაჩვენებია, რომ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში პირველი წინადადება „გლებებმა გადაწყვიტეს“ მთავარია, ხოლო „რომ ამ დიდი დღესასწაულისათვის გაესაღებინათ დარჩენილი ღვინო“ - დამოკიდებული.

რთული ქვეწყობილი წინადადების სწავლების ნაწილში მე-9 კლასის ქართული ენის სახელმძღვანელოში გვხვდება სავარჯიშო, რომელიც მოცემულ წინადადებებში

მოსწავლისაგან ითხოვს მთავარი და დამოკიდებული წინადადებების გამიჯვნას, ასევე, მისათითებელი სიტყვებისა და კავშირების გახაზვას (მათი არსებობის შემთხვევაში). საყურადღებოა, რომ სავარჯიშოს დასაწყისში გვხვდება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი და დამოკიდებული წინადადებების გამიჯვნის ნიმუში, კოგნიტური სქემის სახით. ეს, ერთი მხრივ, მისასალმებელია, რამდენადაც ხელს უწყობს გამეორების გზით საკითხის დამახსოვრებას. მეორე მხრივ, წარმოადგენს ერთგვარ ე.წ. „შპარგალკას“, შაბლონს, რომლის დახმარებითაც მოსწავლე ზედმეტი ფიქრის გარეშე, ნახევრად ავტომატურად შეასრულებს სავარჯიშოს, რამაც შეიძლება, გამოიწვიოს საკუთარი სწავლის უნარებისადმი ზედმეტი თავდაჯერებულობა. ამ ლოგიკით, ალბათ, ავტორების მხრიდან უფრო გამართლებული იქნებოდა, თუ მოერიდებოდნენ ასე პირდაპირ მზა რეცეპტის მიწოდებას და მოსწავლეს დაუტოვებდნენ თავისუფლებას, რომ დამოუკიდებლად გადაეჭრა სავარჯიშოს შესრულებისას წარმოქმნილი პრობლემა თუ სირთულე.

გრიფირებული სახელმძღვანელოების, კერძოდ კი, მე-9 კლასის ქართული ენის მოსწავლის წიგნის (სახეჩიძე, მენაბდე, ფურცელაძე) მაგალითზე რთული წინადადებების სწავლების მეთოდური ტენდენციების შესწავლა როგორც აჩვენებს, მეტწილად გათვალისწინებულია სწავლების პრინციპები, რომლებიც უკავშირდება სასწავლო მასალის მისაწვდომობას, სისტემურობასა და თანმიმდევრულობას. სახელმძღვანელოში რთული წინადადების შესახებ სასწავლო მასალა მოცემულია მოსწავლისათვის გასაგებ ენაზე, გრამატიკული წესები ახსნილია ლაკონურად და ცხადად.

ჩვენ მიერ გაანალიზებული მე-9 კლასის ქართული ენის სახელმძღვანელო ითვალისწინებს მოსწავლის ასაკს, რთული წინადადების შესახებ სასწავლო მასალა არის ასაკის შესაბამისი. საგნობრივი ასპექტი, შეიძლება ითქვას, სრულფასოვნადაა მოცემული, არ შეიმჩნევა ფაქტობრივი, ან საგნობრივი ხასიათის უზუსტობები. მეტწილად გათვალისწინებულია თეორიული მასალისა და პრაქტიკული მასალების ხვედრითი წონა, პროპორცია.

ამდენად, ჩვენ მიერ გაანალიზებული გრიფირებული სახელმძღვანელო უდავოდ პასუხობს სწავლებისადმი თანამედროვეობის მოთხოვნებს. ამის დასტურია რთული წინადადებების ახსნისას უხვად გამოყენებული თვალსაჩინოებები: ლოგიკური სქემები და ილუსტრაციები, ასევე, პრაქტიკული სავარჯიშოები და დავალებები, ფუნქციური და დასამახსოვრებელი რუბრიკები „დააკვირდი“, „დაიმახსოვრე“. ეს ამტკიცებს, რომ სახელმძღვანელოში რთული წინადადების სწავლებისას კომბინირებულად გამოყენებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები. თეორიული მასალის ახსნის პარალელურად გვხვდება კოგნიტური სქემები, ილუსტრირებული დავალებები და პრაქტიკული სავარჯიშოები. რთული წინადადების შესახებ სასწავლო მასალის ორგანიზება სახელმძღვანელოში ემყარება ინდუქციურ მეთოდს. ჯერ ზოგადად მოცემულია რთული წინადადებები და მოსწავლეებს მოეთხოვებათ მათზე დაკვირვება, შემავალი წინადადებების ტიპის (მარტივია თუ შერწყმული, ან ორივე) დადგენა, ხოლო შემდეგ მსჯელობა მიდის კონკრეტულისაკენ. სახელმძღვანელოს ავტორები რთული წინადადების ზოგადი წარმოდგენიდან გადადიან კონკრეტულზე, რთულ თანწყობილ წინადადებაზე. თეორიულ მასალამდე მისვლა მოსწავლეს მომდევნო პარაგრაფებშიც უწევს პირადი დაკვირვებისა და ლოგიკური აზროვნების გზით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ესგ, 2018 - ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა (დაწყებითი და საბაზო საფეხურის) 2018-2024 წწ.
2. სახეჩიძე ნ., მენაბდე მ., ფურცელაძე ნ., (2021). ქართული ენა 9. სულაკაურის გამომცემლობა.
3. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტი;
4. [https://mes.gov.ge/content.php?id=4839&lang=geo&fbclid=IwAR0P1gakXZXI-D40\\_eWrQ9Odf0-nyxmLIE\\_Lw-p9HNZInCm5XqXXsSZIYfy](https://mes.gov.ge/content.php?id=4839&lang=geo&fbclid=IwAR0P1gakXZXI-D40_eWrQ9Odf0-nyxmLIE_Lw-p9HNZInCm5XqXXsSZIYfy) 26. 02. 2022;
5. <https://mes.gov.ge/content.php?id=10262&lang=geo> 24.03.2020;

**Nino Gabechava**  
Batumi Shota Rustaveli State University

## **Methodological trends in teaching complex sentences on the example of griffin textbooks**

### **Abstract**

In this article, we discuss the methodological trends in teaching complex sentences on the example of a griffin guide. The issue is very relevant, given that the teaching of a complex sentence remains one of the problematic issues in the school-educational space.

In the article, we will review the methods given in the textbook, which make the material easier for the student to understand and perceive. In conclusion, the guide discussed in the article answers modern methods and requirements for grammar teaching.

**საკვანძო სიტყვები:** სინტაქსი, რთული წინადადება, გრიფირებული სახელმძღვანელო, მეთოდოლოგია.

**Keywords:** syntax, complex sentence, griffin guide, methodology

**Nino Tsulaia**  
Sokhumi State University

## **Data-Driven Learning – an Innovative and Revolutionary Trend in Foreign Language Teaching**

### **Abstract**

Recent technological advancements have brought about significant changes to the study of language. The prospect of having large amounts of language data in digital format has enhanced the development of a new branch of linguistics named corpus linguistics. The development of corpus linguistics and the use of corpora in teaching practice have revolutionized the field of language teaching. Data-Driven Learning is a method of utilizing a corpus for foreign language teaching purposes in the classroom. Data-Driven Learning promotes autonomous learning and helps students improve analytical thinking, critical thinking, problem-solving, collaboration, and other lifelong learning skills. Data-Driven Learning is a constructivist, innovative and effective method in foreign language teaching, which allows observation and study of language items in authentic contexts. The

paper aims at reviewing the general peculiarities of Data-Driven Learning and presents all the opportunities and advantages corpus application in learning brings to foreign language learners.

### **Introduction**

Technological breakthroughs of the last century gave rise to the evolvement of a new field of linguistics, namely corpus linguistics. Corpus linguistics experienced special evolution in the past decades. It involves studying a language based on the analysis of language data presented in the corpus. Reppen (2010) defines corpus as “a large, principled collection of naturally occurring texts (written or spoken) stored electronically” (p. 23). The development of corpus linguistics has substantially impacted the teaching of a foreign language. Applying a corpus in language instruction started in the 1980s. The exploitation of a corpus for language teaching is referred to as Data-Driven Learning. The concept of Data-Driven Learning (DDL) was coined by British professor Johns (1990) who saw foresaw the forthcoming revolution in applied linguistics and language teaching with respect to a corpus, its utilization and opportunities.

Data-Driven Learning is one type of Computer-Assisted Language Learning (CALL). Corpora have much to offer to support and contribute to the foreign language teaching process. Corpora have widespread use in the area of applied linguistics. Corpus products are textbooks for vocabulary and grammar teaching, bilingual dictionaries, dictionaries of idioms, proverbs, collocations, phrasal verbs, etc. Besides, corpora can be used for various pedagogical purposes: corpora enable teachers to design course books, grammar books, usage manuals, etc. It should be pointed out that corpus analysis can affect the teaching curriculum, it can have an impact on the designing of syllabi and contents of the teaching and learning materials. A teacher has an opportunity to design a syllabus based on the analysis of corpus data. It can determine the content of instruction as “teachers can give priority to certain contents that are more frequent in a language system” (De Jesus & Carrilo, 2014, p. 1). Thus, teaching materials can be built around the data obtained from the corpus.

Scholars distinguish between indirect and direct applications of corpora in the classroom. Accordingly, two types of Data-Driven Learning, indirect and direct Data-Driven Learning, are found. Indirect DDL entails designing corpus-based materials by the teacher and having students detect the language in these resources. Direct DDL implies exposing learners to computers and corpus software where students investigate the language - grammar patterns, collocations, frequency indicators - in authentic corpus data. Indirect DDL is known as a paper-based approach, whereas direct DDL is referred to as a computer-based or hands-on approach. Integrating corpus reference publications (dictionaries, grammar books, language learning coursebooks - grounded on corpora data) into teaching is attributed to the indirect approach to corpus-based learning.

Language data provided by corpora is an invaluable source for language learning. A corpus constitutes a treasury of an enormous amount of words or phrases acquired from written and audio resources - books, press, TV and radio broadcasts, web materials; thus, corpora include both formal and informal language. Students get acquainted with examples of real-life language. They are able to observe an enormous number of instances from a broad range of authentic texts. Thus, Data-Driven Learning is purely an authentic language learning process. Data-Driven Learning is also referred to as discovery learning with corpora or corpus-aided discovery learning (CADL). It involves exploratory tasks and activities. The data of corpora are genuine, rich, demonstrative, and up-to-date. It displays the language in real use, discloses language tendencies and provides more multifarious and valuable information than dictionaries and reference grammars.

Data-Driven Learning substantially enhances language awareness in students. According to Dazdarevic, Zoranic and Fijuljanin (2015), “corpus helps students get a broader view of language” (p. 5). Corpora allow learners to become aware of the frequency of different language features, ‘the most common and frequent lexical choices’ of native speakers (Dash, 2011, p. 21). As reported by Huang (2011), “corpus data enrich our understanding of language use” (p. 482).

The Data-Driven Learning method triggers students' active learning. Students in Data-Driven Learning are highly involved in scrutinizing different aspects of language. Students infer the meaning of words or expressions, observe their usage and frequency. Students involving in Data-Driven Learning are often referred to as travelers, detectives, 'Sherlock Holmes', etc. According to Chirobocea (2017), the corpus-based approach to language teaching attempts 'to make linguistic detectives out of learners' (p. 365).

Data-Driven Learning is a constructivist teaching method that promotes self-directed learning. Students being taught with the Data-Driven Learning method are encouraged to be self-regulated learners. Corpus-aided teaching empowers students with a useful strategy of 'learning how to learn' as students "work independently or collaboratively to observe, analyze, and interpret patterns of language use" (Huang, 2008, p. 21). Data-Driven Learning incites generativity. Students start actively use language. The discovery part of the Data-Driven Learning method is stimulating for learners and makes the learning process fun. It also encourages interactivity and interaction in the classroom.

Data-Driven Learning establishes the transformation of roles of the teacher as well as students. The inclusion of a corpus in the teaching and learning process creates a more student-centered environment. Students act as researchers and a teacher performs as a consultant. Teaching with corpora promotes students' autonomy. Students tend to show increased responsibility for their own learning. They look for language features in a huge amount of data. As stated by De Jesus and Carrilo (2014), students of corpus-aided language learning 'do their own research about language features' (p. 4).

A corpus is regarded to be a useful tool to deepen language learning. Corpora generate plenty of handy and valuable opportunities for language acquisition. Data-Driven Learning is applied in learning various aspects of language including vocabulary and grammar. DDL is widely used in the teaching of collocations and phraseology. Corpus-based materials enable learners to improve their linguistic skills including synonyms, antonyms, polysemy, homonymy, etc. A corpus is a useful tool for the exposure of collocation, colligation and prosody of target words. Corpora are widely exploited in teaching translation, also error self-correction and improvement of writing skills. Corpora data can be used to design materials for teaching other language skills as well, such as reading and speaking.

Data-Driven Learning opens the opportunity for students to acquire a good deal of essential lifelong learning skills. DDL enhances the analytical skills of learners. In accordance with O'Sullivan (2007), a considerable number of cognitive skills is involved in the corpus-based learning process: "predicting, observing, noticing, thinking, reasoning, analyzing, interpreting, reflecting, exploring, making inferences (inductively or deductively), focusing, guessing, comparing, differentiating, theorizing, hypothesizing, and verifying" (p. 277). Data-Driven Learning gives possibilities to provide problem-solving activities to students which fosters their critical thinking skills. Furthermore, according to Dash (2011), corpora are often applied to 'look critically at the existing ELT materials' (p. 21). Teaching textbooks contain fictional language which quite often diverges the language used in real-life situations by native communities.

To sum up, a corpus is a unique source of opportunities for language acquisition. Corpus-based or Data-Driven Learning is an innovative and revolutionary method in foreign language teaching. It allows learners to explore the language in authentic contexts. Data-Driven Learning is an effective constructivist and technology-based approach tailored to the needs and interests of students in the contemporary era of education. Data-Driven Learning grants cognitive competencies and beneficial lifelong learning skills to students, such as analytical skills, problem-solving skills, decision-making skills, critical thinking skills, collaboration skills and others.

## References:

1. Reppen, R. (2010). *Using Corpora in the Language Classroom*. Cambridge: Cambridge University Press.
2. Johns, T. (1990). From printout to handout: Grammar and vocabulary teaching in the context of data-driven learning. *CALL Austria*, 10, 14–34.
3. De Jesus, A.D.C. & Carrilo, J.L.Q. (2014). Advantages of using corpora to teach English. Retrieved April 10, 2021 from <http://cenedic.ucol.mx/feel/pdf/1.pdf>
4. Dazdarevic, S., Zoranic, A. L., & Fijuljanin, F. (2015). Benefits of corpus-based approach to language teaching. *Balkan Distance Education Network - BADEN Newsletter*, 7, 1-5.
5. Dash, N.S. (2011). Corpus-Based English Language Teaching: A New Method. In *Proceedings of the Orientation-Cum-Workshop Programme on Recent Trends in Language Teaching* (pp. 19-36). Kolkata, India: David Hare Training College, Institute of Advanced Studies in Education.
6. Chirobocea, O. (2017). The good and the bad of the corpus-based approach (or data-driven learning) to ESP teaching. *“Mircea cel Batran” Naval Academy Scientific Bulletin*, 20(1), 364-371.
7. Huang, L.S. (2008). Using guided, corpus-aided discovery to generate active learning. *English Teaching Forum*, 46(4), 20-27.
8. O'Sullivan, I. (2007). Enhancing a process-oriented approach to literacy and language learning: The role of corpus consultation literacy. *ReCALL: The Journal of EUROCALL*, 19(3), 269-286.

ნინო წულაია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### კორპუს-მონაცემებზე დაფუძნებული სწავლება - ინოვაციური და რევოლუციური ტენდენცია უცხოური ენის სწავლებაში

#### რეზიუმე

ბოლო დროინდელმა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ენის სწავლების პროცესში. დიდი რაოდენობით ენობრივი მონაცემების ციფრულ ფორმატში ხელმისაწვდომობის პერსპექტივამ გააძლიერა ენათმეცნიერების ახალი დარგის, კორპუს-ლინგვისტიკის, განვითარება. კორპუს-ლინგვისტიკის განვითარებამ და კორპუსების გამოყენებამ სასწავლო პრაქტიკაში რევოლუცია მოახდინა ენის სწავლების სფეროში. კორპუს-მონაცემებზე დაფუძნებული სწავლება გახლავთ უცხოური ენის სწავლების მიზნით კორპუსების გამოყენების მეთოდი სასწავლო გარემოში. კორპუს-მონაცემებზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს ავტონომიურ სწავლას და ეხმარება სტუდენტს გაიუმჯობესოს ანალიტიკური აზროვნების, კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის, თანამშრომლობითი და უწყვეტი განათლების სხვა უნარები. კორპუს-მონაცემებზე დაფუძნებული სწავლება გახლავთ კონსტრუქტივისტული, ინოვაციური და ეფექტური მეთოდი უცხოური ენის სწავლებაში, რომელიც იძლევა ენობრივ ერთეულებზე დაკვირვების და შესწავლის საშუალებას ავთენტურ კონტექსტებში. ნაშრომი მიზნად ისახავს კორპუს-მონაცემებზე დაფუძნებული სწავლების ზოგადი მახასიათებლების მიმოხილვას და წარმოგიდგინთ ყველა იმ შესაძლებლობასა და უპირატესობას, რაც კორპუსების გამოყენებას სწავლაში მოაქვს უცხოური ენის შემსწავლელისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** კორპუსი, კორპუს-მონაცემებზე დაფუძნებული სწავლება, უცხოური ენის სწავლება, უპირატესობები, უწყვეტი განათლების უნარები  
**Keywords:** Corpus, Data-Driven Learning, foreign language teaching, benefits, lifelong learning skills

**თეიმურაზ ორმოცაძე**  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## **საჯარო სკოლებში ელემენტალური მათემატიკის ზოგიერთი საკითხების სწავლების შესახებ**

ერთი შეხედვით, წარმოდგენილი ნაშრომი სიახლე არ უნდა იყოს მაგრამ თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე საჯარო სკოლის მდგომარეობას და მოსწავლეების დამოკიდებულებას სწავლისადმი, ნათელი გახდება საკითხისადმი ქვემოთ მოყვანილი მიდგომის აუცილებლობა.

წლების განმავლობაში ვცდილობდი ცხრილური სახით მიმეცა მოსწავლეებისთვის ახალი საკითხი, სადაც ამის შესაძლებლობა იყო. გამოცდილებით მივედი იმ დასკვნამდე, რომ ერთ-ერთი საუკეთესო გზა ცოდნის ღრმად და არაფორმალურდ შესწავლისათვის, სწორედ ცხრილური სახით მიწოდებული ინფორმაციაა.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე კი, შეგვიძლია გამოვთქვათ შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ დისტანციური სწავლებით კიდევ უფრო შესუსტებულ სასკოლო განათლებას, არ მოყვებს ეროვნული გამოცდების გამარტივება(ნიშნები უკვე ჩანს, წლებანდელი ტესტების ანალიზიც ამას მიუთითებს) და უმაღლეს სასწავლებლებში მოუმზადებელი აბიტურიენტების შესვლა, ამიტომაც არის საჭირო გადაიდგას მცირედი ნაბიჯი, რომელიც ამ საკითხს შეაჩერებს, ვიდრე უკეთესი გზა არ იქნება მოძებნილი.

ამ მოსაზრებას ამტკიცებს, სხვადასხვა სპეციალისტების მიერ საჯაროდ გამოთქმული მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ ბოლო წლებში, ეროვნულ გამოცდებზე სხვადასხვა საგნის ტესტებში შეტანილი ცვლილებები საგრძნობლად ამარტივებენ აღნიშნულ ტესტებს, არმინდა ვიფიქრო, რომ ეს მიზანმიმართულად ხდება.

ამ სტატიის ფარგლებში მოვიყვანთ მოსწავლეებისათვის აუცილებლად საჭირო საკითხების - განტოლების და უტოლობის ამოხსნის ცხრილურ ფორმას. მასში გადმოცემულია ყველა შესაძლო განტოლების და უტოლობის ამოხსნის ალგორითმი, რომელიც კი შეისწავლება (ან ისწავლებოდა საშუალო სკოლებში) საჯარო სკოლებში ელემენტარული მათემატიკის კურსში. დიახ, ალგორითმი - რადგან თანამედროვე ბავშვებისათვის ასეთი მიდგომები უფრო ახლოსაა, ვიდრე ის რასაც საჯარო სკოლების მასწავლებელთა უმეტესობა თავაზობს მათ.

ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ ბლუმის ტაქსონომია არ იძლევა მოსწავლის აზროვნების შეფასების საშუალებას, ის აქცენტებს სვამს კოგნიტური უნარების მხოლოდ გარკვეულ ნაწილზე და არ ასახავს ჯეროვნად მეტაგოგნიტურ პროცესებს. გვიჩვენებს რა იცის მოსწავლემ, მაგრამ ვერ პასუხობს კითხვას, რა და როგორ ისწავლა მან.

პედაგოგიური პრაქტიკა ცალსახად აჩვენებს, რომ ელემენტარული მათემატიკის სასწავლო კურსის შესწავლის საწყის ეტაპზე მოსწავლეებისათვის ამოცანების ამოხსნისას ძირითად სირთულეს სწორი ალგებრაში შესაბამისი განტოლების ან უტოლობის ამოხსნის ალგორითმის, ხოლო გეომეტრიაში ნახაზის შესრულება წარმოადგენს. ამასთან, ამოსახსნელი ამოცანის მოცემულობების მიხედვით შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა მისი ამოხსნის უპირობო საწინდარია. ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოსწავლეებში სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშავება, თუნდაც მზა ცხრილების თანდართული საშუალებით. სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება შემოთავაზებული სტატია, რომელიც უპირველესყოვლისა განკუთვნილია საშუალო სკოლის მოსწავლე-ებისათვის, თუმცა დროის რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით მას შეუძლია გარკვეული სარგებელი მოუტანოს აბიტურიენტებსაც მათი მათემატიკაში ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების პროცესში და ასევე დახმარება გაუწევს დამწყებ პედაგოგებს.

განტოლება	პირობა	ამოხსნა
13. $\arcsin x = a$	$ a  \leq \frac{\pi}{2}$ $ a  > \frac{\pi}{2}$	$x = \sin a$ ამონახსენი არა აქვს
14. $\arccos x = a$	$a \in [0; \pi]$ $a \notin [0; \pi]$	$x = \cos a$ ამონახსენი არა აქვს
15. $\arctg x = a$	$ a  < \frac{\pi}{2}$ $ a  \geq \frac{\pi}{2}$	$x = \operatorname{tg} a$ ამონახსენი არა აქვს
16. $\operatorname{arcctg} x = a$	$a \in (0; \pi)$ $a \notin (0; \pi)$	$x = \cos a$ ამონახსენი არა აქვს
უტოლობა	პირობა	ამოხსნა
1. $ax > b, a > 0$  $a < 0$	$b \in R$  $b \in R$	$x \in \left(\frac{b}{a}; +\infty\right)$  $x \in \left(-\infty; \frac{b}{a}\right)$
2. $ax^2 + bx + c > 0, a > 0$    $a < 0$	$D > 0$  $D = 0$  $D < 0$  $D > 0$	$x \in (-\infty; x_1) \cup (x_2; +\infty)(*)$  $x \neq -\frac{b}{2a}$  $x \in (-\infty; +\infty)$ ანუ $x \in R$  $x \in (x_1; x_2)$



	$D \leq 0$	ამონახსენი არა აქვს
3. $ x  > a$	$a \geq 0$ $a < 0$	$x \in (-\infty; -a) \cup (a; +\infty)$ $x \in (-\infty; +\infty)$ ან $x \in R$
4. $ x  < a$	$a > 0$ $a \leq 0$	$x \in (-a; a)$ ამონახსენი არა აქვს
5. $\sqrt{x} > a$	$a \geq 0$ $a < 0$	$x \in (a^2; +\infty)$ $x \in [0; +\infty)$
6. $\sqrt{x} < a$	$a > 0$ $a \leq 0$	$x \in [0; a^2)$ ამონახსენი არა აქვს
7. $x^{2m} > a; m \in N$	$a \geq 0$ $a < 0$	$x \in (-\infty; -\sqrt[2m]{a}) \cup (\sqrt[2m]{a}; +\infty)$ $x \in (-\infty; +\infty)$
8. $x^{2m} < a; m \in N$	$a > 0$ $a \leq 0$	$x \in (-\sqrt[2m]{a}; \sqrt[2m]{a})$ ამონახსენი არა აქვს
9. $x^{2m+1} > a; m \in N$	$a \in R$	$x \in (\sqrt[2m+1]{a}; +\infty)$
10. $x^{2m+1} < a; m \in N$	$a \in R$	$x \in (-\infty; \sqrt[2m+1]{a})$
11. $a^x > b; a > 1$	$b > 0$ $b \leq 0$	$x \in (\log_a b; +\infty)$ $x \in (-\infty; +\infty)$
12. $a^x > b; 0 < a < 1$	$b > 0$ $b \leq 0$	$x \in (-\infty; \log_a b)$ $x \in (-\infty; +\infty)$
13. $a^x < b; a > 1$	$b > 0$ $b \leq 0$	$x \in (-\infty; \log_a b)$ ამონახსენი არა აქვს
14. $a^x < b; 0 < a < 1$	$b > 0$ $b \leq 0$	$x \in (\log_a b; +\infty)$ ამონახსენი არა აქვს
15. $\log_a x > b; a > 1$	$b \in R$	$x \in (a^b; +\infty)$
16. $\log_a x > b; 0 < a < 1$	$b \in R$	$x \in (0; a^b)$
17. $\log_a x < b; a > 1$	$b \in R$	$x \in (0; a^b)$
18. $\log_a x < b; 0 < a < 1$	$b \in R$	$x \in (a^b; +\infty)$
19. $\sin x > b$	$b \geq 1$ $-1 \leq b < 1$ $b < -1$	ამონახსენი არა აქვს $x \in (\arcsin b + 2\pi k; -\arcsin b + \pi(2k + 1))$ $x \in (-\infty; +\infty)$
20. $\sin x < b$	$b > 1$ $-1 < b \leq 1$ $b \leq -1$	$x \in (-\infty; +\infty)$ $x \in (-\arcsin b + \pi(2k - 1); \arcsin b + 2\pi k)$ ამონახსენი არა აქვს
21. $\cos x > b$	$b \geq 1$ $-1 \leq b < 1$	ამონახსენი არა აქვს $x \in (-\arcsin b + 2\pi k; \arcsin b + 2\pi k)$

	$b < -1$	$x \in (-\infty; +\infty)$
22. $\cos x < b$	$b > 1 - 1 < b \leq 1$ $b \leq -1$	$x \in (-\infty; +\infty)$ $x \in (\arccos b + 2\pi k; -\arccos b + 2\pi(k+1))$ ამონახსენი არა აქვს
23. $\tan x > b$ ( $tgx > b$ )	$b \in R$	$x \in \left(\arctg b + \pi k; \frac{\pi}{2} + \pi k\right)$
24. $\tan x < b$ ( $tgx < b$ )	$b \in R$	$x \in \left(-\frac{\pi}{2} + \pi k; \arctg b + \pi k\right)$
25. $c \cotan x > b$ ( $ctgx > b$ )	$b \in R$	$x \in (\pi k; \operatorname{arcctg} b + \pi k)$
26. $c \cotan x < b$ ( $ctgx < b$ )	$b \in R$	$x \in (\operatorname{arcctg} b + \pi k; \pi(k+1))$

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ორმოცაძე, თ. (2018). ზოგიერთი რამ სწავლა/სწავლების პრობლემების შესახებ. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების თანამედროვე პარადიგმები და ევროკავშირის საერთაშორისო პროექტების DOIT, DARE, ASSET, CURE დისკინაცია.
2. ახალაია, შ., ორმოცაძე, თ. (2021). გეომეტრია. პლანიმეტრიის მოკლე კურსი ცხრილებსა და ნახაზებში. თბილისი.

**Teimuraz Ormotsadze**  
Sokhumi State University

### Learning of Some Materss of Elementary mathematics in public schools

#### Abstract

The presented work deals with such key issues and problems of pedagogy as: teaching methods, teaching technology and strategy.

In particular, it outlines the way we think to solve one of the most important problems that students and teachers face when solving some algebraic identifiers. This in turn slows down students' motivation and loses their interest in mathematics.

**საკვანძო სიტყვები:** განტოლება, უტოლობა, დიდაქტიკა, სწავლების მეთოდები, სწავლების ტექნოლოგია და სტრატეგია.

**Key words:** Equation, inequality, didactics, teaching methodology and strategy.

**ფუნქციათა შესახებ ამოცანების ანალიზი აბიტურიენტებისა და  
მასწავლებლების მათემატიკის საგნობრივი  
საგამოცდო ტესტების მაგალითზე**

2005 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად საქართველოში ტარდება ერთიანი ეროვნული გამოცდები. მათემატიკის გამოცდა თავიდანვე იყო ჩამონათვალთა რიგში. აბიტურიენტები სასურველი ფაკულტეტის მოთხოვნის მიხედვით აბარებენ ამ გამოცდას. ამდენი წლის განმავლობაში მათემატიკის ტესტის ფორმატმა რამდენჯერმე ძალიან უმნიშვნელოდ განიცადა მოდიფიკაცია. საგნის მისაღებ პროგრამაში ფუნქცია და ფუნქციის შესახებ საკითხები აუცილებელ ჩამონათვალშია, რაც გასაკვირი არ უნდა იყოს, რამეთუ იგი ხერხემალია მათემატიკისა და მთავარ შემაერთებელ რგოლს თამაშობს სასკოლო და საუნივერსიტეტო მათემატიკას შორის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლაში გრაფიკული აზროვნების ჩვევების დაუფლება - ფუნქციის გრაფიკის გააზრება კარგი საშუალებაა „ბევრი რალაცის დასანახად“. სწავლების პროცესში აუცილებლად შევამჩნევთ, რომ ფუნქციის უწყვეტობის ან წყვეტის შესახებ საუბარი არ გვიწევს საკლასო ოთახში, თუმცა მისი გვერდის ავლაც ვერ ხერხდება. ეს საკითხი რამდენადმე „მიჩუმდებულა“ და არც კი ვახსენებთ ხოლმე უწყვეტ ან წყვეტილ ფუნქციას და რომც ვახსენოთ, მაინც ინტუიციის დონეზე უნდა გავაკეთოთ ეს, იმიტომ, რომ არანაირი განმარტება სასკოლო სახელმძღვანელოებში მის შესახებ არ მოიპოვება. ეს ცხადიკაა, უწყვეტობის განმარტებისას ზღვრის ცნებაა საჭირო, რაც ესგ-დან და, შესაბამისად, სასკოლო სახელმძღვანელოებიდან ამოღებულია. აღნიშნული ცნება აუცილებლობით გამოწვეული შესასწავლი თემაა სკოლის მოსწავლეებისათვის, თუმცა სამსჯელოა, როგორ უნდა შემოვიტანოთ ეს ცნება - მკაცრი მათემატიკური ტერმინოლოგიით, თუ მაგალითების საშუალებით მივახვედროთ მოსწავლეები, რომ ზოგიერთი ფუნქციის ყოველი წერტილი „გადაბმულია“ და ზოგიერთი ფუნქციიდან „ამოვარდნილია“ წერტილები. ალბათ ამ მიზეზითაა გამოწვეული ის გარემოება, რომ სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორები გვთავაზობენ ისეთი ტიპის ამოცანებს, სადაც მოსწავლეებს მოუწევთ გაამახვილონ ყურადღება აღნიშნულზე. მაგალითად, მოცემულია ორი ფუნქცია:  $f(x) = x + 4$  და  $g(x) = \frac{x^2 - 16}{x - 4}$ . ავაგოთ ორივე ფუნქციის გრაფიკი და დავადგინოთ, რა „განსხვავებაა“ მათ შორის... ზოგი ავტორის მოსაზრებით, „უწყვეტი ფუნქციის გრაფიკის დახაზვა შესაძლებელია ფურცლიდან ფანქრის აულებლად.“ [Ивашев-Мусатов, 1978 (3)].

მიგვაჩნია, რომ ზოგიერთი თეორემა დამტკიცების გარეშე შეიძლება ისწავლებოდეს სასკოლო მათემატიკაში, ზოგიერთი ტერმინის განმარტება კი არამკაცრად შემოდიოდეს. ასეთი თეორემა შეიძლება კარგი აპარატი აღმოჩნდეს ამოცანების ამოსახსნელად ან სხვა საკითხის უკეთ გაგებას შეუწყოს ხელი, ხოლო ისეთი ტერმინები, რომელთა განმარტებებშიც უმაღლესი მათემატიკის ელემენტებია საჭირო, ნათელს

მოჭფენს ბევრ ბუნდოვან საკითხს. ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ერთ საინტერესო ამოცანაზე, რომელიც 2014 წელს შესთავაზეს აბიტურიენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდების მათემატიკის ტესტში და1 ქულით ფასდებოდა. ორივე ვარიანტში ერთი და იმავე სირთულის ამოცანა გვხვდება:

იპოვეთ  $f(x)=2^{\sin x}$  ფუნქციის მნიშვნელობათა სიმრავლე, თუ  $x \in [\frac{\pi}{6}; \pi]$

ა)  $[1; 2]$  ბ)  $[1; \sqrt{2}]$  გ)  $[\frac{1}{2}; 2]$  დ)  $(0; 2)$

იპოვეთ  $f(x) = 3^{\cos x}$  ფუნქციის მნიშვნელობათა სიმრავლე, თუ  $x \in [-\frac{\pi}{3}; \frac{\pi}{2}]$

ა)  $[\frac{1}{3}; 3]$  ბ)  $[1; \sqrt{3}]$  გ)  $(0; 3]$  დ)  $[1; 3]$

ერთი შეხედვით, ეს ამოცანა ძალიან იოლია, განსაკუთრებით მასწავლებელთათვის, თუმცა სინამდვილეში ამოცანის სტრუქტურა საკმაოდ რთულია, მით უმეტეს, მოსწავლეთათვის. თანაც სასკოლო სახელმძღვანელოებში იმ თეორემის შესახებ, რაც აღნიშნული ამოცანების ამოხსნას სჭირდება, არაფერია ნათქვამი.

შევეცადოთ, ამოვხსნათ მოსწავლეთა ენაზე. განვიხილოთ ერთ-ერთი მაგალითი:

$$f(x) = 2^{\sin x}; x \in [\frac{\pi}{6}; \pi].$$

არაა გამორიცხული, რომ აბიტურიენტებმა ჩასვან სეგმენტის საზღვრის

$$\text{წერტილები: } f(\frac{\pi}{6}) = 2^{\sin \frac{\pi}{6}} = 2^{\frac{1}{2}} = \sqrt{2}; \quad f(\pi) = 2^{\sin \pi} = 2^0 = 1.$$

და, შესაბამისად, სწორ პასუხად აირჩიონ (ბ) პასუხი, რომელიც, რა თქმა უნდა, შესარჩევ პასუხებს შორის ფიგურირებს. სასკოლო სახელმძღვანელოები არაფერს საუბრობენ სეგმენტზე უწყვეტ ფუნქციათა თვისებების შესახებ. მაგ. ვაიერშტრასის თეორემაზე. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, მოსწავლეებს იმის დადგენაც გაუჭირდებათ, აღნიშნული ფუნქცია ზრდადია თუ კლებადი. ბევრი ალბათ ჩათვლიდა, რომ  $f(x) = 2^x$  ფუნქციის ანალოგიით ეს ფუნქცია თავის განსაზღვრის არეზე სულ ზრდადი უნდა იყოს. ეს ასე რომ არაა, იქიდანაც ჩანს, რომ  $\frac{\pi}{6} < \pi$  და  $f(\frac{\pi}{6}) > f(\pi)$ . ასე რომც იყოს, მოსწავლე ინტუიციურად ხვდება შემდეგი ფაქტების სისწორეს, რომ სეგმენტებზე მკაცრად ზრდადი ფუნქცია მიიღებს თავის მინიმალურ და მაქსიმალურ მნიშვნელობას საზღვრის წერტილებში. (მაგ. თუ ფუნქცია მკაცრად ზრდადია და უწყვეტია  $[a; b]$ -ზე, მაშინ მნიშვნელობათა სიმრავლე იქნება  $[f(a); f(b)]$ )

ის ფაქტი, რომ  $f(x)=2^{\sin x}$  არის ფუნქციათა კომპოზიცია  $f(x) = g(h(x))$ , სადაც  $g(x) = 2^x$  და  $h(x) = \sin x$  და რთული  $g(h(x))$  ფუნქციის ზრდადობა-კლებადობა დამოკიდებულია  $h(x)$  ფუნქციის ზრდადობა-კლებადობაზე. ეს მოსწავლეთათვის ადვილი მისახვედრი არ უნდა იყოს. შესაბამისად,  $[\frac{\pi}{6}; \pi]$  შუალედის დაყოფით,  $[\frac{\pi}{6}; \frac{\pi}{2}]$  შუალედში  $h(x) = \sin x$  ზრდადი ფუნქციაა და  $[\frac{\pi}{2}; \pi]$  შუალედში კი  $h(x) = \sin x$  კლებადი ფუნქციაა, ანუ  $f(x)=2^{\sin x}$  ფუნქცია ზრდადობა-კლებადობის შუალედებიც შესაბამისი იქნება. ისლა დაგვრჩენია  $f(x)=2^{\sin x}$  ცალ-ცალკე შევაფასოთ თითოეულ შუალედში:

$$f(\frac{\pi}{6}) = 2^{\sin \frac{\pi}{6}} = 2^{\frac{1}{2}} = \sqrt{2} \quad f(\frac{\pi}{2}) = 2^{\sin \frac{\pi}{2}} = 2^1 = 2 \text{ ზრდადია და მნიშვნელობათა სიმრავლეა } [\sqrt{2}; 2].$$

$$f(\frac{\pi}{2}) = 2^{\sin \frac{\pi}{2}} = 2^1 = 2 \quad f(\pi) = 2^{\sin \pi} = 2^0 = 1 \text{ კლებადია და მნიშვნელობათა სიმრავლეა } [1; 2].$$

$$f(x)=2^{\sin x} \text{ ფუნქციის მნიშვნელობათა სიმრავლე კი } [\frac{\pi}{6}; \pi] \text{ სეგმენტებზე იქნება } [1; 2].$$

ალექსანდროვს თავის სახელმძღვანელოში [1972, 157] აქვს მცდელობამოსწავლეთა ენაზე „კრიტიკული წერტილის“ შემოტანის: „თუ  $a \leq x < x_0$  ინტერვალზე ფუნქცია  $y = f(x)$  მკაცრად ზრდადი (კლებადია) და  $x_0 < x \leq b$  ინტერვალზე კი მკაცრად კლებადია (ზრდადია), მაშინ  $f(x_0)$  არის  $[a; b]$  სეგმენტზე  $y = f(x)$  ფუნქციის უდიდესი (უმცირესი) მნიშვნელობა“. ძნელად წარმოსადგენია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლე, რომელიც ასე იმსჯელებდა და მივიდოდა სწორ პასუხამდე და ფუნქციის მნიშვნელობა შეემოწმებინა  $\frac{\pi}{2}$  წერტილშიც. იგივე პრობლემა დგას ჩვენ მიერ მოყვანილ მეორე ამოცანაშიც. აღნიშნული ამოცანები გვინდა შევაპირისპიროთ მასწავლებელთა კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდაში 2016 წლის იანვარში შეთავაზებულერთქულიან ამოცანასთან:

იპოვეთ  $f(x) = (\sqrt{5})^{2-x^2+4x}$  ფუნქციის უდიდესი მნიშვნელობა:

- ა) 5                      ბ) 25                      გ) 125                      დ) არ არსებობს

აღარ შევჩერდებით ამ ამოცანის ამოხსნაზე. სირთულის თვალსაზრისით განსხვავებათვალსაჩინოა.

მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე ამოცანა ერთიანი ეროვნული გამოცდებიდან:

2020 წ.  $f$  ფუნქციის განსაზღვრის არეა  $[-3; 1]$  შუალედი, რომელზეც ის მოცემულია  $f(x) = \log_2(x^2 + 4x + 12)$  ტოლობით. იპოვეთ ამ ფუნქციის უმცირესი მნიშვნელობა.

- ა)  $\log_2 9$                       ბ) 4                      გ) 3                      დ)  $\log_2 17$

2020 წ.  $f$  ფუნქციის განსაზღვრის არეა  $[0; 2]$  შუალედი, რომელზეც ის მოცემულია  $f(x) = 2^{x-x^2}$  ტოლობით. იპოვეთ ამ ფუნქციის უდიდესი მნიშვნელობა.

- ა)  $\sqrt{2}$                       ბ)  $\frac{1}{4}$                       გ) 1                      დ)  $\sqrt[4]{2}$

2022 წ. იპოვეთ  $f(x) = 2^{x^2-2x}$  ფუნქციის მნიშვნელობათა სიმრავლე, თუ  $x \in [0; 3]$ .

- ა)  $[1; 8]$                       ბ)  $[\frac{1}{2}; 8]$                       გ)  $(0; 8]$                       დ)  $\{1; 8\}$

2022 წ. იპოვეთ  $f(x) = \frac{1}{2x^2-x+3}$  ფუნქციის უდიდესი მნიშვნელობა

- ა) 1                      ბ)  $\frac{1}{3}$                       გ)  $\frac{1}{4}$                       დ)  $\frac{8}{23}$

2016 წ. იპოვეთ  $f(x) = \frac{1}{2x^2-5x+7}$  ფუნქციის უდიდესი მნიშვნელობა

- ა) 0,5                      ბ)  $\frac{7}{3}$                       გ)  $\frac{8}{31}$                       დ) 2,3

შევადართო მასწავლებელთა კომპეტენციის დამადასტურებელი ტესტის ამოცანებს:

2010 წ. იპოვეთ  $f: (-2; 3) \rightarrow R$  ფუნქციის მნიშვნელობათა სიმრავლე, თუ  $f$  განსაზღვრულია ფორმულით  $f(x) = x^4 + 1$

- ა)  $(17; 82)$                       ბ)  $(1; 17)$                       გ)  $[17; 82]$                       დ)  $[1; 82)$

2012 წ. რა ფარგლებში იცვლება  $x^2 - 2x + 1$  გამოსახულება, როცა  $x \in [-1; 2)$  ?

- ა)  $(0; 4]$                       ბ)  $[1; 4)$                       გ)  $(1; 4]$                       დ)  $[0; 4]$

2016 წ. და 2022 წ. იპოვეთ  $y = 2x^2 + 4x + 3$  ფუნქციის მნიშვნელობათა სიმრავლე

ა)  $(-\infty; 1)$       ბ)  $(-\infty; +\infty)$       გ)  $[-1; +\infty)$       დ)  $[1; +\infty)$

2017 წ. იპოვეთ  $y = 2x^2 + 4x + 3$  ფუნქციის უმცირესი მნიშვნელობა  $[-4; 1]$  შუალედში

ა)  $-2$       ბ)  $1$       გ)  $9$       დ)  $19$

2016 წ. იპოვეთ  $f(x) = 3^{\sin x + \cos x}$  ფუნქციის უმცირესი მნიშვნელობა

ა)  $3^{-2}$       ბ)  $3^{-\sqrt{2}}$       გ)  $\frac{1}{3}$       დ)  $1$

2017 წ. იპოვეთ  $f(x) = 11 + \sqrt[4]{x-2} + \sqrt{x-6}$  ფუნქციის უმცირესი მნიშვნელობა

ა)  $11$       ბ)  $11 + \sqrt{2}$       გ)  $11 + \sqrt[4]{2}$       დ)  $11 + \sqrt[4]{2} + \sqrt{6}$

კიდევ ბევრი ამოცანის ჩვენება შეიძლება სტატიაში, თუმცა ეს ამოცანებიც კი ნათლად აჩვენებს, რომ აბიტურიენტებისათვის შეთავაზებული ამოცანები საკმაოდ რთულია მათი მზაობიდან გამომდინარე და გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ რთულია მასწავლებლებისათვის შეთავაზებულ ამოცანებზეც კი. აბიტურიენტების დიდი ნაწილი ფუნქციის გრაფიკის ვერც დახაზვას და წარმოდგენასაც ვერ შეძლებს, რომ ოპერირება მოახერხოს გრაფიკით მაინც. მასწავლებლებისთვის შეთავაზებული ფუნქციების გრაფიკების დახაზვა კი ბევრად გაუადვილებოდათ აბიტურიენტებს - უმეტეს შემთხვევაში ეს კვადრატული ფუნქციაა და თუ არაა კვადრატული, მისი ამოხსნა ძნელ მათემატიკურ აპარატს არ საჭიროებს. გვინდა ვთქვათ, რომ სასურველია მოსწავლეებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტში შეხვდეთ ისეთი საკითხები, რომლებიც მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სახით აქვთ დაუფლებული, სულ მცირე, მაღალი და საშუალო აკადემიური მოსწრების მოსწავლეებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გამოიწვევს მოტივაციის ვარდნას, შიშს მათემატიკის ტესტისადმი და ზოგადად დისციპლინა მათემატიკისადმი.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (2005–2022). *ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტები მათემატიკაში*.
2. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (2010–2022). *მათემატიკის მასწავლებელთა (VII-XII კლასები) კომპეტენციის დასადასტურებელი ტესტები*.
3. *გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები მათემატიკაში - VII-XII კლასები*.
4. Ивашев-Мусатов, О. С. (1978). «непрерывность и начала анализа». *Математика в школе* (3), стр. 49-53.
5. Александров П.С (1972) пособие по математике для поступающих в ВУЗЫ, стр. 157.

**Analysis of tasks about functions on the example of the mathematics subject exam test  
for entrants and students**

**Abstract**

The article presents an analysis of several tasks on functions, which will reflect the challenges or problems faced by the University entrants in the General National Exams. Considering the best interests of the students and by involving the specialists, these problems can be eliminated to some extent

**საკვანძო სიტყვები:** ფუნქცია; შუალედი; უდიდესი მნიშვნელობა; უმცირესი მნიშვნელობა; მნიშვნელობათა სიმრავლე.

**Keywords:** function; the interval; the greatest value; the smallest value; multitude of values.

# საინფორმაციო ტექნოლოგიები თანამედროვე განათლებაში

მარიამ ზაქარიაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ARDUINO- STEM ტიპის კვლევითი პროექტების მოდელირებისა და კონსტრუირების ინსტრუმენტი

### შესავალი

ჰარვარდის უმაღლესი განათლების სკოლის თანახმად, „STEM განათლება აყალიბებს 21-ე საუკუნის კომპეტენციებს, როგორც კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, პრობლემების გადაჭრა და თანამშრომლობა. ის ამზადებს ახალგაზრდებს მომავალ შრომის ბაზარზე მონაწილეობის მისაღებად, სადაც ისინი ერთად იმუშავენ გლობალური გამოწვევების გადასაჭრელად მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის გამოყენებით“ (Nancy N. Heilbronner 2014) [Global Education Innovation Initiative](https://math.ge) ; <https://math.ge>

STEM განათლებაში დღეისათვის უამრავი ორგანიზაციაა ჩართული. მათ შორის: [Global Education Innovation Initiative](#); [Bootstrap](#); [E2 Young Engineers \(ESYE\)](#); [Earth Force](#); [Engineering for Kids](#) ; [PAUTA: Programa Adopte Un Talento](#) ; [Practical Education Network\(PEN\)](#) ; [VentuteLab](#)

STEM სასწავლო/კვლევითი პროექტების განხორციელების აუცილებლობის შესახებ საუბარია სასკოლო და უმაღლესი სწავლების საფეხურებზე, რაც ხშირ შემთხვევაში ორიენტირებულია ARDUINO-ს გამოყენებაზე. (მოსაშვილი ი., ონიანი ს. 2016); (ტაბატაძე ზ., თოდუა თ. 2019); (Geddes, Mark. 2016).

STEM განათლების მიმართულებით კვლევისადმი დაინტერესება ჩემ პედაგოგიურ პრაქტიკაშიც გაჩნდა. ამდენად, ჩემი კვლევის მიზანი აღმოჩნდა ARDUINO-ს გამოყენების ტექნოლოგიური ასპექტების კვლევა, STEM სასწავლო/კვლევითი პროექტის „ჩემი მესამე თვალი“ მოდელის აგების პროცესში tinkercad.com ონლაინ სერვისის, ARDUINO IDE პროგრამირების რედაქტორის, ARDUINO - ელექტრონული კონსტრუქტორის ინტეგრაცია და პრაქტიკული რეალიზება, როგორც ვირტუალურ, ასევე რეალურ გარემოში.

### STEM სასწავლო/კვლევითი პროექტის „ჩემი მესამე თვალი“, ორგანიზაციული, ტექნოლოგიური და პროგრამული ორგანიზება

სასწავლო/კვლევითი პროექტი განხორციელდა არაფორმალურ გარემოში ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან.

**პროექტის დასახელება:** ულტრაბგერითი სენსორი - „ჩემი მესამე თვალი“

**პროექტის მიზანი:** ულტრაბგერითი სენსორის - „ჩემი მესამე თვალი“- გამოყენებით „შლაგბაუმის“ მოდელის აგება/ავტომატური მართვა.

**პროექტის მოდელის სამუშაო ალგორითმის აღწერა:** ულტრაბგერითი სენსორი აღიქვამს წინასწარგანსაზღვრული მანძილით მოახლოებულ ავტომანქანას, ხსნის



შლაგბაუმის ბარიერს, იმავდროულად ჩაირთვება ხმოვანი შეტყობინება, აინთება მწვანე ნათურა და მონიტორზე გამოიტანება ტექსტური ჩანაწერი ავტომანქანის გავლის დასტურის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შლაგბაუმი დაკეტილია, ხმოვანი შეტყობინება შეჩერებულია, ანთებულია წითელი ნათურა, მონიტორზე ჩანაწერი კრძალავს გავლას. პროექტის მოდელში შლაგბაუმის პროტოტიპია სერვოდრაფაზე დამაგრებული მბრუნავი ისარი.

### პროექტის მოდელის ასაგებად საჭირო კომპონენტები

**Arduino UNO** - აპარატურულ და პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაფუძნებული ღია კოდის ელექტრონიკის პლატფორმა. **დამატებითი ინსტრუმენტები:**Breadboard; Arduino USB 2.0.Cable Ultrasonic Distance Sensor, Micro Servo; Piezo; LCD 16x2; Potentiometer; Resistor; Led green; Led red; Led RGB; Jumper wires;Tape measure manual.


**აპლიკაციები და ონლაინ სერვისები:**

- <https://www.tinkercad.com/>Tinker cad -ის გამოყენებით შესაძლებელია ვირტუალური პროექტების შექმნა, ელექტრონული სქემების მეშვეობით სხვადასხვა ბრძანებების შესრულება, პროგრამული კოდის ჩაწერა/გამართვა, კოდის შესაბამისად სისტემის ავტომატური მართვა/სიმულაცია.პლატფორმა უფასოა. რეგისტრაცია/ავტორიზაცია შესაძლებელია gmail.com ანგარიშით
- [Arduino Software IDE](https://www.arduino.cc/en/software) არის უფასო ღია კოდის პროგრამული უზრუნველყოფა, რედაქტორი, რომელიც საშუალებას იძლევა დაწეროთ პროდუქტის ფუნქციონირებისათვის საჭირო კოდები და განსაზღვროთ რას გააკეთებს პროდუქტი ArduinoIDE პროგრამირების ენისა და Arduino-ს განვითარების გარემოს გამოყენებით. <https://www.arduino.cc/en/software> ბმულით შესაძლებელია უფასოდ ჩამოტვირთოთ [Arduino IDE](https://www.arduino.cc/en/software) -ს Windows საინსტალაციო პაკეტი და ჩააყენოთ კომპიუტერში.

### ულტრაბგერითი სენსორის ფუნქციონირების ფიზიკური არსი

ულტრაბგერით HC-SR04 სენსორს შეუძლია გაზომოს მანძილი. ის ასხივებს ულტრაბგერას 40 000 ჰც (40 კჰც) სიხშირით, რომელიც მოძრაობს ჰაერში და თუ მის გზაზე არის ობიექტი/დაბრკოლება, უბრუნდება მოდულს. ბგერის მგზავრობის დროისა და ხმის სიჩქარის გათვალისწინებით, შეგვიძლია გამოთვალოთ მანძილი. მაგ., თუ ობიექტი სენსორისგან 70 სმ-ით არის დაშორებული, ხოლო ხმის სიჩქარე არის 340 მ/წმ ან 0,034 სმ/მწმ, ხმის ტალღას 70სმ-სგავლისთვის დასჭირდება  $\approx 2058,82$  მწმ. მაგრამ ის, რასაც მიიღებთ Echo pin-ისგან, იქნება ორმაგი რიცხვი, რადგან ხმის ტალღას სჭირდება წინ გადაადგილება და უკან დაბრუნება. ამიტომ მანძილი სმ-ში რომ მივიღოთ, ექო პინიდან მიღებული მოგზაურობის დრო უნდა გავამრავლოთ 0,034მწმ-ზე და გავყოთ 2-ზე. ბგერის სიჩქარე  $V=340\text{მ/წმ(m/s)}$ ; გადავიყვანოთ  $V=0.034\text{სმ/მიკროწამი(cm/\mu s)}$  დრო=დისტანცია/სიჩქარე;  $t=S/V=(70\text{სმ}/(0.034\text{სმ/მიკროწამი})\approx 2058,82\mu s$ ; (ორმაგი დრო  $t=2058,82*2=4117,64\text{მწმ}$ )  $S=(t*0.034)/2$  ( $S=(4117*0.034)/2=139,999/2\approx 69.999$   $\approx$  70სმ (იხ. სურ. N1 ; N2) დამატებითი ინსტრუქცია იხ. ბმულით [ულტრაბგერითი სენსორი](#).

ულტრაბგერითი HC-SR04-ის კონფიგურაციის პინებია: VCC(1), TRIG(2), ECHO(3) და GND(4). VCC-ის მიწოდების ძაბვა არის +5V; GND -ის უარყოფითი და TRIG და ECHO პინები შეგიძლიათ მიამაგროთ თქვენს Arduino დაფაზე ნებისმიერ ციფრულ I/O-ზე



სურ N1 ულტრაბგერითი სენსორის მოდელი


სურ. N2 ბგერის გავრცელება

პროექტის განხორციელების ეტაპები

პირველი ეტაპი - ვირტუალური მოდელის ელექტრონული სქემისა და კოდის აგება [tinkercad.com](https://www.tinkercad.com) გარემოში. (იხ. სურ N3). წარმოდგენილი პროექტის ვირტუალური სქემა და კოდი იხილეთ ბმულის დახმარებით - <https://www.tinkercad.com/things/0x6lfOzYoLE>

მეორე ეტაპი - რეალური ელექტრონული სქემის აგება. პროექტის მონაწილეები აგებენ ვირტუალური სქემის ანალოგიურ რეალურ სქემას (იხ. სურ. N4).

მესამე ეტაპი - რეალური სქემისა და პროგრამული კოდის ინტეგრაცია. პროექტის მონაწილეები ახდენენ tinkercad – ში აგებული კოდის ასლის ჩაწერას Arduino Software IDE რედაქტორში. Arduino UNO პლატფორმაზე რეალურად აგებული სქემის დაკავშირებას Arduino IDE-სთან, პროგრამული კოდის გამართვას/ატვირთვას Arduino UNO-ზე. (tinkercad + Arduino IDE + Arduino UNO) (იხ. სურ. N5). დეტალური ინსტრუქცია, Arduino IDE პროგრამული კოდის ფაილი იხილეთ ბმულის დახმარებით. [https://drive.google.com/drive/folders/1eY08-6SHOPCIUPPGyuGa6iH9so\\_YCpUh?usp=sharing](https://drive.google.com/drive/folders/1eY08-6SHOPCIUPPGyuGa6iH9so_YCpUh?usp=sharing)



სურ N3 ვირტუალური სქემის მოდელი სურ. N4 რეალური სქემის მოდელი N5 პროექტის პრაქტიკული რეალიზება

მეოთხე ეტაპი - პრეზენტაცია, შედეგების შემოწმება. პროექტის მონაწილეები წარმოდგენენ დასრულებულ პროდუქტს. ულტრაბგერითი სენსორის წინ ათავსებენ ობიექტს სხვადასხვა მანძილზე, ამოწმებენ წინასწარ დაგეგმილ და მიღებულ შედეგებს Arduino IDE-ს სერიულ მონიტორზე და LCD მოწყობილობაზე. შედეგს ასევე გადაამოწმებენ ჩვეულებრივი სიგრძის საზომი ლენტით. აკეთებენ შესაბამის დასკვნებს. პროექტის რეალური მოდელის ფუნქციონირება იხილეთ ბმულის დახმარებით [https://drive.google.com/drive/folders/1eY08-6SHOPCIUPPGyuGa6iH9so\\_YCpUh?usp=sharing](https://drive.google.com/drive/folders/1eY08-6SHOPCIUPPGyuGa6iH9so_YCpUh?usp=sharing)

**დასკვნა**

ნაშრომმა განიხილა ვირტუალურ და რეალურ გარემოში Arduino-ზე დაფუძნებული STEM მოდელირებისა და კონსტრუირების პროექტის მოდელის

პრაქტიკული რეალიზების პროცესი სასწავლო/კვლევითი პროექტის „ჩემი მესამე თვალის“ ფარგლებში სტუდენტთა ჯგუფთან არაფორმალურ გარემოში. პროექტი დასრულდა წარმატებით, რაც გამოიხატა სტუდენტთა აქტიური ჩართულობითა და დადებითი შეფასებით. წარმოდგენილი პროდუქტის მოდელი შესაძლებელია გამოყენებულ ულტრაბგერით სენსორზე ორიენტირებული „ჭკვიანი მოწყობილობების“ მოდელირებისა და ავტომატური მართვისას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. მოსაშვილი ი., ონიანი ს. (2016) *ARDUINO პროგრამირების საფუძვლები*. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. TEMPUS-JPCR-544091 თბილისი.
2. ტაბატაძე ზ., თოდუა თ. (2019) *არდუინო. პრაქტიკული სახელმძღვანელო დამწყებთათვის*. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი.
3. Nancy N. Heilbronner (2014) *International STEM Achievement: Not a Zero-Sum Game. Global Education Review, 1 (4). 7-14.*<https://files.eric.ed.gov/fulltext/EJ1055227.pdf> ბოლო ნახვის თარიღი 24/07/2022
4. Geddes, Mark. (2016) *Arduino project handbook : 25 practical projects to get you started / San Francisco.* <http://lccn.loc.gov/2015033781> ბოლო ნახვის თარიღი 24/07/2022
5. <https://ss-valpovo.hr/wp-content/uploads/2020/01/arduino-project-handbook.pdf>
6. STEM (Science, Technology, Engineering, Math )Global Education Innovation Initiative . <https://globaled.gse.harvard.edu/stem-science-technology-engineering-math> ბოლო ნახვის თარიღი 24/07/2022

**Mariam Zakariashvili**  
Iakob Gogebashvili Telavi State University

### **ARDUINO - a tool for modeling and constructing STEM-type research projects**

#### **Abstract**

The integration of science, technology, engineering, and mathematics into problem-solving processes is given major emphasis in today's global educational environment when working on STEM-type (Science, Technology, Engineering, Mathematics) educational and research projects. One of the distinctive tools for carrying out STEM research projects is Arduino software.

For this purpose, the paper explores the Arduino UNO, the most popular model in use today, and its fundamental operating principles. The modeling and building of the educational/research project "My Third Eye," which is based on the use of the properties of the ultrasonic sensor block, is used to demonstrate the technological elements of using Arduino UNO (Ultrasonioc-HC-SR04).

The process of creating a project model and then putting it into practice in both virtual and actual contexts is demonstrated and thoroughly examined in this paper. Specifically, the Arduino IDE (Arduino Integrated Development Environment) local programming platform, the Arduino UNO electrical constructor, and the virtual internet platform tinkercad.com are employed for this.

საკვანძო სიტყვები: Arduino UNO; Arduino IDE; STEM; tinkercad.com; Ultrasonioc-HC-SR04.

**Key words:** Arduino UNO; Arduino IDE; STEM; tinkercad.com; Ultrasonioc-HC-SR04.

**თამაზ ლაჩაშვილი**  
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
**ნინო ჟონჟოლაძე**  
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## **სამარშრუტო გზის განსაზღვრა დაშორებულ აბონენტამდე უტილიტა Tracert-ის გამოყენებით**

კომპიუტერულ ქსელებში ინფორმაციის გადაცემა ხდება მრავალი შუალედური სამარშრუტო მოწყობილობის გავლის საშუალებით, რომელთა დანაწევრება მიმდინარეობს მცირე პაკეტების სახით. ამ პროცესში აქტიურად იყენებენ მოწყობილობებს, რომელთაც მარშრუტიზატორები ეწოდებათ. მათ ძირითად ფუნქციებს პაკეტის გადაცემის ოპტიმალური გზის განსაზღვრა და პაკეტების დანიშნულების ადგილამდე გადაგზავნა წარმოადგენს.

პაკეტის გადაგზავნის საუკეთესო მარშრუტის მოსაძებნად როუტერი იყენებს მარშრუტიზაციის საკუთარ ცხრილს. როდესაც როუტერი იღებს პაკეტს, იგი ამოწმებს პაკეტის დანიშნულების ადგილს და მარშრუტიზაციის ცხრილის საშუალებით განსაზღვრავს სასურველ ქსელამდე ოპტიმალურ გზას. უნდა აღვნიშნოთ, რომ გარდა ამისა, მარშრუტიზაციის ცხრილი ითვალისწინებს, თუ რომელი ინტერფეისით უნდა იქნას გადაგზავნილი პაკეტები თითოეულ ცნობილ ქსელზე. ოპტიმალური მარშრუტის აღმოჩენის შემთხვევაში როუტერი ახდენს პაკეტის ინკაპსულაციას და აგზავნის პაკეტს დანიშნულების ადგილას.

მარშრუტიზაცია მანძილის ვექტორის მიხედვით წარმოადგენს დინამიური მარშრუტიზაციის ალგორითმების ერთერთ სახეს. ალგორითმები მანძილის ვექტორის მიხედვით მუშაობენ სპეციალური ცხრილების საფუძველზე. ამ ცხრილებს ვექტორებს უწოდებენ. ეს ცხრილები, ანუ ვექტორები, შეიცავენ ყველა ცნობილ გზას მოცემული მარშრუტიზატორიდან ნებისმიერ შესაძლო ადრესამდე. ამ ცხრილების ორგანიზებასა და მის შემდგომ შევსებას მხარს უჭერს ქსელის ყველა მარშრუტიზატორი. ქსელის ფუნქციონირების პროცესში მარშრუტიზატორები მუდმივად ცვლიან ერთმანეთს შორის სათანადო ინფორმაციას და უზრუნველყოფენ ცხრილების მონაცემების მუდმივ განახლებას. მარშრუტიზატორებს გააჩნიათ სრული ინფორმაცია მანძილების შესახებ მეზობელ მარშრუტიზატორებს შორის. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ხორციელდება ოპტიმალური გზების შერჩევა.

იმისათვის, რომ დავადგინოთ, თუ რა სამარშრუტო გზა უნდა გაიაროს ინფორმაციამ ჩვენი კომპიუტერიდან დაშორებულ კომპიუტერამდე, სერვერამდე, თუ ვებ გვერდამდე, საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს უტილიტა Tracert. უტილიტა მუშაობს ICMP პროტოკოლის საშუალებით (Internet Control Message Protocol), რომელიც გამოიყენება მოწყობილობების მიერ იმისათვის, რომ გაუგზავნონ საკონტროლო შეტყობინებები და შეცდომების შესახებ ცნობები კომპიუტერებს და სერვერებს. ამ პროტოკოლის ძირითადი ფუნქციებია: ქსელში შეცდომის გამოცხადება; შეტყობინების გაგზავნა ქსელის დატვირთვის შესახებ; შეტყობინება დიაგნოსტიკისთვის.

Tracert-ის გამოყენებით ეკრანზე გამოიტანება ინფორმაცია ყველა იმ მარშრუტიზატორის შესახებ, რომელთა გავლაც პაკეტს უწევს ბრძანებაში მითითებულ

ჰოსტამდე მისაღწევად. როგორც წესი, ყოველ მარშრუტიზატორზე იგზავნება 3 პაკეტი "ეჰო-მოთხოვნის" სახით, რომლის საპასუხოდაც მარშრუტიზატორი გამგზავნავს ჰოსტს უბრუნებს "ეჰო-პასუხს". პასუხის მისაღებად დახარჯული დრო ითვლება მილიწამებით. თუ "ეჰო-მოთხოვნა" დარჩა უპასუხოდ, შესაბამის პოზიციაში გამოისახება სიმბოლო "\*" (ფიფქი). უტილიტა Tracert-ს პაკეტის გადაადგილების გზაზე გამოჰყავს ყველა მარშრუტიზატორი სახელითა და შესაბამისი IP-მისამართით, ასევე მისი საშუალებით შესაძლებელია მარშრუტზე ქსელის პრობლემური მომენტების აღმოჩენა, სადაც განსაკუთრებით გაზრდილია პასუხზე დახარჯული დრო, ან მოთხოვნა საერთოდ უპასუხოდაა დარჩენილი.

ვნახოთ, როგორ ხორციელდება ეს პროცესი. ამისათვის ჩვენი კომპიუტერის მთავარ საძიებო ველში ავკრიფოთ ბრძანება cmd. სისტემა მოგვიძიებს „აკს“ დასახელებით Command Promt. გავხსნათ ზემოთ აღნიშნული cmd და ბრძანებების სტრიქონში ჩავწეროთ ბრძანება Tracert, მივიღებთ შემდეგ სურათს:

```

Microsoft Windows [Version 10.0.19043.1826]
(c) Microsoft Corporation. All rights reserved.

C:\Users\04-04>tracert

Usage: tracert [-d] [-h maximum_hops] [-j host-list] [-w timeout]
              [-R] [-S srcaddr] [-4] [-6] target_name

Options:
  -d                Do not resolve addresses to hostnames.
  -h maximum_hops  Maximum number of hops to search for target.
  -j host-list      Loose source route along host-list (IPv4-only).
  -w timeout        Wait timeout milliseconds for each reply.
  -R                Trace round-trip path (IPv6-only).
  -S srcaddr        Source address to use (IPv6-only).
  -4                Force using IPv4.
  -6                Force using IPv6.

C:\Users\04-04>

```

Options-ვეტის ჩამონათვალში აღწერილია დამხმარე პარამეტრები:

[-d], გამოიტანს მარშრუტიზატორების მხოლოდ IP-მისამართებს;  
 [-h maximum hops] -ით ეკრანზე გამოიტანება მხოლოდ პირველი m რაოდენობის მარშრუტიზატორები. მაგ:tracert -h 3 გამოიტანს პირველ სამ მარშრუტიზატორს, შესაბამისად -4 და -6 მხოლოდ IPv4 და IPv6შუალედური მარშრუტიზატორების სამისამართო პარამეტრებს და ა. შ.

სრულყოფილი სურათის სანახავად შევირჩიოთ სამარშრუტო გზის განსაზღვრა რომელიმე დაშორებულ ვებ-გვერდამდე, მაგალითად Tesau-ს საიტის ვებ-გვერდამდე.

გავხსნათ cmd, ბრძანებების სტრიქონში ჩავწეროთ ბრძანება Tracert tesau.edu.ge და ვაჭიროთ ღილაკს Enter. მივიღებთ შემდეგ სურათს:

```

C:\Users\04-04>tracert tesau.edu.ge

Tracing route to tesau.edu.ge [212.72.129.97]
over a maximum of 30 hops:

  1  <1 ms    <1 ms    <1 ms    192.168.100.1
  2   6 ms     6 ms     6 ms     31.146.255.9
  3   9 ms     6 ms     5 ms     host-213-157-223-18.customer.magticom.ge [213.157.223.18]
  4   6 ms     6 ms     6 ms     host-213-157-223-17.customer.magticom.ge [213.157.223.17]
  5   7 ms     6 ms     6 ms     glink6.magticom.ge [213.157.194.130]
  6   6 ms     6 ms     6 ms     tesau-cpanel.srv.magticom.ge [212.72.129.97]

Trace complete.

C:\Users\04-04>

```

ამ შემთხვევაში, tesau.edu.ge არის დანიშნულების ჰოსტი, რომელთან "მისასვლელადაც" ხდება მარშრუტის გამოკვლევა. ჩვენ შემთხვევაში პირველი სტრიქონი მიუთითებს tesau.edu.ge-ის IP-მისამართს 212.72.129.97, ყოველი შემდგომი ბიჯი, რომელთა რაოდენობაც ჩვენს შემთხვევაში ექვსია, ასახავს შესაბამისი მარშრუტიზატორის IP-მისამართს და მათგან სამივე მოთხოვნის პაკეტის საპასუხოდ გაგზავნილი "ეკო-დასტურის" დროს. მაგალითად, მე-3 ბიჯზე, 213.157.223.18 IP-მისამართის მარშრუტიზატორმა სამივე "ეკო-მოთხოვნაზე" გააგზავნა პასუხი, რომლის მისვლას აბონენტამდე დასჭირდა შესაბამისად 9, 6 და 5 მილიწამი.

ვნახოთ, როგორი სახე ექნება ცხრილს მარშრუტიზატორების მხოლოდ IP-მისამართებისთვის, ამისათვის ავკრიფოთ ბრძანების ველში: `tracert -d tesau.edu.ge`

```

C:\Users\04-04>tracert -d tesau.edu.ge

Tracing route to tesau.edu.ge [212.72.129.97]
over a maximum of 30 hops:

  1  <1 ms    <1 ms    <1 ms    192.168.100.1
  2   6 ms     6 ms     5 ms     31.146.255.9
  3   5 ms     5 ms     9 ms     213.157.223.18
  4   6 ms     6 ms     6 ms     213.157.223.17
  5   6 ms     6 ms     6 ms     213.157.194.130
  6   6 ms     5 ms     6 ms     212.72.129.97

Trace complete.

C:\Users\04-04>

```

როგორც ბოლო სტრიქონიდან ჩანს, მოთხოვნას ვახორციელებთ კომპიუტერთ, რომლის მოხმარებლის, („იუზერის“) სახელია 04-04. მოთხოვნის გაგზავნა სამარშრუტო გზის და მარშრუტიზატორთა რაოდენობის დასადგენად სრულდება საცხოვრებელი ბინიდან. ჩვენი IP მისამართი, რომელიც ამ შემთხვევაში ცხრილზე არ ჩანს, არის 192.168.100.3. პირველივე მარშრუტიზატორზე Echo სიგნალის გაგზავნას (ჩვენს

სერვერზე), რომლის მისამართიცაა 192.168.100.1 სამივე შემთხვევაში დასჭირდა ერთ მილიწამზე ნაკლები დრო.

შევასრულოთ იგივე პროცესი განსხვავებული სამისამართო სივრციდან, მაგალითად, უნივერსიტეტის კომპ. ცენტრიდან (IV სართული) და შევადაროთ ერთმანეთს სამარშრუტო მონაცემები.

```
ბრძანებების სტრიქონი
Microsoft Windows [Version 10.0.19043.1826]
(c) Microsoft Corporation. All rights reserved.

C:\Users\04-04>tracert tesau.edu.ge

Tracing route to tesau.edu.ge [212.72.129.97]
over a maximum of 30 hops:

  0  <1 ms  <1 ms  <1 ms  192.168.6.1
  1  2 ms    2 ms    2 ms  host-95-104-112-201.customer.magticom.ge [95.104.112.201]
  2  4 ms    3 ms    3 ms  glink6.magticom.ge [213.157.194.130]
  3  4 ms    3 ms    3 ms  tesau-cpanel.srv.magticom.ge [212.72.129.97]

Trace complete.

C:\Users\04-04>tracert -d tesau.edu.ge

Tracing route to tesau.edu.ge [212.72.129.97]
over a maximum of 30 hops:

  0  <1 ms  <1 ms  <1 ms  192.168.6.1
  1  2 ms    1 ms    1 ms  95.104.112.201
  2  3 ms    4 ms    3 ms  213.157.194.130
  3  4 ms    3 ms    3 ms  212.72.129.97

Trace complete.

C:\Users\04-04>
```

აქ, ჩვენი IP-ია 192.168.6.167, DHCP სერვერის მისამართი, რომელიც პირველი მარშრუტიზატორის მისამართიდანაც ჩანს, 192.168.6.1. ამ შემთხვევაში მარშრუტიზატორთა რაოდენობა ოთხია. ცხადია, ადრესატის მისამართი იგივეა 212.72.129.97, ასევეარ შეცვლილა ბოლოს წინა მარშრუტიზატორის მისამართი 213.157.194.130. (მოხმარებლის სახელი 04-04, ჩანს ბოლო სტრიქონში).

Echo სიგნალის დროით მაჩვენებლებს თუ გადავაგვლებთ თვალს, ვნახავთ, რომ მხოლოდ IP მისამართებისათვის (სამარშრუტო ცხრილის მეორე ნაწილი) მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა, მაგრამ აღნიშნული მონაცემების ბინიდან განხორციელებულ მონაცემებთან შედარებით დავრწმუნდებით, რომ საუნივერსიტეტო ლოკალური სამისამართო სივრციდან უფრო სწრაფად ხორციელდება წვდომა ვებ-გვერდზე, ვიდრე გარე ქსელიდან, რაც რა თქმა უნდა, ასეც უნდა იყოს.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლაჩაშვილი თ., კომპიუტერულ ქსელში გამოყენებული სპეციალური ბრძანებები: უტილიტა Netstat, Ping, Tracert, პროფესორ-მასწავლებელთა და დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენცია, XXIV (80-ე), 6 ივლისი, 2022 წ.თელავი.
2. ბჟალავა ნ., კომპიუტერული ქსელები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2011 წ.
3. [https://network-group.ucoz.com/news/icmp\\_protokoli/2015-07-31-5](https://network-group.ucoz.com/news/icmp_protokoli/2015-07-31-5)

**Tamaz Lachashvili**

Iakob Gogebashvili Telavi State University

**Nino Zhonzholadze**

Iakob Gogebashvili Telavi State University

## **Determining the Route to the Remote Subscriber Using Tracert Utility**

### **Abstract**

This article discusses how to determine a route to a remote network computer (web page) using the Tracert utility. Auxiliary parameters of the Tracert command are described. As an example, the route sequence from our computer to the existing routers of the Tesau web server and the access time in the form of Echo signals are presented. Access is carried out from the same computer both from the private home address network and from the address space of the university's local network.

**საკვანძო სიტყვები:** მარშრუტიზატორი, პაკეტი, ინტერფეისი, ბრძანება, ეკო.

**Keywords:** Router, Packet, Interface, Command, Echo.



## განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგია

### ია ჩაქიაშვილი - კალმახელიძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ნინო ბასილაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### შორენა ძამუკაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ვალდებულება, გადაწყვეტილების მიღება

ნებელობითი ქცევის ანალიზისას დიმიტრი უზნაძე აღნიშნავს, რომ ძირითადი პრობლემა გადაწყვეტილების მომზადება-მიღებაა და უკვე ამის შემდეგ ნებელობითი ქცევა ისევ თავისთავად და ძალდაუტანებლად წარმართება, როგორც იმპულსური.[1]. ანუ პიროვნების ნებელობითი ქცევა უშუალო იმპულსის კარნახით არ მიმდინარეობს და ძირითადად მომავალზეა ორიენტირებული, მაგრამ როდესაც ჩვენ გვიწევს ხანგრძლივად განსახორციელებელი გადაწყვეტილებების მიღება, აქ უკვე ვაწყდებით გადაწყვეტილების სიმტკიცის, დროში სტაბილურობის საკითხებს და გვიხდება სოციალური ფსიქოლოგიის ისეთ ცნებებთან შეხება, როგორცაა პასუხისმგებლობა და ვალდებულება, რომლებიც სწორედ გადაწყვეტილების და პროსპექტული ქცევის მასტაბილიზებელ ფაქტორებს წარმოადგენს. პასუხისმგებლობის ცნება დღემდე ბუნდოვანი რჩება, ძირითადად გამოიყენება იმის გასაგებად, თუ როგორ ხდება ადამიანების მიერ ერთმანეთის ქცევის შეფასება, სანქციონირება და კონტროლი. პასუხისმგებლობა აღიწერება-როგორც მიზეზ-შედეგობრიობა (მაგ., მოქმედებით თუ უმოქმედობით გარკვეული შედეგის გამოწვევა), მენტალური უნარი (მაგ., რაციონალური ქცევის უნარი), მენტალური მდგომარეობა (მაგ., გარკვეული შედეგების გათვალისწინება და განზრახვა), მორალური თუ სამართლებრივი კოდექსებით შექმნილი ვალდებულება, სოციალური როლებიდან მომდინარე მოვალეობა და სხვების წინაშე მოპასუხეობა[10]. რა არის ვალდებულება, რას გულისხმობს ვალდებულების ასპექტი? ვალდებულება, ძირითადად მე-სისტემის ანგაჟირების ანუ მე-ჩართულობის სახედ განიხილება. მე-ჩართულობის ცნება შერიფსა და ჰოვლანდს ეკუთვნის.[2]. რაიმე საკითხში ეგო-ჩართულობა. ამ ავტორებმა განსაზღვრეს პიროვნების ჯგუფის წევრობის ტერმინებში, როცა ჯგუფს სრულიად გარკვეული პოზიცია უკავია ამ საკითხთან მიმართებით. ასე მაგალითად, მასწავლებლის პოზიცია განათლების საკითხების მიმართ, ავადმყოფის-ჯანმრთელობის მიმართ და სახვა, ვერ იქნება მოტივაციურად ნეიტრალური, რადგან მასში „მე“ აუცილებლად იქნება ჩართული. შერიფ-ჰოვლანდის ცნებაში იგულისხმება წარმართვა მოცემულ საკითხზე მიმდინარე სუბიექტური ინტერესი, რადგან ეს საკითხი მჭიდრო კავშირშია პიროვნების მოთხოვნილებებთან და ღირებულებებთან. მოვლენაში ჩართულობა განისაზღვრება, როგორც მოვლენის

პიროვნული ღირებულება. ჩართულობის მეორე სახეა საკითხში ჩართულობა, რაც გულისხმობს საქმიანობის დროს ადამიანის წარმართვას თავისი ქცევის და შეხედულებათა შედეგებზე, მათ ინსტრუმენტულ მნიშვნელობაზე. ასე მაგ.,... ექსპერიმენტში გამოყენებული ინსტრუქცია - "თქვენი რეაქციით ვლინდება თქვენი ინტელექტის დონე, მორალური სახე" სწორედ ამგვარ ჩართულობას ქმნის [1] სხვაობა მეს ჩართულობის ამ ორ სახეს შორის არსებითია. საკითხში ჩართულობა ეხება იმას, თუ რა პიროვნული წონა აქვს სოციალური საკითხის მიმართ სუბიექტის საკუთარ ფიქსირებულ განწყობას, ხოლო რეაქციაში ჩართულობა ნიშნავს იმას თუ რა პიროვნულ ღირებულებას აწერს იგი აქტუალური განწყობის პოზიციას, რომელიც მის აწმყო ქცევას უდევს საფუძვლად [2]. სოციალური ვალდებულება ეგო ჩართულობის ერთ-ერთ სახედ განიხილება. 1960 იანი წლებიდან ვალდებულების ცნება, რომელიც სოციალურ ფსიქოლოგიაში სოციოლოგიიდან არის მოსული, დღემდე ჩამოყალიბების პროცესშია. ვალდებულება - ზე რთული შინაარსის მქონე ცნება ცალმხრივად ვითარდებოდა. ვალდებულება მუშავდება არჩევანისა და გადაწყვეტილებების პროცესების კონტექსტში. - წერს ვალდებულებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიის ავტორი ჩარლზ კისლერი [9]. გადაწყვეტილებისეული კონფლიქტის თეორიაში [8] ვალდებულების ანუ სოციალური დონის გადაწყვეტილების ცნება პირდაპირაა მოცემული. "გადაწყვეტილება რაიმე სიტყვიერი ან ხილული მოქმედებაა, რომელიც სოციალურად განისაზღვრება, როგორც გარკვეული ამოცანის შესრულების ვალდებულება, ან მომავალში ქცევის გარკვეული კურსისადმი ერთგულება" ს. ვალდებულების ცნება ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც პიროვნება ამცნობს სხვებს თავის არჩევანს და თავს ვალდებულად მიიჩნევს შეასრულოს იგი [8-341]. ახლა ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ გადაწყვეტილება და ვალდებულება. ვალდებულება ყოველთვის არ არის სუბიექტური არჩევანის (გადაწყვეტილების) იდენტური. გარკვეულ სოციალურ ღირებულებებს, მოქმედების და განწყობების ვალდებულებებს, რომლებიც მოზარდს სოციალიზაციის პროცესში უყალიბდება, იგი საკუთარი სუბიექტური არჩევანით არ მოიპოვებს, მიუხედავად ამისა პიროვნებას აკისრია მათი შესრულება. იგი თავს იდებს, ვალდებულია შეასრულოს ისინი. გადაწყვეტილება უთუოდ შეიცავს ვალდებულებას, თუმცა ვალდებულების შინაარსს არ ამოწურავს. კისლერმა ვალდებულების ცნების ასეთი განსაზღვრება მოგვცა „ვალდებულება არის ქცევითი აქტებისადმი ინდივიდის თავდებობა.“ [9-301]. ამდენად ქცევას ყოველთვის თან ახლავს ვალდებულების გარკვეული დონე: შესრულებული ქცევა ბოჭავს ადამიანს, ავალებს მას გარკვეულ მოქმედებებს ან შეხედულებებს; ხოლო რადგანაც ადამიანის ცხოვრება ცალკეული მოქმედებებით არ ამოიწურება, შესრულებული ქცევით შებოჭილობა, სწორედ მისადმი პასუხისმგებლობა ნიშნავს ვალდებულებას. ვალდებულება „COMMITMENT“ ინგლისურ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეს ცნება გამოიყენება როგორც „ქოლგა“, რომლის ქვეშაც ერთიანდება ისეთი ცნებები როგორცაა საკუთრივ ვალდებულების აღება, მტკიცე გადაწყვეტილება, სოციალური გადაწყვეტილება, ერთგულება, ლოიალობა, თავის მიძღვნა, რაიმე მოძღვრების ან მოძრაობის მიმდევრობა და მომხრეობა, დაპირება, აღთქმა. [6] ამ ცნების მრავალ ნიუანსთა შორის, საკვანძოა ის რომ იგი ასახავს ადამიანის მცდელობას გავლენა მოახდინოს საკუთარ მომავალზე იმით რომ როგორმე აწმყოში თავი შეიბოჭოს ვინმეს წინაშე. მარტივი მაგალითი ამის ასეთია: ადამიანი დააკავა პოლიციამ. თუ ამ ადამიანს არ სურს იზოლაციაში ყოფნა

სასამართლო გამოძიებამდე, მას შეუძლია სანაცვლოდ გადაიხადოს გირაო. ფულის გირაოს გადახდით ადამიანი ახდენს თავისი იმ განზრახვის დეკლარირებას, რომ იგი გამოცხადდება სასამართლო განხილვაზე მომავალში და „იბოჭავს თავს“ თანხის განკარგვით, თუკი სასამართლოზე დათქმულ დროს არ მივა. მეორე მაგალითი: ქორწინების ცერემონიის დროს წყვილი ერთმანეთში ბეჭდებს ცვლის. ეს გამოხატავს განზრახვას, რომ მეუღლეები მთელი ცხოვრება, ჭირსა თუ ლხინში ერთად იქნებიან და ერთმანეთის ერთგულნი დარჩებიან, მეტიც ისინი ამ პირობას დებენ და ნიშნად მიცემული პირობისა, ერთმანეთს ბეჭდებს უცვლიანარსებობს ვალდებულება გარკვეული იდეებისადმი, ღირებულებებისადმი, მოქმედების კურსისადმი, თვით საკუთარი თავისადმი. შესაძლებელია მას არც კი ვაცნობიერებდეთ და იგი უბრალოდ იმ ჰორიზონტის ნაწილი იყოს, რომლის საზღვრებში ვხედავთ და მოვიაზრებთ ყველაფერს. ვალდებულებაა ისიც, რასაც ფსიქოლოგიაში „ბაზისური ნდობა“ ეწოდება. ეს არის მზაობა გაკეთდეს რაიმე იმის მიმართ და იმასთან დაკავშირებით, რაც გადაწყვიტეთ, რომ ეს ჩვენთვის იმდენად მნიშვნელოვანია რომ ამისათვის ძალღონეს არ დავიშურებთ და რომ ჩვენ შებოჭილნი ვართ ჩვენივე ვალდებულების ობიექტით. ჩვენი „მე“ მიზნულია ამ ობიექტზე არა უბრალოდ სურვილით, არამედ მასთან ჩვენი იდენტიფიციციებით, „კურტ ლევინის სიტყვებით რომ ვთქვათ ვალდებულების ობიექტი „გამომწვევ ხასიათს“ იძენს, იგი კი არ გვაიძულებს, არამედ გარკვეულწილად ჩვენს თავისუფლებას უხმობს, მაშინაც, როდესაც არც თუ ძალიან თავისუფლად ვგრძნობთ თავს ჩვენივე ვალდებულების გამო და მის მიმართ და ვხედავთ, რომ ის „ჩვენზე ძლიერია“ მაინც გვეუფლება განცდა რომ საკუთარი ნებით ვაკეთებთ იმას, რაც თავს ვიდეთ. ანუ ვამბობთ იმას რაც ლუთერმა თქვა, „აქ ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს.“ ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითების შემთხვევაში ადამიანი, „იძლევა სიტყვას“, რომ მომავალში რაღაც უნდა გააკეთოს, მაგრამ რას ნიშნავს „სიტყვის მიცემა“, აქ განვიხილოთ ვალდებულების მთავარი ფორმა-ექსპლიციტური ანუ გამოხატული ვალდებულება, მასში შედის დაპირება, კონტრაქტი „რომელთა შესრულება სერიოზული დილემების გადაჭრას მოითხოვს. როდესაც ადამიანი იხდის გირაოს, იგი იძლევა სიტყვას, რომ მივა სასამართლო განხილვაზე, იგი ამცნობს სხვებს რომ მომავალში ამას გააკეთებს და თავის შესაბოჭად თანხას იხდის, რაც მის მიერ მიცემული სიტყვის გარანტი იქნება. საქორწინო ცერემონიაზე ნეფე-პატარძალი ამცნობს ერთმანეთს საკუთარ განზრახვას როგორ მოიქცევიან მომავალში და ბეჭდებს აწვდიან ერთმანეთს ნიშნად იმისა, რომ სიტყვა მიცემულია და მათ ამ სიტყვის შესრულება ევალებათ. სიტყვის მიცემა ჩემი ნაწილის, ან ჩემი კუთვნილების სხვა ადამიანის განკარგულებაში გადაცემას ნიშნავს. ამით მეორე ადამიანს ვანიჭებ უფლებას მომთხოვოს იმის შესრულება რაც მე თავად დავიკისრე. სიტყვას „უმისამართოდ“ არ ვაგდებ, ეს არც გაჩუქებაა და არც ჯარიმა. იგი გირაოა, სწორედ ამით მბოჭავს იგი და მაიძულებს გამოვცხადდე სასამართლოზე-წინააღმდეგ შემთხვევაში დავკარგავ იმას, რაც ჯერ კიდევ ჩემია (მე მეკუთვნი), საქორწინო ბეჭედიც, „არ მიდის ჩემგან“. იგი ერთგვარად ორივე პიროვნებას ეკუთვნის, რადგანაც განასახიერებს მიცემულ სიტყვას-„სიტყვამ შემბოჭა მე, ხოლო მე მე შევბოჭე სხვა“. ურთიერთობაში მეტწილად ვიძლევი სიტყვას, ვდგევართ ჩვენ სიტყვაზე და ამავე დროს ვცდილობთ, ვიპოვოთ გზები, რათა მიცემულ სიტყვას ხორცი შეესხას, დაკონკრეტდეს და ხელშესახები გახდეს. ვაწერთ დოკუმენტზე საკუთარ სახელსა და გვარს, ძველ დროში ამგვარი ხელმოწერა სისხლით კეთდებოდა; „ფიცვერცხლის ჭამა“ ეს რიტუალი სამომავლო ურყევ ნდობას

განასახიერებდა. სიტყვის გასამყარებლად მრავალჯერადი ფიცი წარმოითქმებოდა. ვალდებულების ამგვარი რიტუალიზების მიზანი იყო მომავალზე გავლენის მოხდენა, საკუთარი თავის შებოჭვა დადებული პირობით, რაც სოციალური ჯგუფის დახმარებით და მის წინაშე უნდა მომხდარიყო. სოციალურად გამჟღავნებული გადაწყვეტილება ვალდებულებად იქცეოდა. რაკი მომავალი ჩვენს ხელთ არ არის და იგი ღიაა, ვალდებულების აღებით ადამიანი ცდილობს, რაც მის თავისუფალ ნებაზე დამოკიდებული, ის მაინც შეასრულოს. ვინმესთვის უფლების მინიჭებით მომთხოვოს ჩემს მიერ დეკლარირებული ქცევის შესრულება, მას ნებას ვრთავ, შეზღუდოს ჩემი მომავალი თავისუფლება, თავისუფლების შეზღუდვაში შედის გირაოს დაკარგვა, თუკი დაპირებას პირნათლად არ შევასრულებ, მაგრამ გარდა მატერიალური გირაოსი დამეკარგება რეპუტაცია, საკუთარი ინტეგრირებულობა, პიროვნული მთლიანობა, საკუთარი თავის პატივისცემა, სხვების ჩემდამი სიყვარული, თუკი ვულაღატებ ჩემი ცხოვრების მაგისტრალურ ვალდებულებებს. ზოგჯერ თუ კარგად ვაცნობიერებთ რა იდება ფსონზე, ზოგჯერ ვერ ვახდენთ გაცნობიერებას, რადგან განსხვავებულია თვითონ ვალდებულებები და ფსონებიც წინასწარ არ არის ცნობილი. მაგრამ თუ საკუთარ სიტყვას სერიოზულად ვეკიდებით ყოველთვის გვეკარგება ჩვენი მე-ს ნაწილი როდესაც სიტყვას ვლაღატობთ ან არვასრულებთ. ექსპლიციტური პიროვნებათმორისი ვალდებულების მთავარი მიზანია წინ აღუდგეს თავისუფალი პიროვნების ნებელობის რხევებსა და რყევებს, როგორც აღნიშნავს ჰანაარენდტი „მომავლის არაპროგნოზირებულობის, ქაოტური გაურკვევლობის წამალია, გასცე და შეასრულო დაპირებები“, რომ ვალდებულება გულისხმობს საქმის იმგვარ ვითარებას, როდესაც გარკვეული ეჭვი არსებობს, რომ მომავალში ვერ განხორციელდება განზრახული აქტები, რაც უნდა ინტენსიური და მტკიცე იყოს ეს განზრახვა ამჟამად" დაპირება რომ არ გვბოჭავდეს, ვერასოდეს შევინარჩუნებდით საკუთარ იდენტურობას, განწირულნი ვიქნებოდით გვეხეტიალა ჩვენსავე მარტოობაში" [4.237] რადგან გვჭირდება სხვების დარწმუნება საკუთარი გადაწყვეტილების სიმტკიცეში, ვეძებთ საშუალებას როგორმე მოვიპოვოთ ჩვენი ამჟამინდელი განზრახვების სათუომომავალში აღსრულების ძალა, ვალდებულების საშუალებით თავს ვიბოჭავთ, რათა შევძლოთ იმის გაკეთება, რისი გაკეთებაც ნამდვილად გვინდა, მაგრამ ვეჭვობთ, რომ მომავალში შევძლებთ. ამიტომ არის ვალდებულება არათანამიმდევრულობის და დაურწმუნებლობის "წამალი" ვალდებულება სხვა ადამიანს არწმუნებს, ხოლო ჩვენ გვაძლიერებს, იგი ინსტრუმენტია, რომელზეც დამოკიდებულია პიროვნული ურთიერთობები.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. უზნაძე, დ. (1963). ზოგადი ფსიქოლოგია. შრომები, ტ 3-4. თბილისი
2. ბალიაშვილი, მ. (1980). სოციალური განწყობის ჩამოყალიბება და პიროვნების აქტივობა "მეცნიერება" თბილისი.
3. ბალიაშვილი, მ. (2002). "მე ს" ობიექტივაციის როლი ქცევის რეგულაციაში, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი.
4. Arend H. (1958). The Human Condition, Chicago, Chicago Univ. Press.
5. Erikson E. Identity. (1968). Youth and Crisis, New York, Norton.
6. Farley M. (1986). Personal commitments, Beginning, Keeping, Changing. San Francisco, Harper & Row Publishers.
7. Festinger L. (1964.) (ed.) Conflict, Decision, Dissonance, Stanford, Stanford Univ. Press.

8. Janis I.L and Man I.A. (1968). A Conflict Theory Approach to Attitude Change and Decision Make. In A.G. Greenwald, T.C Brock and T.M.Ostrom., Psychological Foundations of Attitudes, New York and London: Academic Press.
9. Kiesler Ch.A. (1971) Psychology of Commitment, Academic Press, Inc. New York and London.
10. Schlenker B., Britt N., Pennington Y., Murphy R., and Doherty K. (1994). The triangle model of responsibility. Psychological Review.
11. Sherif M. and Cantrill Y. (1949). The Psychology of Ego-Involvement, Social Attitude and Identifications, McGraw Hill Book Co. New York and London.
12. Sherif M. and Hovland C. (1961). Social Judgments. New Haven. Yale Univ. Press

**Ia Chakiashvili-Kalmakhelidze**

Iakob Gogebashvili Telavi State University

**Nino Basilashvili**

Iakob Gogebashvili Telavi State University

**Shorena Dzamukashvili**

Iakob Gogebashvili Telavi State University

### **Obligation - making a decision**

#### **Abstract**

Social or interpersonal commitment is thought to be one of the most important factors determining the firmness of decision. Using this kind of commitment, the person tries to keep the present decision unchanged, which is accomplished through the statement of one's own decision in public. The social commitment phenomenon is considered from the perspective of the self-objectification concept.

**საკვანძო სიტყვები:** ვალდებულება, პასუხისმგებლობა, ქცევა, მე-ს ჩართულობა, გადაწყვეტილების მიღება.

**Keywords :** obligation, responsibility, engagement, behavior, making decision.

**Nino Zaalishvili**

International Black Sea University

### **Relationship between university students' insufficient memory enhancement experience and motivation to study**

University Students very frequently suffer from concentration problems at lectures. It may be caused by many reasons: chronic fatigue syndrome, insomnia, stress, anxiety, Attention Deficit Hyperactively Disorder (ADHD), tiredness, lack of motivation, or not enough engagement in lectures. Unfortunately, there are more problems than solutions in this topic. The situation even got worse during the pandemic period. As a result – students have low grades, their motivation decreases and they drop out. What is the solution to the problem, and what measures should be taken to avoid kind of situation. Through the literature review will be analyzed and discussed in details coordination between the problem and solutions.

According to Lehigh University's (Research University in Pennsylvania) study, which aimed to investigate Attention Deficit Hyperactively Disorder (ADHD) problems in students, George DuPaul – Professor of School Psychology and Associate Dean for Research at Lehigh University's College of Education, emphasized that students with ADHD face challenges in completing college. The problem is very systematic, not only concentration deficit and dropout are interconnected, but many

other factors that must be analyzed in detail. DuPaul together with colleagues from the University of North-Carolina-Greensboro, University of Rhode Island, and University of Nebraska-Lincoln published the study: “Academic Trajectories of College Students with and without ADHD; Predictors of Four-Years Outcomes.” According to the results, out of four hundred students, half of them were identified with Attention Deficit Hyperactively Disorder (ADHD). The participants were from colleges in North Carolina, Pennsylvania – including Lehigh University and Rhode Island. Thus, the problem is very large-scale and serious. The researchers emphasized in study, that students with ADHD received grades that were half level below rather than other peers. It is emphasized in the research, that these students had all skills to successfully graduate, but ADHD messed up their goals, because the disorder included fewer depression symptoms, and problems in planning and time management (DuPaul, et al., 2021, pp. 161-178).

Attention Deficit Hyperactively Disorder (ADHD) was analyzed by the researchers of Florida Atlantic and Miami Universities. According to the study – “The Redundancy Effect on Retention and Transfer for Individuals with High Symptoms of ADHD” – the multimedia elements of text and audio need to be carefully integrated into learning process. Information presented through audio and visual channels maybe a challenge for students with ADHD symptoms (Brown, Victoria, Lewis, David, Toussaint, & Mario, 2016, pp. 34-46).

The problem is linked to the topics of memory and lesson planning. The question is about – how the brain takes and stores information and till when students remember studying materials. In line with Information Processing Model, there are three stages: encoding - collecting and representing information; storage - holding information; retrieval – obtaining information when needed. Thus, in the process of lesson planning the model’s stages must be taken into consideration, in order to avoid easily forgotten material (Iumen Educatinal Psychology) The other question is – why studying materials are easily forgotten. Besides ADHD symptoms, there are many other reasons of lack concentration and easily forgotten studying materials. According to the research “The Roles of Working Memory and Cognitive Load in Geoscience Learning” poor learning outcomes are caused due to the huge amount of materials provided to students. The researcher has focused on instructional methods and learning materials, and not a person’s memory system. In this case metacognition process should be taken into consideration during lesson planning process, which unites: planning, strategies, knowledge, monitoring, evaluation, and termination (J, Allison, F, Thomas, Reynolds, & J, 2017, pp. 506-518).

Lesson planning is a very dynamic process, which needs constant strategic development. There are many theories and instruments that are the elements in lesson planning. One of them is Incorporate Multiple Intelligence Theory, which emphasizes that lesson planning should include MIT activities. Lesson plan integrated with MIT activities aims the students to have progress during the study and achieve their goals. The lecturer chart out lesson plans and incorporates activities for each multiple intelligences of students. MIT activities in lesson plan include the following nine elements: 1. Verbal Linguistic Activities: Choral speaking, storytelling, retelling and debating. 2. Logical Mathematical Activities: Sorting and classifying objects or ideas, taking apart or fixing things. 3. Visual/Spatial Activities - Using guided imagery, playing with patterns and designs. 4. Body/Kinesthetic Activities - Role playing; changing seats and moving to different learning stations/centers. 5. Musical Activities - Listening to background, instrumental, or environmental music. 6. Interpersonal Activities -Cooperative learning, working with a partner, group projects and games. 7. Intrapersonal Activities - Guided imagery, thinking about how to solve a problem. 8. Naturalistic Activities - Reading outside and nature walk. 9. Existential Activities - Planning a charity event (B & D, 2015, pp. 1-10). All the above MIT activities will help students to improve concentration during the lesson.

Besides MIT activities, another important ability in learning environment is attention, which is limited in capacity and duration, thus it is significant for educators to effectively manage attentional resources of students and create an appropriate environment for listening to lecture. In the research – “Questionnaire Survey on Attention of Young Adults” based on the questionnaire the

features of young adults' attention were described. According to the results 61.6% out of one hundred fifty participants – (Chinese young adults) emphasized that environment plays essential role in the concentration process during class. Thus, it is important not to be noisy during lectures. Another important factor in lesson planning is time, at what time to be held lectures. According to the research results, the concentration time was different between genders. For females the best time to focus on task was morning, while for males it was evening. The most important finding is that afternoon was the most difficult time for concentration for both genders. (Du, Su, & Wang, 2015, pp. 93-97).

All the above factors are important during lesson planning in order to improve students' attention, but sometimes there are other reasons for lack concentration like anxiety. In this case technological –pedagogical tools should be used during lectures. One of them is holistic approach – its focus is on relations between students' inner-self and external world – educational environment. One of the key components of the above technique is mindset theory, which emphasizes that people have incredible potential to obtain knowledge and develop skills (Mahmoudi, et al., 2012, pp. 178-186). Student Mindset unites abilities to learn and master challenging concepts – self-efficacy. Mindset can be the stimulus to motivation, because students are able to discover that they can make progress through effort and they are motivated during the learning process (Gentile, Amber, Oswald, & A, 2021, pp. 229-246).

One another very important technique is - Mindfulness Technique, which improves students' ability to regulate their attention, emotions, behavior and thinking. The technique reduces stress and anxiety level in students. Mindfulness teaches students to understand how their brain reacts to stress, and how to train their brain to interrupt anxiety. The technique helps students to analyze their thought and feelings, and teaches them how to regulate emotions and other responses (Skelly, Katherine, Estrada-Chichon, & Louis, 2021, pp. 965-980).

Besides the above techniques, one of the important aspect in the process of lesson planning is motivation. If the students have motivation of studying they will listen and be concentrated on materials. In this process behavior plays essential role. Motivation is what pushes students to act or to gain knowledge, it unites biological, emotional, social and cognitive forces which activate behavior. It has to be mentioned that in classroom management, immediacy behavior is very important that includes both parties: students and lecturers interactions with each other. According to the research “Effects of Teacher Immediacy Behaviors on Students' Motivation towards Language Learning” –teachers' immediacy behavior has a positive effect on students' motivation. Thus teacher immediacy – nonverbal and verbal behavior, reduces psychological distance between teacher and student (Hariri, et al., 2021, pp. 39-49).

To sum up all the theories, techniques and research results, one thing is clear – if the lesson plan is conducted professionally, communication between students and lecturers is open and motivation is an important part of education process, there is little chance students to drop out and not be attentive during lectures. Other important factors are time management, as well as at what period of the day the lectures to be held- morning or evening. At the same time, Information Processing Model, MIT activities and technological-pedagogical aspects should be taken into consideration in order to achieve the goal – students to be attentive at lectures and not to drop out.

#### **References:**

1. B, T., & D, G. (2015). Efficacy in Teaching through "Multiple Intelligence" Instructional Strategies. *Journal on School Educational Technology*, 11(2), 1-10.
2. Brown, Victoria, Lewis, David, Toussaint, & Mario. (2016). The Redundancy Effect on Retention and Transfer for Individuals with High Symptoms of ADHD. *Journal of the American Academy of Special Education Professionals*, 34-46.

3. Du, J., Su, W., & Wang, X. (2015). Questionnaire Survey on Attention of Young Adults. *International Conference for Human -Computer Interaction*.528, pp. 93-97. Cham: Springer International Publishing Switzerland. doi:10.1007/978-3-319-21380-4\_17
4. DuPaul, J. G., Gormley, J. M., Anastopoulos, D. A., . . . B., K. (2021). Academic Trajectories of College Students with and without ADHD: Predictors of Four-Year Outcomes. *Journal of Clinical Child & Adolescent Psychology*, 31(2), 161-178. doi:10.1080/15374416.2020.1867990
5. Gentile, Amber, Oswald, & A, M. (2021). The Oswald-Gentile Model of Instruction: A Holistic Approach. *International Journal of Technology in Education*, 4(2), 229-246. doi:10.46328/ijte.49
6. Hariri, Hasan, Karwan, Hramanto, Dedy, Haenilah, . . . Ujang. (2021). Motivation and Learning Strategies: Student Motivation Affects Student Learning Strategies. *European Journal of Educational Research*, 10(1), 39-49.
7. Iumen Educatinal Psychology. (n.d.). Iumen Educational Psychology. Retrieved December 17, 2021, from Iuemen Educational Psychology website: <https://courses.lumenlearning.com/edpsy/chapter/information-processing-theories/>
8. J, J., Allison, F, S., Thomas, Reynolds, & J, S. (2017). The Roles of Working Memory and Cognitive Load in Geoscience Learning. *Journal of Geoscience Education*, 65(4), 506-518. doi:10.5408/16-209.1
9. Mahmoudi, Sirous, Jafari, Ebrahim, Nasrabadi, Ali, . . . Mohmmd. (2012). Holistic Education: An Approach for 21 Century. *International Education Studies*, 5(2), 178-186. doi:10.5539/ies.v5n3p178
10. Skelly, Katherine, J., Estrada-Chichon, & Louis, J. (2021). Mindfulness as a Coping Strategy for EFL Learning in Education. *International Journal of Instruction*, 14(4), 965-980.

**ნინო ზაალიშვილი**

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

### **უნივერსიტეტის სტუდენტების მეხსიერების გაუმჯობესებისა და სწავლის მოტივაციის კავშირი**

#### **რეზიუმე**

ძალიან ხშირად სტუდენტები ლექციაზე კონცენტრაციის ნაკლებობით იტანჯებიან. ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს უამრავი მიზეზით, როგორცაა ქრონიკული დაღლილობის სინდრომი, უძილობა, სტრესი, მღელვარება, ყურადღების დეფიციტი ჰიპერაქტიულობის დარღვევა (ADHD), დაღლილობა, მოტივაციის ნაკლებობა, სასწავლო პროცესში არასაკმარისი ჩართულობა და სხვა. სამწუხაროდ, უფრო მეტი პრობლემაა ამ მხრივ, ვიდრე მისი გადაჭრის გზების ძიება. სიტუაცია უფრო გართულდა პანდემიის პერიოდში.

სტატიაში განხილულია ის გზები და საშუალებები, რომლებიც დაეხმარება სტუდენტებს მეხსიერების გაუმჯობესებაში და სწავლის მოტივაციის ამაღლებაში.



**საკვანძო სიტყვები:** კონცენტრაციის პრობლემები, სალექციო პროცესში ჩართულობა, ცოდნის შექმნა, უძილობა, ქრონიკული დაღლილობის სინდრომი.

**Key words:** concentration problems, engagement in lectures, obtain knowledge, insomnia, chronic fatigue syndrome

## თამარი ჯავახიშვილი

საპატრიარქოს თამარ მეფის უნივერსიტეტი

### ახალი პოზიტიური ფსიქოლოგია ბედნიერი ადამიანის აღზრდის შესახებ

მეოცე საუკუნის ბოლოს(1998 წ.)ცნობილმა ამერიკელმა ფსიქოლოგებმა (მ.სელიგმანი, რ.სნაიდერი, ე.დინერი, მ. ჩიკსენტმიხაი და სხვ.), რომლებიც 20-30 წლის მანძილზე მუშაობდნენ ფსიქიკის აშლილობათა მკურნალობაზე, გადაწყვიტეს აღედგინათ უკვე დიდი ხნის დარღვეული ბალანსი ფსიქიკის ჯანსაღ და არაჯანსაღ მდგომარეობათა კვლევაში და მთლიანად გადაერთნენ ფსიქოლოგიის ძველი მისიის: ადამიანის შესაძლებლობათა გამოვლენა-აღზრდასა და მათი ნორმალური ცხოვრების გაუმჯობესება-უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობების შესწავლაში.

ბევრ ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანს სჭირდება დახმარება არა ფსიქიკური დარღვევების მოვლაში (რაც ჯერ არ სჭირს), არამედ საკუთარი ცხოვრების აზრისა და მიზნების სწორად დანახვა-დასახვაში, რაშიც ზოგიერთს, თუ არავინ დაეხმარა, შეიძლება ამა თუ იმ სახის ფსიქიკური აშლილობა განუვითარდეს.მათ საკუთარმა გამოცდილებამ უჩვენა, რომ იმის გაძლიერებას, რაც ადამიანში პოზიტიურია, შეუძლია უზრუნველჰყოს ნეგატიური მოვლენების სრული პრევენცია თუ არა, მათი სუსტი, ადვილად მოვლადი სახით გამოვლენა, რაცმიიჩნის ფსიქიკურ აშლილობათა პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებად. ეს მიმდინარეობა აღმოცენდა ჰუმანისტური ფსიქოლოგიიდან და ცნობილია „ახალი პოზიტიური ფსიქოლოგიის“ სახელით - შემოკლებულად ა.პ.ფ.მისი პრიორიტეტული მიზანია ჩვეულებრივი, ნორმალური ჯანმრთელი ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესება, თვითაქტუალიზაციისა და თვითრეალიზაციის გზით - „ძალთა სრული გახარჯვით“, მათში საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილებისა და ხანგრძლივი, მდგრადი ბედნიერების მიღწევა (М.Селигман,2006, Т.Бен-Шахар,2012, М.Чиксентмихайй, 2015) .

ა.პ.ფ-მგადაწყვიტა ასწავლოს ადამიანებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, რა უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ კმაყოფილი იყვნენ საკუთარი ცხოვრებით და თავს ბედნიერად გრძნობდნენ, სიცოცხლე უხაროდეთ და ახალ ახალ წარმატებებს აღწევდნენ; ამ მიზნით ისინი 10 წლის განმავლობაში, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში აწარმოებდნენ კვლევებს უამრავი მეთოდის გამოყენებით. შეისწავლეს განვითარებისა და განათლების, აქტივობისა და მიზანსწრაფვის სხვადასხვა დონის ადამიანები როგორ აფასებენ თავის და სხვათა სიმძნელებსა და მიღწევებს მიმდინარე და განვლილ ცხოვრებაში, რითი იყვნენ კმაყოფილი და რითი უკმაყოფილო, რას ასახელებდნენ ამის მიზეზად, საკუთარ თვისებებს თუ გარემო მოვლენებს, თუ ორივეს ერთად და ა.შ. ამ მონაცემთა განხილვის შედეგად გამოიტანეს დასკვნები იმის შესახებ თუ რა უნდა შეამოწმოს საკუთარ თავში ადამიანმა და როგორ უნდა დაიწყოს მისი მოწესრიგება, რომ

თითონვე ხელს არ უშლიდეს თავის თავს ცხოვრებით კმაყოფილების და ბედნიერების განცდაში.

კვლევამ აჩვენა ძალიან საინტერესო რამ; აღმოჩნდა, რომ უძველესი დროიდან დღემდე ყველა ქვეყანაში გავრცელებულია გამოთქმა: „ადამიანი თავის ბედის მჭედელია“, რაც ორ საინტერესოდა გასათვალისწინებელ აზრს შეიცავს:

1. გარეგანი ძალებით, წინასწარ კი არაა ადამიანის ბედი განსაზღვრული, არამედ ადამიანი თითონ ჰქმნის თავის ბედს

2. თავის ბედს თითონ ჰქმნის ადამიანი, მაგრამ ეს ადვილად მისაღწევი არაა, ის დიდ ენერჯიას მოითხოვს. თუ გინდა კმაყოფილი და ბედნიერი იყო საკუთარი ცხოვრებით, მთელი შინაგანი შესაძლებლობების ამოქმედებით, თავდაუზოგავად უნდა ჩაერთო ამის მიღწევისთვის საჭირო აქტივობებში.

ცხოვრებით კმაყოფილების და ბედნიერების მიღწევის საშუალებათა შესწავლამ აჩვენა ამისათვის:

1. სიკეთის, ქველმოქმედების განხორციელებულით გამოწვეული პოზიტიური გრძნობების დიდი მნიშვნელობა.

2. ასეთი აქტივობის განხორციელებისათვის საჭირო ხასიათის მტკიცე, დადებით ღირსება/თვისებათა არსებობის აუცილებლობა ადამიანში

3. პოზიტიური, დემოკრატიული ინსტიტუტების (ძლიერი ოჯახი, ორგანიზაციები, საზოგადოება, სახელმწიფო) შექმნა-განვითარება, რომლებიც დაეხმარებიან მას ამაში.

ამათგან დღეს წარმოვადგენთ მხოლოდ ა.პ.ფ-ს შეხედულებას ხასიათის მტკიცე ღირსება/თვისებებისა და მათი გამომუშავების ღონისძიებათა შესახებ.

ამ მიზნით აპფ-მ აუცილებლად მიიჩნია ხასიათის თავისებურებათა ხელახლა შესწავლა, მათი შეფასებისა და კლასიფიკაციის პრინციპების დადგენა და ხასიათის დადებითი თვისებების გაზომვის მეთოდების შემუშავება. ხასიათის დადებითი მახასიათებლების შერჩევა 3 კრიტერიუმით ხდებოდა:

1. აღიარებული უნდა ყოფილიყო მსოფლიოს ყველა ხალხის მიერ

2. ღირებული უნდა ყოფილიყო თავისთავად და არა რაიმე სხვა მიზნების მიღწევისათვის

3. უნდა ყოფილიყო განვითარებადი და არა მთლიანად თანშობილი

ამასთანავე თავიდანვე გადაწყვიტეს არ დაეშვათ მეცნიერულ კვლევაში პროვინციალიზმი, ანუ 1. კვლევაში არ უნდა ასახულიყო მხოლოდ ამერიკელ, თეთრკანიან მამაკაცთა აზრი, რაც კვლევის გამოყენების სფეროსაც მათით შემოფარგლავდა. 2. გარდა ამისა, გვერდი აუარეს „ანტროპოლოგიურ ვეტოსაც“, რაც გულისხმობს ძალიან მცირერიცხოვან, მიყრუებულ ადგილზე მობინადრე ტომების შეხედულებათა უგულვებელყოფას.

ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით შესწავლილი იქნა მსოფლიოს სამი ათასწლეული ისტორიის მანძილზე არსებულ, ყველა სახელმწიფოებრივწარმონაქმნში, ხალხის მიერ შექმნილი ზეპირსიტყვიერი, წერილობითი, ნივთიერი, რელიგიური და კულტურული ძეგლები, რის შედეგადაც დაადგინეს მსოფლიოს ყველა ხალხის მიერ აღიარებული 6 დადებითი ღირსება, რომელთაგან ყოველი თავის თავში მოიცავს რამდენიმე თვისებას, ამ ღირსებებმა შეუნარჩუნეს კაცობრიობას არსებობა უძველესი დროიდან დღემდე. ესენია: 1. სიბრძნე და ცოდნა; 2. სიმამაცე; 3. სიყვარული და ჰუმანურობა; 4. სამართლიანობა; 5. ზომიერება; 6. სულიერება, ტრანსცენდენტურობა.

ეს ღირსებები ყველა ეპოქაში და ყველა ხალხის მიერ ზუსტად ერთნაირად არაა გაგებული, თუმცა მათი ზოგადობა და უნივერსალობა აღიარებულია. მათგან თითოეული შედგება რამდენიმე თვისებისაგან, რომელთაგან ერთიც კი თუ გამოვლინდა გამოკვლევის დროს ადამიანთან, თუნდაც სულ მცირე ზომით, მისგან შეიძლება თითონ ამთვისების და ღირსებაში შემავალი სხვა თვისებების განვითარება, ადამიანის მონდომებით და აპფ ფსიქოლოგის სათანადო დახმარებით. ბედნიერი ცხოვრება ეს არაა აუცილებლად ყოველდღე კარგი ჭამა-სმა და ძვირად ღირებული გართობა, თუმცა აქედან სიამოვნებას იღებენ და ეს სასიამოვნო ცხოვრებაა, მაგრამ სწრაფწარმავალია. ბედნიერად და ღირსეულად ცხოვრობს ის ვინც ახდენს საკუთარი ინდივიდუალური ღირსებების რეალიზებას, აქედან იღებს კმაყოფილებას, მიუხედავად იმისა რა საქმიანობას ეწევა, ხელს უწყობს საზოგადოების კეთილდღეობას და პროგრესს. მხოლოდ ასეთი ბედნიერებაა მდგრადი და ხანგრძლივი (M.Селигман, Новая позитивная психология, София, 2006, ст.175)

თავისი აქტივობით დადებითი გრძნობებისა და ბედნიერების განცდისათვის საჭიროა ადამიანმა ნებელობითი ძალისხმევით თავის თავში განივითაროს, ზემოთ აღნიშნული, ხასიათის ექვსი ღირსებიდან, რომელიმესთვის დამახასიათებელი თვისებები და მასზე ააგოს თავისი ქცევები; მათგან ერთერთის, მაგალითად პირველი ღირსების - სიბრძნე და ცოდნა, შემადგენელი თვისებები ასეთია: 1. ცნობისმოყვარეობა, ინტერესი გარემოსადმი, 2. ცოდნის სიყვარული, 3. მსჯელობის უნარი, კრიტიკული აზროვნება, ღიაობა სიახლისადმი, 4. გამომგონებლობა, ორიგინალობა, პრაქტიკული ჭკუა და საღი აზრი, 5. ადამიანების და საკუთარი თავის ცოდნა, ურთიერთობის უნარი, 6. პერსპექტივის დანახვის უნარი;

აპფ-ს შემუშავებული აქვს აღნიშნულ ღირსებათა და თითოეულ მათგანში შემავალ თვისებათა დამდგენი ტესტები, მათი გაზომვისათვის საჭირო ქულათა რაოდენობით. შემუშავებული აქვს აგრეთვე, გამოკვლევის შედეგების შესატყვისად, სასურველ თვისებათა განვითარებისათვის ფსიქოთერაპიული დახმარების სახეები.

გამოკვლევისას, შეიძლება ადამიანის ერთმა ან რამდენიმე თვისებამ მიიღოს 9-10 ბალი. მათგან შეიძლება განვითარდეს ღირსება, რომელშიც ეს თვისება შედის. ის თვისებები კი, რომლებმაც მიიღო 6 ბალზე ნაკლები, სუსტი ადგილებია. თუ რამდენიმე ძლიერი თვისება აქვს ადამიანს (9-10 ბალიანი), ქცევაში უნდა დაეყდნოს მათ და მცირე ბალიანი თვისებების განვითარებაზე არ უნდა დახარჯოს ენერჯია. ტრადიციული ფსიქოლოგია კი, პიროვნების ჰარმონიული განვითარების დევიზით, ყურადღებას ამახვილებდა მცირე ბალიანი თვისებების განვითარებაზე.

გამოკვლევის შემდეგ ა.პ.ფ ფსიქოლოგი აძლევს ადამიანს რჩევას როგორ უნდა გამოიყენოს საკუთარი ძლიერი მხარეები - ღირსებები და თვისებები ცხოვრების ძირითად სფეროებში: შრომაში, სიყვარულში/ოჯახში, ბავშვების აღზრდაში, ადამიანებთან ურთიერთობასა დამოქალაქეობრივ მოვალეობათა შესრულებაში. ამ მიმართულებით აპფ-ს პრაქტიკული მუშაობა დამარწმუნებლად აჩვენებს, რომ ადამიანის ძლიერი მხარეების ყოველდღიური აქტივობა არის გადამწყვეტი პირობა ბედნიერი ცხოვრების მიღწევისათვის. თუ დაუკვირდებით, თითქმის ყოველი ეპიზოდი ცხოვრებისა გვიჩვენებს, რომ ჩვენი ძლიერი მხარეები გვეხმარება დავძლიოთ ჩვენივე სისუსტეები და გადავწყვიტოთ პრობლემები.

ამ მიმართულებით საკუთარ თავზე მუშაობა ა.პ.ფ-ს დახმარებით, ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება დაიწყოს ნებისმიერ ასაკში, როცა კი გაიცნობიერებს ამის

საჭიროებას; ხოლო განათლების სისტემამ სახელმწიფოს და მშობლების მხარდაჭერით, ჯობს ბავშვის სიცოცხლის საწყისებიდანვე დაიწყოს ამ მიმართულებით მუშაობა.

ა.კ.ფ-ს წარმომადგენლები ამაყობენ იმით, რომ ასეთი მიდგომა მსოფლიოს ყველა ხალხს აძლევს მისი გამოყენების ვარიაციების მონახვის საშუალებას და ეხმარება კაცობრიობას ღირსეულ, ბედნიერ მოქალაქეთა რიცხვის ზრდაში, რაც პირველია ფსიქოლოგიისა და მსოფლიოს ისტორიაში.

მეცნიერების თანამედროვე კვლევებზე დაყრდნობით, ა.კ.ფ-ს ფუძემდებელი მ.სელიგმანი აღნიშნავს, რომ არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი პოზიტიურ მდგომარეობებს შორის, ფსიქიკურ და ფიზიოლოგიურ დონეებზე, რაც შესაძლებელს ხდის მემკვიდრეობითი ბარიერების გადალახვას. ბედნიერების ნეიროფიზიოლოგიის ცნობილი სპეციალისტი დ.რიჩარდსონი ბედნიერად გახდომის სწავლას ადარებს ნებისმიერი სხვა სახის სწავლას: ტენისის, წერა-კითხვის, ანგარიშის, პროფესიის და ა.შ. ესენიც მოითხოვენ დიდ მონდომებას და ენერჯიას, გარკვეული ჩვევების დაუფლებას, რაც იწვევს ტვინში შესაბამისი ნეირონული სტრუქტურების შექმნას; საჭიროა მხოლოდ მოინდომო და დაიწყო სწავლა (M. Селигман, Новая позитивная психология, София, 2006, электронная книга, ст.190).

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Селигман Мартин Э. П., 2006. Новая позитивная психология: Научный взгляд на счастье и смысл жизни/ Перев. с англ. — М.: Издательство «София», 2006. 368 с. ISBN 5-91250-026-8
2. Бен-Шахар Тал, 2012. Быть счастливее. перевод с английского Ю.Андреевой, Издательство МИФ. Москва, 2012. 240 с. ISBN: 9785916573510
3. Чиксентмихайи Михай, 2015. Поток, Психология оптимального переживания. Издательство: Альпина нон-фикшн, 2015 г. 461 с. ISBN: 978-5-91671-155-4

**Tamar Javakhishvili**

King Tamar University of Georgian Patriarchate

### **New Positive Psychology About up-bringing a Happy Person**

#### **Abstract**

The new positive psychology (NPP) instructs people not to act to enjoy their life and feel happy. For this purpose, a team of scientists for decades has studied the understanding of happiness during a historical period that covers three millennia in different states, cultures, and modern understanding of happiness. They have outlined 6 positive virtues recognized by all nations. Each of these virtues includes several strengths (characteristics). The existence of even one of these strengths, their improvement (reinforcement), and application in behavior is the basis for the achievement of stable happiness. These virtues have saved mankind during history from ancient times to recent times. These virtues are 1. Wisdom and knowledge; 2. Courage; 3. Humanity; 4. Justice; 5. Temperance; 6. Transcendence

NPP has elaborated special tools (tests) for measuring the abovementioned virtues and complementary strengths. Special methods developed for physiotherapeutic treatment and improvement of desired strengths on the basis of appropriate research.

After the NPP study psychologists can advise the client on how one can use his strong character (strengths) in main areas of life: in business, in the family (love), in the education of children, in relationships with others, and in social duties.

**საკვანძო სიტყვები:** ბედნიერება, კმაყოფილება, ქველმოქმედება, ღირსება, თვითაქტუალიზაცია, თვითრეალიზაცია.

**Key words:** happiness, contentment, charity, worth, self-actualization, self-realization

## რუსუდან ბოლქვაძე

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## თამარი ლაჭავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ია აფთარაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## STEM განათლება და მოსწავლის აკადემიური პროფილი

21-ე საუკუნეში, ყველა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია მეცნიერულად განათლებული ადამიანის აღზრდა, რომელიც უპასუხებს განათლებისა და ბიზნეს სამყაროს საჭიროებებს და რომელსაც ექნება შემეცნებითი უნარების მაღალი დონე. 1990-იან წლებში აშშ-მა მიიღო განათლების ჰოლისტური მიდგომა სასწავლო პროგრამაში, რომელშიც მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის დისციპლინები ერთად არის განხილული (Bybee, 2010). ამ მიდგომას ეწოდება STEM. სწორედ STEM განათლებას ორიენტირებული ინდივიდებში 21-ე საუკუნისთვის საჭირო უნარების განვითარებაზე, ესენია:

- კრეატიულობისა და ინოვაციური უნარები – ახლებური, დივერსიული და უნიკალური იდეების ფორმირება ანალიტიკური და მეცნიერული ცოდნის საფუძველზე (Hacıoğlu, 2021).
- კრიტიკული აზროვნება – ლოგიკურ აზროვნება და მსჯელობა იმგვარად, რომ ინდივიდმა გადაწყვიტოს რა გააკეთოს და რა ირწმუნოს.
- პრობლემის გადაჭრის უნარი – მისი გადაჭრის გზის ინოვაციურობა და სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვა (Hacıoğlu, 2021).
- კომუნიკაციის უნარი – ფიქრების სიტყვიერად და წერილობით გამოხატვა, აგრეთვე, სხვების მოსაზრებების გაზიარება.
- კოლაბორაცია – ინდივიდის მუშაობა ტოლერანტულად და ღირსეულად სხვებთან ერთად საერთო მიზნის მიღწევისთვის (Kay & Greenhill, 2011).
- მეცნიერული უნარები – უნარების ნაკრები, რომელიც აღებულია სხვადასხვა მეცნიერული დისციპლინებისგან (Kay & Greenhill, 2011).
- გადაწყვეტილების მიღება – პროცესი, რომელიც მოითხოვს ალტერნატივებიდან სპეციფიკური მიზნის არჩევას და მის მიღწევას (Forman & Selly, 2001).
- ანალიტიკური აზროვნება – კომპლექსური პრობლემის მარტივ კომპონენტებად დამშლელი უნარი. (2021).

- სამეწარმეო უნარი – ბაზარზე ახალი პროდუქტის გაშვება-წარმოებისთვის საჭირო უნარი. სამეწარმეო უნარის მქონე ინდივიდი, ინჟინერიის მსგავსად, აკვირდება გარემოს, აღმოაჩენს საჭიროებებს, ნათლად გამოხატავს იდეებს, ირჩევს ერთ იდეას, ქმნის პროდუქტს, ცდის პროდუქტს, ახორციელებს პროდუქტის გარემოსთან ადაპტაციას და მართავს მარკეტინგულ პროცესს (Hacıoğlu, 2021).
- მოტივაცია – ძალა, რომლის საშუალებითაც ადამიანი იწყებს გარკვეული მოთხოვნილების შესასრულებლად საჭირო ქცევების შესრულებას (Waterman, 2005).

STEM განათლების მთავარი მიზანია მოსწავლეებს დაეხმაროს აკადემიური შესრულების გაუმჯობესებაში, კოგნიტური უნარებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაში. STEM განათლებაში ჩართულობით, მოსწავლეები ხდებიან უფრო ცნობისმოყვარეები და ეძებენ კრეატიულ გადაწყვეტილებებს, რაც მოსწავლეებში უმაღლეს სასწავლებელსა და კარიერაში წარმატების მისაღწევად საჭირო უნარებს განავითარებს. მოსწავლეები არა მხოლოდ ემზადებიან უმაღლესი სასწავლებლისა და კარიერისთვის, აგრეთვე, პროექტების საშუალებით იღებენ ისეთ ცოდნას, რომელიც ეხება ყოველდღიურ ცხოვრებას. STEM განათლება, ასევე, მიზნად ისახავს მომავალში ადამიანების დასაქმებას STEM სფეროში და ინოვაციების შექმნას, რაც ეკონომიკურ უპირატესობას მისცემს ქვეყანას (Thomas, 2014). STEM განათლების გაგება საკვანძო ფაქტორია, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება დიზაინური აზროვნების განვითარებაში. მასწავლებლები, რომლებიც იყენებენ დიზაინურ აზროვნებას, ქმნიან უფრო სახალისო და ხარისხიან აქტივობებს მოსწავლეებისთვის, რაც ხელს უწყობს სასწავლო მიზნების წარმატებით მიღწევას. მაგალითად, თურქეთში ჩატარებული კვლევის (2021) შედეგად, აღმოჩნდა, რომ STEM განათლებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოსწავლეებში 21-ე საუკუნის ცოდნისა და უნარების განვითარებას, რაც გულისხმობს STEM სფეროებში ინდივიდის ცოდნის, აკადემიური თვითრწმენისა და აკადემიური უნარების გამოყენებას. კვლევის მონაწილეების განცხადებით, STEM განათლება დაეხმარა მათ ისეთი ფუნდამენტური უნარების განვითარებაში, როგორცაა კრეატიულობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაჭრა. გარდა ამისა, მათ აღნიშნეს, რომ STEM განათლებამ წვლილი შეიტანა პასუხისმგებლობის, გადაწყვეტილების მიღების, სამეწარმეო, ანალიტიკური აზროვნების, გლობალური ცნობიერების, კარიერული და ცხოვრებისეული უნარების განვითარებაში. ამრიგად, STEM განათლება 21-ე საუკუნის ერთ-ერთი გამოწვევაა.

STEM განათლების მიმართ ინტერესი საქართველოშიც გაიზარდა. 2013 წელს ათწლეულის გამოწვევის კორპორაციასა და საქართველოს მთავრობას შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში STEM განათლების განვითარებას. 2017 წელს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში საბუნებისმეტყველო საგნების მხარდაჭერის მიზნით, შეიქმნა არაფორმალური განათლების კლუბი „ჩირკედელა“, რომლის მიზანიცაა საქართველოს სკოლებში STEM სწავლების პრინციპების დანერგვა. აღნიშნული კლუბი, ასევე, მონაწილეობს რუსთაველის ფონდის პროექტში, რომლის ფარგლებშიც ეწყობა სამეცნიერო ფესტივალი რეგიონებში და მასში მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი სკოლები. კლუბში მოსწავლეების მიერ განხორციელებული აქტივობები უკავშირდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებს

(ქლენტი, 2021). 2021 წელს საქართველოში დაარსდა საქართველოს STEM მასწავლებელთა ასოციაცია. იგი დაფუძნებულია საზოგადოებრივ საწყისებზე და მისი მიზანია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში STEM განათლების დანერგვის ხელშეწყობა, ამ მიმართულებით სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება და მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის ეფექტური შესაძლებლობების შექმნა (2021). სკოლებში STEAM ინოვაციური მეთოდოლოგიით სწავლების პოპულარიზაციის მიზნით, 2022 წელს, საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში გაიმართა გამოფენა-კონფერენცია. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს სხვადასხვა სკოლის მოსწავლეების მიერ შესრულებული STEAM მიმართულებების ნაშრომები. სხვადასხვა სკოლის ბაზაზე ჩამოყალიბებულია STEM/STEAM არაფორმალური განათლების კლუბები. ერთ-ერთი ასეთი სკოლაა შპს – სერვანტესის სახელობის გიმნაზია „აია-ჯეს“, სადაც მოქმედი STEM კლუბი მოიცავს 7-12 კლასებს. კლუბში ჩართული მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ STEM მიმართულებით ჩატარებულ ადგილობრივ და საერთაშორისო კონკურსებში.

მიმდინარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ როგორ აისახება STEM კლუბში ჩართულობა მოსწავლის აკადემიურ პროფილზე. მოსწავლის აკადემიური პროფილის შესწავლის მიზნით, კვლევაში გამოყენებული იყო მე კონცეფციის ASDQ II საკვლევი კითხვარი (Marsh, 1988), რომელიც ქართულ ენაზე ადაპტირებულია დურგლიშვილის მიერ (დურგლიშვილი, 2018). კვლევაში მონაწილეობა მიიღო შპს „სერვანტესის სახელობის გიმნაზია აია-ჯეს“-ის 7-10 კლასების 82-მა მოსწავლემ ( $M_{საკვი}=13.32$ ;  $SD=1.09$ ;  $min=12$ ;  $max=15$ ), საიდანაც 54% იყო მდებრობითი, ხოლო 46% მამრობითი სქესის წარმომადგენელი. STEM კლუბში ჩართული იყო მოსწავლეთა 50.62%, ხოლო 49.38% STEM კლუბში ჩართული არ იყო. იმის გასარკვევად, თუ რამდენად ცვლის STEM კლუბში ჩართულობა ზოგად დამოკიდებულებას საკუთარი თავის მიმართ და რამდენად აისახება ის მოსწავლის აკადემიურ მე კონცეფციაზე, გაკეთდა რეგრესული ანალიზი. გამოიყო მე კონცეფციის ორი სახე: ზოგადი პოზიტიური მე კონცეფცია და ნეგატიური მე კონცეფცია. ANOVA table ანალიზმა აჩვენა, რომ STEM კლუბში ჩართულობის გავლენა ზოგად მე კონცეფციაზე არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ( $F=7.57$ ;  $p<0.05$ ). ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ STEM კლუბში ჩართულობის დონეს დადებითი გავლენა აქვს მოსწავლის ზოგად პოზიტიურ მე კონცეფციაზე ( $\beta=0.3$ ;  $p<0.05$ ), ხოლო ნეგატიურ მე კონცეფციასთან კავშირი არ გამოვლინდა ( $p>0.05$ ). შემდგომმა (Post Hoc) ანალიზმა Tukey HSD გამოავლინა სხვაობა STEM საგნებში ჩართულობის დონეების მიხედვით, კერძოდ, იმ მოსწავლეების ზოგადი დადებითი მე კონცეფციის მაჩვენებელი უფრო მაღალია, რომლებიც ჩართულები არიან STEM-ის ორ საგანში ( $M=6.53$ ), ვიდრე იმ მოსწავლეების, ვინც STEM-ის ერთ საგანშია ჩართული ( $M=5.91$ ). დისპერსიული ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ STEM საგნებში ჩართულობის მატება იწვევს ზოგადი პოზიტიური მე კონცეფციის ხარისხის მატებას.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ STEM კლუბში ჩართულობა დადებით გავლენას ახდენს აკადემიურ მე კონცეფციაზე, კერძოდ, აძლიერებს ზოგად პოზიტიურ აკადემიურ მე კონცეფციას. STEM საგნებში ჩართულობის დონეს აქვს პირდაპირპროპორციული კავშირი ზოგად დადებით აკადემიურ მე კონცეფციასთან – რაც უფრო იზრდება ჩართულობის დონე, მით უფრო იზრდება მოსწავლის პოზიტიური და ზოგადი დადებითი მე კონცეფცია. ასევე, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ

STEM განათლება არ უკავშირდება ნეგატიურ მე კონცეფციას, ანუ STEM განათლებაში ჩართულობა ვერ დაეხმარება მოსწავლეს საკუთარი თავის მიმართ ნეგატიური შეხედულებების აღმოფხვრაში.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bybee, R. (2010). What is STEM Education? 329(5995), 996.
2. edu.aris.ge. (2021, March 30). საქართველოს STEM მასწავლებელთა ასოციაცია. Retrieved from edu.aris.ge: <https://edu.aris.ge/news/saqartvelos-stem-maswavlebelta-asociacia-dafudznda.html>
3. Forman, E., & Selly, M. (2001). Decision by objectives- how to convince others that you are right.
4. Hacıoğlu, Y. (2021). The Effect of STEM Education on 21st Century Skills: Preservice Science Teachers' Evaluations. Journal of STEAM Education Journal of Science, Technology, Engineering, Mathematics and Art Education, 2(4), 140-167.
5. Kay, K., & Greenhill, V. (2011). Twenty-First Century Students Need 21st Century Skills. Springer, Dordrecht, 13.
6. Thomas, T. (2014). Elementary teachers' receptivity to integrated science, technology, engineering, and mathematics (STEM) education in the elementary grades.
7. Waterman, A. (2005). When Effort Is Enjoyed: Two Studies of Intrinsic Motivation for Personally Salient Activities. Motivation and Emotion, 29(3), 165-188.
8. დურგლიშვილი, ა. (2018). მასწავლებლის სწავლების სტილის კავშირი მოსწავლეთა აკადემიურ მეკონცეფციასთან. თბილისი.
9. ჟენტი, კ. (2021). STEM კლუბი „ჩხირკედელა“. სკოლისმართვა, 3(5), 26-33.

**Rusudan Bolkvadze**  
Telavi State University  
**Tamari Ghachava**  
Tbilisi State University  
**Ia Aptarashvili**  
Tbilisi State University

### STEM education and student's academic profile

#### Abstract

The purpose of present study was to examine how engagement in STEM clubs impact on student's academic profile. In the following research 82 student of private school "Aia-Gess" took part (54% - female, 46% - male). The results showed, that engagement in STEM clubs positively affects student's academic self-concept. Mainly, it strengthens general positive self-concept. The level of engagement in STEM subjects determines the quality of general positive academic self-concept – the higher the level of engagement, the greater student's general positive self-concept. There is no relation between engagement in STEM education and student's negative self-concept.

**საკვანძო სიტყვები:** მოსწავლე, STEM საგნები, აკადემიური პროფილი, პოზიტიური მე კონცეფცია, ნეგატიური მე-კონცეფცია.

**Key Words:** Student, STEM subjects, academic profile, positive self-concept, negative self-concept.



# განათლების ისტორია

## დალი ბეთხოშვილი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### განათლების საკითხი აკაკი წერეთლის ნააზრევში<sup>1</sup>

აკაკი წერეთლის შემოქმედება მდიდარია იმ პრობლემების ასახვის და გამომზეურების თვალსაზრისით, რომელიც აქტუალური იყო არა მარტო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს არსებობაში, არამედ ყოველ ეპოქაში მტკივნეულად რომ განიცდებოდა და შემოქმედნი თავიანთი მხატვრული სიტყვის დახმარებით ცდილობდნენ ემსჯელათ მათზე, საკუთარი შეხედულებების გათვალისწინებით მიეწოდებინათ მკითხველისათვის ეპოქის სულისკვეთების შესაცნობად და სამსჯავროზე განსახილველად.

ასეთ აქტუალურ საკითხთაგან აკაკის შემოქმედებაში მნიშვნელოვანია განათლების პრობლემა, რომელიც მოიცავს მრავალ ასპექტს: სწავლა-განათლებას, ენისა და ლიტერატურის საკითხს, ჟურნალ-გაზეთების საქმიანობის აღორძინებას, მწერლობის მეტად გამოფხიზლებას და ხალხის, ერის განათლების საქმეში მისი როლის გაზრდას, ლიტერატურის, როგორც ხელოვნების მნიშვნელოვანი დარგის ცხოვრების წინსვლაში ღირებული ადგილის მიკუთვნებას.

აკაკი წერეთელი თავისდროინდელ ეპოქას „ბნელეთს“ უწოდებს, განათლება კი ბნელეთის გამაშუქებელ ძალად აქვს მიჩნეული... ამ ბრძოლის გზაზე აკაკი წერეთელს ბევრი ტანჯვა ჰქონდა გამოვლილი და მის ნააზრევს მოწინააღმდეგეებიც ჰყავდნენ. თვით პოეტი წერს: „იმ გაკერპებულ წინსვლაში დიდი ტანჯვაც გამოვიარე, მაგრამ, რადგანაც ღმერთმა იმდენს ხანს მაცოცხლა, რომ რასაც მაშინ ვფიქრობდი, ასრულდა და მტრები მოყვრებად გადამექცნენ, აღარას ვიტყვი აღარც ჩემ თავზე და აღარც მათზე“ (წერეთელი, 1988: 406).

უნდა აღინიშნოს, რომ აკაკის თვითონ საკუთარ თავზე თქმა აღარ სჭირდება, უკვე ითქვა მისი შესანიშნავი ნაწერების დახმარებით, რომლებიც ბევრზე მეტყველებენ...

აკაკი წერეთლის თქმით, ხალხის განათლების საქმეში მონაწილეობა ყველა თაობის ადამიანმა უნდა მიიღოს – ძველმაც და ახალმაც. მაგრამ, უპირველესად, მაინც „ხალხის განათლებისათვის, როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე, იმ პირებს უნდა ეზრუნათ, რომლებიც სწავლითა და ავისა და კარგის გაგებით იმ დროს ჩვენში დაწინაურებული იყვნენ. ამგვარი პირები იყვნენ ის ქართველები, რომლებმაც პირველად მიიღეს სწავლა ახალი მმართველობის შკოლაში, გამოვიდნენ ცხოვრების ასპარეზზე მომქმედ პირებად; მთავრობის გზის მაჩვენებლად და თანაშემწედ ჩვენში...“ (წერეთელი, 1988: 471).

<sup>1</sup>დამუშავებულია მხოლოდ რამდენიმე პუბლიცისტური და პირადი წერილი: „ვინ სტყუვის“ (ჩვენი ეხლანდელი ძველი და ახალი თაობა), „ჩვენი გულის პასუხი“, პირადი წერილები: „ფოლადი თუ ტალს არ მოხვდა, ისე ნაპერწკალს ვერ გაჰყრის“, „ალექსანდრე ყაზბეგის კუბოზე“.

აკაკის შეფასებით, ასეთი პირები მთავრობისაგან დაწინაურებულები იყვნენ და მათ უკეთ, მეტად შეეძლოთ ხალხის სამსახურში ჩამდგარიყვნენ და „დახმარებოდნენ საზოგადო საქმეს: ეზრუნათ განსაკუთრებით ხალხის განათლებაზე და საზოგადოდ ყველაფერზე, რაც კი ამისათვის საჭირო იყო, მით უფრო, რომ ამას გარდა იმათ სხვა საზრუნავი მამულისათვის აღარა დარჩათ-რა, და ამასთანავე მხოლოდ განათლება იყო დ არის წყარო ყოველ გვარი ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისა...“ (წერეთელი, 1988: 492).

მაგრამ, ვაი, რომ ასეთმა ქართველებმა ბევრი არაფერი გააკეთეს ქართველების განათლების სასიკეთოდ. მათ საპირისპიროდ მაგალითისთვის აკაკი წერეთელი იხსენებს წარსულ დროს ქვეყნისას, როდესაც მძიმე, მტრისაგან მძიმე, მოუსვენარი პერიოდი იყო, მაგრამ ამ მძიმე პერიოდშიც კი ქართველობა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ერი არ მოკლებოდა შესაფერის განათლებას: აკაკი წერეთელი ერთგვარად აცოცხლებს წარსულის ცხოვრების ვითარებას და მკითხველს შეახსენებს: „ჩვენ წინაპრებს, თუმცა მოსვენება არა ჰქონდათ არც გარეგანი მტრებისაგან და არც შინაგანი უწყესობისაგან; მაგრამ ისინი ამგვარ მდგომარეობაშიც კი, – თავიანთი სიცოცხლისათვისა და თავისუფლებისათვის დაუცხრომელ ბრძოლასთან, არ ივიწყებდნენ თავიანთ განათლების საქმეს და ახერხებდნენ თავიანთ შინაგანი ცხოვრებისა, ლიტერატურისა და ენის განვითარებაზეც ზრუნვის. – ეს ომიანობისა და არეულობის, მშვიდობიანობის დროს ხომ, რაღა თქმა უნდა, უმთავრესი მათი საზრუნავი და საცდელი გონებით განვითარება იყო, და ამიტომაც, თუ კი როდისმე ცოტა ხანგრძლივ მყუდროებასა და მოსვენებას ჰნახავდა ჩვენი მამული, როგორც, მაგალითად, მეთორმეტე საუკუნეში, შესანიშნავ და საკვირველ წარმატებას იჩენდა ხოლმე თავისი გონებითი და ზნეობითი გაუმჯობესებაში; მრავლდებოდნენ შვილები, ახალგაზრდა ყმაწვილები იგზავნებოდნენ სხვა ქვეყნებში გასანათლებლად, სწნდებოდნენ პოეტები და მწერლები, გამოდიოდნენ მრავალი ნამდვილი და ნათარგმნი, სასულიერო და საერო წიგნები და ამგვარად მდიდრდებოდა ლიტერატურა და მშვენიერდებოდა სამშობლო ენა“ (წერეთელი, 1988: 472).

კაცობრიობის განვითარების საფუძველი ყოველგვარი განათლების ძირებშია საგულვებელი. ქვეყნის წინსვლა ერის, თითოეული ადამიანის განათლებაზეა დამოკიდებული და რაც უფრო მაღალია გონებრივი შესაძლებლობანი, მით მეტად შეუძლია გასცეს პასუხი ადამიანმა ეპოქისეულ მოთხოვნებს, მიიღოს გარკვეული გადაწყვეტილებები და ნათლად დასახოს ერის წინსვლის, განათლების პერსპექტივის გზები, რაზეც უნდა დაეფუძნოს ქვეყნის, ერის ინტერესები, პროგრესი, გამონახოს ის საშუალებები, რომლებიც დაეხმარება ერის ჭაობიდან, გაურკვევლობიდან თავდაღწევაში და დააყენებს უკეთეს გზაზე.

აკაკი წერეთლის აღნიშვნით, „ვინ არ იცის, რომ ყოველი ბედნიერება ხალხისა არის დამოკიდებული მის გონებით მდგომარეობაზე, რომ უსწავლელად და გაუნათლებლად შეუძლებელია მისი ცხოვრების გაუმჯობესება, განვითარება და, ერთი სიტყვით, მისი წინსვლა, ანუ პროგრესი“ (წერეთელი, 1988: 473).

შემოქმედის თვალთახედვით, წუთისოფელს რომ არგოს ადამიანმა, ბევრი სასიკეთო ნაბიჯი უნდა გადადგას, თანაც საკუთარი შრომით და ძხრებით, და არა სხვისი ნამოქმედარით, მოჩვენებითად... ადამიანის სიცოცხლის, ცხოვრების მიზანი თავდაუზოგავ კეთილი საქმეების განხორციელებაში ძევს, ეს კი თვითგანათლებაში ძევს, რაც ადამიანის სრულქმნილებასთან მიახლოებას მოასწავებს, სრულქმნილება

სულიერ და მატერიალურ გონებრივ შესაძლებლობათა შერწყმაა, გათავისებაა, გამთლიანებაა – ეს კი კაცის, ადამიანის ზოგადი სახის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. „ზოგადში“ ვგულისხმობთ ისეთ განათლებულ და განსრულებულ ადამიანს, რომელიც მარტო საკუთარი თავისთვის კი არ იღვწის, არამედ ზოგად პრინციპებს ქადაგებს, რაც ეხმარება ზოგადი პრობლემების, საყოველთაო გზების დასახვაში, რომელიც ზოგადად ადამიანობის საზოგადო განვითარების მაუწყებელია.

ისეთმა უფროსმა თაობამ, რომელთაც ჩვენი თქმულის მსგავსი არ გაითვალისწინეს და ახალი თაობის წინსვლისათვის გამორჩეული არაფერი გააკეთეს (ეს თქმული დაშორებულია აკაკის დროის ადამიანების აზრისაგან, ისინი სულ სხვაგვარად უგდებენ ყურს ცხოვრებას – დ. ბ.), კერძოდ, სათანადოდ არ აღზარდეს ისინი (აღზრდაში კი სათანადო განათლებაც მოიაზრება – დ. ბ.), „მათ სრულებით აღასრულეს საღმრთო მოვალეობა. მათ ჰსურდათ, რომ იმათ შვილებსაც მათ ნაკვალევზე ევლოთ და დასტოვეს ისინი უმეცრებაში, რის გამოც ისინიც ისეთივე პარაზიტები შეიქნენ ჩვენი საზოგადოებისა და ქვეყნისათვის, როგორც მათი მშობლები იყვნენ. – ეს ერთი დიდი დანაშაულობა ძველი თაობისა თავიანთ შთამომავლობის წინაშე, რომლისათვის უკანასკნელს უფლება აქვს უსაყვედუროს მას და ცუდად მოიხსენიოს“ (წერეთელი, 1988: 475).

აკაკის შეფასებით, ისეთმა თაობამ, რომელთაც ავად თუ კარგათ განათლება მიიღო თანამედროვე „შკოლაში“ და გამოვიდნენ ცხოვრების ასპარეზზე, მაგრამ საქმე ის არის, რომ არც ამათ გაუკეთებიათ ქვეყნისათვის არაფერი. ამათა, როგორც სხვა გაუნათლებელ ქართველებს, ჰქონდათ თავიანთ მყოფობის, სიცოცხლის და მოქმედების მიზნად მარტო თავიანთი თავი და, ერთი სიტყვით, საკუთარს სარგებლობას უმსხვერპლიდნენ იგინი ყოველ საერთო საქმეს და საზოგადო სარგებლობაებს“ (წერეთელი, 1988: 477-478).

ერის აღზრდის, განათლების საქმეში უდიდესი როლი მიეკუთვნება ლიტერატურას, ხელოვნების სიტყვიერ ფორმას, რომელიც სწავლის, განვითარების გადაცემის ერთ-ერთი მძლავრი დარგია „ღვთაებრივი ლოგოსია“, რომელმაც ადამიანი აამეტყველა, ასწავლა რეალური და ირეალური სამყაროს ცხოვრება, დაასახვინა ის გზები, რომელიც კრავს ადამიანის არსებობის სამივე დროს: წარსულს, აწმყოს და მომავალს, დაასახვინა წინსვლის პერსპექტივები, ასწავლა კეთილი და სასარგებლო საქმეები. ოდითგანვე კარგად ხედავდა ადამიანი წიგნის, ლიტერატურის საჭიროებას და, აქედან გამომდინარე, არ იშურებდა ძალასა და ენერგიას წიგნის გამრავლების, მოვლის საქმეში, ისევე მომავალი თაობის აღზრდისათვის, მაგრამ აკაკი წერეთელი ამ ნაბიჯის გადადგმაშიც პირუთვნელად ამხელს, წუხს თავისი დროის ადამიანების სისუსტეებზე: „მთელი მაშინდელი იმათი ღვაწლი იმით გათავდა, რომ იმათ გამოსცეს ორი თუ სამიოდე ძველი წიგნი. სხვანი კი ყველა ჩვენი ლიტერატურის ძვირფასი ნაწარმოებები, იმათი უზრუნველობისა და დაუდევრელობის წყალობით, აქამდისაც სხვადასხვა მონასტრებში ლპებიან და თავგების ბუდეებად ჰხდებიან. ამგვარად, ცხადათა სჩანს, რომ ეს ჩვენი ძველი თაობის წარმომადგენლები იმოდნად უზრუნველნი და მოუხერხებელნი ყოფილან შესახებ ლიტერატურისა, რომ ისიც ვერ დუცავსთ და შეუნახავთ რიგიანად შთამომავლობისათვის, რაც დაუტოვებიათ მათთვის მათ მამა-პაპებს“ (წერეთელი, 1988: 479).

წინარე საუკუნეების ცხოვრებას რომ თვალი გადავავლოთ, ნათელია ერთი მთავარი მიზანი ქართველებისა: ისინი ყოველგვარი გზებით ეძებდნენ იმ საშუალებებს,

რომელიც ხელს შეუწყობდა ერის განათლების საქმეს: ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, მშობლიური ენის დახვეწა – როგორც ორიგინალურ ნიადაგზე, ისე თარგმანების დახმარებით. ეს კი მწერლობის ენას, ლიტერატურის ენას ხვეწდა და ქართველიც ღრმად ეცნობოდა ქართული ენის ძალას, მის სიდიადეს, შესაძლებლობებს, რომ ენა, როგორც საღმრთო ენა, ადამიანის სწავლა-განათლების საფუძველია, დედა-ბოძია, ერის განვითარების, ეროვნული ცნობიერების, სიწმინდის, წინსვლის გზამკვლევა. იგი არის ერის ცხოვრების, მოქმედების, კეთილი საქმეების აღმსრულებელი ფუნქციის მატარებელი, ერი გამოჰყავს უმეცრებიდან და დამოუკიდებლობის განმსაზღვრელია.

აკაკი წერეთელი ვრცლად მსჯელობს ახალი თაობის სწავლა-განათლებაზე, მათ ღირებულებებზე და აღნიშნავს, რომ ახალ თაობას საშუალება მიეცა სხვა ქვეყნებში მაინც შესძლებოდათ შესაფერისი, საჭირო განათლების მიღება და ახალი ცოდნის საფუძველზე მოახდინეს კარგისა და ცუდის მეტ-ნაკლები გარჩევა. აკაკი წერს: „რადგან ახლანდელ თაობას (აკაკის თანამედროვე – დ. ბ.) ჰქონდათ საშუალება სხვა ქვეყნებში წასულიყვნენ, გაცნობოდნენ სხვა ხალხების გონებით და ზნეობით მდგომარეობას, „მათ სულ თან და თან სცნეს და გაიგეს, ერთი მხრით, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის სამწუხარო ეხლანდელი მდგომარეობა, მეორე მხრით, სხვა განათლებული ხალხების წარჩინებული ცხოვრება და საზოგადოდ ახალი დროს მიმართულება, ხასიათი და მოთხოვნილება. ამისა გამო არ შეიძლებოდა არ დაბადებულიყო და მართლაც დაიბადა ზოგიერთ მათგანში პატრიოტული გრძნობა და სურვილი, რომ დაჰხმარებოდნენ თავიანთ ხალხის თვალების ახელვას და უმეცრებისა და სიბნელიდგან გამოსვლას“ (წერეთელი, 1988: 482).

ახალი თაობა უფრო შეეცადა წინ წაეწია ერის განათლების საქმე და დახმარებოდნენ ხალხს. უკეთესი განათლებისა და ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ამ საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მძლავრი გზა იყო მშობლიური, ეროვნული ენის ცოდნის საჭიროების დასახვის გზა. აგრეთვე ჟურნალ-გაზეთების სხვადასხვა დანიშნულების და ღირებულების წიგნების გამოცემის საქმიანობა. ყოველივე ეს კი ახალი ლიტერატურის ჩასახვის, მისი საჭიროების კიდევ უფრო გაზრდის საშუალებას იძლეოდა, რაც ერის გამოფხიზლება-გამოღვიძების მძლავრი გზაა.

აკაკი წერეთელი მკვეთრ, გამმიჯნავ ზღვარს ავლებს კერძო და საზოგადო საქმეს შორის, უპირატესობას კი საზოგადო საქმიანობას ანიჭებს. საპირადო ანუ კერძო საქმე ერის გამოსადეგი კი არა, სამტრო საქმეა, ხოლო საზოგადო საქმიანობა – წმინდა საქმედ არის მიჩნეული პოეტის მიერ. ამ წმინდა, საზოგადო საქმეში აკაკი განათლების საკითხსაც მოიაზრებს, რამეთუ ეროვნული ცნობიერების ამაღლება, ერის სულიერ-ინტელექტუალურად ჩამოყალიბება სწორედ რომ ადამიანის სწორად აღზრდაში, მის განათლებაში ძევს.

ამდენად, ამ მცირე მიმოხილვითაც ნათლად ჩანს აკაკის ზრუნვა ერის განათლების საქმეში არა მარტო თანადროული ეპოქის, არამედ თანამედროვეობის ჭრილში, მისი ნააზრევი აღნიშნულის შესახებ დღევანდელი მდგომარეობისთვისაც არანაკლებად აქტუალური და ღირებულების მომცველია და გასათვალისწინებელი ერის განათლების სფეროში წინ წაწევის თვალსაზრისით.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. წერეთელი, აკაკი (1988): თხზულებანი, ლექსები, პოემები, დრამები ლექსად, მოთხრობები, პუბლიცისტური წერილები, პირადი წერილები, შეადგინა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ჯენეტო ჭანტურიამ: გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.

**Dali Betkoshvili**

Samtskhe-Javakheti State University

### **The issue of education in the thoughts of Akaki Tsereteli**

#### **Abstract**

Akaki Tsereteli's work is rich in terms of reflecting and revealing the problems that were relevant not only in the existence of Georgia in the second half of the 19th century, but that were painfully experienced in every era, and the creators tried to discuss them with the help of their artistic words, taking into account their own views, to provide the readers with the spirit of the era and to be considered in court.

Among such topical issues, the problem of education is important in Akaki's work, which includes many aspects: learning and education, the issue of language and literature, the revival of the activities of magazines and newspapers, the awakening of writing and increasing its role in the education of the people, the nation, in the advancement of literature as an important branch of art. Assigning a valuable place.

Akaki Tsereteli draws a sharp, dividing line between private and public affairs, and gives priority to public activities. Personal or private work is not useful for the nation, it is a sacred work, and public work is considered a holy work by the poet. In this sacred, public work, Akaki also considers the issue of education, because the raising of national consciousness, the spiritual-intellectual formation of the nation lies in the proper upbringing of a person, in his education.

**საკვანძო სიტყვები:** აკაკი წერეთელი, განათლება, ეროვნული ცნობიერება, ენა, ლიტერატურა, წმინდა საქმე, პროგრესი.

**Key words:** Akaki Tsereteli, education, national consciousness, language, literature, holy work, progress.

#### **ელენე მალაკელიძე**

წმ. ილია მართლის სახელობის საპატრიარქოს სკოლა-გიმნაზია

### **დედაენა და ქრისტიანული პედაგოგიკა**

რელიგიური და ზნეობრივი აღზრდის საკითხები ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში ყოველთვის წინა პლანზე იდგა. ზნეობრივი აღზრდის სათავედ იგი ერთდროულად აცხადებდა სკოლასა და ეკლესიას: „ეკლესია და სკოლა არის სათავე ხალხის ზნეობისა და ეთიკისა, ხოლო თვითონ ეთიკა, სპეტაკი ზნე, საძირკველია ხალხის სიმტკიცისა“ (ვ. ტოტოჩავა, ი. გოგებაშვილის პოლიტიკური შეხედულებანი, თბ.

2000, გვ.203). ამასთანავე მიაჩნდა, რომ ჭეშმარიტ მოძღვარს ერისათვის სიკეთის მოტანა შეეძლო მხოლოდ **მშობლიურ ენაზე ქადაგებით**. სასულიერო პირი, რომელიც ვერ ფლობს მშობლიურ ენას, ვერ იქნება ერის ინტერესების დამცველი, ერთან გაწყვეტს სულიერ კავშირს. დედაენა არის არა მხოლოდ ცოდნის შემენის საფუძველი, არამედ ქრისტიანული მსოფლმხედველების ჩამოყალიბების მძლავრი იარაღი – ასეთია იაკობ გოგებაშვილის შეხედულება ამ საკითხზე.

**სწავლების ენა და ქადაგების ენა ერთი უნდა იყოს**, – მიაჩნდა მას. ამ კუთხით ძალზე საყურადღებოა მისი სტატია „მეგრული დაწყებითი სკოლის საკითხისათვის“, სადაც იგი წერს: „სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნა გამოიწვევს რელიგიის სწავლებაზე უარის თქმას და ამ სკოლებს გადააქცევს მატერიალისტებისათვის მოსაწონ ათეისტურ სკოლებად“ (ი.გოგებაშვილი, ტ. II, გვ. 317). იმდროინდელი სკოლების ძირითად ნაკლად სწორედ ქართული ენის ათვალწუნება მიაჩნდა. საინტერესოდ აღწერს იგი ქართული ენის ათვალწუნებისა და დევნის შემთხვევებს თავის წერილში „შევიწროება ქართული ენისა და ქართველებისა სწავლა-განათლების სფერაში“. აქ უამრავი ფაქტია მოტანილი სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენის შევიწროებისა. განსაკუთრებით სავალალოდ მიაჩნია მას **სადვთო წერილის სწავლებისას ქართული ენის უარყოფა**: „ყველა ტომი რუსეთში სწავლობს თავის დედა-ენაზე და ბაბალშიაცა და საშუალო სასწავლებელშიაც. მარტო ქართველები არიან ამ მოკლებულნი ამ უფლებას... მათთვის სავალდებულოა სწავლა სადვთო ისტორიისა და კატეხიზმოსი რუსულად არა მარტო საშუალო და საქალაქო სასწავლებლებში, არამედ პირველ-დასაწყის სოფლის სკოლებშიც კი“ (ი. გოგებაშვილი, ტ.IVგვ. 176).

ამ ნაკლოვანების, უფრო სწორად დანაშაულის, გამოსწორებას ისახავს მიზნად მის მიერ შედგენილი ქართული ენის სახელმძღვანელოები. აქ ქრისტიანული კონცეფციის ძირითადი დებულებები ბავშვს მისთვის გასაგებ ენაზე – დედაენაზე – მიეწოდება. „დედა ენა“ მშობლიური ენის მეშვეობით ქრისტიანულ-ზნეობრივი აღზრდის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. მოსწავლეთათვის გამიზნულ საკითხავ მასალებში ი.გოგებაშვილს ხშირად შეჰქონდა ლოცვები, რელიგიური ხასიათის მოთხრობები, მასალები წმინდანთა ცხოვრებიდან... მიაჩნდა, რომ მსგავსი ტექსტების გააზრებული კითხვა კეთილშობილურ გავლენას ახდენდა მოზარდის სულზე, რელიგიური დოგმების გააზრებასა და სინდისის თავისუფლების დამკვიდრებაზე. სპეციალური პედაგოგიური ნაშრომი ამ საკითხისათვის ი. გოგებაშვილს არ მიუძღვნია, თუმცა მისი სახელმძღვანელოების ანალიზიდანაც ჩანს, რომ როგორც პედაგოგი, იგი ამ იდეის განხორციელებისას მაქსიმალურად ცდილობდა გაეთვალისწინებინა მოსწავლის ასაკი. გარკვეული ზომიერების დაცვისკენ მოუწოდებდა მასწავლებლებს და კატეგორიულად გამორიცხავდა გაუაზრებლად ლოცვების დაზეპირებას. სწავლების პირველ წელს იგი მხოლოდ 2 პატარა ლოცვის: „უფალო, შეგვიწყალო“ და „მოგვმადლე, უფალო“ – დასწავლას ითხოვდა. „ისე არაფერი ამახინჯებს, ახშობს და ჰკლავს კაცის გულში რელიგიურ გრძნობას, როგორც ადრეულ ასაკში უაზროთ, გაუგებრათ, თუთიყუშივით გაზეპირება ლოცვებისა სიპატარავის დროს. გონებითი ვნება ამ პედაგოგის წინააღმდეგი ჩვეულებისა ხომ კიდევ მომეტებულია“, – წერდა იგი „დედა ენის“ წინასიტყვაობაში (ი. გოგებაშვილი, დედა ენა, წინასიტყვაობა, 1876)

როგორც ვიცით, 21-ე გამოცემიდან (1906 წ) „დედა ენა“ ორ ნაწილად გაიყო. საანბანო ნაწილი გაიმიჯნა ანბანის შემდგომ საკითხავი მასალისაგან. იგი

განსაკუთრებით იმით არის საინტერესო, რომ ყველა სარწმუნოების ქართველთათვის გახლდათ განკუთვნილი. წიგნის გაყოფის მიზეზიც ეს უნდა ყოფილიყო. ამ მხრივ ცვლილება შეეხო „დედა ენის“ მხოლოდ პირველ ნაწილს; კერძოდ, საანბანო ნაწილიდან ამოუღია სარწმუნოებრივ-ქრისტიანული ხასიათის მასალა. საანალიზო (ე.წ. „ნორმალური“) სიტყვები: „საცეცხლური“, „ანგელოზი“, „მაცხოვრის ხატი“ – შეცვლილია სიტყვებით: „ნამგალი“, „მერცხალი“, „ტოროლა“; მეორე ნაწილი კი უფრო გამრავალფეროვნდა ქრისტიანულ-ზნეობრივი ხასიათის საკითხავი მასალით. მხედველობაში გვაქვს მისი „მოთხრობანი და ლექსები წმინდა ზნეობაზე“. პედაგოგი ცდილობს თავის შეიკავოს სახარებისეული შეგონებების დოგმატურად მიწოდებისაგან. სახარებისეულ შეგონებებს იგი თავად საკითხავ ტექსტში აქსოვს. გასაგებია, თუ როდენ დიდი სიფრთხილისა და სიფაქიზის გამოყენება დასჭირდებოდა ავტორს ამ წიგნში საკითხავის მასალის შეტანისას. ტექსტები იმ პრინციპით უნდა შერჩეულიყო, რომ იგი ერთნაირად მისაღები ყოფილიყო ყველა სარწმუნოების ქართველისათვის.

პროზაული თხზულებების დიდი ნაწილის ავტორი თავად ი. გოგებაშვილია. განსაკუთრებული სიფრთხილით არის შერჩეული ხალხური შემოქმედების ნიმუშებიც. ამ მოთხრობებში ვერ შეხვდებით ბიბლიურ პარალელებს, ვერც სახარებისეულ შეგონებებს შიშველი ფორმით. ეს შეგონებები ჩაქსოვილია თვით ტექსტების შინაარსში. პედაგოგის დანიშნულება კი ის გახლავთ, რომ დაეხმაროს მოსწავლეებს წაკითხულის გააზრებასა და ტექსტის სათქმელის ამოკითხვაში.

იდეა ამ ნაწარმოებებისა თავად მათ სათურებში იკითხება: „სიკეთე სიკეთისათვის“, „სიკეთის უკვდავება“, „ეფერებოდეთ ობლებსა“, „სამაგიერო სიკეთე“... „*გიყვარდეთ მოყვასი თქვენი*“ – უქადაგებს ამ მოთხრობებით იგი ბავშვებს. მაგრამ ამას არანაკლებ მნიშვნელოვანი მცნება უკავშირდება: „*შეიწყნარე მტერი შენი*“. ზნეობრიობის კრიტერიუმების განსაზღვრისას მწერლისთვის მიმტევებლობა, შემწყნარებლობაა მთავარი. ეს შესანიშნავად იკითხება მის მოთხრობებში: „სიკეთე ბოროტისათვის“, „გულკეთილი ქვრივი“... მათი წაკითხვისას არ შეიძლება, არ გაგვახსენდეს სახარებისეული სიტყვები: „*გიყვარდეთ მტერი თქვენი, დალოცეთ თქვენი მაწყევარნი, კეთილი უყავით თქვენ მოძულეთ და ილოცეთ თქვენს მდევნელთა და შეურაცხმყოფელთათვის, რათა იყოთ თქვენ შვილნი მამის თქვენის ზეციერისა*“ (მათე, 5. 44-45). ხოლო რაც შეეხება მის მოთხრობას „*იავნანამ რა ჰქმნა?*“, იგი მთელი სიმფონიაა სიკეთის, მიმტევებლობის, ურთიერთდანიშნულებისა და სარწმუნოებრივ-ეთნიკური ტოლერანტობისა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ამ მოთხრობით მწერალმა ისტორიულად ერთმანეთთან დაპირისპირებული ხალხი – ლეკები და კახელები – დაამეგობრა და ერთმანეთთან დიდი სიყვარულით დააკავშირა.

„*არა იპარო*“ – უქადაგებს მწერალი და პედაგოგი მოსწავლეებს, როცა საკითხავად სთავაზობს ისეთ დიდაქტიკურ მოთხრობებს, როგორებიცაა: „შაქრო და კაჭკაჭი“, „ქურდი“, „ქურდი და მამალი“... ამ ხმრივ განსაკუთრებით საინტერესოა მისი მოთხრობა „სირცხვილის აშორება“. სულ რამდენიმე სტრიქონში მწერალი გვიჩვენებს, როგორ ებრძვის სანდროს გონებაში ერთმანეთს ორ გრძნობა – სხვისი ქონების ხელყოფისა და დანაშაულის შეგრძნების. „ბავშვი რაღაც ჯავრს გრძნობს, თითქოს გულში ვიღაც უზის და ეუზნება: ეგ რა ჩაიდინეო“. სწორედ ამიტომ იგი გამოსავალს სიმართლის თქმაში ხედავს.

„*თუ მიუტევებთ ადამიანებს მათ შეცოდებებს, თქვენც მოგიტევებთ მამა თქვენი ზეციერი*“ (მათე, 6.14) – წერია სახარებაში. დიდი ილიაც მოგვიწოდებდა, „სიკეთის

სძლიე შენს მტერსაო“. „სიკეთით ძლევა“ თითქმის ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვხვდება „დედა ენაში“. ამისი ერთ-ერთი ნიმუშია „სპილო და ჭიანჭველები“. „ჭიანჭველებს ისე თავისი ძალის გამოჩენა უზარმაზარ სპილოზე არ უხაროდათ, როგორც ისა, რომ სულგრძელობითა და გულკეთილობით აჯობეს მას“.

„გიყვარდეთ და პატივი ეცით მშობლებს“ მოძღვრავს დიდი მწერალი და პედაგოგი ბავშვებს თავისი მოთხრობებით: „ერთგული პატარა ქალი“, „დაკარგული ბავშვი“, „მამა და შვილები“... მოთხრობებში ბავშვებისათვის გასაგები ენით გაანალიზებულია მოზარდების დამოკიდებულება უფროსებთან, მშობლებთან, ის ზნეობრივი ღირებულებები, რომლებიც მათ აერთიანებთ.

„სკოლებში პირველი ადგილი უნდა ეჭიროს შეგირდების მიერ ისეთი ცოდნის შეძენას, რომელიც მიესადაგება მათ ისეთ აღზრდას, რომელიც გამოადგება საქრისტიანო ზნეობას“ (ი. გოგებაშვილი, ტ. II, გვ, 216) – ასეთი იყო ი. გოგებაშვილის, როგორც მწერლისა და პედაგოგის, კონცეფცია. სარწმუნოებას იგი მჭიდროდ აკავშირებდა განათლებასთან და მიაჩნდა, რომ განათლებას მოკლებული სარწმუნოება ხშირად ფანატიკოსობად იქცევა. ასეთივეა ჭეშმარიტ სარწმუნოებას მოკლებული მეცნიერიც.

„დედა ენა“ სარწმუნოებისა და განათლების შერწყმის შესანიშნავი ნიმუშია. სწორედ ამიტომაც გასცდა იგი საანბანო წიგნის ფარგლებს და ქართველთათვის ქრისტიანული ზნეობის შესანიშნავ მასწავლებლად გადაიქცა.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. გოგებაშვილი, „დედა ენა“, 1876, თბილისი
2. ი. გოგებაშვილი, ტ. II, 1979, „განათლება“, თბილისი
3. ი. გოგებაშვილი, ტ. IV, 2012, „პალიტრა L“, თბილისი
4. ი. ტოტოჩავა, ი. გოგებაშვილის პოლიტიკური შეხედულებანი, 2000 თბილისი

**Elene Maghlakelidze**

St. Ilia the Righteous School of the Georgian Patriarchy

### Questions of Christian Pedagogics in “Deda-Ena” by I. Gogebashvili

#### Abstract

The most popular alphabet book “Deda-Ena” by I. Gogebashvili had a great role in the history of Georgian pedagogics science. This book is very important sample from the point of Christian morality. The texts are very interesting from the view of didactics. In the one had hardly come across the naked of Christian upbringing. In these question the great pedagogue was extremely careful. I. Gogebashvili demanded great pedagogical knowledge and morality from the teachers. From 1906 is book “Deda-Ena” is for students of any kind of faith. The great pedagogue took into account specific features of different ages and interests from all regions.

**საკვანძო სიტყვები:** „დედა-ენა“, მშობლიური ენა, ზნეობრივი აღზრდა, ქრისტიანობა, საკითხავი მასალა.

**Key words:** “Deda-Ena”, Native language, Morality upbringing, Christianity, Text book.



# განათლების ფილოსოფია

ლალი ანთიბე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იმედა იაკოვენკო

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## რატომ ვერ/არ იცვლება განათლების სისტემები

*ადამიანები იბადებიან უცოდინრებად, ხოლო  
სულელებად მათ განათლების სისტემა აქცევს.  
ბერტრან რასელი*

ინტელექტუალურ წრეებში თითქმის არ მოიძებნება თეორეტიკოსი, რომელიც თანამედროვე განათლების სისტემას არ აკრიტიკებდეს. ეს ვრცელდება თვით სწავლების ისეთ მოდელებზე, რომლებიც, დღევანდელი მოცემულობით, ყველაზე წარმატებულად ითვლება, იქნება ეს სწავლების ფინური თუ დანიური სისტემები. უფრო მეტიც, ყველა ეპოქაში სწავლების მოდელები ყოველთვის ხდებოდა სამართლიანი კრიტიკის ობიექტი. განათლების პრობლემებს არაერთი ნაშრომი დაუთმო დიმიტრი უზნაძემ და ილია ჭავჭავაძემ, არაფერი რომ არ ვთქვათ განათლების თანამედროვე მოღვაწეებზე. თავის პუბლიცისტიკაში, ილია ჭავჭავაძე წერს: „ეს ამისთანა აზრი სკოლის მოვალეობაზედ ახალი ამბავი არ არის. ამის სათავეს საშუალო საუკუნოებში ეპოულობთ და მაშინდელ დიდბუნებოვან კაცებს არა-ერთხელ წარმოუთქვამთ, თუ რა ახირებულა კაცობრიობა ყოველ იმაში, რაც ერთხელ დაუჩემებია, ამას გვიმტკიცებს ამ აზრის ისტორია: აბა, ამ ჯერ კიდევ საშუალო-საუკუნოებში გაღვიძებულს აზრს ამ მეცხრამეტე საუკუნეშიაც თავისი კუთვნილი ადგილი ვერ დაუჭერია.“ (ჭავჭავაძე, 1888:8)

შუა საუკუნეების შემდეგ პირველი ფუნდამენტური გარდატეხა განათლების სისტემამ ინდუსტრიული რევოლუციის პირობებში - მეცხრამეტე საუკუნეში განიცადა. მანამდე სწავლება ძირითადად შინ (თანამედროვე ტერმინით რომ გამოვხატოთ - ჰომოსქულინგის სახით) და ეკლესიის წიაღში მიმდინარეობდა. შეცვლილმა გარემოებებმა გამოიწვია მოთხოვნა ვიწრო სამეწარმეო პროფესიებზე, რომელმაც თავის მხრივ, განათლების სასკოლო და საუნივერსიტეტო სისტემების შექმნა განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ კონსტრუქტივისტულმა მოდელმა თანამედროვე სწავლა-სწავლების მოდელების გაკეთილშობილება შეძლო, თვისებრივად მაინც იგივე შინაარსი შეინარჩუნა.

რა შეიძლება იყოს მიზეზი იმისა, რომ განათლების სისტემები ყველაზე რთულად ექვემდებარება მოდერნიზებას და მეცნიერების ასეთი სწრაფი განვითარების პირობებშიც კი უამრავ პრობლემას წარმოშობს თავის თავში და თავის გარშემო?

ამ შეკითხვას რომ ვუპასუხოთ, საჭიროა გავიაზროთ რა დანიშნულება აქვს სკოლას, უნივერსიტეტს თუ სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუციას და რომელ გამოწვევებს უნდა უპასუხოს მან. საგანმანათლებლო ინსტიტუციების ღია და ფარული

ფუნქციის შეჯერებით, შესაძლებელია, მათი დანიშნულება შემდეგი თეზისების სახით ჩამოყალიბდეს:

- თეორიული ცოდნის გადაცემა და ინტელექტუალური უნარების განვითარება;
- კულტურის გადაცემა და ღირებულებათა სისტემის ფორმირება;
- სოციალიზაცია.

ასევე გასათვალისწინებელია ის პრობლემები, რომელიც განათლების სისტემის წინაშე დგას: მოძველებული წესები, უნიფიცირებული სისტემა, შეუსაბამობა ყოველდღიურობის მოთხოვნილებასა და სწავლების შინაარს სშორის, დამოუკიდებლობის და ინდივიდუალური ინტერესების იგნორირება, შემგროვებლურ ცოდნაზე ორიენტირება, შეფასების სისტემა, მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობის ვერტიკალი, ტრადიციული სასწავლო გარემო (ინტერიერი) და საგაკვეთილო მენეჯმენტი, მეცნიერების უახლესი მიღწევების და სახელმძღვანელოებში მოცემული მასალის სინქრონულობის დარღვევა... და ეს სია უსასრულობამდე შეიძლება გაგრძელდეს. ასევე უსასრულოდ შეიძლება თითოეული ამ პრობლემის მიზეზების აღმოფხვრის გზებზე საუბარი.

იმისათვის, რომ საგანმანათლებლო სისტემის მართებულობა განისაზღვროს, საჭიროა გააზრებული იქნეს: კაცობრიობის განვითარების რა საფეხურზე ვიმყოფებით; რა სახის და მოცულობის ცოდნა არის დაგროვილი; რა გამოწვევა დგას ზოგადად ადამიანის წინაშე; რა თავისებურება (კულტურული მოცემულობა) არსებობს; როგორ არის შესაძლებელი მიღებული ცოდნის იმპლემენტაცია. იმისათვის, რომ განათლების სისტემა ორგანული გახდეს თითოეული მოსწავლე/სტუდენტისათვის, სამყაროს ზოგადი სურათის ხედვა, საკუთარი მნიშვნელოვნობის განცდა და შემეცნებლის ემოციური ჩართულობა უნდა იყოს ცოდნის მიღების მუდმივი თანამდევი პროცესი.

რატომ ვერ ხერხდება ამგვარ გამოწვევებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემების ფორმირება? ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც განხილვას იმსახურებს, არის ის გარემოება, რომ ადამიანმა წინასწარ არასდროს არ იცის როგორი იქნება მომავალი და რისთვის უნდა მომზადდეს ახალი თაობა. ჩვენ თუ მხოლოდ ისეთი პიროვნების ფორმირებაზე ვიქნებით ორიენტირებული, რომელიც დღევანდელი პრობლემების გადაჭრაზეა მიმართული, ვერასდროს მოვახერხებთ მომავლის ადამიანის ფორმირებას. ჩვენ არ ვიცით იქნება თუ არა საჭირო ის ცოდნა და უნარები, რომლის ამომუშავებაზე დღეს ოფლს ვღვრით. ოცდახუთი წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა გუგლის სისტემის არსებობას და ინტერნეტის საყოველთაოდ გამოყენების შესაძლებლობას. ამ გარემოებამ კი რადიკალურად შეცვალა საგანმანათლებლო სისტემის მიზნები: ფაქტების მშრალი ცოდნა ვეღარ იქნება განათლების მიზანი. აქედან გამომდინარე, როგორც ამერიკელი ფილოსოფოსი ჯონ დიუი წერდა, „სისულელეა საუბარი განათლების მიზანზე“ (დიუი, 2010:106). დიუის აზრით, კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც მომავალზე მუდმივი ორიენტირება უფსკრულს აჩენს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, მათი მოტივაციების დიამეტრალური განსხვავებაა: უშუალოდ სწავლების პროცესში მასწავლებელი მიმართულია შედეგებზე და მის მიღწევაზე, ხოლო მოსწავლე - პროცესზე. სწორედ ეს გარემოება წარმოქმნის მათ შორის ერთგვარ „განხეთქილებას“ და სასწავლო პროცესში თანამშრომლობის პრინციპის დარღვევას (დიუი, 2010:107).

კიდევ ერთი პრობლემა, რომლის იგნორირებაც სასწავლო პროცესში ხდება, არის დიფერენცირებული სწავლება და დისციპლინებს შორის ინტეგრაციის არქონა, რაც ცოდნის გაერთიანებას და მისმ სოფლმხედველობად გარდაქმნის პროცესს უშლის

ხელს. ყოვლისმომცველი ცოდნის მიღება შეუძლებელია ორი მიზეზის გამო: ერთი, რომ დღეს კაცობრიობას დაგროვილი აქვს ცოდნის უზარმაზარი მარაგი, რომლის გადაცემას ადამიანის სიცოცხლე შეიძლება არც ეყოს და მეორე მიზეზი ისაა, რომ, მეცნიერების სწრაფად განვითარების პირობებში მიღებული ცოდნა წინ უსწრებს ამ ცოდნის გადამუშავებისა და სახელმძღვანელოებში მათი ასახვის პროცესს, ამიტომაც ცოდნის სრულად გადაცემის მცდელობა სრულ უტოპიას ემსგავსება.

ვინაიდან განათლების ერთ-ერთ ამოცანას პიროვნების ფორმირება წარმოადგენს, მნიშვნელოვანია სამი ფაქტორის: საგანმანათლებლო ინსტიტუციების, საზოგადოების და ოჯახის ერთიანობა. სამწუხაროდ, საგანმანათლებლო სისტემების უნიფიცირებული და საყოველთაო ხასიათი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მშობელმა თავად გააკეთოს არჩევანი სასურველი სასწავლებლის სასარგებლოდ. ასეთი სისტემები კარგავს მოქნილობას და არჩევანის შესაძლებლობას.

უნიფიცირებული საგანმანათლებლო სისტემა ასევე კეტავს პედაგოგიური ექსპერიმენტების წარმოების ველს, რომლის გარეშეც განვითარება შეუძლებელია. უნიფიცირება სპობს კონკურენციას, თავისუფალ არჩევანს და კონკრეტულ საჭიროებებზე მორგების შესაძლებლობას. ხოლო ის ბიუროკრატია, რომელიც მასახლავს, კლავს შემოქმედებით გარემოს, რაც თანამედროვე ადამიანის ეგზისტენციური მოთხოვნების უარყოფას წარმოადგენს.

სკოლებში მოსწავლეთა სიჭარბე განაპირობებს წესებისწ არმოშობას, რომელიც პროცესების ადმინისტრირებას ეხმარება. ეს კი ინდივიდის გაქრობას მოასწავებს, ვინაიდან საგანმანათლებლო ინსტიტუციების სტრუქტურა და მათი მენეჯმენტი ქმნის წინაპირობას თავს მოხვეული დისციპლინისა და პიროვნების ნების იგნორირებისათვის. ფრანგ ფილოსოფოსს - მიშელ ფუკოს მოჰყავს საინტერესო ანალოგია ციხესა და სკოლას შორის. თავისი არსით, სხვა ინსტიტუციებთან ერთად, ციხე სკოლასაც წააგავს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მსგავსი არქიტექტურა აქვთ, არამედ იმიტომაც, რომ ისინი მსგავს ფუნქციას ასრულებენ. როგორც ციხისთვის, ისე სკოლისთვის დამახასიათებელია ავტორიტარული სტრუქტურა, დრესკოდი, სიჩუმესა და წესრიგზე აქცენტირება, ნეგატიური წახალისება, მწკრივად სიარული, ინდივიდუალური ავტონომიის დაკარგვა, თავისუფლების შეზღუდვა, სხვის ნაცვლად გადაწყვეტილების მიღება, დადგენილი დრო ჭამის, სეირნობისა და სხვათათვის. ფუკო უფრო შორს მიდის და ამ პროცესებში საზოგადოების ნების გამოხატვასაც ხედავს. თანამედროვე ციხისთვის დამახასიათებელი დისციპლინის ფორმა არ არის შემოფარგლული ციხის კედლებით და მის მიღმა არსებული საზოგადოების მიერ არის ნაკარნახევი. „წესრიგის (normality) მსაჯულები არიან ყველგან. ჩვენ ვარსებობთ საზოგადოებაში, სადაც მრავლად არიან მასწავლებელი-მსაჯულები, ექიმი-მსაჯულები, აღმზრდელი-მსაჯულები, სოციალურიმუშაკი-მსაჯულები. სწორედ მათზეა დაფუძნებული ნორმის უნივერსალური მეუფება. ყოველი ინდივიდი, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს ის, ნორმებს უქვემდებარებს თავის სხეულს, ჟესტებს, ქცევას, მსოფლხედვას, მიღწევებს“ (ფუკო, 1975:304).

მოცემული რეალობის პარალელურად უკლებლივ ყველა საგანმანათლებლო სისტემაში დეკლარირებულია ის უნარები, რომლებიც აუცილებელია არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად: კრიტიკული აზროვნება; კოლაბორაცია; კომუნიკაცია; შემოქმედებითი უნარების განვითარება; მოქალაქეობა და კულტურა; პიროვნული თვისებების განვითარება (თვითდისციპლინა, პასუხიმგებლობა,

ემოციებისმართვა). მაგრამ ამავედროულად სასწავლო მენეჯმენტი და სასწავლო დაწესებულებების სტრუქტურა ძნელად რეფორმირდება. რეალობასა და დასახულ მიზნებს შორის არსებული ამ დისონანსის დანახვა შეუიარაღებელი თვალითაც იოლად შესამჩნევია. ბუნებრივად გაჩენილ კითხვას, რატომ ვერ ხდება სისტემების სწრაფი ადაპტირება ტოტალურად შეცვლილ გარემოსთან, ცალსახა პასუხი ვერ გაეცემა. საკითხი იმდენად კომპლექსური და მრავალწახნაგაა, რომ მისი გადაჭრის ერთი რომელიმე მეთოდის აბსოლუტიზება ისევ ახალი რეგულაციებისა და შესაბამისად, ახალი ბარიერების წარმოშობას გამოიწვევს. თუმცა, მაინც შეიძლება აღნიშნული პრობლემის რედუქცია, თუ საგანათლებლო სისტემების კონსერვატორული ხასიათის გააზრება და ექსპერიმენტების მიმართ შიშის დაძლევა გახდება შესაძლებელი.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. დიმიტრი უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია.სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, თბილისი, 2005 წელი
2. ილია ჭავჭავაძე, პედაგოგის საფუძვლები, თბილისი, 1888  
<https://iliachavchavadze1837.wordpress.com/2013/12/13/pedagogiis-safudzvlebi-gv-2/>
3. ჯონ დიუი, დემოკრატია და განათლება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2010 წელი
4. Michel Foucault, DISCIPLINE AND PUNISH The Birth of the Prison, SECOND VINTAGE BOOKS EDITION, MAY 1995, Ney York
5. David Perkins, Making Learning Whole: How Seven Principles of Teaching Can Transform Education Jossey Bass, San Francisco 2009
6. John Holt, How Children Fail, Pitman Publishing Company New York 1964

**Lali Antidze**

Batumi Shota Rustaveli State University, Associate Professor

**Imeda Iakovenko**

Tbilisi Ivane Javakhishvili State University, PHD

### Why Do Systems of Education Not Change

*Men are born ignorant, not stupid.  
They are made stupid by education.  
Bertrand Russell*

#### Abstract

Criticism of modern educational systems has been widespread among scholars. Although, the introduction of the constructivist model of education has led to a refinement of teaching and learning, the nature of education has essentially remained the same. Systems of education are hardly ever subject to modernization; rapid development of science bears numerous complications in and around them.

The aims of educational institutions are: to convey knowledge and develop intellectual skills, to convey culture and form the system of human values, socialization.

It is crucial to emphasize the problems that systems of education are facing: out-of-date rules, unified system, discrepancies between everyday needs and the content of subject matter, negligence of independence and individual interests, focus on accumulative knowledge, assessment

system, vertical of a teacher-student relationship, traditional educational setting (interior) and class management, failure to synchronize textbooks with recent findings in science.

The problems discussed above are the product of conservative character of educational systems and aversion to experiment.

**საკვანძო სიტყვები:** განათლება, სისტემა, კონსერვატიზმი, უნიფიცირებული, რეფორმა.

**Key words:** *Education, system, conservatism, unified, reform.*

## ფიზიკური აღზრდა და სპორტი

### ჰამლეტ რაზმაძე

იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### გულის ცემის დინამიკა ვარჯიშის ინტენსივობის მკვეთრი ცვლილების პირობებში

ამ საკითხის შესწავლის აუცილებლობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კრივი, და ჭიდაობა წარმოადგენს სპორტის ისეთ სახეობას, სადაც ვარჯიშის თუ შეჯიბრების პროცესში, მოწინააღმდეგის აქტივობისა და მდგომარეობის შესაბამისად, განუწყვეტლივ იცვლება სპორტსმენის დატვირთვის ინტენსივობა (სიმძლავრე). კუნთების მოქმედების ცვალებადი რეჟიმი (ერთი და იმავე კუნთების სხვადასხვა ძალით შეკუმშვა და დაძაბვა სხვადასხვა კუნთების მოქმედების სწრაფი მონაცვლეობა და სხვა) იწვევს მუშაობის ინტენსივობის ხშირ ცვლას, რაც სხვადასხვა ორგანოთა სისტემის ზუსტი კოორდინაციისათვის ცენტრალური ნერვული სისტემისაგან მოითხოვს რთულ და სწრაფ გადართვებს. აქედან ცხადია ზოგიერთი მკვლევარის დასკვნა იმის შესახებ, რომ ცვალებადი ინტენსივობით საწვრთნელი მუშაობა იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის მაკოორდინებელი ფუნქციის სრულ-ყოფას.

მკვლევართა ერთი ჯგუფის აზრით მუშაობის ინტენსივობის შეცვლის შესაბამისად გულისცემის და სუნთქვის სიხშირის ზრდა ან კლება დამოკიდებულია სპორტსმენის კვალიფიკაციაზე. საწინა-აღმდეგო შედეგები მიიღო ვ. მიხაილოვმა (Михаилов В., 1959); მისი მონაცემების მიხედვით ველოერგომეტრზე ცვალებადი ინტენსივობით მუშაობის დროს მუშაობის სიმძლავრის 20 – 25%-ით გაზრდა ან შემცირება იწვევს გულის ცემის სიხშირის 8-12%-ით შეცვლას, ხოლო მუშაობის სიმძლავრის 5%-ით მომატება გულის ცემის სიხშირეზე არსებით გავლენას არ ახდენს. ამასთანავე, გულის ცემის სიხშირის ცვლილება არ არის განპირობებული სპორტსმენის გაწვრთნილობის დონით.

ლიტერატურის მონაცემების მიხედვით მუშაობის ინტენსივობის სწრაფი შეცვლის შედეგად გულის ცემის სიხშირის შესატყვისი ცვლილება მაშინვე კი არ ვითარდება, არამედ გარკვეული დროის შემდეგ.

მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენებში ვარჯიშის სიმძლავრისა (ინტენსივობის) და გულის ცემის სიხშირეს შორის არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება – მუშაობის ზრდასთან ერთად იზრდება გულის ცემის სიხშირე და პირიქით. ზოგიერთ შემთხვევაში, მაგა-ლითად დადლის განვითარების დროს, დატვირთვის ინტენსივობის შეცვლისა და გულისცემის სიხშირის ცვლილებებს შორის დადებითი კორელაცია სუსტად არის გამოხატული და ზოგჯერ დატვირთვის ინტენსივობის შემცირებისას პულსის სიხშირის ზრდაც კი აღინიშნება.

ავტორთა მონაცემების ამ მოკლე მიმოხილვიდანაც კი კარგად ჩანს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მკვლევართა დასკვნები ხშირად დიამეტრალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამიტომ ჩვენ სპეციალურად

შევისწავლეთ ცვალებადი ინტენსივობის ვარჯიშის გავლენა სპორტსმენის გულისცემის სიხშირეზე.

ამ საკითხის შესასწავლად ლაბორატორიულ პირობებში სპორტსმენი ტომარაზე ვარჯიშობდა საშუალო ინტენსივობით (თი-თოეული დარტყმის ძალა მერყეობდა – 140-160 კგ-ის ფარგლებში, დარტყმების სიხშირე და ძალა შეძლებისდაგვარად მუდმივი იყო). ვარჯიშის დაწყებიდან ერთი-ერთნახევარი წუთის შემდეგ გულის-ცემის სიხშირის სტაბილიზაციის ფონზე სპორტსმენი 10 წამის განმავლობაში ასრულებდა მაქსიმალური ძალისა და სიხშირის დარ-ტყმებს შემდეგ ისევ გადადიოდა საწყისი ინტენსივობით ვარჯიშზე და ასე იმეორებდა რამდენიმეჯერ. სხვა დროს სპორტსმენი ვარჯიშს იწყებდა მაქსიმალური შესაძლებლობით და ვარჯიშის პროცესში რამდენიმეჯერ (ყოველ 30 წამში) 10 წამის განმავლობაში გადადიოდა `საშუალო` ინტენსივობით ვარჯიშზე.

დაბალი კვალიფიკაციის სპორტსმენებში ვარჯიშის ინტენ-სივობის 10 წამიანი გაზრდისას გულის ცემის სიხშირე უმნიშვნელოდ იცვლება (განსაკუთრებით მესამე ეტაპზე).

მაღალი კვალიფიკაციის მოკრივის გულისცემის სიხშირე კი უფ-რო შესამჩნევად იზრდება. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის გარემოება, რომ ორივე კვალიფიკაციის სპორტსმენის მაქსიმალური შესაძლებლობით მუშაობა მაღალი ინტენსივობისაა, კერძოდ მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენი უფრო დიდი ინტენსივობით მუშაობს. გულის ცემის სიხშირის მაქსიმუმი მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენებში, 10 წამის დამატების შემთხვევაში, მიიღწევა ვარჯიშის შესრულების მომენტში, ხოლო დაბალი კვალიფიკაციის სპორტსმენებში, ვარჯიშის დამთავრების შემდეგ. გარდა ამისა, დამატებითი 10 წამიანი მაქსიმალური ინტენსივობით ვარჯიშებს შორის (ერთწუთიანი ინტერვალი) დაბალი კვალიფიკაციის სპორტსმენის გულის ცემის სიხშირე არ უზრუნდება საწყის დონეს, მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენებში კი გულის ცემის სიხშირე თითქმის საწყის დონემდე ეცემა.

გასაგები ხდება, რომ ასეთ რეაქციაში კვალიფიციური სპორტსმენის გულის სისტოლური მოცულობის ცვლილებას განსაზღვრული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, მაგრამ არ შეიძლება იმის უგულებელყოფაც, რომ მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენებში ვლინდება გულის ცემის მარეგულირებელი ცენტრალური მექანიზმების მეტი პლასტიურობა და უფრო სრულყოფილი შეგუებითი რეაქცია, ვიდრე გაუწვრთნელ სპორტსმენებში.

ცდების მეორე ვარიანტში ორივე კვალიფიკაციის სპორტსმენებში ვარჯიშის ინტენსივობის შემცირება არ იწვევს გულის ცემის გაიშვიათებას იმ შემთხვევებში, როდესაც მაქსიმალური ძალით მუშაობა ერთწუთს გრძელდებოდა. ხოლო როდესაც მაქსიმალური ინტენსივობით მუშაობა 1,5 - 2 წუთს გრძელდებოდა და მხოლოდ შემდეგ ხდებოდა დატვირთვის შემცირება, ორივე კვალიფიკაციის სპორტსმენებში მცირდებოდა გულის ცემის სიხშირე.

ეს ფაქტი განსაკუთრებით მკვეთრადაა გამოხატული მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენებში.

მეტად საინტერესო საკითხს წარმოადგენს დატვირთვის ინტენსივობის სწრაფ ცვლილებასთან დაკავშირებული გულის ცემის სიხშირის ცვლილების ფარული პერიოდი, რომელიც უნდა ასახავდეს სომატურ და ვეგეტატურ რეაქციებს შორის კოორდინაციის დონეს, გულის ცემის ცვლილების ფარული პერიოდი ერთნაირი არ

არის სხვადასხვა ხანგრძლივობით მუშაობისას. ასე მაგალითად, თუ სპორტსმენი ვარჯიშობს თავისი შესაძლებლობის 60-80 %-ით და ყოველი ერთი წუთი ვარჯიშის შემდეგ 10 წამით გადადის მაქსიმალური ინტენსივობით ვარჯიშზე, პირველი, მეორე და მესამე განმეორებისას გულის ცემა ვარჯიშის ინტენსივობის შეცვლიდან 2 – 5 წამის შემდეგ იწყებს გახშირებას; ხოლო თუ მუშაობა გრძელდება სპორტსმენის შესაძლებლობების ამოწურვამდე (ე.ი. მეორდება დაღლამდე), მაშინ ვარჯიშის ინტენსივობის მეხუთეჯერ გაზრდისას გულის ცემა გახშირებას იწყებს 5 – 7 წამის შემდეგ, ზოგჯერ უფრო მოგვიანებითაც. ეს მოვლენა მით უფრო კარგადაა გამოხატული, რაც უფრო დაღლილია სპორტსმენი. ე. ი. ამ შემთხვევაში ირღვევა კუნთოვანი მუშაობის ინტენსივობის შეცვლასა და გულის ცემის სიხშირის შეცვლას შორის კოორდინაციის მანამდე არსებული დონე და ადგილი აქვს მოძრაობით და ვეგეტატურ ფუნქციებს შორის ეგრეთწოდებულ დისკოორდინაციის მოვლენას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლემონჯავა ხ. სუნთქვისა და გულსისხლძარღვთა სისტემის ზოგიერთი მონაცემები სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტთა მაგალითზე. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის შრომათა კრებული 2002 წ. თბილისი. ტომი XIX გვ.62-65.
2. მამასახლისი გ. სუნთქვისა და გულისცემის სიხშირის დი-ნამიკა შეჯიბრების რეალურ პირობებში. საქართველოს ფი-ზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის შრომათა კრებული 2002 წ. თბილისი XIX გვ.78-86.
3. ჩიტაშვილი დ. - სადოქტორო დისერტაცია 1996წ.
4. Аруцев А. А.- 1956. Изменение частоты сердечных сокращений при мышечной деятельности. Теория и практики физической культуры 22(№1) 930 – 933.
5. Аруцев А. А. -1963. К вопросу об изменениях сердечных сокращений в процессе дозированной мышечной деятельности. В. сб. Проблемы физиологии спорта. Мю стр. 214 – 224.
6. Mero A., Blood Lactate production and recovery from anaerobic exercise in trained and Untrained boys. Eur. J. Appl. Physiol., 1988, v.57, N6, P. 660-666.

**Hamlet Razmadze**

Iakob Gogebashvili Telavi State University

### **Heart Beating Dynamic in the Conditions of Abrupt Change of Training Intensity**

#### **Abstract**

Observation on boxers showed that the frequency of heart beating increases at the beginning of work-out in the laboratory as well as during teaching-training sessions and competition and, later the rate decreases and reaches maximum.

In the intervals between the meetings the frequency of heart beating distinctively decreases and at the end of the meeting restoration processes takes place quickly and the heart beating frequency is expressed vividly. Analysis of received results gives chance to conclude that the fight with the strong opponent causes strong vegetative changes than with the weak opponent. Changes of heart beating depends on the factor of how strong the opponent is or what qualification the competition has.



**საკვანძო სიტყვები:** სპორტსმენები, ვარჯიში, ინტენსივობა, სიხშირე, გული.  
**Key words:** Sportsmen, training, intensivity, heart, rate.

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
ალ. ყაზბეგის გამზ. №47  
E – mail: [meridiani777@gmail.com](mailto:meridiani777@gmail.com) ტ. 239-15-22